საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

მ. გეჭაია

ოჯახის ეთნოსოციოლოგიური კვლევის მეთოდური საკითხები

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1988

63.5(2Г)
ბ 60

ნაშრომში განხილულია ოჯახის ადგილის საკითხი ეთნოსის განვითარების პროცესში ეთნოგრაფიის, სოციოლოგიის, ეთნოსოციოლოგიისა და, აგრეთვე, გენეტიკის ზოგადი დებულებების თანამედროვე მონაცემების შუქზე. დასმულია ოჯახის თეორიისა და კვლევის ზოგიერთი საკითხი.

ნაშრომი ოჯახთან დაკავშირებულ ზოგიერთ პრაქტიკულ საკითხსაც ეხება. იგი გათვალისწინებულია არა მარტო სპეციალისტებისათვის, არამედ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე

რეცენზენტები: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. წ უ ლ ა ძ ე

ბ $\frac{0303000000}{М\ 607\ (06)—88}$ 144—88

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988

რატომ ქმნიან ადამიანები ოჯახს?

ოჯახი ისეთი სოციალური ჯგუფია, რომელიც საზოგადოების უკლებლივ ყოველი წევრისათვის უაღრესად ნაცნობი და ახლობელია. ყველასათვის ცნობილია ოჯახური სითბოს მნიშვნელობა და ძალა ადამიანის ბედნიერებისათვის. ასევე, საყოველთაოდ ცნობილია ოჯახური ცხოვრების სიძნელეებიც — ოჯახის თანმდევი წინააღმდეგობანი, პოტენციური კონფლიქტები, პიროვნების გაზრდილი მოვალეობანი ოჯახის წევრების წინაშე, უამრავი მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ყოველდღიური საქმე, რომლებიც შეუბრალებლად ნთქავენ ოჯახის ყოველი წევრის დროისა და ენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს და ა. შ. მიუხედავად ყოველივე ამისა, კაცობრიობის უდიდესი უმრავლესობა ოჯახებად ცხოვრობს. უფრო მეტიც, შეიძლება თამამად ითქვას, რომ დედამიწის ზურგზე თითქმის არ არსებობს ადამიანი, რომელიც თავისი ცხოვრების რომელიმე მონაკვეთში მაინც არ იყოს დაკავშირებული ოჯახთან. ამის დასადასტურებლად ის ფაქტიც კმარა, რომ ადამიანთა უმეტესობა ოჯახებში იზრდება. ის უმცირესი ნაწილი კი, რომელსაც სხვადასხვა მიზეზების გამო ბავშვობაში მოაკლდა ოჯახური ატმოსფერო, განუზომლად მიილტვის ოჯახისა და ოჯახური სიმყუდროვის შექმნისაკენ. ხანდაზმული მარტოხელა ადამიანების ის ნაწილი, რომელიც მეუღლის დაკარგვის ან შვილების სხვაგან დასახლების გამო დარჩა მარტო, — მუდმივად მისტირის წარსულს. ასაკოვანი მარტოხელების ის ნაწილი კი, რომლებმაც ოჯახი არ შექმნეს, წუხს თავის „ბედზე", განსაკუთრებით ხანდაზმულობის ჟამს.

რატომ ქორწინდებიან ადამიანები და რატომ ქმნიან ოჯახს?

პასუხი ამ კითხვაზე გამომდინარეობს როგორც თვით ადამიანის სოციალური და ბიოლოგიური არსიდან, ასევე ოჯახისა და ქორწინების სოციალური და ბიოლოგიური საწყისებიდან.

ადამიანი ბუნებაში არსებული ცოცხალი ორგანიზმების განვითარების უმაღლესი ფორმაა. ისევე, როგორც ცოცხალი ორგანიზმების უდიდესი უმრავლესობა, ადამიანი ბუნებაში წარმოდგენილია სქესობრივი დიმორფიზმით — ცალკე მამაკაცისა და ცალკე ქალის სა-

ხით. მაგრამ ცალ-ცალკე აღებული ინდივიდუუმი, მამაკაცი იქნება თუ ქალი, ბიოლოგიურად ფუნქციონალურ მთლიანობას არ წარმოადგენს. ბიოლოგიურად ფუნქციონალურ მთლიანობას ქმნის მათი შეერთება, რომელიც, ამავე დროს, ახალი სიცოცხლის წარმოშობის, გამრავლების, ადამიანთა მოდგმის განგრძობის აუცილებელი პირობაა. ამიტომ, ბუნებამ ადამიანის განსხვავებული სქესის ფიზიკური ტიპები ისე ჩამოაყალიბა, რომ მათი ანატომიური აღნაგობა ერთმანეთის დამატება-შევსებას წარმოადგენენ შეერთებისათვის და ადამიანის ბიოლოგიური ფუნქციის უმაღლესი გამოხატულების შესრულებისათვის — შთამომავლობის შექმნისათვის. ამის განხორციელებლად ადამიანმა ბუნებისაგან მემკვიდრეობით მიიღო სქესობრივი რეფლექსი. სქესობრივი რეფლექსის წყალობით სქესთა ფსიქო-ბიოლოგიური განსხვავებანი თვითონ ქმნიან დაძაბულობას, რომელიც ერთ სქესს წაუბიძგებს მეორისაკენ და წარმოშობს მისწრაფებას შეერთებისაკენ. აიძულებს ადამიანს ეძიებოს და პოვოს თავისი დამატება-შევსება მეორე ადამიანში. ამდენად, ადამიანის თანდაყოლილი ბიოლოგიური სქესობრივი ინსტინქტის საფუძველზე წარმოქმნილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და გამრავლება ყოველი ადმიანის ბიოლოგიური უფლება და ფუნქციაა. ეს პირწმინდად ბიოლოგიური მოვლენებია ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების, ცხოვრებაში. მაგრამ, ადამიანის საერთოდ სოციალური არსიდან გამომდინარე, ეს მოვლენები თავიდანვე სოციალური შინაარსის შემცველებიც არიან. ადამიანის სოციალურ არსს კი ზოგადად შრომის უნართან ერთად, მისი სქესობრივი დიმორფიზმიც ქმნის — სქესობრივ ემოციაში ორი ინდივიდუუმი მონაწილეობს და მთლიანდება — ერთდება. ამ შეერთებისათვის აუცილებელ წინასწარ ემოციურობაში კი გარკვეულ როლს თამაშობს უამრავ ადამიანთა შორის ამ ორის მიერ მაინცდამაინც ერთმანეთის არჩევა. აქედან გამომდინარე, ბიოლოგიური ემოციური ურთიერთსწრაფვა თანადროულად ამ ორი ადამიანის ურთიერთობაა. ადამიანთა ურთიერთობა კი უკვე სოციალური კატეგორიაა. საერთოდ, ადამიანთა ურთიერთობის მრავალმხრივ და მრავალფეროვან სტრუქტურაში სქესობრივი ურთიერთობა იმით გამოირჩევა, რომ უამრავი ცალკეული ადამიანებისაგან შემდგარ საზოგადოებაში მისით ყველაა დაინტერესებული, ყველას ბუნებრივ მოთხოვნილებას წარმოადგენს. მაგრამ გრძნობებისა და პარტნიორის არჩევა-ცვლის სრულიად შეუზღუდავი თავისუფლების პირობებში ხშირად რამდენიმე პიროვნების ინტერესი ეჯახება ერთმანეთს და მწვავე კონფლიქტს წარმოშობს საზოგადოების წევრებს შორის. ეს კი ხელს უშლის მთელი საზოგადოების სწორ ფუნქციონირებას. ადამიანთა საზოგადოებამ ჩამოყა-

ლიბებისთანავე შეამჩნია სექსუალური ინსტინქტის ძალა და თავიდანვე დაიწყო სექსუალური ქცევის ამა თუ იმ სახით ნორმირება. სექსუალური ქცევის ნორმირების საჭიროებას კი კვლავ თვით ადამიანის ფსიქო-ბიო-სოციალური მახასიათებლები აყენებს. საქმე იმაშია, რომ ადამიანის თანდაყოლილი ფსიქიკა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინახავს განცდილ გატაცებებსა და სიყვარულს. გრძნობები და განცდები მიისწრაფვიან — ასევე ხანგრძლივად შეუნარჩუნდეს საპასუხო გრძნობა-განცდები პარტნიორსაც. სწორედ ცალკეული ადამიანის ფსიქო-ბიოლოგიური მახასიათებლებისა და მთელი საზოგადოების ინტერესების დამთხვევამ შექმნა თანდათან სქესობრივი ქცევის ნორმირების სოციალური ინსტიტუტი — ქორწინება. ამგვარად, ქორწინება ორი მოყვარული ადამიანის სქესობრივ ურთიერთობაზე საზოგადოების მიერ უფლების მიცემაა — სანქციაა, რომელიც ამავე დროს საზოგადოების სხვა წევრებს მიუთითებს, რომ ეს ორი ადამიანი ერთმანეთითაა დაკავებული და სხვების პრეტენზიები ჩვეულებრივ პირობებში გამორიცხულია. დაქორწინებული ადამიანების თანაცხოვრება კი ქმნის ოჯახს, — ერთეულს, რომელშიც ხორციელდება მეუღლეთა სქესობრივი ურთიერთობა და მათი ამ ურთიერთობის საზოგადოებრივი დაცვა სხვების პრეტენზიებისაგან. ამით ქორწინება და ოჯახი მთელი საზოგადოების ცხოვრების სექსუალურ საკითხებში გარკვეულ წესრიგს ამყარებს. ყოველივე აქედან გამომდინარე, ოჯახის ბიოლოგიური საწყისის და ფუნქციის ერთი მხარეა სქესობრივი ქცევისა და ურთიერთობის ნორმირება, რასაც ერთნაირად დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული პიროვნებისთვისაც და მთელი საზოგადოებისთვისაც. სქესობრივი ქცევისა და ურთიერთობის ნორმირებას თავისი განვითარება აქვს. ამ განვითარების ზოგადი ხაზია თავისი სექსუალური ინსტინქტების ცხოველური ძალის თანდათან დამორჩილება თვით ადამიანის მიერ, რაშიც უდიდეს როლს ასრულებს საერთოდ კაცობრიობის პროგრესული განვითარება. ეს ზოგადად, მაგრამ კაცობრიობის შემადგენელი ნაწილების — ცალკეული ქვეყნების განვითარების დონეები სხვადასხვაა და ამის შესაბამისად, სქესობრივი ქცევის ნორმები, ქორწინების და ოჯახის კანონმდებლობები ქვეყნების მიხედვით სხვადასხვა და მრავალფეროვანია.

ქორწინებისა და ოჯახის ბიოლოგიური საწყისის და ფუნქციის მეორე მხარე გამრავლებას უკავშირდება. გამრავლების შესახებ უკვე აღვნიშნეთ, რომ იგი საერთოდ ადამიანის უმაღლესი ბიოლოგიური ფუნქციაა როგორც ადამიანის მოდგმის კვლავწარმოების აუცილებელი პირობა. რა თქმა უნდა, გამრავლება ქორწინებისა და ოჯახის გარეშეც შეიძლება. მაგრამ კაცობრიობის ყოფა-ცხოვრების ისტორი-

ულმა პრაქტიკამ დიდიხანია თავისთავად დაამტკიცა, რომ სწორედ ოჯახი წარმოადგენს გამრავლებისა და შთამომავლობის აღზრდის ყველაზე მოხერხებულ კერას. ადამიანის ნაშიერის სრულმა უსუსურობამ გაჩენიდან წლების განმავლობაში, მის მოვლა-გაზრდა-აღზრდაში დედასთან ერთად მამის მონაწილეობის დიდმა უპირატესობამ, პიროვნების ჩამოყალიბებაში ბავშვობის პერიოდის განმსაზღვრელმა მნიშვნელობამ და მრავალმა სხვამ კაცობრიობის ისტორიაში თვით შექმნეს ოჯახი როგორც აღზრდის ყველაზე ინტიმური ერთეული, ყველაზე მოხერხებული კერა შთამომავლობის აღზრდა-სოციალიზაციისათვის. ამას ემატება გენეტიკური მემკვიდრეობით გამოწვეული ის განუზომავი მშობლიური ინსტინქტი, რომელიც, სხვა ფაქტორებთან ერთად, აძლიერებს საკუთარ ნაშიერზე ზრუნვის მოთხოვნილებას და მასთან ერთ ოჯახად თანაცხოვრების სურვილს.

სწორედ ყოველივე ზემოაღნიშნულის — სექსუალური მოთხოვნილებების კანონიერ ფარგლებში დაკმაყოფილების, საკუთარი შთამომავლობის შექმნა-აღზრდის და ერთმანეთთან ყოველდღიური ურთიერთობის სურვილის გამო ქორწინდებიან ადამიანები და ქმნიან ოჯახს.

ამრიგად, ოჯახი ადამიანთა ურთიერთობის პირველადი უჯრედია, **ყოველმხრივ მოხერხებული, ისტორიულად გამოცდილი და სოციალურად აუცილებელი.** მისი კონკრეტული განმარტებები

მიანი სქესობრივი უნარიანობის მხრივაც უმაღლეს განვითარებას წარმოადგენს ბუნებაში. საქმე ისაა, რომ თვით უმაღლესი ძუძუმწოვარი ცხოველების დამახასიათებელი სქესობრივი ქცევა, ე. წ. ესტრუსი, განსაზღვრულია დროში და წელიწადში სულ რამდენჯერმე ხდება. ე. ი. ძუს მზადყოფნის — ესტრუსის მდგომარეობის გარეშე მასთან სქესობრივი კავშირი შეუძლებელია. მაიმუნებს და ადამიანის მსგავს მაიმუნებს ესტრუსის პერიოდი სხვებთან შედარებით ხანგრძლივი აქვთ და ყოველი მენსტრუალური ციკლის რამდენიმე დღეს მოიცავს. ე. ი. წლის განმავლობაში მათაც მხოლოდ გარკვეულ პერიოდებში აქვს სქესობრივი კავშირის უნარი. ასეთივე მდგომარეობაში იყო გაადამიანების პროცესში მყოფი არსებაც. მაგრამ ეს მდგომარეობა ხელს უშლიდა ამ არსების ბუნებასთან შეგუებას: არჩევანის საშუალება ნაკლები იყო — მხოლოდ იმ ქალს ჰქონდა სქესობრივი კავშირის უნარი, რომელიც ესტრუსის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ეს იწვევდა მძაფრ ჭიშპობას მამაკაცებს შორის, რაც თავის მხრივ სერიოზულად აფერხებდა ფიზიკურად უსუსური პირველყოფილი ადამიანისათვის აუცილებელ ერთსულოვან მოქმედებას საკვების მოპოვებისა თუ თავდაცვის დროს. ამიტომ ბუნებრივმა შერჩევამ გაადამიანების პროცესში მყოფ არსებას თანდათან გაუხანგრძლივა ესტრუსი — სქესობრივი ქცევისათვის მზადყოფნის უნარი. ესტრუსის პერიოდის გახანგრძლივებამ თანდათან თავის სრულ ბიოლოგიურ განვითარებას მიაღწია იმ აზრით, რომ იგი, როგორც სქესობრივი კავშირის აუცილებელი პირობა, საერთოდ გაქრა და გაადამიანების პროცესში მყოფ ადამიანებს სქესობრივი კავშირის მუდმივი უნარი გამოუმუშავდათ. შეიქმნა არჩევანის საშუალება. ამ ფაქტით კი სქესობრივ ურთიერთობას, ამ თავისთავად წმინდა ბიოლოგიურ მოვლენას, იმთავიდანვე დაყვა სოციალური ხასიათი. ასეთია მეცნიერული აზრი ამ საკითხზე*.

გაადამიანების პროცესში მყოფმა ადამიანმა თავის ბიოლოგიურ განვითარებაში შემდეგაც ხანგრძლივი გზა განვლო, ვიდრე თანამედროვე სახეს მიიღებდა. მაგრამ არც მხოლოდ ბიოლოგიური ჩამოყალიბება იყო მთავარი. ადამიანი ჩვენი გაგებით ადამიანად მხოლოდ მაშინ ჩამოყალიბდა, როდესაც ამასთან ერთად სოციალურ არსებადაც იქცა. სოციალურ არსებად კი მაშინ იქცა, როდესაც მისი და მისივე მსგავსთა ერთ ჯგუფში ცხოვრება რაღაც წესებს და ნორმებს დაემორჩილა.

საერთოდ, ადამიანის არსებობის აუცილებელ პირობას ბიოლოგიური მოთხოვნილებების, ანუ ინსტინქტების დაკმაყოფილება წარმოადგენს. ამ ინსტინქტებს კვების, თავდაცვის და გამრავლების გარდა, როგორც აღვნიშნეთ, განეკუთვნება სქესობრივი ინსტინქტიც.

* Харрисон Дж. Биология человека. М., 1979, с. 71—128.

ადამიანის ბიოსოციალური ჩამოყალიბების პერიოდში (პირველყოფილი ჯოგი) ადამიანის ქცევის ძირითადი სტიმული სწორედ ინსტინქტები იყო. ამიტომ ამ ჯგუფებში ბატონობდა ზოოლოგიური ინდივიდუალიზმი — უპირველეს ყოვლისა ინსტინქტების დაკმაყოფილებისკენ სწრაფვა. მაგრამ გაადამიანების პროცესში მყოფ ფიზიკურად სუსტ ადამიანებს არსებობისა და სიცოცხლის შენარჩუნებისათვის, როგორც აღვნიშნეთ, აუცილებლად სჭირდებოდათ გაერთიანებული შრომა არსებობის საშუალებების მოსაპოვებლად და თავდასაცავად. ეს კი მოითხოვდა გარკვეულ შეთანხმებულ მოქმედებას, რაც თავისთავად უპირისპირდებოდა და ზღუდავდა ზოოლოგიურ ინდივიდუალიზმს. წარმოიშვა სხვადასხვა სახის აკრძალვა — ტაბუ. ეს იყო სწორედ ადამიანის გასოციალურების, სოციოგენეზის დასაწყისი. წარმოიშვა ერთი ჯგუფის ერთიანობისა და სხვა ჯგუფებისაგან განსხვავებულობის შეგნება. ერთობის გამოხატულების უძველესი ფორმათაგანი ტოტემიზმი იყო (რომელიმე ცხოველის აღიარება ჯგუფის წინაპრად), თვით ერთობა კი ტოტემისტური გვარი, რომელიც თავიდანვე დუალურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა[2]. საქმე ისაა, რომ ჯოგში თავდაპირველად სქესთა შორის ურთიერთობის ნორმები არ არსებობდა. ეს შეუზღუდავობა, ე. წ. პრომისკუიტეტი მძაფრ კონფლიქტებს და მტრობას იწვევდა ჯოგში, რასაც ხშირად სისხლისღვრაც მოსდევდა. კონფლიქტები განსაკუთრებით ისეთი სახის სამეურნეო საქმიანობას უშლიდა ხელს, რომლებიც ჯოგის წევრების მტკიცე ერთიანობას მოითხოვდა. ასეთი იყო ნადირობა, რომელიც იმ პერიოდში საარსებო საშუალებების მოპოვების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება იყო შემგროვებლობასთან ერთად. დიდ ცხოველებზე ნადირობა ჯოგის მამაკაცების განსაკუთრებულ ყურადღებას და მზადებას საჭიროებდა. მზადების ერთ-ერთი მომენტი იყო ჯოგის მტკიცე ერთსულოვნების უზრუნველყოფა. ამან წარმოშვა მოსამზადებელ პერიოდში სქესობრივი ურთიერთობის აკრძალვა ჯოგის შიგნით — აგამია (a — ბერძ. უარყოფა, gamos — ქორწინება). ფაქტობრივად ეს იყო საწარმოო-სქესობრივი ტაბუ, რომელიც პირველ ხანებში დროებით, ნაწილობრივ ხასიათს ატარებდა, შემდეგ და შემდეგ კი მეურნეობის სხვადასხვა სახეების მომზადება-მიმდინარეობის პროცესზეც გავრცელდა. ამ მოსამზადებელ პერიოდებში სქესობრივი ურთიერთობა სასტიკად იკრძალებოდა, მიიჩნეოდა რა უბედურების მომტანად არა მარტო ტაბუს დამრღვევთათვის, არამედ მთელი ჯოგის-

---

[2] Семенов Ю. И. Как возникло человечество. М., 1966, с. 509, 516, 520; მისივე, Происхождение брака и семьи. М., 1974.

თვისაც. ასეთი მკაცრი აკრძალვების განხორციელებამ და მასზე საზოგადოების (ამ შემთხვევაში, ჯოგის)კონტროლმა და იმ გარემოებამ, რომ საზოგადოების შექმნა-ჩამოყალიბება ზოოლოგიური ინდივიდუალიზმის მოთოკვის პროცესი იყო საერთოდ, თანდათან ჩამოაყალიბა სრული აგამია. ე. ი. სრულიად და სასტიკად აიკრძალა ყოველგვარი სქესობრივი ურთიერთობა საწარმოო კოლექტივს, ჯოგს შიგნით. მაგრამ სრული აგამიის პირობებში ჯოგი ვერც იარსებებდა და ვერც გამრავლდებოდა. ამიტომ აკრძალვის პერიოდების გახანგრძლივების (და შემდეგ კი სრული აგამიის) პირდაპირი შედეგი იყო სქესობრივი პარტნიორის ძიება ჯოგს გარეთ. პირველ ხანებში ეს უმეტესად ხდებოდა სხვა ჯოგზე თავდასხმით. ეს იწვევდა მეზობელ ჯოგების ურთიერთობის დაძაბვას. მაგრამ რადგან მსგავსი პროცესები ზოგადი ხასიათის იყო და ყველგან მიმდინარეობდა, ყოველი ჯოგი დაინტერესებული იყო სხვა ჯოგის წევრებთან სქესობრივი ურთიერთობის პრაქტიკის არსებობით. ამიტომ თანდათანობით ჯოგს გარეთ ქორწინება ნორმად იქცა. ასე წარმოიშვა ეკზოგამია[3] (ბერძ. ἐκτός — გარე). ასეთმა ურთიერთობამ დააკავშირა გაადამიანების პროცესში მყოფი არსებათა ჯოგები. შეიქმნა ორ-ორი მეზობელი ჯოგების ორგანიზაცია — დუალურ-ჯოგური ურთიერთსაქორწინო გაერთიანება, რომელიც დუალურ-გვაროვნული ორგანიზაციის საწყისს წარმოადგენდა. ამავე დროს ეს იყო ჰიბრიდიზაცია, რომელმაც ხელი შეუწყო თანამედროვე ადამიანის ფიზიკური და გონებრივი ჩამოყალიბების — ანტროპოსოციოგენეზის დასრულებას. ადამიანის ანტროპოლოგიური და სოციალური ჩამოყალიბების პროცესი ხანგრძლივი, ერთდროულად მიმდინარე და ურთიერთწარმომშობი პროცესი იყო, რომელიც დასრულდა უკვე მზა, თანამედროვე ადამიანის, გონიერი ადამიანის, — homo sapiens-ის შექმნით, რაშიც სქესობრივი ურთიერთობის შეზღუდვის ერთ-ერთი საფეხურის, ეკზოგამიის წარმოშობამ გარკვეულად განმსაზღვრელი როლი შეასრულა. ამიტომაა, რომ ადამიანი თითქმის თანაბრად არის როგორც ბიოლოგიური, ასევე სოციალური არსება.

---

[3] ეკზოგამიის წარმოშობა, ანუ გვარს შიგნით სქესობრივი აღრევისა და ქორწინების აკრძალვის წარმოშობა ზემოთ მოტანილი თეორიის მიხედვით, როგორც დავინახეთ, უკავშირდება პირველყოფილი ჯოგის საწარმოო მოთხოვნებს. სხვა თეორია (მორგანი, ენგელსი) მის წარმოშობას უკავშირებს სისხლით ნათესაეთა სქესობრივი აღრევის მავნეობას შთამომავლობისათვის. და თუმცა თანამედროვე ეთნოგრაფიაში აღიარებულად ითვლება საწარმოო მოთხოვნილებების თეორია, არ არის გამორიცხული, რომ გენეტიკის მონაცემებმა (ამაზე ქვემოთ) კვლავ დააყენონ ამ თეორიის გადასინჯვის საკითხი.

დუალურ-გვაროვნული ორგანიზაცია, რომელმაც პირველყოფილი ჯგი შეცვალა (შუა პალეოლითი), არის პირველი სრული სოციალური ერთობა. მასში გაერთიანებული ტოტემისტური გვარები ცალ-ცალკე არსებული სოციალურ-ეკონომიკური ერთეულები იყვნენ. ერთმანეთთან ამ გვარებს მხოლოდ სექსუალური პარტნიორობა აკავშირებდათ — ერთი გვარის მამაკაცები დადიოდნენ მეორე გვარის ქალებთან, ცხოვრებით კი ყველა თავის გვარში ცხოვრობდა. როგორც აღვნიშნეთ, ერთი გვარის მამაკაცებსა და ქალებს შორის, თვით გვარს შიგნით სექსუალური ურთიერთობა სასტიკად იკრძალებოდა ეკზოგამიის ძალით. ეს იყო სქესობრივი ურთიერთობის ნორმირების პირველი ფორმა, რომელმაც პრომისკუიტეტი შესცვალა. ეს იყო ჯგუფური ქორწინება, რომლის წარმოშობა თანხვდება თანამედროვე გონიერი ადამიანის, ჰომო საპიენსის ჩამოყალიბების დასრულებას. და თუმცა ჯგუფური ქორწინების დროს ჯგუფებს შორის სქესობრივი ურთიერთობა შეზღუდული არ იყო (ერთი გვარის ყველა მამაკაცს უფლება ჰქონდა მეორე გვარის ყველა ქალზე) თვით ჯგუფები იყო მკაცრად განსაზღვრული. სხვა დუალურ-გვაროვნული ორგანიზაციის წევრთან სექსობრივი ურთიერთობა საზოგადოების მიერ მიღებული ნორმების დარღვევად მიიჩნეოდა და ისჯებოდა.

ამდენად, ცალკე აღებული გვარი ეკზოგამიით ხასიათდებოდა, ხოლო ორი ასეთი ურთიერთსაქორწინო გვარის კავშირით შექმნილი დუალურ-გვაროვნული ორგანიზაცია კი სწორედ პირიქით, უპირატესობას აძლევდა თავის შიგნით, თავისი გვარების წევრების სქესობრივ ურთიერთობას, უკრძალავდა რა მათ ასეთს სხვა გაერთიანების წევრებთან. ამ წესს ეთნოგრაფიაში ენდოგამია (ბერძნ. endon — შიგნით) ეწოდება. ენდოგამური იყო, აგრეთვე, დუალურ-ვვაროვნული ორგანიზაციების გამაერთიანებელი ტომიც და მის საფუძველზე განვითარებული უფრო მსხვილი სოციალური ორგანიზმებიც (ამაზე ქვემოთ).

ჯგუფური ქორწინების განვითარებას (ურთიერთ სასურველი წყვილის ერთად ხშირად ყოფნის მისწრაფებას და მათი სექსუალური პარტნიორობის გახანგრძლივებას) თანდათან მოყვა ახალი ფორმების — წყვილადი ქორწინებისა და წყვილადი ოჯახის წარმოშობა. ოჯახის ეს პირველი ფორმა შედარებით თანასწორუფლებიანი ქალისა და მამაკაცის ინდივიდუალური მისწრაფებებისა და სიყვარულის ნიადაგზე წარმოიშვა. იგი არამყარი იყო, წყვილები ადვილად შორდებოდნენ და ახალ წყვილებად ერთიანდებოდნენ.

ქორწინებისა და ოჯახის ეს პირველი ფორმები (ქორწინების ჯგუფური და წყვილადი ფორმები, ოჯახის წყვილადი ფორმა) შეესა-

ბამებიან პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოების განვითარების პირველ საფეხურს, — მატრიარქატს. ეს იყო მამაკაცის და ქალის თანასწორუფლებიანობისა და ქალის ერთგვარი უპირატესობის პერიოდი. ქალის ერთგვარი უპირატესობის საფუძველს წარმოადგენდა ქალის წამყვანი როლი მეურნეობაში (იგი მთავარი შემგროვებელი იყო, რაც მამაკაცის ნადირობასთან შედარებით უფრო რენტაბელური იყო ამ პერიოდში). გარდა ამისა, ქალი იყო პირველი მიწათმოქმედი, პირველი მესაქონლე, საცხოვრებლის პირველი მშენებელი, ცეცხლის პირველი შემნახავი და გამფრთხილებელი. დიდი მნიშვნელობა ქალის პირველობაში ეკავა ბავშვების საკითხს — ჯგუფური და წყვილადი ქორწინების პირობებში მამის ვინაობა უმეტესად უცნობი იყო, დედა კი — ერთადერთი უტყუარი მშობელი და, ამდენად, მთავარი ავტორიტეტიც იყო. ბავშვები დედის გვარში იზრდებოდნენ და მათი წარმოშობა-საკუთრობა (გვარი) დედის ხაზით იანგარიშებოდა. შვილების ქორწინება მთლიანად დედების საქმე იყო. ქალის მემკვიდრეობაც მთლიანად შვილებს რჩებოდათ. შვილები, რაკიღა მამის გვარს არ ეკუთვნოდნენ, არც მის მემკვიდრეებს წარმოადგენდნენ. მამის შრომით შექმნილი დოვლათი მამისვე გვარში რჩებოდა და უმეტესად მის დის შვილებს ეკუთვნოდათ. ოჯახის დასახლება მატრილოკალური იყო — ქმარი დადიოდა ან სახლდებოდა ცოლის სახლში. საიდანაც ის შეიძლება მიებრძანებინათ კიდეც და სხვა მოეყვანათ. წყვილადი ოჯახის ასეთი არამყარობის მიუხედავად, მთავარი ისაა, რომ ურთიერთსქესობრივი პარტნიორების წრე შემცირდა და წყვილზე დავიდა, რასაც მოჰყვა მამაკაცის რეგულარული ზრუნვა პარტნიორ ქალსა და მის შვილებზე. სწორედ ეს ზრუნვა გახდა წყვილადი ქორწინების ნიადაგზე წყვილადი ოჯახის შექმნის სოციალური საფუძველი. მაგარმ ცოლ-ქმრის ურთიერთობა თავისთავად სხვადასხვა გვარის წევრების, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფების წევრების ურთიერთდამოკიდებულება იყო და რამდენადაც ძლიერდებოდა მამაკაცის ეკონომიკური ზრუნვა პარტნიორ ქალსა და მის შვილებზე, იმდენადვე სუსტდებოდა მისი ყურადღება საკუთარი დის შვილებისა და გვარის წევრების მიმართ. ამდენად, ოჯახი ძირს უთხრიდა მატრიარქალური გვარის ერთიანობას და გვარიც თავის მხრივ ეწინააღმდეგებოდა წყვილადი ქორწინებისა და ოჯახის, როგორც სოციალური მოვლენების, სიმტკიცეს.

ქორწინებისა და ოჯახის შემდეგი ფორმების, მონოგამიური ქორწინებისა და მონოგამიური ოჯახის ჩამოყალიბება-განვითარება უფრო მეტად უკავშირდება საზოგადოების განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებს. მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის დამოუკიდებელ დარგებად ჩამოყალიბებასა და განვითარებასთან ერთად

წარმოებაშიც და საზოგადოებაშიც მამაკაცმა დაიკავა პირველი ადგილი. წარმოების განვითარებამ შექმნა ნამატი პროდუქცია, გაჩნდა კერძო საკუთრების ნიშნები, მისი დაგროვებისა და ზრდის შესაძლებლობა. შეიცვალა დოვლათის განაწილების პრინციპი — გვარის წევრებს შორის დოვლათის თანაბარი განაწილება შესცვალა შრომის მიხედვით განაწილების პრინციპმა. სექსუალური წყვილების თანაცხოვრების ფორმა კი — ოჯახი, მოხერხებული მეურნეობრივი და დავგროვებლური ერთეულიც აღმოჩნდა. გაძლიერდა მამაკაცის სურვილი მისი შექმნილი დოვლათით მხოლოდ მის შვილებს ესარგებლათ და არა ყველა მათ, რომლებიც, ოჯახის წყვილადი ფორმის არამყარობის გამო, მის პარტნიორ ქალს სხვა მამაკაცებისგანაც შეიძლებოდა ყოლოდა. თავისი მამობის უტყუარობის უზრუნველსაყოფად მამაკაცმა ცოლი თავის გვარში და საცხოვრებელში გადაიყვანა. ამდენად, ოჯახის დასახლებამ პატრილოკალური ფორმა მიიღო. შვილი მამის მემკვიდრე და გვარის გამაგრძელებელი ხდება, ცოლი კი ქმრის ოჯახში საგულდაგულოდ ჩაკეტილი. ყოველივე ეს ძლიერდება მატრიარქატის პატრიარქატით შეცვლისა და ამ უკანასკნელის განმტკიცებისკვალდაკვალ, რასაც სხვა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ძერებთან ერთად, მოსდევს ქორწინებისა და ოჯახის ახალი ფორმების — მონოგამიური ქორწინებისა და მონოგამიური ოჯახის შექმნა — სამუდამო ერთქორწინება და სამუდამო ოჯახური კავშირი. მაგრამ პატრიარქატის ეპოქის მონოგამიური ქორწინება და ოჯახი მტკიცე მონოგამიურ ფორმებზე გარდამავალს წარმოადგენდნენ, რადგან ამ პერიოდში სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ძალით კვლავ განაგრძობდა არსებობას პოლიგამიაც მრავალცოლიანობის (პოლიგინია) და მრავალქმრიანობის (პოლიანდრია) სახით.

ამდენად, მონოგამიური ქორწინებისა და ოჯახის წარმოშობას, წყვილადისაგან განსხვავებით, ინდივიდუალური მისწრაფებები და სიყვარული არ ედო საფუძვლად. იგი წარმოშვა საკუთრების დაგროვებამ მამაკაცის მიერ, ამ დაგროვებული დოვლათის საკუთარი შვილისთვის მემკვიდრეობით გადაცემის სურვილმა და საერთოდ პატრიარქალური წყობის ნორმებმა. ამ ნორმების ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელია სქესთა უთანასწორობის გაბატონება — ქალის დამორჩილება მამაკაცის მიერ. ქალი მამაკაცის საკუთრება გახდა და თითქმის მთლიანად იქნა ჩამოცილებული საზოგადოებრივ საქმიანობას. მისი ფუნქცია ძირითადად შემოიფარგლა ქმრის უტყუარი შთამომავლობის შექმნით და მის საოჯახო მეურნეობაში მორჩილი შრომით. ამიტომ ოჯახში რძლად შემოსაყვანი ქალის არჩევას დიდი ყურადღება მიექცა. ამან ყოველივემ გამოიწვია ქორწინების ისეთი მოვლენების წარმოქმნა, როგორიც იყო სყიდვითი ქორწინებაც (გამოსასყიდის ვა-

დახდა სარძლოს ოჯახისადმი), მცირეწლოვანთა დანიშვნაც, მოტაცებაც, კუზენური ქორწინებაც (ბიძაშვილების ქორწინება), ლევირატიც (ქვრივი ქალის დაქორწინება მაზლზე ან ქმრის ბიძაშვილზე), სოროორატიც (გარდაცვლილი ცოლის დაზე ქორწინება). და სხვ.

პატრიარქალური ოჯახი კიდევ უფრო დაუპირისპირდა გვარს. საკუთრების გაჩენისა და მასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ძვრებთან ერთად ეს ოჯახიც არყევდა გვარის სიმტკიცეს, ამიტომ პატრიარქალური გვარი გაცილებით ნაკლები ერთსულოვნებით ხასიათდებოდა, ვიდრე მატრიარქალური. ამის ნათელი დადასტურებაა აგამიის დარღვევის დაშვება კუზენური ქორწინების გაჩენით.

პატრიარქალური ოჯახი თანდათან პატრიარქალურ საოჯახო თემად გადაიქცა, რომელიც ხშირად ძმების ოჯახების მთელ შთამომავლობასაც მოიცავდა. ამ მრავალრიცხოვანი ერთეულის ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება ორგანიზებული იყო ოჯახის წევრთა ურთიერთობის მკაცრად განსაზღვრული სქესობრივ-ასაკობრივი იერარქიით და ოჯახის უფროსი მამაკაცის ავტორიტარულობით. უმცროსები უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ უფროსებს, ქალები — მამაკაცებს. პატრიარქალური საოჯახო თემი იყო ძირითადი მწარმოებლური, ეკონომიკური, მეურნეობრივი და აღმზრდელობითი ერთეული. ეს იმას ნიშნავს, რომ ძირითადად ოჯახი აწარმოებდა საზოგადოებრივ დოვლათს, მხოლოდ ოჯახში იყო დაშვებული ბავშვების გაჩენა და ოჯახი იყო მათი აღზრდისა და სოციალიზაციის კერა. ოჯახი თავისი ინტერესების შესაბამისად წყვეტდა შვილების ქორწინების საკითხსაც.

შემდეგ, კლასიკურმა რელიგიებმა კიდევ უფრო განამტკიცეს მონოგამიური ქორწინება და ოჯახი. იმისათვის რომ ქორწინება და ოჯახი უფრო მტკიცედ მოექცია თავის განმგებლობაში, ქრისტიანობამ, მაგალითად, ქორწინება რელიგიურ საიდუმლოებად, მაღალი რანგის რელიგიურ აქტად გამოაცხადა, აუცილებლობის წესით შემოიღო მასზე სანქციის მიცემა — ჯვრისწერა და აკრძალა განქორწინება.

მეცნიერებაში პატრიარქალური მონოგამიური ოჯახის განვითარებაში ორ ძირითად საფეხურს გამოყოფენ — დემოკრატიულსა და დესპოტურს. თუ დემოკრატიული ჯერ კიდევ ინარჩუნებდა სქესთა თანასწორობის ნიშნებს, დესპოტური ოჯახი, როგორც პატრიარქალური მონოგამიური ოჯახის უმაღლესი ფორმა, ოჯახის წევრთა ურთიერთობაში სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაციის მკაცრად დაცვისა და ოჯახის უფროსი მამაკაცის სრული ავტორიტარულობის განხორციელებას წარმოადგენდა.

ახალი ისტორიის პერიოდიდან მონოგამიურმა ოჯახმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. დაქირავებული შრომის გაჩენამ ახალგაზრდა ვაჟებს მამა-ძმა-ბიძებისაგან დამოუკიდებლად არსებობისა და საკუთარი ცოლ-შვილის რჩენის საშუალება მისცა. ამან გამოიწვია დიდი, განუყოფელი ოჯახების სწრაფი შლა პატარა (ე. წ. ნუკლეარულ. ანუ ატომარულ) ოჯახებად, მხოლოდ მშობლებისა და შვილებისაგან შემდგარ ოჯახებად. მონოგამიური ოჯახის პატრიარქალურმა სტრუქტურამ ქრობა იწყო, მისი ადგილი დაიკავა ეგალიტარულმა (თანასწორთა) ურთიერთობამ. განსაკუთრებული ძვრები პირველდელი მონოგამიური ქორწინებისა და ოჯახის განვითარებაში გამოიწვია ქალის ჩაბმამ წარმოებაში. ამ უკანასკნელმა ქალსაც შეუქმნა დამოუკიდებლად არსებობის პირობები, რასაც თანდათან მოჰყვა სამოქალაქო უფლებების, მათ შორის ქორწინების (მშობლების აუცილებელი ნებართვის გარეშე) და განქორწინების უფლების მოპოვებაც. თანდათან ჩამოყალიბება იწყო ქორწინებისა და ოჯახის მონოგამიური ფორმის ახალმა საფეხურებმა — თანასწორთა ანუ ეგალიტარულმა ქორწინებამ და ეგალიტარულმა ოჯახმა. თანდათან შესუსტდა სქესობრივი ურთიერთობის შუასაუკუნეობრივი მორალიც, როშელიც მხოლოდ ქალისგან მოითხოვდა უმწიკვლოებას და ცოლქმრული ერთგულების დაცვას. თანამედროვე კაპიტალისტურ სამყაროში ქორწინება თავის განვითარებაში მივიდა ახალი მორალის ჩამოყალიბების ზღვრამდე. მაგრამ კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების გამო, ქალისა და მამაკაცის მთლიანად გათანაბრებას სქესობრივ საკითხებში მოყვა ე. წ. სექსუალური რევოლუცია — სქესობრივი ურთიერთობის თავისუფლების ზრდა, ქორწინების როლის შესუსტება მის რეგულირებაში და ოჯახის მზარდი დეზორგანიზაცია. თანამედროვე ბურჟუაზიული მეცნიერების ერთი ნაწილი საოჯახო-საქორწინო ურთიერთობებში მომხდარ ძვრებში რეორგანიზაციის პროგრესულ პროცესს ხედავს, მეორე ნაწილი კი მას რეგრესად მიიჩნევს. კაპიტალის ბატონობის სამყაროში პიროვნების სწრაფვა იქითკენ, რომ რაც შეიძლება მეტი მიიღოს ცხოვრებისაგან, თვით ამავე პიროვნებას უშლის ხელს მთლიანად, სულიერად და ხორციელად გაერთიანდეს სექსუალურ პარტნიორთან. ამიტომ კაპიტალიზმმა ოჯახისა და ქორწინების მის მიერვე წარმოქმნილი ეგალიტარული საფეხური ბოლომდე ვერ განავითარა. მათ სრული განვითარების შესაძლებლობა სოციალიზმის პირობებში მიიღეს. ოჯახი და ქორწინება სოციალიზმის პირობებში თავისუფალია წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების, რელიგიური, კლასობრივი, ნაციონალური თუ რასობრივი სხვაობის და სხვათა გავლენისაგან. სქესთა შორის ურთიერთობის კომუნისტური პრინცი-

პია სამოქალაქო ქორწინება მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულისა და პირადი არჩევანის ნიადაგზე, რასაც სოციალისტური ეკონომიკის მახასიათებლებთან ერთად, უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის სრული და ყოველმხრივი (ეკონომიკური, უფლებრივი, მორალური და სხვ.) თანასწორუფლებიანობა. სოციალისტურმა ცხოვრების წესმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა ეგალიტარული ქორწინება და ეგალიტარული ოჯახი, როგორც ქორწინებისა და ოჯახის მონოგამიური ფორმის განვითარებული საფეხური. **თანამედროვე ქორწინება, პრინციპულად საუკუნოდ სქესობრივი და სოციალური კავშირი, საფუძველს უყრის კაცობრიობის კულტურის მონაპოვარსა და საზოგადოების განვითარებისთვის ყოველმხრივ მოხერხებულ, ისტორიულად გამოცდილ და სოციალურად აუცილებელ უჯრედს — თანამედროვე ოჯახს.**

ამრიგად, კაცობრიობამ თავისი არსებობის მანძილზე მრავალმხრივი ცდა განაზორციელა ქორწინებისა და ოჯახის ფორმების განვითარებაში. ქორწინებამ განვლო ჯგუფური, წყვილადი, გარდამავალი პატრიარქალურ-მონოგამიური, ბურჟუაზიული ეგალიტარულ-მონოგამიური ფორმები და მიაღწია სოციალისტურ ეგალიტარულ-მონოგამიურ ფორმას. თავისი წარმოშობით იგი წინ უსწრებს ოჯახის წარმოშობას და, როგორც ოჯახის საფუძველი, განსაზღვრავს ოჯახის ფორმების ცვლა-განვითარებას. მისი ფორმების ცვლა-განვითარების კვალდაკვალ ოჯახმა განვლო წყვილადი, გარდამავალი პატრიარქალურ-მონოგამიური, ბურჟუაზიული ეგალიტარულ-მონოგამიური ფორმები და მიაღწია სოციალისტურ ეგალიტარულ-მონოგამიურ ფორმას. **ამდენად, ერთქორწინება, — მონოგამია ცივილიზაციის თანამდევი მოვლენაა.** მონოგამიური ქორწინებისა და ოჯახის ცვლა-განვითარების პროცესი დღესაც გრძელდება. დღესდღეობით ამ ცვლილებებიდან განსაკუთრებით თვალში საცემია სქესობრივი ნორმების ლიბერალიზაცია საერთოდ, ქალისა და მამაკაცის სქესობრივი ქცევის ნორმების გათანაბრების მზარდი ტენდენცია და ვანქორწინებების ზრდა. მაგრამ ეს მოვლენები ვერ არყევენ ქორწინებისა და ოჯახის იდეას. ამის დამადასტურებელი კვლავ ის ფაქტია, რომ კაცობრიობის უდიდესი უმეტესობა ოჯახებად ცხოვრობს, ყოველდღიურად ასობით და ათასობით ახალგაზრდა ქორწინდება და უფრო და უფრო ხშირდება თვით განქორწინებულების ხელახალი ქორწინებები. ივარაუდება, რომ კაცობრიობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალი დონისა და სქესთა სრული და ყოველმხრივი ფაქტობრივი თანასწორობის განვითარების კვალდაკვალ კიდევ უფრო განმტკიცდება ფაქტობრივი მონოგამია, რაც, უნდა ვაღიაროთ, დღესდღეობით მიღწეული არ არის.

ოჯახის არსებობის ასე ფართო დიაპაზონი ვერტიკალურ ჭრილში (ხანგრძლივი ისტორიული არსებობა და მომავლის პერსპექტივები) თუ ჰორიზონტალურში (თითქმის უნივერსალურობა თანამედროვე მსოფლიო მასშტაბით) გამოწვეულია მისი სოციალური და ბიოლოგიური ფუნქციებისა და საზოგადოების მოთხოვნილებების ურთიერთგანმსაზღვრელი ზემოქმედების ფაქტით. ბიოლოგიური საწყისები და ფუნქციები — სქესობრივი ურთიერთობის ნორმირება და ადამიანთა მოდგმის გამრავლება-განგრძობა რაჲდენიმე სიტყვით ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ. აღვნიშნეთ, აგრეთვე, რომ ადამიანის საერთოდ სოციალური არსიდან გამომდინარე, ყოველნაირი ბიოლოგიური საწყისი თუ ფუნქცია თავის თავშივე ატარებს და მოიცავს სოციალურ საწყისებთან და ფუნქციებთან მთლიანობას (ამიტომაა, რომ გამრავლების ფუნქციას ჩვეულებრივად სოციალურ ფუნქციათა რიგში განიხილავენ ხოლმე). ასეთ პირობებში უმჯობესია, მათ ბიოსოციალური ფუნქციები ეწოდებოდეთ. ჩვენი აზრით, ასეთი ბიოსოციალური ფუნქცია აკვს ერის ცხოვრებაში ოჯახსაც. სამწუხაროდ ოჯახის ეს ფუნქცია სოციოლოგიის ყურადღების გარეშე დარჩა საერთოდ. სამაგიეროდ მასზე მახვილს სვამს ეთნოგრაფია, გენეტიკა და ეთნოსოციოლოგია, რომელთა მონაცემებს მთლიანობაში გააზრების საჭიროება დგება (ამაზე ქვემოთ). ამათ გარდა ოჯახს აქვს მრავალმხრივი წმინდა სოციალური ხასიათის ფუნქციებიც. მათ შესახებ მდიდარი სოციოლოგიური ლიტერატურა არსებობს. ჩვენც არაერთხელ შევეხეთ მათ ადრინდელ პუბლიკაციებში[4] და კვლავ შევეხებით წინამდებარე ნაშრომის სათანადო ადგილებში. ოჯახის მნიშვნელობის ნათელსაყოფად აქ მხოლოდ ჩამოვთვლით ძირითადებს მათ შორის. ასეთია შთამომავლობის აღზრდა-სოციალიზაციის. ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების ბოდ̄ესრიგების, მათი ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური და მეურნეობრივი მწარეების უზრუნველყოფა-ორგანიზაციის. ოჯახის წევრთა ემოციური ურთიერთობის განხორციელების, დასვენება-რეკრეაციის და სხვა სოციალური ფუნქციები. ოჯახის სწორი და წარმატებული ფუნქციონირება დიდად განსაზღვრავს ადამიანის ბედნიერების ხარისხსაც და მის წარმატებებსაც სოციალურ თუ პროფესიულ აქტივობაში. საზოგადოება კი ცალკეული ადამიანებისაგან შედგება. ამიტომ გადაეჯაჭვებიან სწორედ ოჯახის ფუნქციები და საზოგადოების მოთხოვნები. ამიტომაა, რომ ჩვენი სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობს ოჯახის სიმტკიცის ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავებას და მათ განხორციე-

---

4 იხ. ბ ე ჭ ვ ი ა მ. ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები (განჭორწინების ისტორიულ-სოციოლოგიური კვლევის საკითხები) თბ., 1980.

ლებას. მიუხედავად ამისა, ოჯახის სიმტკიცის ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავების საჭიროება კვლავაც საგანგებოდ აღინიშნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე. სახელმწიფო ღონისძიებათა ერთგვარ ფორმას წარმოადგენს მეცნიერების სხვადასხვა დარგის ხელშეწყობა ოჯახის საკითხების კვლევაშიც. საერთოდ ოჯახი მეცნიერების მრავალი დარგის კვლევის, თუ შეიძლება ასე ითქვას, უშუალო ობიექტს წარმოადგენს. ასეთია სოციოლოგია, ეთნოგრაფია, დემოგრაფია, იურისპრუდენცია, ეკონომიკა, სტატისტიკა, პედაგოგიკა, ფსიქოლოგია, სექსოლოგია, გერონტოლოგია, ზოგადი გენეტიკა, სამედიცინო გენეტიკა და სხვ. ამ დარგებს აქვთ კიდეც მეტ-ნაკლები მნიშვნელობის მქონე წარმატებები ოჯახის კვლევაში და რაც მთავარია, ყოველი მათგანის ინტერესი ოჯახისაკენ თანდათან უფრო ძლიერდება, თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნების ფონზე ივსება მათი კვლევის პროგრამები, იხვეწება კვლევის მეთოდიკა, უფრო და უფრო უკავშირდება ერთმანეთს თეორიული ცოდნა და პრაქტიკული ამოცანები ოჯახის სიმტკიცის ხელშემწყობი პირობების ძიების თვალსაზრისით. მეცნიერების ზოგი დარგი, მართალია, უშუალოდ არ უკავშირდება ოჯახის პრობლემებს, მაგრამ მათ მონაცემებს ფართოდ იყენებენ ზემოდასახელებული სამეცნიერო დარგები. ასეთია ისტორია, არქეოლოგია, ენათმეცნიერება და სხვ. ამასთანავე, ვფიქრობთ, დროულია მეცნიერების ამ დარგებმაც დამოუკიდებელი კვლევის ობიექტად გაიხადონ ოჯახი თუ მასთან დაკავშირებული საკითხები. ქვეყნის ცხოვრების ამა თუ იმ ისტორიული პერიოდის ოჯახის ცხოვრების სურათის აღდგენა, მაგალითად, ისტორიული მეცნიერების მიერ დოკუმენტური მასალის მიხედვით; ზომისა (და ფორმისაც) განათხარი საცხოვრებლების მიხედვით — არქეოლოგიის მიერ; ოჯახთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის სემანტიკურ-ეტიმოლოგიური ანალიზი ენათმეცნიერების მიერ და სხვა. მით უმეტეს, რომ ჩვენში ყველა ამ დარგის ფუძემდებელი მკვლევარები (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, კ. კეკელიძე, ა. ჩიქობავა და სხვ.) გარკვეულ ყურადღებას იჩენდნენ ოჯახის საკითხების მიმართ და მათი გამოკვლევები დღესაც ინარჩუნებენ სახელმძღვანელო ხასიათს.

ოჯახის მრავალმხრივობა და საზოგადოების ცხოვრებასთან ურთიერთგანმსაზღვრელი კავშირი მისი კვლევის განსაკუთრებულ სირთულეებს ქმნის. სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება სხვადასხვა მეცნიერების მიღწევების კომპლექსური ანალიზის საჭიროება, რაც ოჯახის პრობლემების კვლევას დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის დონეზე აყენებს. ოჯახის შემსწავლელი დისციპლინა, ე. წ. ფა-

მილისტიკა დიდ წარმატებებს მოელის ეთნოსოციოლოგიური ხასიათის კვლევებიდანაც.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია სწორედ ოჯახის ეთნოსოციოლოგიური კვლევის მეთოდური მიდგომის ზოგიერთი თეორიული და პრაქტიკული ასპექტი. ამ მიმართებით ნაშრომი პირველ ცდას წარმოადგენს და სისრულის პრეტენზია არა აქვს.

ნაწილი I

ოჯახის ეთნოსოციოლოგიური კვლევის საგანი და ფუნქცია

ეთნოსოციოლოგია საბჭოთა კავშირში სრულიად ახალგაზრდა მეცნიერებაა. იგი ჩვენი საუკუნის 60—70-იან წლებში ჩამოყალიბდა ეთნოგრაფიისა და სოციოლოგიის მიჯნაზე. მისი საგნისა და ფუნქციის წარმოსაჩენად, საერთოდ და ოჯახთან დაკავშირებითაც, საჭიროა ცალ-ცალკე ეთნოგრაფიისა და სოციოლოგიის შესაბამისი საკითხების მოკლედ გახსენება.

თავი პირველი

ეთნოგრაფიის საგანი და ფუნქცია

ეთნოგრაფია ხანგრძლივი და მდიდარი ისტორიის მქონე მეცნიერებაა. როგორც სახელწოდებაც გვიჩვენებს, მისი შესწავლის ობიექტია ეთნოსი (ბერძ. — ethnos — საზოგადოება, ჯგუფი, ტომი, ხალხი)[1]. დიდი ხნის განმავლობაში ტერმინი ეთნოსი ეთნოგრაფიაში სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა. თავდაპირველად მასში იგულისხმებოდა განვითარების დაბალ დონეზე მდგარი, დამწერლობის უქონელი თუ „მცირე“ ხალხები. შემდეგ და შემდეგ ზოგადად „ხალხის“ (ეროვნულობის თვალსაზრისით) აღმნიშვნელი გახდა. მარქსისტულ ეთნოგრაფიაში ტერმინ „ეთნოსით“ აღინიშნა არა მარტო მცირე, ან განვითარების დაბალ დონეზე მდგარი, არამედ მრავალმილიონიანი, ერებად ჩამოყალიბებული ხალხებიც (მაგალითად, უკრაინელები, ფრანგები, რუსები, ქართველები და სხვ.) — ე. ი. ყველა ხალხი დედამიწის ზურგზე, მათი განვითარების დონის მიუხედავად. ფართოა ეთნოსის ცნების ისტორიული ჭრილიც. იგი წარმოადგენს ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთნიკური ერთობების — ტომის, ხალხის, ერის (ნაციის — ლათ. natio — ხალხი) საერთო გვარობრივ დასახელებას. ამჯერად აღიარებულია — ეთნოგრაფია არის მეცნიერება ყველა ხალხის ყოფიერი კულტურის შესახებ კაცობრიობის შექმნიდან მო-

[1] Демографический энциклопедический словарь, 1985, с. 543.

ყოლებული თანამედროვეობის ჩათვლით. ასეთი ფართო დიაპაზონის გამო ეთნოგრაფიამ თავის მომიჯნავე მეცნიერებებთან მრავალი ახალი დარგი შექმნა — ეთნიკური ანტროპოლოგია, ეთნოლინგვისტიკა, აგროეთნოგრაფია. ეთნოფსიქოლოგია, ეთნოსოციოლოგია, კინიკური დემოგრაფია და სხვ. თავისთავად, ეს ფაქტიც მიუთითებს იმაზე, რომ ეთნოსი უაღრესად მნიშვნელოვანი ფენომენია. ამიტომ ძიზანშეწონილად მივვაჩნია ეთნოსის არსის, წარმოშობის, სტადიური განვითარების, არსებობის შენარჩუნების ფაქტორების, მასში მიმდინარე ისტორიული და თანამედროვე პროცესების და სხვ. საკითხებზეც შევჩერდეთ.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, ეთნოგრაფიის როგორც მეცნიერების მდიდარი ისტორიის მიუხედავად, ეთნოსის არსის მწყობრი მეცნიერული ახსნა-გაანალიზება, ეთნოსის თეორიის მწყობრად ჩამოყალიბება შედარებით სიახლეს წარმოადგენს[2] — საბჭოთა ეთნოგრაფების ღვაწლის შედეგია. თუმცა კვლავ გრძელდება მისი ცალკეული საკითხების დახვეწა ამჟამად ფართოდ გაშლილი დისკუსიის გზით.

ტერმინ ეთნოსის მოკლე განსაზღვრებებიდან, ჩვენი აზრით, ყველაზე სისრულითა და ტიპურობით გამოირჩევა ს. მ. შიროკოგოროვის და ი. ვ. ბრომლეისა. „ეთნოსი, — წერს შიროკოგოროვი, — არის ხალხის ჯგუფი, რომელიც ერთ ენაზე ლაპარაკობს, აღიარებს საერთო წარმოშობას. წეს-ჩვეულებების კომპლექსი და ცხოვრების წესი ნაკურთხი და შემონახული აქვს ტრადიციით, რომლითაც იგი განსხვავდება სხვა ასეთებისგან"[3].

„ეთნოსი (თუ საკუთრივ ეთნოსი[4]), წერს ბრომლეი, შეიძლება დახასიათდეს როგორც განსაზღვრულ ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებული მდგრადი ერთობა ადამიანებისა, რომლებსაც საერთო აქვთ კულტურისა (ენის ჩათვლით) და ფსიქიკის გარკვეულად მყარი თავისებურებები და, აგრეთვე, თავისი ერთიანობისა და ყველა სხვა მსგავსი შენაქმნისაგან განსხვავებულობის შეგნება

---

[2] ალბათ ამის გამოცაა, რომ ბევრ ენციკლოპედიასა თუ ლექსიკონში ეთნოსი არცაა შეტანილი. სამწუხაროდ, იგი არც ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მოხვდა.

[3] Широкогоров, С. М. Этнос. Исследование основных принципов изменения этнических и этнографических явлении. Шанхай. 1923 с. 13, 122. оз.— Бромлей Ю. В. Этнос и этнография. М., 1973. с. 26.

[4] „საკუთრივ ეთნოსში" ბრომლეი გულისხმობს ეთნოსის წევრების მთელ ერთობლიობას, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი. ეთნოსის ასეთი გაგებისათვის მას მეცნიერულ მიმოქცევაში შემოაქვს ახალი ტერმინიც—„ეთნიკოსი", განსხვავებით „ეთნოსოციალურ ორგანიზმისგან", რომლითაც აღინიშნება საკუთარი მმართველობის მქონე ეთნოსოციალური გაერთიანება, მაგალითად, სახელმწიფო.

(თვითშეგნება), რაც ფიქსირებულია საკუთარ სახელში (ეთნონიმში)"[5]. ბრომლეის განსაზღვრება საბჭოთა ეთნოგრაფიაში ამჟამად მიჩნეულია ყველაზე სრულ განსაზღვრებად. თუმცა, მასში არ აისახა ეთნოსის წევრების საერთო წარმოშობის საკითხი, რადგან ბრომლეი ეთნოსის წევრების საერთო წარმოშობას (თუ წარმოდგენას საერთო წარმოშობის შესახებ) ეთნოსის დამახასიათებელ ცალკე ნიშნად (კომპონენტად) არ მიიჩნევს, თვლის რა მას სხვა კომპონენტის, — თვითშეგნების მხოლოდ ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად. მაშინ, როდესაც, საერთო წარმოშობა, ათასწლეულების სიღრმეში ჩაკარგული ნათესაობა უდევს ერთ-ერთ ფაქტორად ეთნიკურ ერთობების უმეტესობას განვითარების ყველა ეტაპზე[6]. ჩვენი კერძო თვალსაზრისით, როგორც ჩანს, ამ საკითხის განხილვისას საჭიროა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ძველი, ე. წ. არქოგენეტიკური და ახალი, ნეოგენეტიკური ეთნოსები.

კონკრეტული ეთნოსების დახასიათებას[7] ჩვეულებრივად მრავალგამოხატული განმასხვავებელი ნიშნებით იწყებენ. ეთნოსების ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ერთ-ერთი ნიშანი, ერთ-ერთი კომპონენტი არის საკუთარი სახელი, ეთნონიმი, რომელიც უკლებლივ ყველა ეთნოსს თავისი აქვს. თუმცა, იგი შეიძლება ემთხვეოდეს იმ უფრო ფართო ეთნიკური ერთობის სახელსაც, რომელშიც ჩართულია ეს ეთნოსი. მაგალითად, ერთიდაიმავე სახელით შეიძლება იწოდებოდეს ეთნოგრაფიული ჯგუფიც და ერიც, აგრეთვე სახელმწიფოც. თავისთავად ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამ ფართო ერთობების შექმნის პროცესში სწორედ იმ ეთნოსს ეკავა უპირატესი მდგომარეობა, რომლის სახელი შემდეგ საერთო ხდება ფართო ერთობისათვის.

ეთნოსის მნიშვნელოვანი კომპონენტი არის ტერიტორიული ერთობა. როგორც წესი, ეთნოსები კომპაქტურად ცხოვრობენ იმ ტერი-

---

[5] Бромлей Ю. В. Современные проблемы этнографии, М., 1981, с. 27.

[6] Шелепов Г. В. Общность происхождения—признак этнической общности.—СЭ, М., 1968, № 4, გვ. 65—73 და სხვ., აგრეთვე ნ. ნათაძე, „ეროვნულ-ოსნის" ფილოსოფიური მოტივები. თბ., 1985, გვ. 52—96.

[7] ეთნოსის და ეთნიკური პროცესების შესახებ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს ზოგად და ქართულ ეთნოგრაფიაშიც (გ. ჩიტაია, ალ. რობაქიძე). ეთნოსის და ეთნიკური პროცესების წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილ დახასიათებაში ამჯერად ჩვენ ძირითადად მივყვებით ი. ვ. ბრომლეის გამოკვლევებს. რომლებშიც ჩამოყალიბებულია თანამედროვე საბჭოთა ეთნოგრაფიაში აღიარებული ეთნოსის თეორია. ამავე დროს მათში თავმოყრილი და გაანალიზებულია საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურაც. იხ. Ю. В. Бромлей. Этнос и эндогамия, СЭ, 1969, № 6; მისივე, Этнос и этнография, М., 1973; მისივე, Современные проблемы этнографии, М., 1981 და სხვ.

ტორიაზე, სადაც შეიქმნენ. ან ადრიდანვე დასახლდნენ. ეთნოსის სწორედ ჩამოყალიბების სტადიაში აქვს ტერიტორიულ ერთობას განსაკუთრებული მნიშვნელობა. მით უმეტეს, რომ ხანგრძლივად ერთ ტერიტორიაზე, ერთ ეკოლოგიურ გარემოში ცხოვრება და ენდოგამია (ვრცლად მასზე გვექნება საუბარი) არც თუ იშვიათად, ეთნოსის წევრების ერთგვარად მსგავს ფიზიკურ ტიპსაც აყალიბებს. შემდეგ კი, უკვე ჩამოყალიბებული ეთნოსის წევრები (მით უმეტეს მთელი ჯგუფები) თავის ეთნიკურ ვინაობას დიდხანს ინარჩუნებენ სხვა ტერიტორიაზე განსხვავებულ ეთნიკურ გარემოში ცხოვრების დროსაც (ამის შესანიშნავი მაგალითია შაჰ-აბასის მიერ სპარსეთის ფერეიდანში გადასახლებული ქართველები. ასევე, — კანადაში მცხოვრები უკრაინელები და მრავალი სხვა. კლასიკურ მაგალითად კი მიიჩნევა ებრაელი ხალხის ისტორია).

ეთნოსის წევრები ამ ტერიტორიას განიხილავენ როგორც მხოლოდ მათ საკუთრებას. ათასწლეულების განმავლობაში ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ცხოვრება, ამ ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა ბუნებრივი სიკეთისა თუ რესურსების მოხმარება-პატრონობა, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები გარდაცვლილ წინაპართა შესახებ („სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი...“), საერთო წარმომავლობის შეგნებით გამოწვეული ურთიერთმხარდაჭერა, ეთნოსის კომპონენტთა ერთიანობა და სხვა მრავალი ქმნის სწორედ სამშობლოს ცნებას, სამშობლოსი, რომლის თავგანწირული დაცვა (თაედაცვა) ყველა ეთნოსის დამახასიათებელია და, უპირველესად ყოვლისა, გამოიხატება სწორედ საკუთარი ტერიტორიის დაცვაში. მაგრამ არც ტერიტორიაა ეთნოსების კატეგორიული გამყოფი. ერთი ეთნოსის (ერის, სახელმწიფოს) ტერიტორიაზე ჩვეულებრივად მეტ-ნაკლები რაოდენობით სხვა ეთნოსის ცალკეული წარმომადგენლები თუ მთელი ჯგუფებიც ცხოვრობენ. ამ მხრივ, მაგალითად, საბჭოთა კავშირში პირობითად გამოყოფენ მონოეროვან (სომხეთი), ისტორიული თვალსაზრისით მრავალეროვან (საქართველო, რუსეთი, უზბეკეთი, აზერბაიჯანი, ტაჯიკეთი) და ჩვეულებრივ მრავალეროვან (სხვა დანარჩენი რესპუბლიკები) რესპუბლიკებს[8].

განსაკუთრებული ძალის კომპონენტია საერთო ენა, დედაენა, როგორც ეთნოსის წევრების კავშირ-ურთიერთობებისთვის უპირველესი მნიშვნელობის მქონე მოვლენა. საერთოდ, სხვადასხვა ენების არსებობა თავისთავად მიუთითებს ადამიანთა განსხვავებული ერთობების (ამ შემთხვევაში ეთნოსების) წარმოშობით განსხვავებულობასა და უძ-

---

[8] Титма М. Х., Саар Э. А. Молодое поколение, М., 1986, с. 16—18.

ველესობაზე. მსოფლიოში უამრავი ენა არსებობს, რომლებსაც ლინგვისტები მონათესავე ენათა ოჯახებად აჯგუფებენ. მაგრამ ენობრივი და ეთნიკური დაყოფა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. ამას ნათელყოფს ენებისა და ეთნოსების რაოდენობრივი შედარებაც. დემოგრაფიის უკანასკნელი ხანის მონაცემებით მსოფლიოში არსებობს დაახლოებით 4—5 ათასამდე ენა, გარკვეულად ჩამოყალიბებული ეთნოსების რაოდენობა კი დაახლოებით 1300-მდეა[9]. ეთნოგრაფია უფრო წვრილად აღრიცხავს ყოველნაირ ეთნიკურ ერთობას და 4000-დე ვარაუდობს ეთნოსების რაოდენობას (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 4, გვ. 54). მართლაც ერთ ენობრივ ოჯახში უამრავი ეთნოსი შედის, რომელთა ენები საკმაოდ დაშორებულიც კია. უფრო ახლო ენების მქონე ეთნოსებს ეთნოლინგვისტურ ერთობებად თვლიან. გარდა ამისა, იმის მაგალითებიცაა, რომ ერთ ეთნოსს ორი განსხვავებული ენა აქვს. ჩვეულებრივად კი ეთნოსების თითქმის უმეტესობას თავისი საკუთარი დედაენა აქვს. დედაენა ეთნოსის ერთობის უძლიერესი პირობაა („რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს...“), განსაკუთრებული ძალისა და მნიშვნელობის მქონე. მაგრამ ეთნოსის წევრმა თავისი ეთნიკური ვინაობა შეიძლება შეინარჩუნოს დედაენის დაკარგვის შემთხვევაშიც. თუმცა, დედა-ენის დაკარგვა. ისევე, როგორც ტერიტორიის გამოცვლა — სხვა ეთნიკურ გარემოში სამუდამო დასახლება, ეთნიკური ვინაობის დაკარგვის საწყის ეტაპს წარმოადგენს, განსაკუთრებით თუ ეს ორივე ერთმანეთს ემთხვევა (ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც მეფე ვახტანგ VI-ის მიერ რუსეთში წაყვანილი ქართველი არისტოკრატების მიერ ეროვნულობის დაკარგვა და მრავალი სხვა).

ეთნოსის გამაერთიანებელი და სხვებისგან განმასხვავებელი სხვა ნიშნები მისი კულტურის დამახასიათებელ საერთო ნიშან-თვისებებშია თავმოყრილი. მათ შორის (ენასთან ერთად) მნიშვნელოვანია რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, მატერიალური კულტურის სპეციფიკასთან დაკავშირებული სამეურნეო ტრადიციები, ხალხური ხელოვნება, ზეპირსიტყვაობა, ყოფითი ტრადიციები — წეს-ჩვეულებები, ჩვევები, ქცევის ნორმები, ჰიგიენის საკითხები, ჟესტები, კულინარია, ეთიკური ნორმები და მრავალი სხვა. ესენი, გადაეცემა რა თაობიდან თაობას, ერთ ეთნოსში ქმნის სხვებისგან განსხვავებულ სტილს, ეთნიკურ სპეციფიკას, ეთნიკურ კულტურას. მაგრამ არც ეთნიკური კულტურაა ეთნოსების აბსოლუტური გამომყოფი. ადამიანის ზოგადი, ერთნაირი მოთხოვნილებებისა და მისგან გამოწვეული მოქმედებების

---

[9] თანამედროვე მსოფლიოს ეთნოდემოგრაფიული აღწერა ის. Брук С. И. Население мира (Этнодемографический справочник), М., 1985.

ბსგავსი შედეგების ბაზაზე აღმოცენებული კულტურის მრავალი და ძირითადი ელემენტები საერთო აქვთ ეთნოსებს. თვით სპეციფიკური ელემენტებიც იშვიათადაა მხოლოდ და მხოლოდ ერთი რომელიმე ეთნოსისათვის დამახასიათებელი. კულტურის ზოგი სპეციფიური ელემენტთაგანი გარკვეულ ეთნოსს სხვა მეორე ეთნოსის მსგავსი აქვს, ზოგიც მესაბისა და ა. შ. ეთნიკური კულტურა ე. ი. წარმოადგენს კულტურის უნივერსალური და სპეციფიკური ელემენტების ერთობლიობათა თვითმყობად კომპლექსს. აქედან გამომდინარე, ეთნიკური კულტურა ზოგადსაკაცობრიო კულტურის ნაწილია. ამავე დროს კულტურის სპეციფიკური ელემენტების ერთობლიობა, მათი თაობიდან თაობაში გადაცემის ფორმები, სხვადასხვა სახის სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედების თავისებურებანი და ისტორიული წარსულის საერთო ბედი ეთნოსის წევრების ერთიან ფსიქიკურ წყობასაც ქმნის[10]. ეთნიკური ფსიქიკა გულისხმობს ეთნოსის წევრების ხასიათში ამა თუ იმ ელემენტის სიხშირეს, მაგრამ იგი ეთნოსის ცალკეული წევრების ხასიათების მექანიკური ჯამი კი არ არის, არამედ მათი ერთობლიობაა. ცნობილაი, რომ ინდივიდუალური ფსიქიკის ამა თუ იმ მახასიათებელზე ზემოქმედებს სოციალური კოლექტივი (ამ შემთხვევაში ეთნოსი) — აძლიერებს თუ ასუსტებს მას — და აყალიბებს ეთნიკური ხასიათის, ფსიქიკური წყობის სტერეოტიპებს. გარეგნულად ეს გამოიხატება ეთნოსის წევრების მნიშვნელოვანი ნაწილის სტერეოტიპულ ქცევებსა თუ მოქმედებებში. ამიტომ ხშირად ეთნოსის ავკარგიანობას სხვები მისი ცალკეული წევრების ქცევის მიხედვით აფასებენ. თვით ეთნოსის წევრები კი თავისად საამაყოდ მიიჩნევენ ერთმანეთის წარმატებებს და მძიმედ განიცდიან ერთმანეთის წარუმატებლობას.

ამრიგად, ყოველი ეთნოსის განუმეორებელი სახე იქმნება არა მარტო ობიექტურად არსებული მისი სპეციფიკური ნიშან-თვისებებით, არამედ მათი შეწყობა-შეხამების ხასიათით, რომელიც მილიანობაში ქმნის მის რეალურ განსხვავებას სხვა ეთნოსებისაგან. ნიშან-თვისებების ეს ერთობლიობა დაფიქსირებულია ეთნიკური მეობისა და ვინაობის თვითგანცდაში, ეთნიკური მიკუთვნებულობის თვითშეგნებასა თუ ეროვნულ თვითმყობადობაში.

საბჭოთა ეთნოგრაფიაში უკვე მყარად აღიარებულია, რომ ეთნოსის კომპონენტებს შორის ყველაზე მდგრადია და განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს სწორედ ეთნიკური მიკუთვნებულობის თვითშეგნე-

---

[10] Козлов В. И., Шелепов Г. В. „Национальный характер" и проблемы его исследования, СЭ, 1973, № 2, გვ. 69—82; ყორანაშვილი გ. ეთნოსოციოლოგია და ტრადიციები, თბ., 1983; ასათიანი გ. სათავეებთან, თბ., 1982 და სხვ.

ბას, ეთნიკური ვინაობის თვითგანცდას. ყოველი ეთნოსის თითოეული წევრი ერთმანეთს განიხილავს, როგორც კატეგორიას — „ჩვენ", — მაშინ როდესაც დანარჩენები — „სხვებია". „ეთნოსის წევრების თვითშეგნება თითქოს ერთ ფოკუსში უყრის თავს წარმოდგენებს საერთო ტერიტორიის („სამშობლო მიწა-წყალი"), ენის („დედაენა"), კულტურის და ფსიქიკის თავისებურებების ერთობის შესახებ, აგრეთვე წარმოდგენებს ეთნოსის წევრების წარმოშობისა და ისტორიული ბედის, რაღაც საერთოობის შესახებ. ასეთი თვითშეგნება წარმოადგენს ეთნოსის წევრების ეროვერთიდენტიფიკაციის საფუძველს. ამასთანავე იგი გვევლინება არა მარტო ეთნიკური ვინაობის გამომხატველად, არამედ ძალად, რომელიც ეთნოსის წევრებს აერთიანებს და უპირისპირებს მათ სხვა ეთნოსებს ეთნიკური თვალსაზრისით. ისტორიულ პროცესში შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ეთნიკური ტერიტორია, — ეთნოსის რაიმე ნაწილი შეიძლება მოსწყდეს კიდეც თავის ძირითად ბირთვს, შეიძლება მოდიფიცირდეს ენის ლექსიკური შემადგენლობა, მისი მორფოლოგიური, სინტაქსური თუ სხვა მახასიათებლები, ენა ეთნოსის ზოგმა ნაწილმა შეიძლება შეიცვალოს კიდეც, ე. ი. განიცადოს ენობრივი ასიმილაცია და ა. შ. მაგრამ ვიდრე ეთნოსში შემავალ ადამიანებს შენარჩუნებული აქვთ ესა თუ ის ეთნიკური მახასიათებელი და ეთნიკური თვითშეგნება, ეთნოსი განაგრძობს არსებობას"[11].

ეთნიკური ვინაობის თვითშეგნების განცდის სიღრმეს სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებენ. დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-ყოფითი, სამეურნეო საქმიანობის და ენობრივ ერთგვაროვნებას, ასევე — რაიმე ტერიტორიულ და სოციალურ-პოლიტიკურ ერთეულად (მაგალითად, საკუთარ სახელმწიფოდ) არსებობას. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ამ საკუთარი ტერიტორიის, სამშობლოს დაცვასთან დაკავშირებული ისტორიული ბედის საერთოობასაც. ეს უკანასკნელი არა მარტო ისტორიულ წარსულში ერთობის თვითშეგნებას ასახავს, არამედ ერთგვარად განსაზღვრავს მომავალსაც: ეთნოსის მეხსიერება ცალკეულ ისტორიულ პიროვნებებს და კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებს ეთნიკურ სიმბოლოებად გადააქცევს, რომლებიც, თავის მხრივ, ეთნოსის სამომავლო მისწრაფებებს და იდეალებსაც ედება საფუძვლად. განსაკუთრებული როლი ეთნიკური მიკუთვნებულობის განცდის სიღრმეში აქვს წარმოდგენას საერთო წარმოშობის შესახებ რეალური თუ მითოლოგიური საერთო წინაპარისაგან. იგი მუდმივად, ქვეცნობიერებამდე დასულად არსებობს

---

[11] Бромлей Ю. В. Современные проблемы этнографии, с. 25.

ეთნოსში და მისი წევრების ერთმანეთისადმი თითქმის ინტუიტურ სწრაფვას ქმნის.

ეთნოსის კულტურულ-ფსიქიკური ერთობის არსებობისთვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს შინა ინფორმაციულ კავშირებს — ეთნოკულტურული ინფორმაციის, ეთნიკური მახასიათებლების „კოდის" გადაცემა-გავრცობას ეთნოსოციალურ მიკროერთეულებს შორის. ერთი ასეთი ერთეულია თვით ადამიანი — ეთნოსის ცალკე აღებული წევრი ანუ ეთნოფორი (ბერძ. foros — მატარებელი) ანუ ეთნოსის კუთვნილი და ეთნოსის მახასიათებლების თავის თავში მატარებელი ადამიანი. ეთნოკულტურული ინფორმაციის გადაცემის სხვადასხვა ფორმებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ეთნოფორებს, ეთნოსის ცალკეული წევრების პირადი კონტაქტებია. მეორე ასეთი ერთეულია სწორედ ოჯახი, რომელიც ეთნოფორთა უსათუოესი ინტიმური და ნათესაური კონტაქტების გარდა, თაობების პირადი ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი კერაა. თაობებს შორის ინფორმაციული კავშირის უწყვეტობა, განხორციელებული პირველ რიგში ოჯახში, თავისთავად განაპირობებს ეთნოკულტურული ინფორმაციის უწყვეტობას და მდგრადობას ისტორიულ დროში. და რადგან ოჯახია ეთნოსის ფიზიკური არსებობის განგრძობა-კვლავწარმოების კერაც, ერთხელ კიდევ ხდება ნათელი ოჯახის ფუნქციური მნიშვნელობა ეთნოსის ცხოვრებისათვის. ამიტომ სწორედ ეს ეთნოსოციალური ერთეული, ოჯახი, წარმოადგენს ძირითად არხს, რომელშიც მიედინება და უსრულველყოფილია ეთნოსის ცხოვრების ხანგრძლივი არსებობა სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების გამოცვლისა თუ მრავალი ისტორიული ქარცეცხლის გამოვლის მიუხედავად.

ეთნოსოციალურ მიკროერთეულებს განეკუთვნებიან აგრეთვე სუბეთნოსები და ეთნოგრაფიული ჯგუფები, რომლებიც ეთნოსის (ეროვნების, ერის) შემადგენელი ნაწილები, სტრუქტურული ელემენტებია (ეთნოგრაფიული ჯგუფები, მაგალითად, რუსეთში — პომორები, კერჟაკები, პოლეხები და სხვ. საქართველოში[12] ქართლელები, მეგრელები, კახელები და სხვ. საფრანგეთში — პროვანსელები, გასკონელები და სხვ.).

ეთნოსი გასაოცარი მდგრადობით და კონსერვატულობით ხასიათდება. მიუხედავად ამისა ისტორიულ დროში იგი დინამიკური კატეგორიაა — წარმოიქმნება, იცვლება და შეიძლება გაქრეს კიდეც. მსოფლიო ისტორიამ ეთნოსის კვდომის მრავალი მაგალითი იცის.

---

[12] ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფების შესახებ იხ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე ა ლ. „ეთნოგრაფიული ჯგუფის" მნიშვნელობისათვის. მაცნე. ისტორიის... სერია. 1980. № 4. გვ. 164—174.

ეთნოსების თავდაპირველი გენეზისის საკითხი, შეიძლება ითქვას, ყველაზე რთულია ეთნოსის თეორიაში. ეთნოსის კომპლექსური ბუნების გამო ამ საკითხის გადაჭრაში მეცნიერების მრავალი დარგი მონაწილეობს, მათ შორის ისტორია, არქეოლოგია, გეოგრაფია, ეთნიკური ანთროპოლოგია და სხვა. განსაკუთრებით კი ენათმეცნიერება და ეთნოგრაფია.

ეთნოსის თავდაპირველი ჩამოყალიბების აუცილებელ პირობად მიჩნეულია სამი ფაქტორი — ხალხის კულტურული ერთობა (საერთო ენის ჩათვლით), დამოუკიდებლობა და კარჩაკეტილობა. მრავალგვარი მეცნიერული ძიებისა და დისკუსიების შედეგად დადგენილია, რომ ეთნოსის თავდაპირველი წარმოშობა უკავშირდება პირველყოფილ-თემური საზოგადოების სოციალურ ერთეულს — ტომს (თუ მონათესავე ტომთა გაერთიანებას). ტომი, როგორც ცნობილია, გვარების გაერთიანებას წარმოადგენს. თავის მხრივ, გვარიც სოციალური გაერთიანებაა, მაგრამ ეთნოსის საფუძველს იგი ჯერ კიდევ ვერ ქმნის. საქმე იმაშია, რომ გვარი, ეკზოგამიისა და აგამიის ძალით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არც კარჩაკეტილია და არც დამოუკიდებელი. ეკზოგამია სწორედ პირიქით, გვარების კარჩაკეტილობის წინააღმდეგ მოქმედებს და მათი გაერთიანებისკენ არის მიმართული. ტომი კი თავისი მახასიათებლებით მართლაც პასუხობს ეთნოსის თავდაპირველი ჩამოყალიბებისათვის აუცილებლად მიჩნეულ პირობებს და აქვს ეთნოსის კომპონენტები (კულტურული ერთობა, საერთო ენა, ან დიალექტები, საერთო რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, წარმოდგენა საერთო წარმოშობის შესახებ და სხვ.) და რაც ამ შემთხვევაში მთავარია — დამოუკიდებელი სოციალური ორგანიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი — საკუთარი მმართველობა. იგი გარკვეულად კარჩაკეტილია, რისი ერთ-ერთი გამოხატულებაა სწორედ ჩვეულებითი წესის მიხედვით ნორმად ქცეული ენდოგამია — ტომის წევრების (სხვადასხვა გვარებისა) ერთმანეთზე დაქორწინების უპირატესობა და სხვა ტომის წევრთან ქორწინებისადმი გამოხატული უარყოფითი (აკრძალვამდე) დამოკიდებულება.

ტომის ამ კარჩაკეტილობას და დამოუკიდებლობას მოსდევს სწორედ მისი კულტურული ერთიანობაც და სხვა ტომებისაგან განსხვავებული, სპეციფიკური ნიშან-თვისებების ჩამოყალიბებაც. ითვლება, რომ ეთნოსი თავისი განვითარების ამ პირველ საფეხურზე იყო ყველაზე მდგრადი და შეურეველი, განსაკუთრებით ქორწინების ენდოგამიური წესის მკაცრად დაცვის შედეგად.

შემდეგ საწარმოო ძალების საერთო წინსვლას, მოსახლეობის რაოდენობრივ ზრდას, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვი-

თარებას, მიწის გამოფიტვასა და არსებობის უკეთესი პირობების ძიებას, დაპყრობით ომებს, დიდ და მცირე მიგრაციებს და ა. შ. მოსდევს ტომთა გაყოფები და ცალ-ცალკე განსახლებები. სწორედ მიგრაციები და ეთნიკური დაყოფები უდევს საფუძვლად ადამიანის განსახლებას მთელი დედამიწის ზურგზე, დედამიწის მოსახლეობის ეთნიკურ მრავალფეროვნებას და ეთნოლინგვისტური ერთობების არსებობას.

შემდეგ, პირველყოფილი ფორმაციის დაშლიდან მოყოლებული ძლიერდება უკუპროცესი, — ცალკეული მონათესავე დიდი თუ მცირე ეთნიკური ერთობების, სუბეთნოსების და ეთნოგრაფიული ჯგუფების შერევა-შერწყმის, ინტეგრაციის პროცესები, რაც მთავრდება მონათმფლობელური და ფეოდალური ფორმაციების ცალკეული „ხალხების“ ანუ „ეროვნებების“ ჩამოყალიბებით. „ხალხი“ — „ეროვნება“ წარმოადგენს ეთნოსის განვითარების მეორე საფეხურს. მონათმფლობელური და ფეოდალური ხანის სახელმწიფოები წარმოადგენდნენ მათში გაერთიანებული ეთნიკური ერთობების ცენტრალიზებულ სისტემას (ერთიანი საგარეო პოლიტიკა — საერთო ძალებით თავდაცა, საერთო კანონმდებლობა და საფინანსო პოლიტიკა, ერთნაირი ზომა-წონის ერთეულები, საერთო სალიტერატურო ენა და სხვა). გარდა ამისა, მონათესავე ეთნიკურ ერთეულებს მრავალი რამ აქვთ საერთო და მათი წევრები შედარებით ადვილად ქორწინდებიან ერთმანეთზე. ე. ი. ცალკეული მონათესავე ეთნიკური ერთეულების საკუთარი ვიწრო ენდოგამური წრე შედარებით ადვილად ირღვევა და წარმოიქმნება ახალი, მთელი ეროვნებრივი სახელმწიფოს ფართო ენდოგამური წრე, რომლის შიგნით ქორწინებები თანდათან შეუფერხებლად ხდება, ხოლო სხვებისთვის, როგორც წესი, ჩაკეტილია.

მაგრამ პოლიტიკური ისტორიის მოვლენების წყალობით ამ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებში თუ სახელმწიფოებში არაიშვიათად უცხო, არამონათესავე ეთნიკური ერთეულებიც ხვდება, რომლების ეთნიკური კომპონენტებიც თანდათან ერწყმის ამ სახელმწიფოს ძირითადი ეთნოსის კომპონენტებს. ამას და ხანგრძლივი ისტორიული დროის განმავლობაში მეზობლად ცხოვრებას გარდუვლად მოსდევს სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ადამიანების დაქორწინებები, ბიეთნიკური ქორწინებები[13]. ე. ი. თანდათან ამ უცხო ეთნიკური ერთეულების საკუთარი ენდოგამური წრეც ირღვევა და ჩაირთვება სახელ-

---

13 ეროვნული თვალსაზრისით შერეული ქორწინებების აღსანიშნავად რუსულ ეთნოგრაფიულ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში იხმარება ტერმინები „межэтнический брак“, „межнациональный брак“ და „биэтнический брак“. ამათგან უფრო ხშირად იხმარება „межнациональный“, რადგან რუსული „меж“ ყოველთვის შესანიშნავად გამოხატავს მოვლენის არსს. ჩვენ ვფიქრობთ, ქართულში ტერმინად „ბიეთნიკურის“ ხმარება უფრო სწორი.

მწიფოს ფართო ენდოგამურ წრეში. სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ადამიანების შეუღლება და (რაც მთავარია) მათ მიერ შთამომავლობის შექმნა ამ სხვადასხვა ეთნიკური ერთეულების შეუღლება-შერწყმას იწვევს. რაც თაობების გამოვლის შემდეგ ურთიერთნათესაობისა და საერთო წარმოშობის წარმოდგენასაც კი ქმნის. თანდათან ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, ქორწინებითი და ა. შ. ფაქტორების ხანგრძლივ ზემოქმედებას მოსდევს უცხო წარმოშობის მცირე ეთნიკური ერთეულების გათქვეფა სახელმწიფოებრივი გაერთიანების ძირითად ეთნოსში. ამ უკანასკნელისადმი მიკუთვნებულობის თვითშეგნების გაჩენა და საკუთარის დაკარგვა — სრული ასიმილაცია — ეთნოტრანსფორმაცია. სახელმწიფოებრივი გაერთიანების ძირითადი ეთნოსი, ამრიგად. მჭიდროდ შეიუღლებს — შეისრუტავს არა მარტო ეთნიკურად მონათესავეებს. არამედ უცხო ერთეულებსაც და მსხვილ ეროვნებად ყალიბდება. მაგრამ ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელი კარჩაკეტილობისა და ტექნიკის დაბალი დონის გამო სამეურნეო, ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა სახის კავშირები ქვეყნის შიგნით ჯერ კიდევ არ არის მყარი და ყოვლისმომცველი. ამიტომ ცალკეული ერთეულები გარკვეულ განსხვავება-დამოუკიდებლობას ხანგრძლივად ინარჩუნებენ.

ქვეყნის შიგნით სამეურნეო- ეკონომიკური, კულტურული და სხვა სახის კონტაქტები განსაკუთრებულად გააძლიერა კაპიტალიზმმა. კონტაქტების გაძლიერება-გაფართოებამ ეროვნებების შინა ერთიანობის, შინა ეთნიკური კონსოლიდაციის კიდევ უფრო განმტკიცებას შეუწყო ხელი, რაც, როგორც ცნობილია, ბევრგან ეროვნებების ბურჟუაზიულ ერებად გარდაქმნით დამთავრდა. ამრიგად ერი, ნაცია არის ეთნოსის განვითარების შესამე საფეხური. ამჯერად მიღებული განსაზღვრების მიხედვით, ერი ადამიანთა სოციალურ-ისტორიული ერთობის ისეთი ფორმაა, რომელიც ყალიბდება ტერიტორიის, ეკონომიკური კავშირების, საერთო-ეროვნული ლიტერატურული ენის, ეროვნული კულტურის ძირითად თავისებურებათა და მათთან უშუალოდ დაკავშირებული ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე[14] (თუმცა, როგორც ცნობილია, დისკუსია ერის დეფინიციის შესახებ ამჟამადაც გრძელდება).

ეთნიკური ერთობების ამ საფეხურებრივ ცვლა-განვითარებაში, როგორც დავინახეთ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მოვლენების ეტაპობრივი განვითარების შედეგები. საერთოდ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარება ეთნიკურთან შედარებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს. მაგრამ ხში-

---

[14] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, გვ. 475.

რად მათი განვითარების ძირითადი საფეხურები ემთხვევა კიდეც ერთმანეთს. მაგალითად, დღეს არსებული ძველი, არქოგენეტიკური ეთნოსების უმეტესობის (მათ შორის ქართველების, სომხების და სხვ.) ჩამოყალიბება ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების პერიოდს ემთხვევა. ახალი ეთნოსებიდან ზოგის შექმნა კაპიტალიზმის წარმოშობას უკავშირდება, ზოგი კი (მაგალითად, ალტაელები, ხაკასები და სხვ.) სოციალისტური ფორმაციის შენაქმნია. ხოლო ის ერები, რომლებიც რევოლუციის შემდეგ საბჭოთა კავშირად გაერთიანდნენ, როგორც ცნობილია, სოციალიზმის პირობებში სოციალისტურ ერებად ჩამოყალიბდნენ. სოციალისტური ერი, ბურჟუაზიული ერისგან განსხვავებით, თავისუფალია იმ სოციალური წინააღმდეგობებისგან, რომელთა გადაუჭრელობა გარკვეულად ამუხრუჭებს ბურჟუაზიული ერის განვითარებას. სოციალისტური ერების საფუძველს წარმოადგენს კლასთა თანასწორობა, მჭიდრო ურთიერთობა და თანამშრომლობა სამეურნეო-ეკონომიკური ფორმაციის, სოციალიზმის ეკონომიკური ბაზისის ერთიანობის პირობებში.

ერის ეს სხვადასხვა ტიპები (ფეოდალური ეროვნება, ბურჟუაზიული ერი, სოციალისტური ერი) ერთმანეთისგან განსხვავდება თავიანთი შინა ძალების მოქმედების ინტენსივობით, სოციალური შინაარსით და ძირითადი კომპონენტების განვითარების დონით თუ ხასიათით.

ამრიგად, თანამედროვე ერი არის ეთნოსის ხანგრძლივი შინაგანი განვითარების, ეთნოევოლუციური პროცესის შედეგი, რომლის წინა ფორმაციულ ვარიანტებს, სტადიებს წარმოადგენდნენ ტომი (წინაკლასობრივი საზოგადოება) და ეროვნება — ხალხი (ფეოდალიზმის ეპოქა). ეთნოსი ამ ეთნიკური ერთობების ყველაზე ფართო, საერთო გვარობრივი, გამაერთიანებელი სახელწოდებაა, რომელიც ასახავს სხვადასხვა დონის ერთობებს — ჰორიზონტალურ ჭრილში სუბეთნოსებიდან მოყოლებული ყველაზე ფართო ეთნოლინგვისტურ ერთობამდე, ვერტიკალურ ჭრილში კი — ტომიდან ერის ჩათვლით.

როგორც აღვნიშნეთ, ეთნოსის ისტორიულ დროში მდგრადობის, უწყვეტად არსებობის მექანიზმი, სხვა ფაქტორებთან ერთად, უკავშირდება ეთნოსის ინფორმაციული კავშირების მდგრადობას და განვითარების შესაძლებლობებს. საერთოდ, ადამიანთა ურთიერთობას ინფორმაციული ხასიათი აქვს, რაც ძირითადად მეტყველებით ხორციელდება. ადამიანთა ერთობის (ამ შემთხვევაში ეთნოსის) ინფორმაციული კავშირები კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმით გამოიხატება. მათგან ძირითადია ზეპირი თუ დამწერლობით-ლიტერატურული და მატერიალურ-სახვითი ინფორმაციული კავშირები. ეთნოსის ინფორმა-

ციულ კავშირებს სხვადასხვა ჭრილი აქვს[15]. ეთნოსის განვითარების ერთ გარკვეულ ეტაპზე არსებული კულტურული მიღწევების მოხმარება-გააზრება ეთნოსის წევრების მიერ მიჩნეულია ჰორიზონტალურ ჭრილად. ხოლო ეთნოსის მთელი არსებობის მანძილზე შექმნილი, თაობიდან თაობაში გადაცემით დაგროვილი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა, ეთნოსში დაგროვილი შემოქმედებითი მიღწევების მემკვიდრეობა ითვლება ვერტიკალურ ჭრილად. ეთნოსი — ერის ინფორმაციულობის საერთო დონე (დამწერლობის, მნიშვნელოვანი ლიტერატურული და მატერიალურ-სახვითი ძეგლების არსებობა, ფართო მასების წიგნიერება, მდიდარი ფოლკლორი, მეცნიერების სხვადასხვა დარგის მაღალი დონე და სხვ.) გარკვეულ როლს თამაშობს ერის არა მარტო კულტურული დონის შექმნაში, არამედ ეთნიკური თვითშეგნების განმტკიცებაში.

ამიტომ ეთნოსი — ერის განვითარებისა და სიმტკიცისათვის ვერტიკალურ ინფორმაციულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს (და სწორედ ამაშიაა ისტორიული მეცნიერებების, როგორც ერის ვერტიკალური ინფორმაციის პოპულარიზატორების, ერთ-ერთი ეროვნული ფუნქცია). ეთნოსის ინფორმაციულობის საერთო ხასიათი თუ დონე ეთნოსის ცალკეული კომპონენტების სიმტკიცეზეც მოქმედებს. მათი ცვლა-ღაკარგვის რაოდენობრივ შედეგებს კი, როგორც დავინახეთ, შეიძლება მოყვეს თვისობრივი ცვლილება — ახალი, სხვა ეთნოკური ერთობის ჩამოყალიბება. და ეს არა მარტო ეთნოსის საფეხურებრივ (ტომი→ეროვნება→ერი) განვითარებას ეხება. ცნობილია, რომ სრულიად სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ადამიანების, თუ მათი ჯგუფების ერთ სახელმწიფო გაერთიანებად ყოფნა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ თანდათან ახალ ერებსაც ქმნის (ამერიკული ერი, ავსტრალიური ერი). ამიტომ ეთნოგენეზის ორ ტიპს ანსხვავებენ. პირველი ტიპი კაცობრიობის ისტორიის უძველეს პერიოდს უკავშირდება და ეთნოსების თავდაპირველი შექმნის პროცესს გულისხმობს. უძველეს პერიოდში წარმოშობილ იმ ეთნოსებს, რომლებმაც დღემდე გაუძლეს პოლიტიკური ისტორიის ქარტეხილებს, არქოგენეტიკურს უწოდებენ (მაგალითად, ქართველები, სომხები, ებრაელები, შუა აზიის ერები და სხვ.). მათ ეთნოგენეზს ძირითადად უფრო ძველი სუბეთნოსების თუ ეთნოგრაფიული ჯგუფების აუცილებელი ბიოლოგიური კონტაქტები (ქორწინება) ედო საფუძვლად. ამავე დროს იმათ, რომლებიც წარმოშობიდანვე დღემდე თავისივე ტერიტორიაზე ცხოვრობენ

---

[15] Арутюнов С. А. Чебоксаров И. И. Передача информации, как механизм этносоциальных и биологических групп человечества, წიგნში Расы и народы, 1972, 2, გვ. 21.

(ანდა უხსოვარი დროიდან სახლობენ ამ ტერიტორიაზე) ავტოხტონურსაც უწოდებენ.

ეთნოგენეზის მეორე ტიპი უკვე ახალი ისტორიის პერიოდიდან მოქმედებს და გულისხმობს უკვე ჩამოყალიბებული ერების წარმომადგენლებისაგან ახალი, ნეოგენეტიკური ერების შექმნას (მაგალითად, ამერიკელები, ავსტრალიელები, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ხალხები და სხვ.). ითვლება, რომ ამათ ეთნოგენეზისში აკულტურაციული პროცესები ასრულებენ მთავარ როლს. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბიოლოგიური კონტაქტების ხასიათი ყოველთვის იყო, არის და იქნება ეთნოსების არსებობის განგრძობისა, კვდომის თუ ახლის წარმოქმნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორთაგანი.

ეთნოტრანსფორმაციული პროცესები, რომლებიც თავის დროზე სხვადასხვა დონის ეთნიკური ერთეულების შექმნას იწვევდა, დღესაც არანაკლები ძალით მიმდინარეობს. ამჟამად უფრო ძლიერად მოქმედებს ასიმილაციისა და ინტეგრაცია-კონსოლიდაციის პროცესები. ასიმილაცია არის ერთი ეთნოსის, ან მისი მცირე ჯგუფების ან ცალკეული წარმომადგენლების მთლიანი შერევა, გათქვეფა სხვა მეორეში, (უმეტესად უფრო მრავალრიცხოვანში), ანუ მათ მიერ თავისი ეთნიკური მახასიათებლების მთლიანი დაკარგვა და ასევე მთლიანად ახლის მიღება. ეს უფრო ადვილად უცხო ეთნიკურ გარემოში მცხოვრებთა შთამომავლობაში მიმდინარეობს და ერთ-ერთი მთავარი არხია ბიეთნიკური ქორწინებები. ბიეთნიკურ ოჯახში დაბადებული ბავშვები, ირჩევენ რა ერთ-ერთი მშობლის ეროვნებას, ამით მეორე მშობლის ეთნიკურ ხაზს წყვეტენ და ამდენად, ასიმილაციის პროცესების ინტენსივობა ბევრად არის დამოკიდებული ბიეთნიკური ქორწინებების სიხშირეზე. საერთოდ, ასიმილაცია ორნაირია — ბუნებრივი და ძალდატანებითი. ძალდატანებითი ასიმილაცია სახელმწიფო ღონისძიებათა ისეთი სისტემაა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს (მაგალითად, განათლების სისტემას) სპეციალურად მიმართავს ასიმილაციის პროცესების ხელოვნური დაჩქარებისაკენ. ძალდატანებითი ასიმილაცია უფრო იმ ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, სადაც ერთა უთანასწორობა ბატონობს და ეროვნულ უმცირესობებს თავისი საკუთარი სახელმწიფო არა აქვთ. თუმცა ეს არც თუ ისე ადვილად მიმდინარეობს. ამის საილუსტრაციოდ საბჭოთა ეთნოგრაფებს მეფის რუსეთის რუსიფიკატორული პოლიტიკა მოჰყავთ, რომელიც აღვივებდა რა ეროვნულ თუ რელიგიურ შუღლს და ამუხრუჭებდა რა ერთა შორის კონტაქტებს, ამით პირიქით ამძაფრებდა ეროვნულ გრძნობებს, რითაც ართულებდა და ახანგრძლივებდა ბუნებრივი ასიმილაციის პროცესებს.

ბუნებრივი ასიმილაცია კი მოსდევს მრავალგვარ უშუალო და მჭიდრო კონტაქტებს, როცა საერთო სოციალური, მეურნეობრივი და კულტურული ცხოვრების მოთხოვნები ამისკენ უბიძგებენ მათ და როცა ხშირია ბიეთნიკური ქორწინებებიც. მაგალითად, საბჭოთა კავშირში ბუნებრივ ასიმილაციას თანდათან განიცდიან თავისი რესპუბლიკის გარეთ მცხოვრები ჯგუფები, მით უმეტეს — ცალკეული პიროვნებები. ეს ბუნებრივი პროცესები ცალკეულ რესპუბლიკებშიც მიმდინარეობს და მთელი კავშირის მასშტაბითაც.

ასიმილაციისაგან განსხვავდება ინტეგრაციის პროცესები. ერთაშორისი ინტეგრაცია ნიშნავს ერთ სახელმწიფოში შემავალი სხვადასხვა ერების მჭიდრო ურთიერთობის საფუძველზე ახალი კულტურული ერთობების შექმნას. იგი განსაკუთრებით ფართოდ გაშალა კაპიტალიზმმა, რომელმაც მისთვის დამახასიათებელი ცნობილი მოვლენების წყალობით, დაიწყო ეროვნული და კუთხობრივი კარჩაკეტილობის მასობრივი მოშლა. მაგრამ კაპიტალისტურ სამყაროში მოქმედი ეროვნული და კლასობრივი წინააღმდეგობანი ინტეგრაციის პროცესებს ამუხრუჭებენ კიდეც.

სხვა ხასიათი აქვს საბჭოთა კავშირის ხალხებში მოქმედ ინტეგრაციას. ჩვენში მიმდინარე ინტეგრაცია ორი ტიპისაა — შინაეროვნული და ერთაშორისი. შინაეროვნული ინტეგრაცია ცალკეული ერების შიგნით მიმდინარეობს და ნიშნავს ერთი მხრით, უკვე ჩამოყალიბებული, არსებული ერების შინაერთიანობის კიდევ უფრო განმტკიცებას, ხოლო მეორე მხრით, იმ მონათესავე ეთნიკური ერთობების ერებად ჩამოყალიბებას, რომლებიც რევოლუციამდე ჯერ კიდევ არ იყვნენ ამ დონემდე მისული. სწორედ შინაეროვნული ინტეგრაცია-კონსოლიდაციის პროცესები აყალიბებენ მათ სოციალისტურ ერებად.

მეორე, ერთაშორისი ინტეგრაციის პროცესი ნიშნავს საბჭოთა ერების დაახლოებას. იგი მიმდინარეობს საერთო ეკონომიკური, კულტურული და სოციალური პროგრესის, ერთა ეკონომიკური უთანასწორობის ლიკვიდაციის, ერთგვაროვანი სოციალური სტრუქტურის ჩამოყალიბებისა და სამეურნეო ეკონომიკურ თუ კულტურის სფეროებში მჭიდრო ურთიერთობის პირობებში. ეს ურთიერთობა-ურთიერთმოქმედება ახდენს ერების კულტურის და ცხოვრების წესის დაახლოებას, ერთიანი საბჭოური ცხოვრების წესის ჩამოყალიბებას, რასაც განსაკუთრებულად უწყობს ხელს სოციალიზმის საფუძვლები. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ხალხთა ინტეგრაციაში დიდი როლი შეასრულა ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ — ხალხთა გაერთიანების ნებაყოფლობითობამ და მათმა იურიდიულმა და ფაქტობრივმა თანასწორუფლებიანობამ. ამ პრინციპით საბჭოთა კავშირ-

ში გაერთიანებულია დაახლოებით 120 სხვადასხვა ხალხი, რომელთა უმეტესობაში შიდაეროვნული ინტეგრაციის პროცესები ჯერ კიდევ გრძელდება. საბჭოთა ხალხების ინტეგრაციის პროცესში დიდ როლს ასრულებს რუსული ენა, როგორც სხვადასხვა ხალხების ურთიერთობისა და დაახლოების მნიშვნელოვანი ფაქტორი. სოციალურ-ეკონომიკური და იდეურ-პოლიტიკური ერთიანობის, ინტერნაციონალური იდეების დაცვის შედეგად საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა ხალხთა ერთობის სრულიად ახალი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ისტორიული ტიპი — საბჭოთა ხალხი. იგი არ წარმოადგენს ეთნიკურ ერთობას. ეს არის მრავალეროვან სახელმწიფოში გაერთიანებული სოციალისტური ეთნოსების მჭიდრო ერთობა. საბჭოთა ხალხების სოციალურ-ეკონომიკურ და იდეურ-პოლიტიკურ ურთიერთობას, ცალკეული ერების კულტურის აყვავების ხელშეწყობას და პოპულარიზაციას განუხრელად მოსდევს დაახლოება ეთნო-კულტურულ სფეროებშიც. რუსული ენის ფართო გავრცელება ხელს უწყობს ზოგადსაკავშირო კულტურის ჩამოყალიბებას (აგრეთვე ბიეთნიკურ ქორწინებების გახშირებასაც). ყოველივე ეს, ერთად აღებული, ერთიან ზოგადსაკავშირო თვითშეგნებას აყალიბებს.

ამდენად, ჩვენ აქ კაცობრიობის ეთნოსოციალური პროცესების მიმდინარეობის მშრალი სქემატური მონახაზი გავაკეთეთ — დაწყებული ტომით და დამთავრებული ისტორიული ერთობით. ეს სქემატური მონახაზიც კი ნათელყოფს, რომ კაცობრიობის ისტორიის მსვლელობაში მუდმივად ხდებოდა და ხდება ცვლილებები და ის ეთნოსები, რომლებმაც ვერ შესძლეს თავისი თავის ყოველმხრივი განვითარება, ჩაიყლაპნენ და ჩაიყლაპებიან უფრო დიდ ეთნიკურ (თუ ისტორიულ) ერთობაში. ამავე დროს ეს პროცესები ეთნოსების მექანიკური გაერთიანებით კი არ ხდება, არამედ როგორც წესი, ხდება ერთის შეულლება-შერწყმა-აღრევით მეორეში. იწყება ეს კულტურის ელემენტების დიფუზიით და გაერთგვარებით, ძლიერდება ბიეთნიკური ქორწინებებით და მთავრდება ძველი ეთნიკური თვითშეგნების დაკარგვით და ახლის მიღებით. ამ პროცესების ზოგადი ტენდენცია, როგორც დავინახეთ, უფრო და უფრო გამსხვილებული ერთეულების შექმნაა. მარქსისტული მსოფლმხედველობის მიხედვით ეს ობიექტური პროცესია, რომელიც თავისი განვითარების საბოლოო შედეგად შორეულ მომავალში დამთავრდება მთელი კაცობრიობის ერთიანი ერთობით. მაგრამ ერები „ძალიან და ძალიან დიდხანს დარჩებიან პროლეტარიატის დიქტატურის მსოფლიო მასშტაბით განხორციელების შემდეგაც კი“ (ლენინი). ამასთანავე, აღიარებულია, რომ შორეული

მომავლის თეორიული დასაბუთება არ ნიშნავს პრაქტიკულ ამოცანად ერების გაქრობისაკენ სწრაფვის დასახვას. აღიარებულია აგრეთვე, რომ ეთნიკური სხვადასხვაობა კაცობრიობის განვითარების შესანიშნავ მოზაიკას ქმნის, რომლის თითოეულ ნაწილს (ეთნოსის განვითარების ნებისმიერ საფეხურზე მყოფს) პატივისცემით უნდა მოპყრობა (ეთნოგრაფია, მაგალითად, გასული საუკუნის სამარცხვინო ლაქად მიიჩნევს ტასმანიელების გადაშენებას, რომელთა უკანასკნელი წარმომადგენელი 1876 წელს გარდაიცვალა). ამიტომ მარქსისტულ-ლენინური ეროვნული პოლიტიკა მიმართულია (და უზრუნველყოფს) ცალკეული ეროვნებებისა და ერების ყოველმხრივი განვითარებისაკენ, მათი კულტურის აყვავებისაკენ. იგი უარყოფს როგორც ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, რომლის მიხედვით ნაცია, როგორც მუდმივი კატეგორია, წარმოადგენს კაცობრიობის განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს (ემერსონი, ბედრი, ტუღუში, მაიერი, ბასტიდი, ჰამპელი და სხვ.), ისე უთვისტომო კოსმოპოლიტიზმის ვულგარიზატორულ მიდგომას, რომელიც ცალკეული ერების (და მათი სახელმწიფოების) არსებობას სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის შენაცვლებლად თვლის და კაცობრიობის მომავალ ცხოვრებაში ერის როლის დაცემას წინასწარმეტყველებს (აშკენაზი, ტოინბი, ტოფლერი, შაფერი, ბეზინსკი, მორზე, გირშფელდი და სხვ.)[16]. ამიტომაა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა ითვალისწინებს ერების არა შერწყმას, არამედ „სოციალისტური ერებისა და ეროვნებების შემდგომ აყვავებას და დაახლოებას“, მათ მჭიდრო მეგობრულ თანამშრომლობას კომუნიზმის მშენებლობაში, მით უმეტეს, რომ „არაფრად ვარგა ნაციონალური საკითხის აბსტრაქტული დაყენება“ (ლენინი)[17].

* * *

ეთნიკურ ერთობებს და მათში მიმდინარე პროცესებს აქამდე ჩვენ განვიხილავდით სოციალური ერთობის, სოციალური ორგანიზმის განვითარების თვალსაწიერიდან. ამასთანავე „ადამიანთა ერთობების დახასიათებისას, ჩვენ, როგორც ჩანს, უფლება არა გვაქვს შემოვიფარგლოთ მარტო ფართო აზრით გაგებული სოციალური გაერთიანებების განხილვით. ადამიანი ხომ ემორჩილება არა მარტო საზოგადოებრივი განვითარების კანონებს, არამედ ბიოლოგიურ კანონებსაც. იგი

---

[16] Куличенко М. И. Коренная противоположность оценки марксизмом-ленинизмом и антикоммунизмом настоящего и будущего наций. წიგნში — Изучение национальных отношений в зарубежных странах. М., 1985, с. 8—50.

[17] ლენინი ვ. ი. თხზ., ტ. 36, გვ. 691.

წარმოადგენს ორი საწყისის — სოციალურისა და ბიოლოგიურის მთლიანობას. მართალია, განმსაზღვრელს სოციალური საწყისი წარმოადგენს, რომლის მნიშვნელობა კაცობრიობის თანმიმდევრული განვითარების პროცესში მუდმივად იზრდება, მაგრამ ადამიანი „ვერ ამოხტება“ ბუნებიდან, — მის ნაწილად რჩება. და ეს გარდუვალად ასვამს დაღს ადამიანების მთელ ცხოვრებას[18]. ამიტომ ახლა შევჩერდეთ ადამიანის და ადამიანთა ერთობების ბიოლოგიურ საკითხებზე.

ბიოლოგიური (ანთროპოლოგიური) თვალსაზრისით მთელი კაცობრიობა ე. წ. გონიერი ადამიანი — ჰომო საპიენსი ერთი სახეობისაა. იგი იყოფა რასებად. ჩვეულებრივად სამ დიდ, ძირითად რასას გამოყოფენ (ნეგროიდული, მონღოლოიდური და ევროპოიდული). ამ დიდ რასებში გამოყოფენ მცირე რასებს, ძირითადების სახესხვაობებს. ეს უკანასკნელნი კი თავისთავად ანთროპოლოგიურ ტიპებად ჯგუფდება[19]. რასები ერთმანეთისაგან ძირითადად გარეგნული ფიზიკური ნიშნებით განსხვავდება. მათი ეს ფიზიკური სხვაობა ადამიანის შექმნის პროცესშივე ჩამოყალიბდა გეოგრაფიული პირობების გავლენით, მემკვიდრეობით გადაეცემა და ნაკლებად იცვლება. და მიუხედავად იმისა, რომ რასები ერთმანეთისაგან ერთგვარად მაინც განსხვავდებიან სისხლის ამა თუ იმ ჯგუფის სიხშირის მიხედვით, შრატის ცილებით, დალტონიზმის სახეებით, ფენილტიოკარბამიდის გემოვნებითი შეგრძნების უნარით თუ სხვ., გენეტიკამ დაამტკიცა, რომ მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური თავისებურებებით მთელი კაცობრიობა ერთნაირია. ერთნაირია იგი, ძირითადი ფსიქოლოგიური თავისებურებებითაც. გენეტიკამ დაამტკიცა, რომ ყველა ადამიანი დედამიწის ზურგზე ატარებს ДНМ-ის მოლეკულების იმ ერთსა და იმავე გენეტიკურ ინფორმაციას, რაც განაპირობებს მის ადამიანობას საერთოდ, როგორც ბიოლოგიური სახეობისა და განასხვავებს მას ყველა დანარჩენ ცოცხალისაგან. მთელი კაცობრიობის ბიოლოგიური ერთნაირობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულებაა სხვადასხვა რასების წარმომადგენლების ერთმანეთთან სქესობრივი ურთიერთობისა და გამრავლების უნარი. რასების შერევით შეიქმნა მულატები (ევროპოიდის და ზანგის შენარევი), მეტისები (ევროპოიდის და ინდიელე-

---

[18] Бромлей Ю. В. Этнос и этнография, с. 19.

[19] მაგალითად, ქართველები არიან ევროპოიდული რასის სამხრეთევროპოიდული სახესხვაობის კავკასიური ანტროპოლოგიური ტიპის ამიერკავკასიური ნაირსახეობა. აბდუშელიშვილი მ. კავკასიის ანთროპოლოგია ბრინჯაოს ხანაში. თბილისი, 1982 წ. აღსანიშნავია, რომ ავტორის გამოკვლევები ადასტურებენ ამიერკავკასიის ხალხთა ანთროპოლოგიურ ნათესაობას.

ბის შენარევი), — სამბო (ზანგებისა და ინდიელების შენარევი), კვარტერონები (სხვადასხვა რასის შენარევების მეოთხე თაობა).

რასებისა და რასათა სახესხვაობების გარდა ბიოლოგია ადამიანთა ანთროპოლოგიური ერთიანობის სახესხვაობად გამოყოფს პოპულაციას (ფრანგ. population — მოსახლეობა). საერთოდ ბიოლოგიურ მეცნიერებაში ტერმინი პოპულაცია ზოგადად აღნიშნავს ერთი ბიოლოგიური სახის ინდივიდუუმების იმ ერთობას, რომელიც საერთო ტერიტორიაზეა დასახლებული, ასე თუ ისე იზოლირებულია სხვა მსგავსი ერთობისაგან და თვითკვლავწარმოების (გამრავლების) უნარი აქვს. ამ უკანასკნელის წყალობით პოპულაციას დროსა და სივრცეში ხანგრძლივად არსებობისა და ტრანსფორმაციის უნარი აქვს. ადამიანი, როგორც ერთი ბიოლოგიური სახეობა, ზოგადად ერთ დიდ პოპულაციას წარმოადგენს. კონკრეტულად კი ბიოლოგია და ანთროპოლოგია ადამიანთა პოპულაციაში გულისხმობს ადამიანთა მცირე ზომის წარმოშობით ნათესაურ ერთეულს. ამ ტერმინს ფართოდ იყენებს დემოგრაფიაც, გეოგრაფიაც და ეკონომიკაც გარკვეული არეალის მოსახლეობის (მათი წარმოშობის მიუხედავად) აღსანიშნავად.

პოპულაციები სხვადასხვა სიდიდისაა. მცირე ზომის პოპულაციებს (დაახლოებით 1500-დან 4000 კაცამდე) ანთროპოლოგიურ ლიტერატურაში „დემი" (ბერძ. demos — ხალხი) ეწოდება. მსხვილი პოპულაციებისგან იგი იმით განსხვავდება, რომ უფრო ერთგვაროვანია — სხვა დემის წარმომადგენლები მასში ცოტაა (1—2%), აქვს შინაქორწინების (ენდოგამიის) მაღალი სიხშირე (80—90%) და ხასიათდება მოსახლეობის უმნიშვნელო მატებით (25 წლის განმავლობაში მხოლოდ 20 %). დემზე მცირე ერთეულია იზოლატი. ეს ისეთი მცირე დემია, რომლის წევრთა რაოდენობა 1500-ს არ სცილდება, მათში უცხოთა რაოდენობა 1 %-ზე მეტი არ არის, შინაქორწინების პროცენტი 90-ზე მეტია და მოსახლეობის მატება 20 %-ზე ნაკლები. თუ 100 წლის განმავლობაში (იგულისხმება ოთხი თაობა) თითქმის სულ შინაქორწინებას აქვს ადგილი, მაშინ დემის წევრთა უმეტესობა გენეტიკურად მესამე და მეოთხე ხარისხის ბიძაშვილები გამოდიან ერომანეთისთვის, მონათესავე დემთა ჯგუფები, ცალკეული დემები თუ იზოლიტები, იშვიათად, მაგრამ მაინც, დღესაც არსებობენ დედამიწის სხვადასხვა მხარეში.

ადამიანთა ერთობის გენეტიკური კავშირის მექანიზმის გასარკვევად მიზანშეწონილია ბიოლოგიის დარგების — გენეტიკისა და ადამიანის ბიოლოგიის ზოგიერთი ქრესტომათიული ცოდნის შეხსენებაც.

ადამიანის ბიოლოგია შეისწავლის ადამიანს — მის წარმოშობას, ევოლუციას, მის ორგანიზმს, მისი ფორმებისა და ზომების ცვლა-განვითარებას, ადამიანთა პოპულაციის რაოდენობრივი ზრდის საკითხებს.

გარდა ამისა „ადამიანთა ბიოლოგია შეისწავლის ადამიანის მემკვიდრეობას, მის გენეტიკურ სისტემას, ინდივიდუუმებს შორის თანდაყოლილი განსხვავების მნიშვნელობას, ადამიანის ეკოლოგიას და ფიზიოლოგიას, და აგრეთვე იმ საშუალებებს, რომლებსაც ადამიანი იყენებს მტრულ გარემოსთან ბრძოლაში. ადამიანის ბიოლოგია განიხილავს, აგრეთვე, მისი ქცევის თავისებურებებს — არა შემთხვევით განსხვავებებს ცალკეული ინდივიდუუმების ქცევაში, არამედ ქცევის ზოგად ასპექტებს, მაგალითად, ოჯახური ურთიერთობების, სიყვარულის გამოხატვის, ჰეშმარიტი თუ ფარული აგრესიულობისა და სხვ. ევოლუციისა და როლს. დაბოლოს, ბიოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ადამიანის მიმართ მდგომარეობს იმაში, რომ აღწეროს თუ ახსნას ადამიანთა შორის კავშირის სისტემების წარმოშობა, ბუნება და განვითარება და მათზე აღმოცენებული არაგენეტიკურის უპირატესობა“[20].

ცნობილია, რომ ყოველ ბიოლოგიურ სახეობას (მათ შორის ადამიანსაც) საკუთარი გენეტიკური პროგრამა აქვს. პროგრამაში ჩადებულია ბიოლოგიური სახეობის ყოველი საკუთარი ნიშან-თვისებების ინფორმაცია. ეს გენეტიკური ინფორმაცია თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემა გამრავლების გზით. სწორედ ეს უზრუნველყოფს ყოველი ბიოლოგიური სახეობის არსებობის განგრძობას ბუნებაში (რომ ადამიანისგან ადამიანი ჩნდება, ფუტკრისგან — ფუტკარი და ა. შ.). ე. ი. მემკვიდრეობითობა შეიძლება განისაზღვროს როგორც ყოველი ორგანიზმის უნარი გადასცეს თავის ნიშან-თვისებები და განვითარების თავისებურებები შემდგომ თაობას. ამავე დროს, თითოეული ბიოლოგიური სახის ყოველი ცალკეული ინდივიდუუმი განსხვავდება კიდეც ერთმანეთისგან. ამდენად, ცოცხალი ორგანიზმების დამახასიათებელს, მემკვიდრეობასთან ერთად, ცვალებადობაც წარმოადგენს. სწორედ მემკვიდრეობითობის და ცვალებადობის კანონზომიერებებს შეისწავლის ზოგადი გენეტიკა.

გენეტიკისა და ადამიანის ბიოლოგიის დამოუკიდებლად განვითარებამ მათ მიჯნაზე შექმნა კიდევ ახალი მეცნიერება — ადამიანის გენეტიკა[21]. ადამიანის გენეტიკური ინფორმაციული პროგრამის მემკვიდ-

---

[20] Медавар П. წინასიტყვაობა წიგნისა: Дж. Харрисон, Дж. Уайнер..., Биология человека. М., 1979, с. 7.

[21] ადამიანის გენეტიკის შესახებ მსჯელობისას ძირითადად ვეყრდნობით ნაშრომებს: Лобашев М. Е. Генетика, Л. 1969; Дж. Харрисон, Дж. Уайнер, Н. Барникот, В. Рейнольдс. Биология человека. М., 1969; Дубинин Н. П., Шевченко Ю. Г., Некоторые вопросы биосоциальной природы человека. М., 1976; Зотиков Е. А. Антигенные системы человека

რეობითობისა და ცვალებადობის კანონზომიერებათა კვლევა მრავალ სიძნელესთანაა დაკავშირებული. მაგრამ, რაკიღა გენეტიკური პროცესების კანონზომიერებებს ზოგადი ხასიათი აქვთ (— ყველა ცოცხალ ორგანიზმში ერთნაირი მექანიზმით მიმდინარეობენ) ადამიანის გენეტიკა ცოდნის მნიშვნელოვან ნაწილს ზოგადი გენეტიკიდან იღებს, რამაც თავისთავად ხელი შეუწყო ამ ახალგაზრდა მეცნიერების უმნიშვნელოვანეს წარმატებებს.

საერთოდ ადამიანის გენეტიკის ძირითადი მიზანია ჯანმრთელი მემკვიდრეობის უზრუნველყოფა, სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის გზების მონახვა, ადამიანის უნარიანობის მაქსიმალურად წარმოჩენა. ადამიანის უნარიანობის გენეტიკური პოტენციალი შეუდარებლად მდიდარია თავისი შესაძლებლობებით, მაგრამ მისი სრული რეალიზება ვერ ხერხდება. ამის მიზეზები ის არის, რომ ჯერჯერობით ჭირს ბავშვის ჭეშმარიტი შესაძლებლობების გამოვლენის სრულყოფილი მეთოდების შემუშავებაც და ყველა ბავშვის განვითარებისათვის ადეკვატური პირობების შექმნაც. კაპიტალისტურ სამყაროში უქონელი კლასების წარმომადგენელთა გენეტიკური პოტენციალის გამოვლენის შესაძლებლობები იზღუდება კიდეც. მისგან განსხვავებით, სოციალისტურ სამყაროს ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ყველა ბავშვისთვის ადეკვატური პირობების შექმნა, რაც ადამიანის ინტელექტუალური პროგრესის წარმატების საწინდარს წარმოადგენს ყოველმხრივი — გონებრივად, ფიზიკურად და ფსიქიკურად ჰარმონიული ადამიანის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

ადამიანი, ისევე როგორც ყველა ცოცხალი ბიოლოგიური არსება. უჯრედებისაგან შედგება. უჯრედი ურთულესი ქიმიური და ფიზიკური შემადგენლობის მოლიანი ცოცხალი სისტემაა. მისი ყველაზე მთავარი ელემენტებია ბირთვი და ციტოპლაზმა. თვით ბირთვიც რთული აგებულებისაა. მის აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენენ ქრომოსომები. ქრომოსომების ქიმიურ შემადგენლობაში შედის ცილა და დნმ-ი (დეზოქსირიბონუკლეინმჟავა). დნმ-ი წარმოადგენს ორ სპირალურად დახვეულ ჯაჭვს (ძაფს). დნმ-ის მოლეკულის ჯაჭვის ცალკეული მონაკვეთები წარმოადგენენ გენებს. გენის მრავალი სიშანთვისებიდან ყველაზე მთავარია მემკვიდრეობითობის და ცვალებადობის უნარი. ამრიგად, დნმ-ი და მისი გენი არის სწორედ მემკვიდრეობის მატერიალური საფუძველი. იგი ატარებს სწორედ მემკვიდრეობით პროგრამას. სხვანაირად, — მასში „ჩაწერილია" მემკვიდრეო-

---

и гомеостаз. М., 1982; Дитль Г. П., Гезе Г. Г., Кранхольд Г. Г. Генетика человека в социалистическом обществе. М., 1984; Биология. М,. 1985.

ბითი ინფორმაცია, რომელიც გადაეცემა შთამომავლობას. ეს ხდება იმიტომ, რომ გენს აქვს თავისი თავის ზუსტი ასლის წარმოქმნის, თავისი თავის გამეორების უნარი შთამომავლობაში. მას შეუძლია მთელ რიგ თაობებში შეინახოს თავისი თავი სუფთა სახითაც, თავისი ინდივიდუალობის დაუკარგავად. ამდენად, იგი გარკვეულად მუდმივი და მდგრადია, მემკვიდრეობითობის განუყოფელი, ფუნქციურად მთლიანი ერთეულია, მემკვიდრეობითი ნიშან-თვისებების კოდის მატარებელი და განმსაზღვრელი.

გენი მრავალმხრივი მოქმედების უნარის მქონეა. თავისი ძირითადი მოქმედებით იგი განსაზღვრავს ამა თუ იმ ნიშან-თვისებას და რეაქციის არსებობა — არ არსებობას; ორგანიზმის ნიშან-თვისების განვითარებას თუ დაქვეითებას; იგი პასუხს აგებს ცილის მოლეკულის პირველადი სტრუქტურის სინთეზზე; ორგანიზაციას უკეთებს უჯრედის მთელი სისტემის მუშაობას; ურთიერთზემოქმედებს სხვა გენებზე; მიუხედავად საოცარი მდგრადობისა, აქვს ცვალებადობის უნარიც და ამ ცვლილების რეგისტრაციასაც ახდენს; სხვადასხვა ნიშან-თვისებებზე მოქმედებაც შეუძლია; სხვადასხვანაირად კომბინირებების უნარი აქვს; სხვადასხვანაირია ფუნქციურად (სტრუქტურული, რეგულატორი, ოპერატორი) განიცდის გარემოს გავლენას და მრავალი სხვა. ყოველივე ამის გამო გახდა იგი ბიოლოგიური მოვლენების გაზომვის ერთეული. ყოველი გენი აუცილებლად წარმოდგენილია რამდენიმე, ან სულ ცოტა, ერთი წყვილი ვარიანტით — ალელით. ალელები შეიძლება ერთნაირი იყოს, შეიძლება განსხვავებული. ჩვეულებრივად ერთი მათგანი დომინანტურია (რომელიც შთამომავლობაში უფრო გამოხატულად გადადის), მეორე — რეცესიული (რომელიც შთამომავლობის პირველ თაობაში არ ვითარდება, მაგრამ თავს იჩენს შემდეგ თაობებში, ხშირად — უარყოფითი სახით). ალელის წყვილები სხვადასხვანაირად შეიძლება იყოს განლაგებული — ან ქრომოსომის ერთ კუთხეში (ლოკუსში) იყოს თავმოყრილი ან — სხვადასხვა ლოკუსში. შეიძლება შეჭიდულნი იყვნენ (ე. ი. როცა მემკვიდრეობით ერთად გადაეცემიან), ან ნაკლებად შეჭიდულნი, შეიძლება ადგილი შეუცვალონ ერთმანეთს, არიან ლეტალური (მომაკვდინებელი) და ნაკლებად ლეტალური გენები, თვისებით იდენტური და წარმოშობით იდენტური გენები და სხვ.

ალელების ხასიათის, მდებარეობის და კომბინაციების სხვადასხვაობის მიხედვით განასხვავებენ ადამიანების სხვადასხვა გენეტიკურ ტიპებს, გენოტიპებს. გენოტიპს ახასიათებს მთლიანობა და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ცალკეული გენების მექანიკური ჯამი. გენოტიპის ეს მთლიანობა, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხა-

ტება, რომ მისი ცალკე კომპონენტები (გენები) მჟიდროდ ურთიერთ-ზემოქმედებენ, — არა მარტო განსაზღვრავენ ერთი რომელიმე კონ-კრეტული ნიშან-თვისების არსებობას, არამედ აკონტროლებენ სხვა-საც.

ყოველ ადამიანს აურაცხელი რაოდენობის გენი აქვს. ადამიანის გენების ინდივიდუალური მარაგი, კომპლექტი, — გენოტიპი ყალიბდე-ბა მშობლების გენებით. გენის წყვილებში ერთი ალელი დედისგან აქვს ადამიანს, მეორე — მამისგან.

ამრიგად, ადამიანის ერთი თაობის ნიშან-თვისებების მეორე თაო-ბაში მემკვიდრეობით გადაცემას გენების მეშვეობით ახორციელებს უჯრედის ბირთვის შემადგენელი ნაწილი — ქრომოსომა. ყოველი ქრო-მოსომა შეიცავს სახეობის (ამ შემთხვევაში ადამიანის) გენების მთლი-ან კომპლექტს. ქიმიურად ყველა უჯრედის ბირთვში ქრომოსომების ერთიდაიგივე მუდმივი რაოდენობაა. გენეტიკაში უკვე მყარად არის დადგენილი, რომ ადმიანის უჯრედებს აქვს წყვილ-წყვილად განლა-გებული 23 ქრომოსომა, ე. ი. სულ — 46. ერთ-ერთი, (მეექვსე) ქრო-მოსომაზე HLA ანტიგენებია მოთავსებული. რომლებსაც ყველა ფორ-მიან ელემენტებში (ლეიკოციტებში) თავისი წარმომადგენლები ყავს.

ქალის ოცდასამივე წყვილი ქრომოსომებისა წყვილებში სრულიად ერთნაირია (XX ქრომოსომები). მამაკაცის ქრომოსომების კი მხოლოდ 22 წყვილია ერთნაირი. ბოლო, 23-ე წყვილში მამაკაცს განსხვავებული ქრომოსომები აქვს — ერთი X ქრომოსომაა, მეორე კი — Y (XY ქრო-მოსომები). სწორედ ეს ერთი Y ქრომოსომაა, რომელიც განსაზღვრავს მამაკაცის სქესის განმასხვავებელ ყველა თვისებას და მახასიათებელს. მამაკაცის ყოველი უჯრედი დედისგან იღებს წყვილის ერთ X ქრო-მოსომს და შემდეგ თვითონ გადასცემს მას თავის ქალიშვილებს. ვაჟი-შვილებს მამაკაცი X ქრომოსომს არ გადასცემს. ვაჟიშვილებს მამა-კაცი გადასცემს მხოლოდ Y ქრომოსომს. მამაკაცისგან განსხვავებით, როგორც აღვნიშნეთ, ქალს მხოლოდ X ქრომოსომები აქვს. მას თავისი მშობლებისგან (დედისგანაც და მამისგანაც) მხოლოდ ისინი აქვს მი-ღებული. თვითონ ქალი, დედა, თითო-თითო X ქრომოსომს აძლევს ქალიშვილსაც და ვაჟიშვილსაც. ამიტომ შვილის ყოველი უჯრედის ქრომოსომების ყველა წყვილში ერთი ქრომოსომა თავისი ვენებით დედისაა, მეორე ქრომოსომა თავისი გენებით კი — მამის. ესე იგი, შვილს გენების 50 % დედისა აქვს, ხოლო მეორე 50 % — მამის. რად-გან თვით მშობლებსაც თავის მხრივ საკუთარი მშობლებისგან აქვს ნა-ხევარ-ნახევარი გენებისა მიღებული, ამიტომ ბავშვის გენები ორი ბა-ბუისა, და ორი ბებიის გენების 25—25 %-ისაგან შედგება. და-ძმებს (ე. წ. სიბსებს) 50% გენებისა საერთო აქვთ, ხოლო ბიძაშვილ-მამი-

დაშვილ-დეიდაშვილებს — 12,5 %. ე. ი. ნათესაობის ერთი თაობით დაშორება იწვევს ერთნაირი გენების ორჯერ შემცირებას. გენეტიკურ ლიტერატურაში ხშირად მოაქვთ სხვადასხვა ხარისხის ნათესაობაში საერთო გენების (ალელების) წილის მაჩვენებელი ცხრილი. რომელიც გამოხატავს „ნათესაობის კოეფიციენტს"[22], — საერთო წინაპრისაგან მიღებული ე. წ. წარმოშობით იდენტური ალელების არსებობის ალბათობას.

ცხრილი 1

ნათესაობის ხარისხი	საერთო ალელების წილი
მშობელი. შვილი. სიბლები (და-ძმები)	1/2
მონოზიგოტური (ერთიკვერცხუჯრედში განაყოფიერებული) ტყუპები	1/0
დიზიგოტური (სხვადასხვა კვერცხუჯრედში განაყოფიერებული) ტყუპები	1/2
ბებია. ბაბუა. შვილიშვილი, ბიძა, დეიდა — მამიდა, დისშვილ-ძმისშვილი	1/4
მეორე რიგის სიბლები (ბიძაშვილ—დეიდაშვილ — მამიდაშვილები)	1/8
მესამე რიგის სიბლები	1/32

ასეთია ნათესაობის გენეტიკური საფუძვლები. თუ ვიანგარიშებთ, რომ ადამიანს აურაცხელი რაოდენობის გენი აქვს, ადვილი გასაგები იქნება, რომ საერთო წარმოშობის მქონე ადამიანთა ერთობების წევრებში უამრავი რაოდენობის საერთო გენი ტრიალებს და გროვდება ენდოგამიის საფუძველზე. ასეთი დაგროვებით პოპულაციაში იქმნება მსგავსი გენების გარკვეული ფონდი — გენოფონდი. რომელიც მუდმივად გადადის პოპულაციის თაობიდან თაობაში. ე. ი. პოპულაციის წევრების მნიშვნელოვან ნაწილში რომელიღაც ერთი და იგივე გენები, ან ერთი და იგივე HLA ანტიგენები, მუდმივად გვხვდება. სწორედ ამა თუ იმ გენის და HLA ანტიგენების სიხშირით განსხვავდებიან პოპულაციები ერთმანეთისგან გენეტიკური პროგრამის თვალსაზრისით, ე. ი. იმის მიხედვით თუ რა გენოტიპის ადამიანებია უფრო მეტი ამა თუ იმ პოპულაციაში. რა თქმა უნდა, ეს გენები სხვა პოპულაციებსაც აქვთ. უბრალოდ, ერთ პოპულაციაში ერთი ტიპის გენების, ერთი გენოტიპის ადამიანები სჭარბობენ. სხვა პოპულაციებში — სხვა გენოტიპისა.

---

[22] Биология, გვ. 142.

გენოფონდი გულისხმობს არა მარტო გარკვეული გენოტიპის სიხშირეს, არამედ ფენოტიპისასაც. როგორც აღვნიშნეთ, გენის ძირითადი დამახასიათებელი თვისება მემკვიდრეობითობასთან ერთად, არის ცვალებადობის უნარიც. ამ უნარის შედეგია, რომ მიუხედავად მჭიდრო გენეტიკური მსგავსებისა, შვილები მშობლების ასლს არ წარმოადგენენ. ყოველ ადამიანს, ისევე როგორც ყოველ ცოცხალ ორგანიზმს, გენების თავისი ინდივიდუალური კომპლექტი აქვს. ამიტომაა, რომ ბუნებაში ორი ზუსტად ერთმანეთის მსგავსი ორგანიზმი არ არსებობს. ინდივიდუალური მახასიათებლების განვითარება დიდად არის დამოკიდებული გარემო პირობებზე. აქედან გამომდინარეობს გენოტიპისა და ფენოტიპის განსხვავება. თუ გენოტიპი წარმოადგენს მემკვიდრეობის გადამცემი გენების ერთობლიობას, ორგანიზმის ყველა მემკვიდრეობით ფაქტორების ერთობლიობას, მემკვიდრეობითობის საფუძველს და პოტენციალს, ფენოტიპი ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარების პროცესში ჩამოყალიბებული ნიშან-თვისებების ერთობლიობაა. ფენოტიპი განისაზღვრება გენოტიპის და იმ გარემოპირობების ურთიერთქმედებით, რომელშიც მისი განვითარება მიმდინარეობს. პოპულაციის ფონოტიპირებას გენეტიკაში HLA (აშელა) ანტიგენის საფუძველზეც ახდენენ.

მიუხედავად გასაოცარი მდგრადობისა, ერთი და იგივე გენოტიპის ნიშან-თვისებებმა განვითარების სხვადასხვა პირობებში შეიძლება არსებითი განსხვავება მიიღოს, გენების ცვლილება განიცადოს. ბუნებაში ცვლილებების სხვადასხვა ფაქტორები არსებობს, მათში შედის მაგალითად, ჰიბრიდიზაცია, მუტაცია. გენების დრეიფი, ბუნებრივი გადარჩევა და სხვა. ბუნებრივმა გადარჩევამ ადამიანის ევოლუციის პროცესში ადამიანად მისი ჩამოყალიბების თვალსაზრისით უდიდესი როლი შეასრულა. შეასრულა რა ბიოლოგიური სახის შექმნის ეს ფმნიშვნელოვანესი ფუნქცია, შემდეგ მან დაკარგა ასეთი განსაზღვრელი მნიშვნელობა. ამჟამად იგი ორგანიზმის გენოტიპს აყალიბებს ისე, რომ გარემოსთან შეგუებულ ფენოტიპს ქმნის. მუტაცია არის გენის უეცარი, ნახტომისებური ცვლილება ქრომოსომის სტრუქტურის ცვლილებით გამოწვეული. მუტაციური ცვლილებები არ არის გარემოსთან შეგუებითი ხასიათისა, პირიქით, ისინი ხშირად სიცოცხლისუნარიანობას აქვეითებენ კიდეც იმიტომ, რომ მათი უმეტესობა რეცესიულია. ამ ძალზე იშვიათ მოვლენას გარემოპირობების კონტრასტული ცვლილება იწვევს. ითვლება, რომ მუტაციებმა და გენების დრეიფმა თავის დროზე გარკვეული როლი შეასრულეს განსხვავებული რასების ჩამოყალიბებაში. საერთოდ ბუნებაში ყველაზე გავრცელებულია ჰიბრიდიზაცია. ადამიანთა მიმართ მას შეესაბამება ცალკეული პოპუ-

ლაციების გენოფონდების შერევა, სხვადასხვა პოპულაციის წევრების ქორწინებისა და გამრავლების გზით. საერთოდ კაცობრიობის შექმნის გარიჟრაჟზე ადამიანები, როგორც დავინახეთ ზემოთაც, მცირერიცხოვან პოპულაციებად სახლობდნენ და შემდეგაც კიდევ დიდხანს ვითარდებოდნენ ცალკეული, იზოლირებული საწარმოო კოლექტივების ერთობლიობის სახით. მაგალითად, ჯერ კიდევ 2—3 საუკუნის წინათაც კი კაცობრიობის გარკვეული ნაწილი პატარა, 25—35 კომლისაგან შემდგარ სოფლებად ცხოვრობდა. იზოლაციური ბარიერები სხვადასხვა იყო და სხვადასხვა ეპოქებში მოქმედების სხვადასხვა ძალა ჰქონდათ. ადრე უფრო ძლიერად მოქმედებდა გეოგრაფიული ხასიათის გამყოფები — მთები, ტყეები, მდინარეები, ზღვები, რამეთუ ტექნიკის (განსაკუთრებით ტრანსპორტის) განვითარების დაბალი დონის გამო ისინი შედარებით მკვეთრად გამოყოფდნენ ადამიანთა ცალკეულ ერთობებს ერთმანეთისაგან. ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ენობრივ ბარიერს. შემდეგ მეტი მნიშვნელობა მიიღეს კულტურული სხვაობის, ეკონომიკური წყობის, სახელმწიფოებრივმა, რელიგიურმა და მორალურ-ეთიკური და ასევე, ფსიქიკური წყობის ბარიერებმა. ადრე ეს იზოლირებული დასახლებები, პატარა პოპულაციები, იზოლატები სხვებისგან ასევე განცალკევებულნი იყვნენ ქორწინებაშიც და მკაცრ ენდოგამიას ექვემდებარებოდნენ. საერთოდ რაც უფრო მცირე ზომისაა იზოლატი (გავიხსენოთ, რომ იზოლატად ითვლება ის ერთეული, რომლის წევრთა რაოდენობა არ აღემატება 1 500-ს), მით მეტია რაღაცა დონით მონათესავეთა დაქორწინების ალბათობა, რაც იწვევს სწორედ იზოლატის საერთო გენების ძალიან დიდი ფონდის შექმნას. ამ ფონდში გროვდება პოპულაციის დამახასიათებელი ყველანაირი გენი და რაკიღა მათი გადაცემა შთამომავლობაში ერთი და იმავე მექანიზმით ხდება, — გენს მემკვიდრეობით გადააქვს ზოგიერთი დაავადებაც. რეცესიული ნიშან-თვისებები, ადვილად არის თვალში საცემი (და ამანაც მისცა სწორედ ერთგვარი ბიძგი ადამიანის გენეტიკის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების განვითარებას). მცირერიცხოვან იზოლატებში, რომლებშიც მათი მცირერიცხოვნობის გამო ახლონათესავთა ქორწინება გარდუვალია, მრავალი რეცესიული გამოვლინებაა ცნობილი. მაგალითად, წყნარი ოკეანის კუნძულების ერთ-ერთ იზოლატში ამოიტროფიული დაავადება 100-ჯერ და მეტად სჭარბობს ამ დაავადების გავრცელებას სხვა ქვეყნებში. სამხრეთ კარიბის ერთ-ერთ ტომში თიოქმის ყველა თაობაში არის ალბინოსი. შვეიცარიაში მდ. რონაზე მდებარე ერთ-ერთ პატარა სოფელში ერთდროულად 50 ყრუ-მუნჯი და 200 სმენის დეფექტიანი იყო. ე. ი. ამ იზოლატების გენოფონდებში მყარად არსებობს ამ დაავადებათა გამომწვევი ალელები. მაგა-

ლითად, დადგენილ იქნა შოტლანდიასა და ირლანდიაში გავრცელებული დაავადების ფენილკეტონურიას გამომწვევი ალელი. აღინიშნა, აგრეთვე, რომ ის ალელი სწორედ შოტლანდიელებისა და ირლანდიელების გენოფონდებში უფრო მეტია, ვიდრე ინგლისელებში. უფრო მეტიც, ინგლისში ამ დაავადებით ავადმყოფთა წინაპრების უმეტესობა წარმოშობით ირლანდიელები და შოტლანდიელებ აღმოჩნდნენ. მსგავსი მაგალითები მრავლად აქვს გენეტიკას.

დღესდღეობით გენეტიკას დადგენილი აქვს, რომ თუ შეუღლდნენ ნათესავები და მათი ერთ-ერთი საერთო ახლო წინაპარი ატარებდა თავის თავში რომელიმე რეცესიულ გენს, მაშინ 1/16 ალბათობით ეს გენი გადაეცემა მათ შვილებს და გამოვლინდება შესაბამისი მძიმე მემკვიდრეობითი დაავადების სახით.

ზოგჯერ დაქორწინებული ნათესავების შვილების ავადმყოფობა და სიკვდილიანობა 20—30 %-ით აღემატება არანათესავ მეუღლეთა შვილების ავადმყოფობასა და სიკვდილიანობას. სამაგალითოდ მოვიტანთ ერთ ცხრილს.

ბავშვების ავადობისა და სიკვდილიანობის სიხშირის შედარება
ნათესაური და არანათესაური ქორწინებების მიხედვით[23]

ცხრილი 1

ქორწინება	ქვეყნები	ავადმყოფობა		სიკვდილიანობა	
		გამოკვლეულ ბავშვთა რაოდენობა	ავადმყოფთა %	გამოკვლეულ ბავშვთა რაოდენობა	გარდაცვლილთა %
არანათესავებში	აშშ	163	9,8	837	16,0
	საფრანგეთი	833	3,5	2745	3,9
ნათესავებში	აშშ	192	16,5	2778	22,9
	საფრანგეთი	144	12,8	743	9,3

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა ხალხების უმეტესობამ თავიდანვე უარყო სისხლით ახლო ნათესავთა ქორწინება. ასეთი ქორწინების მავნეობით უხსნიდა ყველა ეს ხალხი ეთნოგრაფ-მკვლევარს ეკზოგამიის (გვარს შიგნით ქორწინების აკრძალვის) არსებობას. ამიტომ იყო, რომ ეკზოგამიის გენეზისის ახსნას მორგანი და ენგელსი სისხლის აღრევის მავნეობას უკავშირებდნენ. მაგრამ, რადგან, ახლონათესავთა ქორწინებას ყოველთვის არ მოსდევს დაავადებები შთამო-

[23] Лобашев М. Е. с. 692.

მავლობაში (არამედ მხოლოდ 1/16 ალბათობით), ოჯახისა და ქორწინების მკვლევარ ეთნოგრაფებს იშვიათად ხვდებოდათ ეკზოგამიისა და სისხლის აღრევის მავნეობის კავშირის მეცნიერული დასაბუთებისა და განზოგადოებისათვის საკმარისი მასალა. ამასობაში ეთნოგრაფიული მეცნიერების განვითარებამ ეკზოგამია-აგამიის გენეზისს სულ სხვა ახსნა მისცა — როგორც წინა თავში აღვწერეთ, დღეისათვის აღიარებულია, რომ ეკზოგამიის გენეზისი გვარის საწარმოო-ეკონომიკურ მოთხოვნებს უკავშირდება. თავისთავად ამან კიდევ უფრო გააძლიერა მეცნიერული ეჭვი სისხლის აღრევის ესოდენი მნიშვნელობის შესახებ. სპეციალურმა სიმპოზიუმმა, რომელიც ეთნოგრაფებმა ეკზოგამიის საკითხებს უძღვნეს (1947 წ. მოსკოვი), დასკვნადაც კი გამოიტანა, რომ ნათესავთა ქორწინების მავნეობა მეცნიერულად არ დასტურდება[24]. ეს საკითხი მხოლოდ გენეტიკას შეეძლო გაერკვია და გაარკვია კიდეც. ახლონათესავთა ქორწინების მავნეობის ალბათობის დასაბუთება გენეტიკის მიერ საშუალებას გვაძლევს თამამად ვთქვათ: როგორი წარმოშობისაც არ უნდა იყოს ეკზოგამია, მისი არსებობის ფაქტი ამა თუ ხალხში (მათ შორის ქართველებშიც), ამ ხალხის კულტურული მიღწევების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ. მით უმეტეს, რომ ახლონათესავთა (ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილების და მათი შვილების, 4—6 თაობაში) ქორწინება (კუზენური ქორწინება) მრავალ ხალხს დღესაც აქვს შემორჩენილი არანათესავთა ქორწინების გვერდით. მაგალითად, ფიჯის კუნძულებზე ახლონათესავების ქორწინება 29,7% აღწევს, ინდოეთის ზოგიერთ კასტაში — 12,9%; იაპონიაში (ნაგასაკში) — 5,03%; ჰოლანდიაში — 0,13—0,59%; პორტუგალიაში — 1,40%; ამერიკაში — 0,05%-ს და სხვ. აქვე ხაზი უნდა გავუსვათ, რომ აქ ლაპარაკია სისხლით ახლო ნათესავების ქორწინებაზე. სისხლით ახლო ნათესაობაში გენეტიკა გულისხმობს მხოლოდ 4—6 თაობის ნათესავებს. ამ თაობების გადასვლის შემდეგ მავნე გენების გამოვლინება აღარ ხდება (საგულისხმოა, რომ ქართული ხალხური საქორწინო ნორმებითაც ქორწინება გვარს შიგნით მხოლოდ შვიდი თაობის გამოცვლის შემდეგ მომდევნო თაობებში დაიშვებოდა. მაგრამ ამ უფლებით ჩვეულებრივად არც სარგებლობდნენ. თუ ასეთი რამ მაინც მოხდებოდა, მაშინ არაიშვიათად ხდებოდა „მამობის“ გაყრა — ახალი გვარეობის წარმოშობა — ე. ი. სისხლით ნათესაობის შეწყვეტა — „ვადარეცხვის“ აღიარება. საქართველოში გვარების უდიდესი უმრავლესობა ეკზოგამურია დღესაც). ჩანს ამ თაობების გამოცვლის შემდეგ ამავე ნათესაობის გაფართოებული ერთობის (გვარის) თანდათან დაგროვილ-დაწ-

---

[24] Золоторевская Н. Дискуссия о проблеме экзогамии. СЭ, 1947, № 3.

მენდილ საკუთარ გენოფონდს (როგორც დაგროვილ ძლიერ ძალას, მიმართულს თავისი თავის გადარჩენისკენ) უკვე შესწევს რეცესიულ გენთან ბრძოლის უნარი. ეკზოგამიის დამცველი გვარის გენოფონდი, ჩანს უფრო ადვილად ივსება ძლიერი გენებით და მისი წევრების შემკვიდრეობით სიჯანსაღეს უზრუნველყოფს. პოპულაცია ათასობით ასეთი გვარისგან შედგება. ამ სხვადასხვა გვარების წევრების ერთმანეთთან ქორწინების გზით მდიდრდება პოპულაციის საერთო გენოფონდი. ამასთანავე, საუკუნეების განმავლობაში ერთიდაიმავე ეკოლოგიურ პირობებში მცხოვრები პოპულაციის გენოფონდი სრულიად შეგუებულია ამ გარემოსთან და შესაბამის გენო-ფენოტიპირების მკაცრ საფუძველს წარმოადგენს.

გენეტიკის მთელი ეს მონაცემები აქ, ეთნოსის საკითხებთან დაკავშირებით მოტანილ იქნა იმის შეხსენებისთვის, რომ პოპულაციის საერთო გენოფონდის არსებობა აღიარებულია და ამას საფუძვლად დაედო ქორწინება-გამრავლებასთან დაკავშირებული კვლევები.

* * *

დავუბრუნდეთ ეთნოსს. ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში მნიშვნელოვანს წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ ადამიანთა ბიოლოგიური ერთობის რომელ სახეს ემთხვევა ეთნოსი. აღიარებულია, რომ თავდაპირველი ტომები რასობრივად სრულიად განსხვავებულები, შეურევლები იყვნენ. შემდეგ მიგრაციებს, დაპყრობით ომებს, ხანგრძლივ მეზობლობას და სხვას თანდათან რასათა შერევა მოყვა. რამაც წარმოშვა რასათა სახესხვაობანი. ისტორიულად მომდინარე ეს პროცესი ახალი ისტორიის პერიოდშიც გრძელდება (ამის მაგალითი კვლავ ლათინური ამერიკის ქვეყნებია). საერთოდ ეთნოსების დიდი ნაწილი რასობრივად სუფთაა, მაგრამ ძირითადი რასობრივი დაყოფა, ეთნიკურ დაყოფას არ ემთხვევა. ამის ნათელსაყოფად მათი რაოდენობის შედარებაც საკმარისია — რასები და მათი სახესხვაობები 30-მდეც კი ვერ აღწევს. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ რასობრივ დაყოფას წმინდა ბიოლოგიური ხასიათი აქვს.

გაცილებით რთულია ეთნოსისა და პოპულაციის ურთიერთმიმართების საკითხი. ზოგადი თვალსაზრისით მთელი კაცობრიობა, როგორც ბუნებაში არსებული ცოცხალი ორგანიზმების ერთ-ერთი ბიოლოგიური სახეობა, ერთ დიდ მთლიან პოპულაციას წარმოადგენს, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დონისა და ზომის პოპულაციებს — დაწყებული იზოლატებით და დამთავრებული რასებით. ბუნებაში ყოველი პოპულაცია გამრავლებით აგრძელებს თავის არსებობას. სოციალური

საწყისის წყალობით ადამიანების ცხოვრებისა და გამრავლების ეს მომენტი სოციალურ ინსტიტუტს — ქორწინებას დაუკავშირდა. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ეთნოსისთვის დამახასიათებელია ენდოგამური ქორწინება. ამის გამო (და, რადგან ეს კავშირშია ეთნოსის ცხოვრებაში ოჯახის მნიშვნელობის ილუსტრირებასთან) პოპულაციის და ეთნოსის ურთიერთმიმართების საკითხთან ერთად ენდოგამიის არსის კონკრეტული მიმოხილვის საჭიროებასაც მივადექით.

ენდოგამია, როგორც აღვნიშნეთ, ნიშნავს ეთნიკური ერთეულის წევრების ერთმანეთზე დაქორწინების წესად, ნორმად არსებობას. ეთნოსის პირველი საფეხური, — ტომი, როგორც აღვნიშნეთ, მკაცრად ენდოგამური იყო და ამიტომ გარკვეულწილად ენდოგამია ეთნოსის საფუძვლადაც კი გვევლინება. ამის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ბიბლიურ თქმულებებში დაწვრილებით გადმოცემული ებრაელი ხალხის შექმნის ისტორია თარრას (ბიბლიური ნოეს შვილის, სემის შვილი) შვილების — აბრაამის, ნაქორისა და არანის შთამომავლობის ენდოგამური ქორწინების გზით. ბიბლიური თქმულებები ამ წესს ღვთის დადგენილ წესად მიიჩნევენ, რომელიც პირდაპირ კარნახობს ებრაელებს: „... ქალწული ნათესავისაგან თჳსსა მოიყვანედ ცოლად, რათა არა შეიგინოს თესლი მისი ერსა შორის მისსა, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი, რომელმან განვწმინდე იგი“ (ლევიტელთა. 21. 13, 14, 15). „და ყოველი ესული, რომელი ეძიებდეს ნათესავისაგან ძეთა ისრაჵლისათა ერთტომსა მამისა თჳსსა, ცოლ-ეყოს, რათა მოიძიონ იეთა ისრაჵლისათა კაცად-კაცმან სამკვიდრებელი მამული თჳსი. და არა გარდაიცვალოს ნაწილი ნათესავითი ნათესავად სხუად, არამედ თჳთოეულად სამკვიდრებელსა თჳსსა შეუდგენ ძენი ისრაჵლისანი“ (რიცხუთა 36. 8—9). ამიტომაა, ალბათ, რომ ძველ აღთქმაში, ფაქტობრივად ებრაელი ხალხის სოლიდურ ძველ ისტორიაში (რომელიც არსებითად პატრიარქალურ ყოფას ასახავს) მამაკაცების ჩამოთვლისას ხშირად მათი ცოლების, შვილლება ითქვას, გენიალოგიაცაა მოცემული. ადვილი გასაგებია, რომ ასეთ პირობებში ტრადიციის დარღვევა და უცხო წარმოშობის ქალზე დაქორწინება ხალხის გულისწყრომას იწვევდა. ბიბლიური თქმულებები ვერც თავის სათაყვანებელი სოლომონ ბრძენის მიმართ მალავს ამ გულისწყრომას, რომლის მრავალრიცხოვან ცოლებში ბევრი უცხო წარმოშობისაც იყო. როგორც ჩანს, განსაკუთრებით ხშირდებოდა ბიეთნიკური ქორწინებები ებრაელთა უცხოელების ქვეშევრდომობაში ყოფნის ხანებში. სხვათა უღელქვეშ ყოფნის დროს გამოწვეული დაქსაქსულობა, რელიგიური დოგმების შესუსტება და შერეული ქორწინებები, როგორც ჩანს, თითქმის ერთი დონის სახალხო უბედურებად განიხილებოდა ებრაელი მამების მიერ. ბიბლიურ თქმუ-

ლებებში გადმოცემულია ასეთი ქორწინებების წინააღმდეგ მიმართული ერთი აქციის ამბავიც. კერძოდ. ბაბილონის მიერ დაპყრობილ ებრაელებს სათავეში ჩაუდგა ერთ-ერთი განსწავლული ბიბლიური მამა ეზრა. მან თავისი ხალხის ერთობის აღსადგენად ღონისძიებების პირველი რიგი გაატარა ღვთის სახელით. ერთ-ერთი მათ შორის იყო (თანაც ხალხის დაბეჯითებითი მოთხოვნით) უცხოსთან დაქორწინების აკრძალვა მომავალში და უკვე არსებული ბიეთნიკური ოჯახების სასწრაფო დაშლის მოთხოვნა. დათქმულ იქნა თარიღი, რომელამდეც ყველა ებრაელი უნდა გაყროდა უცხო წარმოშობის ცოლს და მასთან შეძენილ შვილებს. „და იწყეს განყენებად ცოლთა მათთა უცხოთესლთა ძათთაგანი". „და განაშორეს ყოველი კაცი, რომელსა ესვა ცოლი უცხოთესლი, ვიდრე თთვისთავადმდე თთვისა მის პირველსა" (I. ეზრა, 10, 19, 17). შემდეგ კონკრეტულად ჩამოთვლილია 106 მამაკაცის სახელი (I. ეზრა. 10, 20—44), რომლებსაც უცხო წარმოშობის ცოლები დაეტოვებინეს. საფიქრებელია ასეთი მკაცრი მოთხოვნის გამოძახილია რომ, როგორც ცნობილია, ებრაელი ხალხი, მიუხედავად მათი დაქსაქსულობისა თითქმის მთელ დედამიწაზე, ბოლო ხანებამდე შესაშურად იცავდა ენდოგამიას, რამაც თავის მხრივ, ჩანს, ერთგვარი როლი ითამაშა ამ ერის ფიზიკური არსებობის შენარჩუნებაში.

საერთოდ ისტორიის სიღრმეში ენდოგამიის დარღვევის შემთხვევები ყველა ეთნოსში იშვიათი იყო. ეწინააღმდეგებოდა რა ბიეთნიკურ ქორწინებებს, ყოველი ეთნოსი ამით იცავდა თავისი სისხლის შეურევლობას, სიწმინდეს და ყოფა-ცხოვრების ერთგვაროვნობას. მაგრამ, როგორც ჩანს, ყველა მათგანი ვერ აცნობიერებდა ენდოგამიის უფრო მნიშვნელოვან საბოლოო, სოციალურ შედეგებს — ეთნოსის არსებობა-არარსებობაში მის გარკვეულ როლს. ქორწინების ხასიათის ის არსებითი შედეგები, რაც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, მხოლოდ ხანგრძლივი ისტორიული დროის გასვლის შემდეგ, რაოდენობრივიდან თვისობრივში გადაზრდის გზით იჩენს თავს, როგორც ეთნიკური პროცესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორთაგანი, ეთნოსის მიერ საკუთარი ვინაობის შენარჩუნებისა თუ დაკარგვის (სხვადასხვა სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვ. ფაქტორებთან ერთად) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არხი. ჩვეულებრივად კი ძველად ეთნოსის ცხოვრების ნორმები ქორწინებით შემოსულ უცხო ელემენტს აიძულებდნენ მთლიანად ჩართულიყო მის ცხოვრებაში — მიეღო მისი ენა, ყოფა-ცხოვრების ტრადიციული ელემენტები თუ რელიგია. მიუხედავად ამისა, ეს უცხო ელემენტი თავის პირვანდელ ეთნიკურ ვინაობას და თვითშეგნებას ინარჩუნებდა მთელი სიცოცხლის მანძილზე. მისი შვილები და შვილიშვილები კი სრულად ადაპტირდებოდნენ.

ე. ი. ბიეთნიკური ქორწინების შედეგად ერთ-ერთი მეუღლის (უმეტესად ცოლის, რადგან წინათ უფრო ეგუებოდნენ უცხო ქალის მოყვანას, ვიდრე მათი ქალის უცხოზე გათხოვებას) ეთნოსი მთლიანად კარგავდა ამ პიროვნების შთამომავლობას, მეორე კი მთლიანად ინარჩუნებდა მათ. თანამედროვე პირობებში გარკვეულად შეიცვალა სიტუაცია. პიროვნების დამოუკიდებლობის, ერთა თანასწორობის და ათეიზმის გაძლიერებამ, გადაადგილებისა და მიგრაციების საოცრად მაღალმა ტექნიკურმა პირობებმა, საკუთარი შრომითი დასაქმების (ე. ი. საკუთარი თავისა და ოჯახის რჩენის) ყველგან მონახვის შესაძლებლობებმა, მშვიდობიანობამ, მსოფლიო ენების ფართო გავრცელებულობამ და სხვამ ჯერ ერთი მნიშვნელოვნად გაახშირა ბიეთნიკური ქორწინებები მსოფლიო მაშსტაბით, მეორე, ერთგვარად შეცვალა ეთნიკური მიკუთვნებულობის, ეთნიკური ვინაობის საერთოდ მნიშვნელობის საკითხი და მესამეც, მისი ერთგვარი არჩევითობის ელემენტი წარმოშვა. თანამედროვე პრობებში ეთნოსი, შეიძლება ითქვას, ვეღარ აიძულებს უცხოს მთლიანად ჩაერთოს მის ცხოვრებაში. ხოლო მის შთამომავლობას უფრო მეტის, ერთ-ერთი მშობლის ეთნიკური მიკუთვნებულობის, თავისი ეთნიკური ვინაობის თავისუფალი არჩევის საშუალება აქვს. ეთნიკური ვინაობის არჩევანზე კი მრავალი სხვადასხვა ფაქტორი (სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და სხვ.) და კონკრეტული სიტუაციები ზემოქმედებს. უფრო მეტიც, თანამედროვეობაში ეს ფაქტორები ხანდახან ზემოქმედებენ არა მარტო ერთი რომელიმე მშობლის ეთნოსის საზიანოდ, არამედ ორივესისაც. ჩვეულებრივად ამას უფრო მეტად ადგილი აქვს დიდ სახელმწიფოში დაქსაქსულად მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის პირების შთამომავლობაში, რომლებსაც, გარკვეული მიზეზების გამო, თავისი მშობლების ეთნიკურ ვინაობაზე მეტად სახელმწიფოს ძირითად ეთნოსისადმი მიკუთვნებულობა აძლევს ხელს. ამის ცხადი მაგალითი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კვლავ ამერიკელი ერია, რომელიც სრულიად სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის პიროვნებების შთამომავლობის მიერ მშობლების ეთნიკური მიკუთვნებულობის დაკარგვითა და სრულიად ახლის მიღებით შეიქმნა საერთოდ.

საერთოდ ენდოგამიის არსისა და მნიშვნელობის გარკვევაში დიდი ღვაწლი მიუძღვის აკად. ი. ვ. ბრომლეის. ეთნოსის თეორიის დახვეწის პროცესში იგი ამ საკითხთან მიიყვანა ეთნოსის სტაბილურობის ფაქტორების ძიებამ. ენდოგამიის საკითხს მან სპეციალური ნაშრომი უძღვნა („Этнос и эндогамия"[25]). შემდეგ ამ ნაშრომს სპეციალური

---

[25] Бромлей Ю. В. Этнос и эндогамия. СЭ, 1969, № 6.

სამეცნიერო დისკუსია მოჰყვა[26], რომელმაც ბრომლეის შეხედულებების, სისწორე სცნო. ამის შემდეგ ბრომლეიმ ეს ნაშრომი (ერთგვარი დამატებებით) შეიტანა მონოგრაფიაში ცალკე თავის სახით, რომელიც ასეა დასათაურებული: „ენდოგამია, როგორც ეთნოსის „სტაბილიზატორი". ეთნოსი და პოპულაცია"[27]. მიუხედავად ზემოთ მოტანილი მცირე ექსკურსისა ენდოგამიის შესახებ, მეცნიერული ეთიკა გვკარნახობს მჭიდროდ მივყვეთ ამ პუბლიკაციებს. აქვე ბოდიში უნდა მოვუხადოთ მკითხველს, რომ ბრომლეის მსჯელობების ლოგიკური მიმდევრობის შეძლებისდაგვარად სრულად გადმოცემის სურვილის გამო ვერ ავცდით (უფრო სწორედ, არ ვეცადეთ) ადრე უკვე აღნიშნული საკითხების ერთგვარ გამეორებებს. მაშ ასე, ენდოგამიის მნიშვნელობა და არსი ამ პუბლიკაციებში ძირითადად ასეა ჩამოყალიბებული: ეთნოსი, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა და გარკვეულად დამოუკიდებელი კომპონენტებისგან შედგება, როგორც წესი, საკმაოდ მდგრად ერთობას წარმოადგენს. ბრომლეი იქვე სვამს კითხვას „რა უზრუნველყოფს ეთნოსის სტაბილურობას?" და უპასუხებს: „როგორც ჩანს, პასუხი ამ კითხვაზე არ შეიძლება ერთნიშნა იყოს, რამეთუ ეთნოსის სტაბილურობის შენარჩუნება დაკავშირებულია ფაქტორების მთელ რიგთან. მაგარმ მათ შორის ეთნოსის სტაბილიზაციის მექანიზმისათვის, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ენდოგამიას"[28]. ენდოგამიის შემქმნელი ფაქტორები სხვადასხვაგვარია — მათ ქმნის ბუნებრივი პირობებიც და საზოგადოებრივი მოვლენებიც. ბუნებრივ საზღვრებს (ეთნოსების ერთმანეთისაგან გამომყოფი მთები, ტყეები, უდაბნოები, მდინარეები და სხვ.) კაცობრიობის ისტორიის ადრეულ ეტაპებზე უფრო არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. თანამედროვე ვითარებაში, მოსახლეობის სიმჭიდროვის გაზრდისა და სატრანსპორტო საშუალებების უაღრესი განვითარების პირობებში მათი მნიშვნელობა არსებითად შემცირდა. საზოგადოებრივი მოვლენებიდან ენდოგამიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხელშემწყობი ფაქტორია ენა. იგი ძველთაგანვე წარმოადგენდა მუდმივ შემფერხებელს შერეული ქორწინებისათვის. შესაბამისად, ორენოვნება მნიშვნელოვნად აადვილებს ასეთ ქორწინებებს. ენდოგამიის ხელშემწყობი ფაქტორია სახელმწიფო პოლიტიკური საზღვრებიც, აგრეთვე, საზოგადოებრივი ცხოვრების სრულიად განსხვავებული სფეროებიც — ყოფისა და კულტურის ელემენტები, წეს-ჩვეულებები, კანონმდებლობა, ქცევის სტე-

---

[26] Обсуждение статьи Ю. В. Бромлея „Этнос и эндогамия", СЭ, 1970, № 3, с. 86—103.

[27] Бромлей Ю. В. Этнос и этнография, М., 1973.

[28] Бромлей Ю. В. იქვე, გვ. 114.

რეოტიპები, წარმოდგენა სილამაზეზე და სხვა. განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც ეთნიკური მიკუთვნებულობის თვითშეგნებას აქვს, რომელიც, აქაც ერთ ფოკუსში უყრის თავს ეთნოსის ენდოგამური ბარიერის სხვადასხვა ფაქტორებს. ყველა ფაქტორის ერთად მოქმედება ქვნის ეთნოსის ჩაკეტილ წრეს ქორწინების თვალსაზრისით. მაგრამ ბუნებაში არც ერთი მოვლენა არ არსებობს მკაცრად სუფთა სახით დაცული. არც ენდოგამია ყოფილა როდისმე გამონაკლისების გარეშე და უცხო ელემენტების შემოსვლა ეთნოსში ძირითადად სწორედ ქორწინების გზით ხდება. რაც უფრო მკაცრად იცავს ეთნოსი ენდოგამიას, ე. ი. რაც უფრო უარყოფითად უყურებს მისი წევრების სხვა ეთნოსის წევრებთან ქორწინებას, მით უფრო სტაბილურია იგი. საქმე იმაშია, რომ ენდოგამიის წესით ეთნოსის წევრების ერთმანეთზე დაქორწინებით (ე. ი. როდესაც ცოლი და ქმარი ერთი ეთნოსის წევრები არიან) შეერწყნილ ეთნიკურად ერთგვაროვან ოჯახში გაჩენილი შთამომავლობის ეთნიკური ვინაობაც თავიდანვე გარკვეულია — მთელი მათი ოჯახი ეთნიკურად ერთგვაროვანია. ეთნოსისთვის ამის მნიშვნელობა პირველ რიგში იმაში მდგომარეობს, რომ ოჯახი, წარმოადგენს რა ადამიანთა პიროვნული კონტაქტების და ბავშვის ინფორმატულობის პირველად კერას, ამით და ამავდროულად ეთნიკური ინფორმაციის, — კულტურის, ტრადიციების, ეთნიკური სპეციფიკის და ა. შ. შთამომავლობაში გადაცემის უმნიშვნელოვანესი არხია. ეთნიკურად ერთგვაროვანი ოჯახი თავისი ეთნოსის კომპონენტებს — ენას, თვითშეგნებას, კულტურის ელემენტებს, და სხვ. სრულიად ბუნებრივად, თავისუფლად (ხშირად გაუცნობიერებლადაც კი) გადასცემს შთამომავლობას ყოველდღიური, ყოველწუთიერი ურთიერთობების დროს. თავისთავად, ეთნიკური კულტურისა და სპეციფიკის თაობიდან თაობაში გადაცემა-კვლავწარმოება და დაცვა შემდეგ უკუმოქმედების ძალით თვითონვე უწყობს ხელს ეთნოსის კომპონენტების შინაინტეგრაციას. ამგვარად, ცხადია, რომ ენდოგამია ეთნოსის სტაბილურობისა და „დამცველი მექანიზმის" ფუნქციის მატარებელია ეთნოსისათვის და, შესაბამისად, მისი განვითარების ცალკეული ეტაპებისთვისაც — ტომი იქნება ის, ეროვნება თუ ერი. ეს განსაკუთრებით ნათელი ხდება ენდოგამიისა და ეთნიკური თვალსაზრისით შერეული ქორწინებების შედეგების ილუსტრირებით. დღესდღეობით, მაღალგანვითარებული კომუნიკაციური საშუალებებისა და ერთა დაახლოების პირობებშიც კი ეთნოსების უმეტესობა საშუალოდ 85—90%-ით ინარჩუნებს ენდოგამიას, ე. ი. დაქორწინებულთა დაახლოებით 10—15% არღვევს ენდოგამიას — სხვა ერის წარმომადგენელზეა და-

ქორწინებული, დანარჩენი კი — თავისაზე. ეთნოსის ბედისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა შეიძლება აღმოაჩნდეს იმას, თუ ბიეთნიკურ ოჯახებში დაბადებული ბავშვების რა წილი შეინარჩუნებს ამ შემთხვევაში ძირითადი ეთნოსისადმი მიკუთვნებულობას. ამის საილუსტრაციოდ ბრომლეი მსჯელობს ენდოგამიის მხოლოდ 10%-ით დარღვევის შემთხვევაზე (ე. ი. ენდოგამიის 90%-ის პირობებში) ე. წ. მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოების პირობებში. მოსახლეობის მარტივი კვლავწარმოების პირობებში მისი დაანგარიშებით, თუ ბიეთნიკური ოჯახების უკლებლივ ყველა ბავშვი მიეკუთვნება სხვა ეთნოსს, არანაკლებ 5—6 თაობაში (ე. ი. სულ ცოტა 100—150 წელიწადში) ეთნოსი განახევრდება. თუ კი ბავშვების 75% მიეკუთვნება სხვა ეთნოსს, მაშინ ეთნოსის განახევრრებას უკვე 10 თაობა მაინც დასჭირდება. ხოლო თუ ასეთი ბავშვების მხოლოდ ნახევარი ამოერიცხა თავის ეთნოსიდან (ე. ი. თუ შთამომავლობა მექორწინეთა ეთნოსებს შორის თანაბრად განაწილდება), მაშინ ეთნოსების რაოდენობრივი შეფარდებები ფორმალურად ივივე რჩება. მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც დიდია მისი მოქმედების ძალა. საქმე იმაშია. რომ შერეული ქორწინებების შედეგად გარდუვლად ძლიერდება დაქორწინებულთა ეთნოსების დამახასიათებელი ნიშან-თვისებების დიფუზია ერთმანეთში. ასეთ შემთხვევაშიც ორივე ეთნოსის ტრადიციული (ეთნიკური) მახასიათებლები ობიექტურად მაინც მცირდება. ამასთანავე, შერეული ქორწინებების ერთი და იგივე რიცხობრივი რაოდენობა დიდ და მცირერიცხოვან ეთნოსებისთვის სხვადასხვა პროცენტს შეადგენს — მცირერიცხოვანი ეთნოსისათვის ეგი პროცენტულად უფრო დიდი გამოდის, ზემოქმედების ძალაც მეტი აქვს, ამიტომ მცირერიცხოვანი განიცდის ასიმილაციას. „ეთნოსის სიმტკიცის შენარჩუნებაში, — განაგრძობს შემდეგ ბრომლეი, — ენდოგამიის დიდი როლის დამადასტურებელია ის გარემოება, რომ ენდოგამიის მნიშვნელოვან დარღვევას საბოლოოდ გარდუვალად მოსდევს ეთნოსის ძირიანი მოდიფიკაცია (სრული გაქრობის ჩათვლით). ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეთნიკური თვალსაზრისით შერეული ქორწინებები წარმოადგენს ორი ან რამდენიმე ეთნიკური ერთობების სინთეზის საფუძველზე ახალი ეთნოსის ფორმირების ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტთაგანს... ასე რომ, ენდოგამია თუ ერთი მხრით, ძირითადი დამახასიათებელია ეთნოსისათვის მისი წარმოშობის მომენტიდანვე, მეორე მხრით, ეთნოსის ენდოგამიის მნიშვნელოვანი დარღვევა — მისი (ეთნოსის. ბ. მ.) დაქცევის მაუწყებელია"[29].

---

[29] Бромлей Ю. В. Этнос и этнография, с. 116—118.

ამრიგად, ასკვნის ბრომლეი, — ეთნოსისა და ენდოგამიის ურთიერთკავშირი, როგორც ჩანს უდავოა — იგი ეთნოსის დამახასიათებელი ნიშანია. მაგრამ არა განმსაზღვრელი და მთავარი, არამედ დამატებითი, — რადგან ეთნოსის განმსაზღვრელია ნიშან-თვისებების მთელი ერთობლიობა, მთელი სისტემა და არა რომელიმე მათგანი ცალკე აღებული. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ეთნოსი შეიძლება გაქრეს ენდოგამიის შენარჩუნების პირობებშიც, — ეთნიკური თვითშეგნების შეცვლის გამო.

ამასთანავე, თუ ერთი მხრით, ენდოგამიის დარღვევა ეთნოსის არსებობას საფრთხეს უქმნის და მის ასიმილირებას მოასწავებს ასიმილატორ ეთნოსთან, მეორე მხრით, მისი არსებითი დარღვევა ახალი ერების ჩამოყალიბების საფუძველს ქმნის. ამის მაგალითები ახალ ისტორიაშია სწორედ უამრავი, როცა ეთნიკური პროცესებისათვის საჭირო ხანგრძლივ დროსთან შედარებით უმოკლეს პერიოდში მრავალი ერი ჩამოყალიბდა არა მარტო ბიეთნიკური, არამედ რასთაშორისი ქორწინებების გზით (მაგალითად, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ხალხები).

განსაკუთრებით საინტერესოა ბრომლეის შეხედულებები ენდოგამიის, ეთნოსის და პოპულაციის ურთიერთმიმართების საკითხში. ამ ურთიერთ მიმართების ამოსავალია ის ფაქტი, რომ ქორწინება არა მარტო სოციალური მოვლენაა, არამედ ბიოლოგიურიც. ქორწინების ამ არსიდან გამომდინარე, ენდოგამიაც, ასევე, არა მარტო სოციალური მოვლენაა, არამედ ბიოლოგიურიც. სწორედ ამის გამო ენდოგამიის მიერ შექმნილი ბარიერი, ეთნოსის გენეტიკური ბარიერია. თავის მხრით, ეს განაპირობებს ყოველ ეთნოსში ძასთან შეუღლებელი[30], შერწყმული პოპულაციის არსებობას. პოპულაცია კი იერარქიული მოვლენაა. პოპულაცია—დემსა და პოპულაცია—მთელ კაცობრიობას შორის აურაცხელი რაოდენობის დამოუკიდებელი პოპულაციებია, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გენეტიკური ბარიერის ინტენსივობის, ე. ი. მასში შეუღწევადობის ხარისხით. ეთნოსთან შეუღლებულ პოპულაციებში ხშირად უფრო მცირე ზომის ენდოგამიური ერთეულები — სუბპოპულაციები არსებობენ (მაგ., რელიგიური კასტები და სექტები, ზოგან სოციალური ფენებიც კი). ამიტომ ენდოგამიის სოციალური და ბიოლოგიური შედეგები ყოველთვის არ

---

30 რუსულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ამ კავშირის აღსანიშნავად იხმარება სიტყვა „сопряженность". ქართულად შეიძლებოდა გვეხმარა „დაკავშირებული", „ჩართული", „გაერთიანებული" და ა. შ. მაგრამ, რადგან ეთნოსების გაერთიანებაში ქორწინებაც ასრულებს მნიშვნელოვან როლს, ამიტომ ვამჯობინებთ ამ სიტყვის თარგმნის ერთ-ერთი ვარიანტის — „შეუღლებულის" — ხმარებასაც.

ემთხვევა ერთმანეთს — მის მიერ გამოყოფილი სოციალური (ეთნოსი) და გენეტიკური (პოპულაცია) ყოველთვის არ მოიცავენ და გადაფარავენ ერთმანეთს. მაგალითად ერთ ეთნოსს სხვადასხვა რასების პოპულაციებიც შეიძლება ქმნიდნენ (მაგ., ლათინური ამერიკის ხალხები). ჩვეულებრივ პირობებში ეთნოსის პოპულაციების შინა დანაყოფებს, შინატერიტორიულ ერთეულებს, ცალკეული დასახლებები ქმნიან. მაგრამ მათი ენდოგამურობა მკაცრად არ იცვლებოდა არც წინათ და მითუმეტეს, არც ახლა. სწორედ ეს ქმნიდა და ქმნის უწყვეტობას ქორწინებაში მთელი ეთნოსის შიგნით. ე. ი. პოპულაციები, რომლებიც ადრე ცალ-ცალკე იყვნენ ენდოგამური ბარიერებით გამოყოფილი, ეთნოსის ფარგლებში ერთმანეთთან ქორწინებებს ახშირებენ — იქმნება ახალი, უფრო ფართო ენდოგამური წრე, მთელი ეთნოსის ენდოგამური წრე, რომლის ბარიერები გაცილებით უფრო მყარია (განსაკუთრებით თუ ეთნოსის და სახელმწიფოს საზღვრები ემთხვევა ერთმანეთს).

ამ მხრივ გამონაკლისებს წარმოადგენენ იზოლატები, რომლებსაც ენდოგამიის ძალიან მაღალი დონე აქვთ. ამასთანავე, თუ იზოლატები შედარებით მდგრადი აღმოჩნდებიან, მაშინ ისინი გარდუვლად იძენენ ეთნიკურ მახასიათებლებს. ასეთ შემთხვევაში ისინი ძირითადი ეთნოსის სუბეთნოსებს წარმოადგენენ, რომლებიც ან ჯერ ბოლომდე ვერ გამოეყვნენ მას, ან იმ სხვა ეთნიკური ჯგუფის ნარჩენები არიან, რომლებიც ჯერ კიდევ არ ასიმილირებულან მთლიანად. ასეთ როლში შეიძლება გამოვიდნენ ტერიტორიული ჯგუფებიც, ეთნოგრაფიული ჯგუფებიც და სოციალური კასტებიც.

ყოველ პოპულაციას — განაგრძობს ბრომლეი, — ვენეტიკური ფონდის გაძლიერების ტენდენცია აქვს. ეს ახასიათებს ეთნოსთან გაერთიანებულ პოპულაციებსაც. მაგრამ ცალკეული პოპულაციების გამაერთიანებელი ეთნოსის ერთიანი ფართო ენდოგამური წრე (რომელიც იქმნება ამ ცალკეული პოპულაციების საკუთარი ენდოგამური წრეების მოშლით, — ერთმანეთზე დაქორწინებით) თანდათან ითანაბრებს პოპულაციების ანთროპოლოგიურ განსხვავებებს. ამ გათანაბრების ინტენსიურობა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, მაგალითად, პოპულაციის რიცხობრივ რაოდენობაზე, მისი არსებობის ხანგრძლივობაზე, გარე და შინა ბარიერების სიმტკიცეზე და სხვ. ამ საკითხს ბრომლეი, ანთროპოლოგიური მეცნიერების მონაცემების კვალდაკვალ განიხილავს მხოლოდ დიდი პოპულაციური გაერთიანებების ანთროპოლოგიურ ტიპად ჩამოყალიბების საკითხის დონეზე და აღნიშნავს, რომ, ენდოგამიის გენეტიკური შედეგები თუ ეთნოსთა უმეტესობაში ვერ მივიდა ერთიანი გენოფონდის შექმნამ-

დე (რომ, მაგალითად, ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები და სხვ. ანთროპოლოგიურად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან), ზოგან ჩამოყალიბდა თავისებურ ანთროპოლოგიურ ტიპად (მაგალითად, იაპონელები).

შემდეგ ბრომლეი განიხილავს ეთნოსისა და პოპულაციის მიმართების საკითხის ვითარებას საბჭოთა მეცნიერებაში და კონკრეტულად განიხილავს ი. ნ. გუმილევის და ვ. ი. კოზლოვის შეხედულებებს. იგი აკრიტიკებს გუმილევის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ეთნოსი არის ბიოლოგიური ერთეული — პოპულაცია. ბრომლეის მოაქვს ციტატები გუმილევის ნაშრომიდან, რომ „ეთნოსი მეტნაკლებად მყარია, თუმცა იქმნება და ქრება ისტორიულ დროში. ეთნოსის განმარტებისათვის არცერთი რეალური ნიშანი არ არის მუდმივად გამოსადეგი: ენა, წარმოშობა, წეს-ჩვეულებები, მატერიალური კულტურა, იდეოლოგია — ხანდახან წარმოადგენენ ეთნოსის განმსაზღვრელ მომენტებს, ხანდახან კი — არა... ფრჩხილს გარეთ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ერთი მომენტი გამოვიტანოთ — ყოველი არსების აღიარება, რომ „ჩვენ ესა და ეს ვართ, ყველა დანარჩენი კი სხვაა“... რამდენადაც ეს მოვლენა საყოველთაოა, ამდენად იგი შესაბამისად ასახავს რაღაცა ფიზიკურ თუ ბიოლოგიურ რეალობას“[31]. ბრომლეი აკრიტიკებს გუმილევის ბოლო წინადადებას. იგი თვლის, რომ აუხსნელი რჩება „საყოველთაობა“, ამ რაღაც რეალობას რატომ აძლევს ფიზიკურ თუ ბიოლოგიურ ხასიათს, როცა ანტითეზა „ჩვენ“ — „ისინი“, პირიქით, ჩვეულებრივად და პირველ რიგში ეთნოკულტურულ განსხვავებებს ემყარება. კაცობრიობის განვითარებაში სოციალური მოვლენების მნიშვნელობის განუხრელი ზრდა იწვევს პოპულაციის ჩამოყალიბებაში სოციალური ფაქტორების როლის სულ უფრო და უფრო ზრდასაც. გუმილევმა კი ეთნოსის დაყვანით „ფიზიკურ თუ ბიოლოგიურ რეალობამდე“, — ასკვნის ბრომლეი, — იგი მთლიანად გაიგივა პოპულაციასთან. სინამდვილეში კი ეთნოსთან შერწყმული პოპულაცია თვითონ არის ეთნოსისაგან წარმოქმნილი მოვლენა, იმ ფაქტორებისგან წარმოქმნილი, რომლებიც ეთნოსის ენდოგამიას ქმნიან — ესენი კი ძირითადად სოციალური ფაქტორებია. ამდენად, პოპულაცია კი არ არის ეთნოსის საფუძველი, არამედ ეთნოსის ჩამომყალიბებელი სოციალური ფაქტორები (მათ შორის თვითშეგნება) წარმოქმნიან მასთან შეუღლებულ პოპულაციებს. პოპულაციისა და ეთნოსის, ბიოლოგიურის და არაბიოლო-

---

[31] Гумилев Н. Л. О термине «этнос». წიგნში — Доклады Географического общества СССР. вып. 3, Л., 1967, 4—5. წიგნიდან Бромлей Ю. Этнос и эндогамия, с. 122.

გიურის კავშირი თავისთავად უდავოა, მაგრამ ეს კავშირი ამ შემთხვევაში არ არის პირველადი და განმსაზღვრელი. ამიტომაა, რომ ყველა პოპულაცია არც არის ეთნოსი. არის კასტური, რელიგიური და სხვა პოპულაციები. ამ სოციალურ ერთობებს შორის ეთნოსი თითქმის ყველაზე სტაბილურია. თავის მხრივ, აქედან გამომდინარეობს დემოგრაფიული პარამეტრების — შობადობის, მოკვდაობის, ბუნებრივი მატების, ასაკობრივი შემადგენლობის და სხვ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეთნოსის ბედისთვის. სწორედ ყველაზე მეტად ამ სფეროში ჩანს ეთნოსისა და პოპულაციის ურთიერთქმედება.

შემდეგ ბრომლეი განიხილავს ვ. ი. კოზლოვის შეხედულებას ამ საკითხზე. კოზლოვის აზრით შობადობის, ანუ მოსახლეობის ბუნებრივი კვლავწარმოების თავისებურებების (ე. ი. ძირის ძირში ბიოლოგიურ მოვლენების) განმსაზღვრელი ფაქტორების უმეტესობა ან უშუალოდ არის დაკავშირებული ეთნოსთან (ხალხური კულტურით, ყოფითა და ტრადიციებით), ან, უფრო ხშირად, არაპირდაპირ (ანთროპოლოგიური თავისებურებებით, ეთნოსის ტერიტორიის ბუნებრივი პირობებით, მეურნეობის სპეციფიკით, რელიგიით და ა. შ.). ეს კავშირი, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ადრეულ ეტაპებზე უფრო მკაფიოდ მოქმედებდა, განვითარების გვიან საფეხურებზეც შეიძლება წარმოჩნდეს. უფრო მეტიც, ტრადიციული კულტურის, ყოფა-ცხოვრებისა და ეთნიკური ფსიქიკის გავლენით ზოგმა ისეთმა ფაქტორებმაც კი შეიძლება შეიძინოს ეთნიკური ასპექტი, რომელსაც ერთი შეხედვით არავითარი კავშირი არ აქვს ეთნოსთან (მაგალითად, ხალხთამოსახლეობის ერთიანი პოლიტიკა მრავალეროვანი სახელმწიფოს მასშტაბით).

დაბოლოს, — ასკვნის ბრომლეი, — ბიოლოგიური და არაბიოლოგიური მოვლენების ურთიერთკავშირი ეთნოსის დონეზე არ გამორიცხავს ეთნოსისა და მასთან შეუღლებული პოპულაციების განსხვავებასაც. ეს განსაკუთრებით ცხადად ჩანს მათი კვლავწარმოების მოდუსებში. პოპულაციებში ეს კვლავწარმოება ხორციელდება დნმ-ის სქესობრივი უჯრედების გენეტიკური ინფორმაციის გადაცემით თაობიდან თაობაში. ეთნოსის კვლავწარმოება კი ეფუძნება არაბიოლოგიურ კომუნიკაციურ კავშირებს.

ამგვარად, ბრომლეი ეთნოსისა და პოპულაციის ურთიერთმიმართების საკითხს მარქსისტული თვალსაზრისით ხსნის. მისი მიდგომა თავისუფალია გადახრებისაგან — ნათელია სოციალური საწყისების უპირატესობა და არც ბიოლოგიური საწყისებია დაჩრდილული. ეთნოსის კვლევაში სწორედ პოპულაციის ჩართვა, საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დაგროვილი ცოდნის სინ-

თეზი, კერძოდ, ის, რომ პოპულაციის და ეთნოსის კავშირი უდავოა, მიიჩნია ზემოაღნიშნულმა დისკუსიამ (რომელშიც 21 ავტორიტეტული მეცნიერი იღებდა მონაწილეობას, მათ შორის ანთროპოლოგებიც) საბჭოთა ეთნოგრაფიის მნიშვნელოვნად წინგადადგმულ ნაბიჯად. არანაკლებ საინტერესოა ჟურნალ „Советская этнография"-ს (რომელმაც 1970 წ. № 3-ში გამოაქვეყნა ამ დისკუსიის მასალები) რედკოლეგიის მოკლე დანართი: „ჟურნალი „Советская этнография"-ს რედკოლეგია, უერთდება რა განსახილველი სტატიის საერთო დადებით შეფასებას. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სტატიაში ნაყოფიერად არის განხილული ერთ--ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი ასპექტი კარდინალური მეთოდოლოგიური პრობლემისა — სოციალურისა და ბიოლოგიურის ურთიერთმიმართების შესახებ".

ამ შემთხვევაში საქმე იმაშია, რომ, როგორც ცნობილია, საერთოდ ადამიანის არსის, კაცობრიობის ისტორიული განვითარების და საზოგადოებრივი ურთიერთობების წარმოშობის საფუძვლების შესახებ მრავალი კონცეფცია არსებობს. მე-18 საუკუნიდან მოყოლებული წარმოიშვა და გაძლიერდა ადამიანის არსის ახსნის სხვადასხვა ბიოლოგიური, ე. წ. „ბიოლოგიზატორული" კონცეფციები — ანტროპოლოგიური, ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური, გეოგრაფიული დეტერმინიზმის, სოციალური დარვინიზმის, ბიჰევიორიზმის, რედუქციონიზმის, ფროიდიზმის და სხვა მოდერნიზებული კონცეფციები. განსხვავებების მიუხედავად, ამ კონცეფციებს აერთიანებს ის, რომ ადამიანს განიხილავს როგორც მხოლოდ და მხოლოდ ბუნების ნაწილს, წმინდა ბიოლოგიურ არსებას, რომლის შემეცნების ფორმირებაზე (და საერთოდ საზოგადოებრივი პროცესების მსვლელობაზე) უშუალოდ ზემოქმედებს ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური თუ ფსიქოლოგიური თავისებურებანი და არა საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკა. ამ კონცეფციების ძირითადი მიმართულება რასობრივი და სოციალური უთანასწორობის ბუნებრივობისა და გარდუვალობის მტკიცებაა. ამდენად, ამ კონცეფციებმა თუ, ერთი მხრით, დიდი როლი შეასრულეს ადამიანის წარმოშობის თეოლოგიურ კონცეფციასთან ბრძოლაში, მეორე მხრით, სხვადასხვა სახის რეაქციულ თუ რასისტულ თეორიებს დაუდეს საფუძველი. ამ თეორიების თანამედროვე მიმდევრები ცალმხრივად განიხილავენ გენეტიკის მონაცემებს, რაც აძლიერებს მათ „ბიოლოგიზატორულ" ტენდენციებს, ე. წ. „გენეტიკური ინჟინერიის" საშუალებით ადამიანის სელექციისა და კაცობრიობის გენოფონდში

ჩარევის მოთხოვნების ტენდენციებს. გენეტიკოსების XIII საერთაშორისო კონგრესი (აშშ), ერთსულოვნად გამოვიდა გენეტიკის მონაცემების რეაქციული აზრით გამოყენების წინააღმდეგ.

არსებობს ამ კონცეფციების საპირისპირო მიმდინარეობაც — ადამიანის არსის ე. წ. „ვულგარულ-სოციოლოგიზატორული" კონცეფცია (ფრანგული სოციოლოგიური სკოლა, ფილოსოფიური ანთროპოლოგია, თეოლოგიური ჰუმანიზმი და სხვ.), რომლის მიხედვით ადამიანის არსი ამოდის სულის პრინციპიდან — ე. ი. დამოუკიდებელია ბიოლოგიურისგან, თუ ორგანულ-ბუნებრივი საწყისისგან და წარმოადგენს კულტურის, „სოციუმის" ერთგვარ შენაერთს. ამ კონცეფციების მიმდევრები თუ კი აღნიშნავენ ბიოლოგიურ საწყისს, მხოლოდ მისი სრული დაქვემდებარებების აზრით სოციალურისადმი. ამ ორ საპირისპირო მიმდინარეობებს შუა მდგომმა და თითქოსდა გამაერთიანებელმა დუალისტურმა კონცეფციამაც ვერ მოგვცა სწორი დასკვნები, რადგანაც ადამიანის ორივე საწყისის თანაბრობისა და მათი მექანიკური შეერთების მტკიცებით ადამიანის არსის დუალისტურ გაგებამდე მივიდა. ასეთ პირობებში განსაკუთრებით გაძლიერდა გენეტიკის თანამედროვე მონაცემების მარქსისტული თვალსაწიერით ვანხილვის მოთხოვნა. ბურჟუაზიული კონცეფციების თანამედროვე მიმდევრები ამას შეუძლებლად მიიჩნევენ. ამის დასაბუთებისათვის ისინი იშველიებენ იმ ფაქტს, რომ მარქსიზმის ჩამოყალიბების დროს გენეტიკას, განვითარების საწყისი დონის გამო, ისეთი მნიშვნელოვანი მონაცემები არ ჰქონდა, რომ ფილოსოფიური გააზრების ობიექტი ყოფილიყო. ამიტომ თითქოსდა ადამიანის ბიოლოგიური არსი მარქსისტული ფილოსოფიის გარეთ დარჩა. გენეტიკოს-ფილოსოფოსებმა კი დაასაბუთეს, რომ სწორედ მარქსისტული ფილოსოფიის დებულებები ადამიანის არსისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებების შესახებ — მარქსისტული მონიზმი — იძლევა გენეტიკურისა და სოციალურის ურთიერთმიმართების სწორ გასაღებს. მარქსისტული მონიზმის მიხედვით ორივე საწყისი, ბიოლოგიური და სოციალური, ადამიანის მთლიანობის გენეტიკურად და ფუნქციურად დაკავშირებულ დონეებს წარმოადგენენ. მაგრამ საზოგაოებრივი მეცნიერების შიერ სოციალური საწყისის მნიშვნელობის მტკიცების მუდმივმა საჭიროებამ სხვადასხვა რეაქციულ კონცეფციებთან ბრძოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ჯეროვანი გამოუყენებლობის ერთგვარი ინერციაც წარმოშვა (რის გამოც საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, როგორც ცნობილია, სამართლიანად საყვედურობენ საზოგადოებრივ მეცნიერებებს) და გააძნელა მარქსისტული მონიზმის სწორი გააზრება ეთნოსის თეორიაში. ამიტომ მიიღო ბრომლეის კონ-

ცეფციამ ასეთი ფართო რეზონანსი. ამიტომ იყო, რომ აღნიშნულმა დისკუსიამ ამ თვალთახედვით კვლევის კიდევ უფრო ჩაღრმავების საჭიროება წარმოაჩინა. მაგალითად, სხვა მრავალთა შორის, გამოითქვა მოსაზრება, რომ „საჭიროა ვეცადოთ გავერკვეთ (ეს, როგორც ჩანს, ანთროპოლოგიის ამოცანაა) დროის იმ მონაკვეთებში, რომელთა განმავლობაში იქმნება (თუ სტაბილურდება) „გენოფონდი", რაც საშუალებას მოგვცემს ვილაპარაკოთ მკვეთრად გამოყოფილ პოპულაციებზე" (პოკშიშევსკი ვ. ვ.).

სამწუხაროდ, ადამიანის ბიოლოგია და გენეტიკა, მიუხედავად უაღრესად დიდი მიღწევებისა შედარებით მოკლე დროში, ჯერჯერობით მთლიანი ეთნოსის გენეტიკურ კვლევას ვერ ისახავს თავის ამოცანად. მათი შესაძლებლობის ფარგლებში ჯერჯერობით მხოლოდ შედარებით მცირე ზომის პოპულაციების გენოფონდების შესწავლაა, ანდა რომელიმე ცნობილი გენის, ანტიგენის, სისხლის ჯგუფების და ა. შ. გავრცელების არეალების დადგენა (ასე რომ, ეთნოგრაფიასაც აქვს სამართლიანი უკუპრეტენზიის საფუძველი მათ მიმართ). ძათი კვლევის ობიექტი — პოპულაცია კი რომელ ეთნიკურ ერთობას ემთხვევა, ძნელი მისათვალთვალებელია ბრომლეის ნაშრომებში. იგი ხან მთელი კაცობრიობის პოპულაციაზე მსჯელობს, ხან მის მცირე ერთეულებზე. ჩვენი შთაბეჭდილებით იგი უმეტესად სუბეთნოსებს და ეთნოგრაფიულ ჯგუფებს გულისხმობს. მთავარია, რომ ბრომლეის მიერ ეთნოსსა და პოპულაციას შორის უდაო კავშირის აღიარება გარკვეულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს მეცნიერებაში, თუმცა, ჩვენი აზრით, ეთნოსის ამ მიმართებით კვლევის მხოლოდ დასაწყისს წარმოადგენს, რადგან უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში გენეტიკამ კვლავ წაიწია წინ და მისი ტერმინოლოგია უკვე აკავშირებს მთელ ეთნოსს და პოპულაციას (მაგალითად: „ფრანგების პოპულაცია", „ინგლისელების პოპულაცია" და ა. შ.). ამ მიმართებით კვლევაში სამედიცინო გენეტიკამ გარკვეული წარმატებები მოიპოვა საბჭოთა კავშირშიც და, კერძოდ, საქართველოშიც. მოვიტანთ ერთ-ერთი უახლესი გამოკვლევის მონაცემებს: ქართულ პოპულაციაში HLA სისტემის ანტიგენების გავრცელების შესასწავლად საქართველოს ყველა კუთხიდან შერჩეულ და გამოკვლეულ იქნა ხუთასამდე ქართველი (18—60 წლის, ორივე სქესის, ჯანმრთელი, არანათესავები). აღმოჩნდა, რომ ქართველებში HLA ანტიგენის სისტემის ყველა გენი გვხვდება სხვადასხვა სიხშირით. მაგრამ ქართული პოპულაციის განმასხვავებელი სხვებისაგან ის არის, რომ განსაკუთრებული მაღალი სიხშირით გვხვდება HLA A2, B5 და

Bw 35 გენები. (საინტერესოა, აგრეთვე, რომ ქართული პოპულაცია ჰაპლოტიპის A1—B8 შეხვედრის დაბალი სიხშირით ემთხვევა ე. წ. „კლასიკურ კავკასიოიდურს"). პარალელურად მიმდინარეობდა კვლევა ექვს ქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფშიც — რაჭაში, ქართლში, კახეთში, იმერეთში, აჭარასა და სამეგრელოში (გამოკვლეულთა მთელმა ერთობლიობამ შეადგინა 1137 ქართველი). როგორც მოსალოდნელიც იყო, ზოგადქართული და მისი ეთნოგრაფიული ჯგუფების კვლევის მონაცემები ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს, ე. ი. მთელ ქართულ პოპულაციაში (ზოგადადაც და კონკრეტულ ეთნოგრაფიულ ჯგუფებშიც) აღნიშნული გენები დაახლოებით ერთი და იმავე სიხშირით არსებობს. ამ გენების სისტემის კომპლექსის მიხედვით მთელი ქართული პოპულაცია შედარებით ახლო მდგომი აღმოჩნდა, მაგალითად, სამხრეთ ევროპის პოპულაციებთან და განსხვავდება შუა და ჩრდილოეთ ევროპის პოპულაციებისაგან[32].

უნდა ვივარაუდოთ, რომ ასე თანდათან, ცალკეული გენების სისტემების ამა თუ იმ პოპულაციაში შეხვედრის სიხშირის დადგენით, გენეტიკა დაადგენს ცალკეული პოპულაცია — ერების გენოფონდების შემადგენლობებსაც. ამის გარანტიას იძლევა, ერთი მხრით, გენეტიკის საოცრად სწრაფი განვითარების ტემპები და მეორე მხრით, ეთნოსის (განსაკუთრებით არქოგენეტიკურის) წევრებში არსებული რწმენა საერთო წარმოშობის შესახებ, გამოხატული ცნებით — „ჩვენ".

მიუხედავად გენეტიკის ზემოთმოტანილი მონაცემების უაღრესად დიდი მნიშვნელობისა ეთნოსის თეორიისათვის, ჩვენ ვფიქრობთ, კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე გენეტიკის მონაცემების მარქსისტული გააზრების საფუძველზე ფილოსოფოს-გენეტიკოსების მიერ შექმნილ კონკრეტულ თეორიას. ამ ახალი თეორიის მიხედვით **ადამიანის გენეტიკურ პროგრამასა და გენეტიკურ მემკვიდრეობითობასთან ერთად არსებობს საზოგადოების სოციალური პროგრამა და სოციალური მემკვიდრეობითობა.** ეს ჯერ ჩამოაყალიბა საბჭოთა გენეტიკოსმა დუბინინმა[33], შემდეგ კი განავითარეს გერმანელმა მეცნიერმა დიტლმა, გაზემ და კრანჰოლდმა ერთობლივ ნაშრომში „ადამიანის გენეტიკა სოციალისტურ საზოგადოებაში"[34]. აღნიშნული გენეტიკოს-ფილოსოფოსები თავის თეორიას საფუძვლად

---

32 Махатадзе Н. И. Особенности HLA антигенов в грузинской популяции (автореферат). Тбилиси, 1986.

33 Дубинин Н. П., Шевченко Г. Ю. Некоторые вопросы биосоциальной природы человека. М., 1976.

34 Дитль Г. М., Газе Г. Г., Крапхольд Г. Г. Генетика человека в социалистическом обществе. М., 1984.

უდებენ მთელი კაცობრიობის კულტურის აღმავალი გზით განვითარების ანალიზს. ეთნოსი მათი დაკვირვების ობიექტს არ წარმოადგენს. მაგრამ, როგორც დავინახავთ, ეს თეორია სწორედ ეთნოსის თეორიას ესადაგება და მათი კავშირი ორივე მათგანის განვითარების შესაძლებლობებს ხსნის. ამ თეორიის დასაბუთებაც კაცობრიობის დასაბამიდან იწყება:

თანამედროვე ადამიანის ფორმირების დასრულება, ე. ი. ჰომო საპიენსის საბოლოო ჩამოყალიბება, პირველ ყოვლისა, მდგომარეობდა მისი გენეტიკური პროგრამისა და გენეტიკური მემკვიდრეობითობის შექმნაში. ადამიანის ბიოლოგიური ჩამოყალიბების შემდეგ მის გენეტიკაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. იმ უხსოვარი დროიდან მოყოლებული თანამედროვეობამდე კაცობრიობამ უზარმაზარ წინსვლას მიაღწია — შექმნა მძლავრი საწარმოო ძალები, შექმნა ტექნიკა და მეცნიერება და შეძლო მათი მაღალი ფორმების განვითარება, გაიარა მნიშვნელოვანი სოციალური ძვრები, მაღალ დონეზე აიყვანა ხელოვნება და მორალი, შეუდარებლად აამაღლა შრომისა და ყოფაცხოვრების ფორმები, გარკვეულად გაბატონდა ცოცხალ თუ არაცოცხალ ბუნებაზე და სხვა მრავალ წარმატებას მიაღწია. და მიაღწია ყოველივე ამას ადამიანის გენეტიკურ პროგრამასა და მემკვიდრეობითობაში არსებითი ცვლილებების გარეშე. ამიტომ, როგორი დიდიც არ უნდა იყოს ადამიანის გენეტიკური საფუძვლის მოქმედების ძალა, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ასეთი ფანტასტიკური მიღწევების მიზეზად. ამის მიზეზი მდგომარეობს თვით ადამიანის სოციალურ არსში. ადამიანის სოციალური არსი მისი ბუნების ნაწილია, რადგან მან ქმნის ადამიანის თანდაყოლილი განსხვავება ცხოველთა დანარჩენ სამყაროსგან — ეს არის წარმოების უნარი და მიზანდასახულობა. ამ თანდაყოლილ მიზანდასახულობას და წარმოების უნარს შემდეგ მუდმივად ავითარებდა და ავითარებს შრომის კოლექტიური, საზოგადოებრივი ხასიათი. განვითარების გადამწყვეტი მიზეზი კი ის არის რომ ადამიანებმა გენეტიკური პროგრამის გვერდით შექმნეს მეორე პროგრამა — სოციალური. „საზოგადოებრივი შრომითი ურთიერთობანი, — წერს დუბინინი — წარმოსდგნენ ახალ ძალად, რომელიც შექმნა თვით homo sapiens-მა. ადამიანის პროგრესის უმნიშვნელოვანესი თავისებურება იყო ის, რომ სოციალური ევოლუციის შინაარსი, როგორც გენეტიკის კანონები გვიჩვენებს, არ შეიძლება ჩაწერილი ყოფილიყო გენში, იგი არ იყო ბიოლოგიური ევოლუციის საგანი. საზოგადოებრივი შრომითი საქმიანობის შედეგები აღზრდით გადაეცემოდა თაობიდან თაობას სოციალური პროგრამის ფორმით. დღეს ცხადი ხდება, რომ სწავლება სოციალური მემკვიდრეობის შე-

სახებ ადამიანსა და ცხოველს შორის თვისობრივი განსხვავების გაგების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ... ადამიანში მემკვიდრეობითობის ბიოლოგიური საფუძვლების ცვლილებებმა თავისი წამყვანი ადგილი დაუთმო სოციალური პროგრამის ცვლილებებს. ადამიანის, როგორც სოციალური არსების, განვითარებაში ეს გახდა მთავარი... ადამიანის და ცხოველის ქცევას შორის უფსკრული გაჩნდა ამ ახალი თვისების, კერძოდ, სოციალური მემკვიდრეობითობის გაჩენის გამო[35]. აულტურული მემკვიდრეობითობის არსებობა წარმოადგენს ადამიანთა წარმოშობის, არსებობის და პროგრესის თვისობრივი პრინციპის უმთავრეს ელემენტს და სწორედ ეს, კაცობრიობის კულტურული ტრადიციების ფუნდამენტური მნიშვნელობა, არის სოციალური მემკვიდრეობითობა. კაცობრიობამ თავისი საზოგადოებრივი განვითარების პროცესში გამოიმუშავა ერთხელ შექმნილი მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა თაობიდან თაობაში მემკვიდრეობით გადაცემის მექანიზმი — ყოველი წინა თაობა მომდევნოს აღზრდის გზით გადასცემს გარკვეული მოცულობისა და შინაარსის კულტურას, რომლის საშუალებითაც ეს მომდევნო აგრძელებს საზოგადოებრივ პროგრესს.

ამრიგად, ამ თეორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ცნებებს „თაობა“ და „აღზრდა“ და მათში შემავალი კომპონენტების ურთიერთზემოქმედებას, რომლის შედეგადაც ყველა თაობა თავიდან, ცარიელი ადგილიდან კი არ იწყებს თავის არსებობას, არამედ აქტიურად ითვისებს ძველი თაობების მიერ დაგროვილ კულტურულ მემკვიდრეობას, თითოეული ავსებს მას ახალი მიღწევებით და გადასცემს მომავალს შემდგომი წარმატებების საწინდრად. ე. ი. ადამიანის მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი კეთილდღეობა თვითვე მოქმედებს ადამიანთა შემდგომი თაობების საქმიანობაზე და მისი საფუძველი და წანამძღვარი ხდება. ამრიგად, სოციალურ მემკვიდრეობაში იგულისხმება კაცობრიობის მიერ თავისი არსებობის განმავლობაში (თანამედროვეობის ჩათვლით) შექმნილი მთელი მატერიალური და სულიერი კეთილდღეობა. ყოველ სოციალურ გაერთიანებას — კლასს, ნაციას და სხვას კაცობრიობის სოციალური მემკვიდრეობის მხოლოდ ნაწილის შეთვისების უნარი აქვს, მაგრამ ამ ნაწილის შევსება-განვითარებით მასაც საკუთარი წვლილი შეაქვს კაცობრიობის მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა საგანძურში. სოციალური პროგრამის შესაძლებელი ნაწილობრივი ათვისებისა და ასევე ნაწილობრივი გამდიდრების საზღვრები განსაზღვრულია სო-

---

35 Дубинин Н. П., Шевченко Ю. Г. Некоторые вопросы биосоциальной природы человека, с. 22—28.

ციალური ერთობის ისტორიული და კლასობრივი ფაქტორებით. სოციალური პროგრამა და მემკვიდრეობა ადამიანის წარმოების უნარისა და მიზანდასახული მოქმედების უნარის გამოხატულებაა ისტორიულ დროში. ამ განსხვავებული თვისების ბიოლოგიური საფუძვლები, (ტვინი, ხელები, ვერტიკალურობა) ჩამოყალიბებული სრულად და საბოლოოდ უძველეს დროში, მუდმივად ახალ-ახალი სოციალური მიღწევების საფუძველს წარმოადგენენ, რომლებიც (მიღწევები) შემდეგ თვით განაპირობებენ აღმავლობას კაცობრიობის სოციალურ-კულტურულ პროგრესში. და მთელ ამ პროცესს ცალკე აღებული ადამიანი კი არ ქმნის. არამედ საზოგადოება, ადამიანთა ერთობები.

ასეთია ამ თეორიის ძირითადი პრინციპები.

საერთოდ, კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის არსებობა თანამედროვე მეცნიერების ელემენტარული ცოდნის ნაწილს წარმოადგენს — საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარია სწორედ გენეტიკოს-თეორეტიკოსების მიერ ბიოლოგიური მეცნიერებების საფუძვლების (გენეტიკური პროგრამა, გენეტიკური მემკვიდრეობითობა) ანალოგიურად სოციალური პროგრამისა და სოციალური მემკვიდრეობითობის არსებობის თეორიად ჩამოყალიბება. როგორც აღვნიშნეთ, ისინი ამას განიხილავენ მთელი კაცობრიობის მაგალითზე და ადამიანთა კონკრეტულ ერთობებს მხოლოდ გაკვრით ეხებიან (კლასი, ერი), ჩვენ მიგვიჩნია, რომ სოციალური პროგრამისა და სოციალური მემკვიდრეობითობის არსი სწორედ კარგად ესაფუძვლება ეთნოსის არსს. ერთი მხრით, სოციალური პროგრამისა და მემკვიდრეობითობის დასაბუთება და მეორე მხრით, ეთნოსების სპეციფიკური კულტურის არსებობა, მათი გაერთიანებულად გააზრების საშუალებას იძლევა. ხომ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კულტურის ცალკეული ელემენტების თავდაპირველი შემქმნელი, თაობიდან თაობაში გადამცემი და განმამტკიცებელი უმეტესად სწორედ ეთნიკური ერთეულებია. ისტორიის სიღრმეში უფრო ძლიერად მოქმედებდა ეთნიკური ბარიერები, ეთნოსები უფრო მეტად იყვნენ იზოლირებული ერთმანეთისაგან და, ამდენად, უფრო მეტად განსხვავდებოდნენ კულტურის ელემენტების სპეციფიკურობით, ე. ი. სოციალური პროგრამით და მემკვიდრეობითობით, რომლებსაც ისინი თაობიდან თაობაში გადასცემდნენ აღზრდის სხვადასხვა ფორმების გზით, აფიქსირებდნენ და აგროვებდნენ თავის შიგნით, ავსებდნენ, ამდიდრებდნენ და ამით საკუთარი წვლილი შეჰქონდათ ზოგადსაკაცობრიო სოციალური პროგრამის განვითარებაში.

ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს თეორია პირველ რიგში ეთნოსის თეორიას უნდა დაუკავშირდეს. ასეთი კავშირით ნათელი ხდება,

რომ ეთნიკური კულტურა და ეთნოფსიქიკის მახასიათებლები **ეთნოსის სოციალური პროგრამაა,** ეთნოსის წევრების (ეთნოფორის) შინაგანი კულტურის და სოციალური ქცევის განმსაზღვრელი, ხოლო მათი თაობიდან თაობაში გადაცემა და ეთნოსში დაგროვება — **ეთნოსის სოციალური მემკვიდრეობითობა.** განსაკუთრებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული მეცნიერები სავარაუდოდ მიიჩნევენ სოციალური და გენეტიკური პროგრამების კავშირს. ე. ი. სოციალური პროგრამისა და მემკვიდრეობის დამოუკიდებლად არსებობასთან ერთად სავარაუდებელია მასზე ეთნოსის გენოფონდის ზემოქმედების მოვლენებიც.

ეთნოსისა და პოპულაციის ურთიერთკავშირი. პოპულაციის საკუთარი გენოფონდის დასაბუთებული არსებობა, მთელი ეთნოსი-ერის გენოფონდის არსებობის მეცნიერული მტკიცების ზრდა (განსაკუთრებით მონათესავე ეთნოგრაფიული ჯგუფებისაგან შემდგარი აქოგენეტიკური ეთნოსებისა) ერთი მხრით და მეორე მხრით, ეთნოსის სოციალური პროგრამისა და სოციალური მემკვიდრეობითობის არსებობის აღიარება ნათლად ხსნის ეთნოსების მდგრადობის მექანიზმს, ეთნიკური კულტურისა და ტრადიციების გაგება უფრო მაღალ დონეზე აჰყავს.

მთელი ეთნოსი-ერის გენოფონდის უტყუარი არსებობა, მისი სოციალური პროგრამისა და მემკვიდრეობითობის თეორიის დასაბუთება ჯერ კიდევ შორს არის სრულისაგან. მაგრამ გენეტიკისა და ეთნოგრაფიის განვითარება, მათი მონაცემების მარქსისტული ფილოსოფიის შუქზე გააზრების ზემოაღნიშნული ტენდენცია გენეტიკური პროგრამის გვერდით სოციალური პროგრამის არსებობის შესახებ, შესაძლებლობას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეთნოსის ზოგად განსაზღვრაში ისინი მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებენ. ამჯერად კი არქოგენეტიკურ ეთნოსზე შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ: **არქოგენეტიკური ერი არის საკუთარი გენეტიკური და სოციალური პროგრამებისა და მემკვიდრეობითობების მქონე ხალხის ისტორიული ერთობა, რომელიც თავისი განვითარების გარკვეული დონითა და დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით ჩართულია ზოგადსაკაცობრიო პროგრესში.**

ჯერჯერობით კი უტყუარია ერთი ის, რომ ცალკეული ეთნოსის წარმომადგენლები ყოველთვის გამიჯნავენ ერთმანეთს „ჩვენ" და „სხვებად". დღესაც კი (მიუხედავად მსოფლიო მასშტაბის ფართო კონტაქტებისა, სხვადასხვა ხასიათის ეთნიკური პროცესების ინტენსივობისა, ერთა დაახლოებისა და მეგობრობის გარკვეულად მაღალი დონისა) თითქმის არ არსებობს ადამიანი ეთნიკური მიკუთვნებულობის თვითშეგნების გარეშე და რაც არ უნდა ერქვას არქოგენეტიკურ ეთნიკურ

ერთობებს დღევანდელი ცოდნის დონეზე, მათ ერთობას სიტყვა „ჩვენ"-ში გამოხატული ერთიანი წარმოშობის (რეალურის თუ წარმოსახვითის) **თვითშეგნება** უდევს ძირითად საფუძვლად. ამ მხრივ ნიშანდობლივია ისიც, რომ ტერმინ „სამშობლოს" ბევრ ენაში სიტყვა „მშობელი"-ს ძირი აქვს. ერთიანობის თვითშეგნება, როგორც არაერთხელ იქნა აღნიშნული, ეთნიკური ერთობის ყველაზე ძლიერი და განმსაზღვრელი მნიშვნელობის ნიშანია. მას შემდეგ, რაც ეთნოსის თეორიის დახვეწის პროცესში თვითშეგნების მნიშვნელობა დასაბუთდა, მისი არსებობა-არარსებობა მიიჩნევა იმ უცილობელ ფაქტორად, რომლითაც იწყებოდა თუ მთავრდებოდა ეთნოსის არსებობაც: ეთნოსის საფეხურებრივი ცვლა, რომელიც ზემოთ ვაჩვენეთ, მისი ისტორიული განვითარების მიმოხილვისას, ნათელყოფს, რომ ეთნიკური თვითშეგნება სოციალური მოვლენაა. ამასთანავე, მისი მნიშვნელობა განუხრელად იზრდება (როგორც ყოველნაირი სოციალური საწყისისა). თუ ეთნოსის განვითარების პირველ ეტაპზე ბიოლოგიურ საწყისს გარკვეული მნიშვნელობა აქვს, განვითარების შემდეგ საფეხურებზე მთავარი განმსაზღვრელი სოციალური ფაქტორი ხდება. **ამგვარად, ეთნოსის ცხოვრებაში ბიოლოგიური და სოციალური საწყისების თანაშეფარდება ისტორიულად იცვლება სოციალურის სასარგებლოდ.**

დაბოლოს, ეთნიკური პროცესებისა და გენეტიკური კანონზომიერებების მარქსისტული ფილოსოფიური მიდგომით გააზრების საფუძველზე სრულიად სამართლიანად გვეჩვენება საბჭოთა გენეტიკის ერთ-ერთი მამამთავრის მ. ე. ლობაშევის გამონათქვამი: „ბიოლოგიური ბედი ადამიანისა, ისევე როგორც სოციალური ბედიც, მისივე საკუთარ ხელშია". ზოგადად გენეტიკურ პროცესებთან დაკავშირებული ეს გამონათქვამი ეთნოსსაც მიესადაგება. სწორედ თვით ეთნოსის საკუთარ ხელშია მისი მომავალი. რამდენადაც მყარია მისი ცალკეული კომპონენტი, იმდენად უზრუნველყოფილია მისი ხანგრძლივი არსებობა. და რადგან ეთნოსს საერთოდ მისი ცალკეული წევრების ერთობლიობა ქმნის, ერის მომავალი დამოკიდებულია ამ ცალკეული წევრების სოციალურ ქცევაზეც და მთელი ერის ფუნქციონირებაზეც მისი წევრების მიმართ: რამდენადაც მტკიცეა ეთნოსის ყოველი წევრის ეთნიკური თვითშეგნება, რამდენადაც ყოველი მათგანი იღწვის თავისი ეთნიკური კულტურის წინსვლისთვის, რამდენადაც ყოველი მათგანის ოჯახი რეალურად წარმოადგენს ეთნიკური კულტურის დაცვისა და შთამომავლობაში გადაცემის კერას, რამდენადაც მაღალია ენდოგამიის დაცვის დონე, რამდენადაც მაღალია ერის სოციალური პროგრამის და მემკვიდრეობითობის დონე, რამდენადაც ძლიერია ინ-

ფორმაციული არხები საკუთარი თუ მთელი კაცობრიობის მიღწევების შესახებ, რამდენადაც ერი მზადაა მიიღოს და გაითავისოს კაცობრიობის პროგრესის ელემენტები და თავისი წვლილიც შეიტანოს სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციაში, რამდენადაც ძლიერად ფუნქციონირებს ერი მისი ყოველი წევრის განვითარების ხელშეწყობაში, ეროვნული კადრების გაფართხილებაში, ოჯახის სიმტკიცის დაცვაში და ა. შ. — იმდენად უზრუნველყოფილია ერის არსებობა თვალმისაწვდომ მომავალში (ფართო პოლიტიკური ერთობის ფარგლებში ყოფნის პირობებშიც კი). ერის ძირითადი ფუნქცია კი არის თავისი არსებობის უზრუნველყოფა და გამართლება კაცობრიობის ისტორიაში.

როგორც აღვნიშნეთ, ეთნოსის საერთო განვითარებაში ოჯახს არსებითი მნიშვნელობა აქვს. ამავე დროს თვით კონკრეტული ოჯახების სიმტკიცისათვისაც მნიშვნელოვანია მეუღლეთა ეროვნულობის საკითხი. საერთოდ ბიეთნიკური ქორწინებები იყო წარსულში, არის თანამედროვეობაში და იქნება მომავალშიც. კაცობრიობის განვითარების აღმავალ ხაზს უშუალოდ სდევს პიროვნების თავისუფლების აღმავლობა. ამიტომ, ყველას აქვს უფლება თავისი ნებასურვილით აირჩიოს ცხოვრების თანამგზავრი. თანამედროვე ეთნოგრაფიაში ხაზგასმულია ბიეთნიკური ქორწინებების დიდი მნიშვნელობა, როგორც ერთა დაახლოების პირობაც და შედეგიც. მათი წახალისება მართლაც საჭირო და აუცილებელი იყო ერთა დაახლოებისათვის. ამჯერად, როცა სოციალისტური ერების ერთობა — საბჭოთა ხალხი მტკიცე და ურყევია, და როცა აღიარებულია, რომ სხვადასხვა ერების არსებობას სილამაზე და მრავალფეროვნება შეაქვს კაცობრიობის ცხოვრების წესში, ჩვენ ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია სხვა კუთხიდანაც შევხედოთ პრობლემას: აღიარებულია, რომ თანამედროვე ოჯახის სიმტკიცისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეუღლეების სექსუალურ და ფსიქიკურ შეთანაწყობას. ოჯახის განვითარების თანამედროვე პირობებში ეს ორივე მომენტი თითქმის თანაბარი ძალით მოქმედებს, და ძლიერდება. ამავე დროს გარკვეული მნიშვნელობა აქვს შეთანაწყობის ხარისხს. ხარისხის მიხედვით იგი შეიძლება სამ ტიპად გაიყოს — მაქსიმალური შეთანაწყობა, საშუალო შეთანაწყობა და სრული შეუსაბამობა. მაქსიმალური სექსუალური (მუდმივად თანადროული ორგაზმი) და ფსიქიკური შეთანაწყობა იდეალურ პირობებს ქმნის მუდმივი სიყვარულისა და ოჯახის სიმტკიცისათვის. მაგრამ რადგან მეუღლეთა ყოველდღიური ურთიერთობის ხასიათს სხვა მრავალი ფაქტორიც განსაზღვრავს, თვით შეხმატკბილებულთა ურთიერთობაც კი ვერ ინარჩუნებს მუდმივად იდეალურ ხარისხს. ჩვეულებრივად საშუალო შეთანაწყობას აქვს ადგილი — როდესაც ერთი ან მეორე

(სექსუალური თუ ფსიქიკური). შეუსაბამობის მომენტებიც აქვთ მეუღლეებს (სწორედ რომლებიც არაიშვიათად ქმნიან ჩვეულებრივ კონფლიქტურ სიტუაციებს მათ შორის), რომლებსაც მოკავშირული მეუღლეები პატიობენ ერთმანეთს. ორივე ამათგანში ფსიქიკურ შეთანაწყობას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს. ერთადერთი, რომლის დროსაც ფსიქიკური შეთანაწყობა ვერაფერს მატებს მეუღლეთა ურთიერთობას, ეს არის სრული სექსუალური შეუსაბამობა, რომლის დროსაც ოჯახი, როგორც წესი, ირღვევა. დანარჩენ შემთხვევებში ფსიქიკურ შეთანაწყობას იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მისი უქონლობა თვით სრული სექსუალური შეთანაწყობის შემთხვევაშიც კი არღვევს ოჯახის სიმტკიცეს. ყოველივე ამის გამო, საფიქრებელია, რომ ერთნაირი ფსიქიკური წყობა-განწყობის ადამიანები უფრო ადვილად აღწევენ ჰარმონიული ოჯახის შექმნას. ერთნაირი ფსიქიკური წყობა-განწყობის ადამიანების არსებობა კი ერთნაირ ეთნოფორებში (ერთი ეთნოსის წარმომადგენლებში) უფრო მეტია სავარაუდებელი. მით უმეტეს, რომ გენეტიკაში სულ უფრო და უფრო საბუთდება ფსიქიკის გენეტიკური საფუძვლები და ეთნიკური ფსიქიკის რეალურობა. გარდა ამისა, კაცობრიობის მთელ ისტორიულ წარსულში არსებული და დღესაც მოქმედ ენდოგამიისადმი ხალხური დამოკიდებულების უგულებელყოფაც არ არის სწორი. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ხალხური წეს-ჩვეულებების სიბრძნე უფრო და უფრო დასტურდება მეცნიერების მიერ. გენეტიკის უკვე არსებული მიღწევებიც მრავალ საინტერესოს გვპირდება ამ მხრივ.

დავუბრუნდეთ ეთნოგრაფიის საგანს და ფუნქციას საერთოდ და ოჯახის საკითხების კვლევაში კერძოდ.

ეთნოგრაფიის ობიექტი, საგანი და მიზნები იცვლებოდა მისი განვითარების კვალდაკვალ. ჩამოყალიბდა რა ბურჟუაზიული ევროპის კოლონიური ექსპანსიის ეპოქაში, მისი კვლევის ობიექტს თავდაპირველად წარმოადგენდა ჩამორჩენილი, დამწერლობის არმქონე ხალხები. შემდეგ და შემდეგ დაიწყო განვითარებული ქვეყნების (ჯერ მათი ყოფა-ცხოვრების არქაული ფორმების, შემდეგ თანამედროვეობის) შესწავლაც. თანამედროვე ეთნოგრაფიის კვლევის ობიექტი ძალზე ფართო მასშტაბების მქონეა. ზოგადად მისი კვლევის ობიექტია ეთნოსები (ეთნიკური და ეთნოგრაფიული ერთობების მთელი იერარქიის ჩათვლით), ე. ი. მსოფლიოს ყველა ხალხი განვითარების არა მარტო თანამედროვე, არამედ ნებისმიერ ეტაპზეც.

ეთნოგრაფიის კვლევის ობიექტის ასე გაფართოებამ (ჰორიზონტალურ ჭრილში — ყველა ხალხი, ვერტიკალურ ჭრილში — მათი ისტორიული განვითარების ყველა ეტაპი) და ამავდროულად ჰუმანი-

ტარული მეცნიერებების მზარდმა დიფერენციაციამ, თავისთავად მოთხოვა მისი კვლევის საგნის დაკონკრეტება. და თუ ეთნოგრაფია, როგორც ხალხის ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის შემსწავლელი პიონერი მეცნიერება, თავდაპირველად თავის კვლევის საგანში არ მიჯნავდა ეთნიკურ და სოციალურ მოვლენებს, ხელოვნების და წარმოების დარგებს, დღესდღეობით მის **საგნად** გამოიკვეთა ხალხის ყოფიერი კულტურის ის ტრადიციული ფორმები, რომლებიც ეთნიკურ ფუნქციას ასრულებენ და ეთნიკური ისტორიის სურათს ქმნიან. (მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი ფუნქციათავანია „ეთნოსის ყველა წევრის გაერთიანების ფუნქცია (შინაეთნიკური ინტეგრაცია)"[34]. მისი კლასიკური განყოფილებებია თანამედროვე ყოფაში ტრადიციულად შემონახული მატერიალური კულტურა (საცხოვრებელი, სამეურნეო ნაგებობები და იარაღები, ჩასაცმელი, კულინარია და სხვ.), მეურნეობრივი ყოფა (მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, ხელოსნობის ფორმები), სოციალური ურთიერთობანი (საზოგადოებრივი ფორმები და სოციალური ინსტიტუტები, მათ შორის ოჯახი ლა ქორწინება და ა. შ.) და სულიერი კულტურა (ხალხური ხელოვნება, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, წესები, ჩვეულებები, ჩვევები და ა. შ.). ამავე დროს აღიარებულია, რომ ეთნიკურმა სპეციფიკამ უფრო ჩაიბუდა ეთნიკური ფსიქოლოგიის სიღრმეში (რამაც გამოიწვია სწორედ ეთნოფსიქოლოგიის ცალკე მეცნიერებად ჩამოყალიბებაც). სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ხილულ ტრადიციულ კულტურას უფრო მძლავრად ავიწროვებს პროფესიული და სტანდარტიზებული კულტურა. ტრადიციულის ნიველირების ეს პროცესი ყველაზე მზარდი ტემპებით მიმდინარეობს განვითარებული ქვეყნების დიდ ქალაქებში. მაგრამ მათშიც ახალი ტრადიციები ძველის მოდიფიცირებულ ფორმებს წარმოადგენენ და თავისებურებებს ინარჩუნებენ. გარდა ამისა, თვით პროფესიული კულტურაც, მთლიანად მიღებული და გათავისებული ხალხის მიერ თავის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში, უკვე ტრადიციული კულტურის ფუნქციას ასრულებს და ეთნოგრაფიის საგნად იქცევა. ამგვარად, ეთნოგრაფია შეისწავლის ტრადიციული კულტურის ფორმების (და მათი ცალკეული მოვლენების) გენეზისს, განვითარების მექანიზმს, თანამედროვე ცხოვრებაში მათი ფუნქციონირების ფაქტორებს, ხალხების ყოფა-ცხოვრების მსგავსება-განსხვავებებს, სპეციფიკურს ცალკეულ მათგანში და მის ცვლილებებს ისტორიული განვითარების პროცესში. მაგრამ სპეციფიკურის გამოყოფა ზოგადის ცოდნის გარეშე შეუძლებელია — მათი განსაზღვრა ურთიერთმომცველი პროცესია. ამიტომ ეთნოგრაფიის **ამოცანაა** ეთნოსების ყოველდღიური ცხოვრების

[34] Этнография. М., 1982, с. 8.

წესის იერსახის ასახვა ყოფიერ კულტურაში სპეციფიკურისა და ზოგადის (ეროვნულისა და ინტერნაციონალურის) დადგენის ფონზე, ეთნოსის კულტურის სპეციფიკური ელემენტების ადგილისა და როლის გარკვევა ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციაში და ერთა დაახლოების პროცესში ე. ი. ეთნოგრაფიის ამოცანა ზოგადად არის ეთნიკური პროცესების შესწავლა. მათვე უკავშირდება ეთნოგრაფიის **მიზნებიც** — შემეცნებითი და გამოყენებითი. ამასთანავე, თუ წინათ მის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ეთნოსების ობიექტური აღწერა-გაცნობა (და ამის პოპულარიზაცია), ცალკეული მოვლენების განვითარების განვლილი გზების დადგენა და არსებული მდგომარეობის ფიქსაცია, — თანამედროვე ეთნოგრაფიაში მათ გვერდით სულ უფრო ძლიერდება ეთნიკური პროცესების მიმართულებების პროგნოზირებაც, ეთნოსის თვითმყოფადი კულტურის შენარჩუნება-განვითარების ხელშეწყობაც და ხალხთა დაახლოების ახალ-ახალი პირობების გამოვლენაც[35]. ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, განსაკუთრებულად ზრდის ეთნოგრაფიის, როგორც ისტორიის მეცნიერების დარგის ფუნქციონალურ მნიშვნელობას.

ეთნოგრაფიის კვლევის **წყაროს** წარმოადგენს ხალხების თანამედროვე ყოფა-ცხოვრება, ცოცხალი სინამდვილე, რადგან ეთნიკური სპეციფიკა სწორედ ყოველდღიური ცხოვრების ტრადიციულ ნაწილშია თავმოყრილი. მაგრამ ტიპური და სპეციფიკური მომენტების გვერდით ეთნოგრაფია განსაკუთრებულ ყურადღების უთმობს ცოცხალ სინამდვილეში ერთეულად არსებულ არატიპურ მომენტებს, ძველი ყოფიდან იქნება იგი შემორჩენილი თუ ახლად წარმოქმნილი. ძველი ყოფიდან შემორჩენილი ერთეული მომენტებს ე. წ. გადმონაშთებს (ან გადმოცემებს მათ შესახებ) ეთნოგრაფია განიხილავს უკვე გარდასული მოვლენისგან შემორჩენილ ინფორმაციად. ამ მომენტების შემორჩენის, გადმოშთენის კონკრეტული ფუნქციონალური მექანიზმის გახსნით, ზოგადი ეთნოგრაფიის მონაცემების გათვალისწინებით და, აგრეთვე, მეცნიერების სხვა დარგების მონაცემებთან შეჯერებით, ეთნოგრაფია მოვლენის ისტორიული წარსულის რეკონსტრუირებას ახდენს. ხოლო ხალხის ყოფაცხოვრებაში ახლად წარმოქმნილ, ინოვაციურ ერთეულ მომენტებს იგი განიხილავს ცხოვრების ახალი დინებების ფონზე, რაც ამ სიახლის პერსპექტივების პროგნოზირების საშუალებასაც იძლევა. ცოცხალი სინამდვილის გარდა იგი წყაროდ იყენებს ეთნოგრაფიული მუზეუმების ექსპონატებს, ხალხური სახვითი ხელოვნების ნიმუშებს, წერილობითი წყაროების ყველა სახეს, მომიჯნავე მეცნიერებების (ფოლკლორის,

---

[35] Этнография. М., 1982, с. 4—12.

არქეოლოგიის, ლინგვისტიკის, ანთროპოლოგიის, ისტორიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, აგრონომიის და სხვ.) მიღწევებსა და სხვ.

საბჭოთა ეთნოგრაფიის მეთოდოლოგიურ საფუძველს მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი[35] დებულებები წარმოადგენენ საზოგადოების საფეხურებრივი განვითარების კანონზომიერებების შესახებ. კვლევის სხვადასხვა მეთოდების[36] (მათ შორის ისტორიულ-შედარებითის, ინტენსიურის, კომპლექსურ-ინტენსიურის[37], გენეალოგიურის, სისტემურის, სტრუქტურულის, სისტემურ-სტრუქტურულის, სივრცითის, კარტოგრაფიულის და ა. შ.) ამოცანას წარმოადგენდა და წარმოადგენს საველე ეთნოგრაფიული მასალის მოპოვება. საველე კვლევა ხალხისა და მისი კულტურის შესწავლაა თავის ბუნებრივ საცხოვრებელ პირობებში. მეთოდიკაში განსაკუთრებით გამოირჩევა — დაკვირვება (ქვესახეები — უშუალოდ დაკვირვება და მონაწილე დაკვირვება, რაც საკვლევ რეგიონში მკვლევარის გარკვეული ხანით სტაციონარულად ყოფნას მოითხოვს) და გამოკითხვა (ინტერვიუ), რომლებიც ხშირად ემთხვევიან კიდეც ერთმანეთს. უკანასკნელ ხანებში ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდიკაშიც დადგა ამოცანად მასობრივი ინფორმაციის მოპოვებისა და მისი მანქანური დამუშავების ხერხების ძიება. დღესდღეობით ყველაზე ფართოდ გამოიყენება გამოკითხვის (ინტერვიუს) მეთოდიკა. ყოველნაირი მეცნიერული კვლევის მსგავსად, აქაც საწყის ეტაპზე ხდება კვლევის პროგრამის (და სამუშაო კითხვარის) შემუშავება ეთნოგრაფიაში აღსაბუდ ცოდნის გათვალისწინების საფუძველზე. შემდეგ მკვლევარი მიემგზავრება ველზე — საკვლევ რეგიონში. აქ იგი ამყარებს რა კეთილგანწყობით ურთიერთობას მოსახლეობასთან, პირველ რიგში ეძიებს კარგი მეხსიერების მქონე ადგილობრივ ავტორიტეტულ პირებს, რომლებსაც გადმოცემის უნარიც აქვთ, სურვილიც და დროც[38]. განსაკუთრებული დახელოვნება სჭირდება მკვლევარს ინფორმატორის

---

36 Громов Г. Г. Источники и методы исследования этнографической науки. წიგნში: — Этнография. М., 1982, с. 26—31.

37 კომპლექსურ-ინტენსიურმა მეთოდმა, რომელიც შემუშავებული იქნა გ. ჩიტაიას მიერ, თავის დროზე დიდი როლი შეასრულა ფაქტების ობიექტური ფიქსაციისა და კულტურის მთლიანობაში (ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ კვეთში) გაანალიზების უზრუნველყოფაში. გ. ჩიტაია. ქართული ეთნოლოგია. წიგნში — მიმომხილველი, ტ. I, თბ., 1926. შდრ. Робакидзе А. И. К некоторым спорным вопросам этнографического изучения нового быта. СЭ, 1952, 2, с. 129—137.

38 ინფორმატორის შერჩევის კრიტერიუმებისა და ინტერვიუს ჰიმდინარეობის შესახებ იხ.: ჩინჩალაძე, ნ. ინტერვიუ, როგორც საველე ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდი (თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის მიხედვით). წიგნში — ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები. თბ., 1982. გვ. 123—132.

სასაუბროდ შემზადებისთვის და საუბრის ისე წარმართვისათვის, რომ არც შებოჭოს თხრობაში ინფორმატორი და საუბარიც სულ საკვლევი მოვლენის გარშემო ტრიალებდეს. მიღებული ინფორმაციის ფიქსაცია ხდება მკვლევარის მიერ მისი ჩაწერით უშუალოდ საუბრის პროცესში ან საუბრის დამთავრებისთანავე. ამასთან დაკავშირებული სირთულეებისა და ნაკლოვანებების გამო სასურველად მიიჩნევა მკვლევარის და ლაბორანტის ერთად მუშაობა (მკვლევარი წარმართავს საუბარს, ლაბორანტი იწერს), ასევე, სტენოგრაფიის ცოდნით შეიარაღებაც და მაგნიტოფონის გამოყენებაც (თუმცა ყოველ მათგანს თავისი უარყოფითი მხარეებიც გააჩნია). მკვლევარმა ათობით ინფორმატორისაგან უნდა აიღოს ინფორმაცია, რომ მოვლენის ერთიანი, სრული და სწორი სურათი შექმნას. ამ მრავალრიცხოვან ინფორმატორთა შორის მას შეიძლება მხოლოდ ერთმა ან ორმა მიაწოდოს ცოდნა ძველად რაიმე მოვლენის არსებობის შესახებ. ეს მომენტი შეიძლება დანარჩენი მოსახლეობის მიერ სრულიად დავიწყებულიც იყოს. მაგრამ მკვლევარისათვის, რომელმაც თეორიულად, ბუნებრივია, კარგად იცის ამ მომენტის ადგილი და როლი საკვლევი მოვლენის განვითარებაში, ეს, ერთეული ინფორმატორების მიერ მოწოდებული მასალა უნიკალური ეთნოგრაფიული წყაროს მნიშვნელობას იღებს. მთავარია, რომ მკვლევარმა მიაგნოს ამ ინფორმაციას და დააფიქსიროს იგი. ველიდან დაბრუნებული მკვლევარი მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებას იწყებს — ახდენს მის სისტემატიზაციას და კლასიფიკაციას, ადარებს სხვა რეგიონის და ეთნოსების შესაბამის მონაცემებთან, ავსებს სხვა მეცნიერებების მონაპოვრებით და ბოლოს აანალიზებს მას. მთელ ამ პროცესში მას შეიძლება რამდენჯერმე მოუხდეს საკვლევ რეგიონში მიბრუნება ზოგიერთი მომენტის უფრო ჩაღრმავებულად ძიება-შესწავლისათვის. ამდენად, ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდი და მეთოდიკა არ გამორიცხავს თვით საველეთესო პროგრამის თანდათანობით დახვეწის შესაძლებლობებს უშუალოდ კვლევის პროცესში. ყოველივე ეს დიდად არის დამოკიდებული მკვლევარის სუბიექტურ მახასიათებლებზე — მის ენერგიულობასა და დაუღალავობაზე, კონტაქტების დამყარების უნარზე, დარგის სიყვარულზე, მოვლენის განვითარების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ჩაღრმავებული ძიებისა და მოპოვებული მასალის ფართო მეცნიერულ-პროფესიულ დონეზე გააზრების უნარზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სოციოლოგიურისაგან განსხვავებით, ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდი და მეთოდიკა საშუალებას იძლევა მთელი მოვლენა აღწერილ- [illegible] ელილი იქნეს (საფეხურებრივი განვითარების ჩვენებით) ერთი მკვლევარის მიერაც. ამასთანავე, როგორც წესი, კვლევა მიმართულია

ყოფის ძველი ელემენტების დაფიქსირებიდან — აწყმოსაკენ და ნაშრომებიც ასეა აგებული.

როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ოჯახის პრობლემატიკა ეთნოგრაფიული კვლევის იმ მიმართულებაში შედის, რომელიც აერთიანებს სოციალურ ურთიერთობათა სფეროს. თავისთავად იგი ოთხ მთავარ ურთიერთმომცველ პრობლემას მოიცავს — ქორწინებას, საოჯახო ყოფას, აღზრდას და ნათესავურ სისტემას. იგი წარმატებით იყენებს ეთნოგრაფიული კვლევის ზემოაღწერილ მეთოდებს და მეთოდიკებს. დამატებით, მის დამოუკიდებელ მეთოდს შეადგენს ე. წ. გენეალოგიური მეთოდი. ოჯახის გენეალოგიის აღდგენა კვლევისათვის მისაწვდომ წარსულში ოჯახის ფორმისა და ზომის, საქორწინო პარტნიორის შერჩევის პრინციპების, ნათესაური სისტემისა და სხვათა ზოგიერთი საკითხის დადგენის საშუალებას იძლევა. საერთოდ, ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდიკების, შეიძლება ითქვას, სრულყოფილების მიუხედავად, თანდათან ხდება მისი დახვეწაც. იგივე შეიძლება ითქვას ოჯახის პრობლემატიკის კვლევის შესახებაც[39].

საერთოდ ეთნოგრაფიამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა ოჯახის კვლევაში. იმ მეცნიერებათა შორის, რომლებიც ოჯახით ინტერესდებიან, სწორედ ეთნოგრაფიაა წამყვანი, რადგან მისი მონაცემები საბაზოს წარმოადგენენ სხვა დანარჩენი მეცნიერებებისათვის ამ საკითხებში. ეთნოგრაფიამ აღადგინა ოჯახის ისტორიის ერთიანი, ზოგადი ხაზიც და ცალკეული მოვლენების გენეზისის, განვითარების, შემორჩენისა და თანამედროვეობაში ფუნქციონირების ამხსნელი ზოგადი თუ კონკრეტული თეორიებიც შექმნა, დააგროვა უმდიდრესი მასალა ცალკეული ქვეყნების (და მათი ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფების, კუთხეების და ა. შ.) ოჯახის და ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ და მრავალი მათგანის ოჯახური ყოფა-ცხოვრების სრული სურათი შექმნა მასში შემონახული ძველი ყოფის ელემენტების ჩვენებით. დიდი მნიშვნელობა აქვს მას თანამედროვე სოციალისტური ოჯახის საკითხების კვლევაშიც. მან ასახა სოციალისტურ ყოფაში მომხდარი უზარმაზარი ცვლილებების ხასიათი და ფაქტორები, შორეული წარსულისაგან გადმოშთენილი წეს-ჩვეულებებში გამოავლინა ზოგიერთი მათგანის შეუსაბამობა თანამედროვე

---

39 Джавахадзе Н. Типологическая характеристика осетинской системы родства. წიგნში:—Кавказский этнографический сборник, 5, 2, Тбилиси, 1979; მელიქიშვილი ლ. ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებების სტრუქტურის ანალიზი და ინოვაცია. თბ., 1986.

ცხოვრების მოთხოვნებთან, ასევე დიდ როლს ასრულებს იგი სასარგებლო ტრადიციათა პოპულარიზაციაში, მათი მოდიფიცირებული ფორმების შექმნაში თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნების მიხედვით.

ამრიგად, ზოგადად ეთნოგრაფია ოჯახს აღწერს და იკვლევს როგორც ხალხის ყოფა--ცხოვრებისა და კულტურის ერთ-ერთ მხარეს, ადგენს მასში შემავალი მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ კავშირს და მათი საფეხურებრივი განვითარების ისტორიას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ, როგორც ზემოთაც ვაჩვენეთ, სწორედ ეთნოგრაფია ეთნოსის თეორიის დახვეწის პროცესში მივიდა ოჯახის ძირძველი ფუნქციის, — ეთნოსის სტაბილიზატორის, მისი ფიზიკური არსებობის გრძნობის, ეთნოსის ხოგადი თუ სპეციფიკური კულტურის თაობიდან თაობაში გადაცემის, ე. ი. ეთნოსის სოციალური და გენეტიკური პროგრამების თაობიდან თაობაში გადაცემის კონკრეტულად განხორციელების — უაღრესად დიდი მნიშვნელობის მეცნიერულ აღიარებასთან. ეს კი თავისთავად ოჯახის ახლებური კვლევის პერსპექტივებს ქმნის. ჯერ-ჯერობით კი ოჯახის ამ კუთხით შესწავლას ჯეროვანი გაქანება არ მიუღია.

საერთოდ კი ოჯახის და ქორწინების შესახებ აურაცხელი ლიტერატურა არსებობს ეთნოგრაფიაში. მაღალ დონეზეა ოჯახის ეთნოგრაფიული კვლევა საქართველოშიც. რევოლუციამდელი ქართული ოჯახის ეთნოგრაფიულ კვლევაში დიდი როლი შეასრულეს ნ. ხიზანიშვილმა[40], ნ. აბაზაძემ და სხვებმა[41]. რევოლუციის შემდეგ, როგორც ცნობილია, ოჯახის ფართო მასშტაბით კვლევის მეცნიერული საფუძვლები შეამზადა ივ. ჯავახიშვილმა[42]. მონოგრაფიული კვლევის ტრადიციას კი ქართული ოჯახის საკითხების კვლევაში საფუძველი ჩაუყარა რ. ხარაძემ[43]. რ. ხარაძემ საქართველოს სხვადასხვა კუთხის საოჯახო და საშეურნეო ყოფის, ოჯახის ფორმათა ტიპოლოგიის, თაობათა ურთიერთობის სტრუქტურის, ნათესაობის სისტემის, საქორწინო წეს-ჩვეულებების და სხვა მრავალთა შესახებ არა ერთი კონკრეტული თეორია შექმნა, რომლებიც შემდეგი თაობების კვლევის საყრდენს წარმოადგენენ. ვან-

---

40 ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ნ. რჩეული იურიდიული ნაწერები. თბ., 1982.

41 А б а з а д з е Н. Семейная община у грузин, Этнографическое обозрение, кн. III, 1889. თ. ს ა ხ ო კ ი ა, ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1956 და სხვ.

42 ი ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ. ქართველი ხალხის საოჯახო ურთიერთობის საკითხები ივანე ჯავახიშვილის შრომებში. მაცნე. 1976, 2.

43 ხ ა ო ა ძ ე რ. დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1936; Р у с у д а н Х а р а д з е. Грузинская семейная община, Тбилиси, I, 1960; II—1961.

საკუთრებით დიდია მისი ღვაწლი ქართული ოჯახის ისტორიული განვითარების საკითხების დადგენაში.

დღესდღეობით საქართველოს მრავალი კუთხის ოჯახი და ქორწინებაა მონოგრაფიულად შესწავლილი[44]. არსებობს ქორწინების ინსტიტუტის საკითხების ზოგადქართული სურათის მოკლედ წარმოდგენის ცდაც[45]. მიმდინარეობს ქართული ეთნოგრაფიულ ეტლასზე ოჯახის მონაცემების დატანისათვის მუშაობა. ერთი სიტყვით, ოჯახის პრობლემატიკა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ყურადღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროთაგანია. ამასთანავე, ასევე საფუძვლიანად არის შესწავლილი კავკასიელთა საოჯახო ყოფა[46].

---

44 რობაქიძე ალ. ჭიათურის მარგანეცის მუშათა ყოფის ზოგიერთი მხარე. თბ., 1953; ჭყონია ი. ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში. თბ., 1955; ითონიშვილი ვ. ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1960; მისივე, ქორწინების ზოგიერთი წეს-ჩვეულება ძველ თბილისში. თბ., 1959; მისივე, საოჯახო თემი ხევში; მაჩაბელი ნ. ქორწინების ინსტიტუტი ქართლში. თბ., 1978; მისივე, ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1976.; Волкова Н. Г., Джавахишвили Г. Н. Бытовая культура в Грузии XIX—XX веков: традиции и инновации. М., 1982. ბექაია მ. ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აკარაში. ბათუმი. 1974; მისივე, ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, თბ., 1980; ვ. ჩიქოვანი, მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პერიოდიკის მიხედვით. თბ., 1979; გოცირიძე გ. ქორწინების ინსტიტუტი ფერეიდნელ ქართველებში, თბ., 1956; იველაშვილი თ. საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში (XIXს-ს II ნახ. — XX ს.), თბ., 1987; ნანობაშვილი ბ. საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში (ქორწინება ქიზიყში), (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1983; მელიქიშვილი ლ. ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებების სტრუქტურის ანალიზი და ინოვაცია. თბ., 1986; კაპანაძე ნ. ბავშვის მოვლა-აღზრდის წესები საქართველოში. თბ., 1986; იაშვილი მ. მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითევის წიგნები), თბ., 1974 და მრავალი სხვა.

45 ბექაია მ. საოჯახო და საქორწინო ტრადიციების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ოჯახის სიმტკიცისათვის. თბ., 1981.

46 ითონიშვილი ვ. ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა. თბ., 1969; მისივე, კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფა, თბ., 1977.

თავი მეორე

სოციოლოგიის საგანი და ფუნქცია

სოციოლოგია (ლათ. societas — საზოგადოება) თავდაპირველად წარმოიშვა როგორც საყოველთაო მეცნიერება ყოველივე სოციალურის (საზოგადოებრივის) შესახებ, რომელიც საზოგადოებას და მის პროგრესს ზოგადად განიხილავდა. დასრულებულ და სრულფასოვან მეცნიერებად კი ივი ჩამოყალიბდა მარქსიზმის მიერ საზოგადოების განვითარების ძირითადი კანონების აღმოჩენის შემდეგ, რამაც თავისთავად მისი გამიჯვნაც გამოიწვია მარქსისტულ და ბურჟუაზიულ[1] სოციოლოგიად.

ზოგადად სოციოლოგია არის მეცნიერება საზოგადოების განვითარებისა და ფუნქციონირების კანონზომიერების შესახებ. საზოგადოების განვითარებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებებს კი მეცნიერების მრავალი ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი დარგი სწავლობს. ამის გამო თვით საბჭოთა მეცნიერებაშიც დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა დისკუსია[2] მარქსისტულ-ლენინური სოციო-

---

[1] ბურჟუაზიული სოციოლოგიის კრიტიკის შესახებ იხ. მაგალითად: Социология и современность. М., 1977.I (გვ. 10 — 45), II; Осипов Г. В. Современная буржуазная социология. М., 1969; მისივე, Теория и практика социологических исследований в СССР. М., 1979, გვ. 64 — 163; Кон И. С. Позитивизм в социологии, М., 1964; Андреева Г. М. Современная буржуазная эмпирическая социология, М., 1970; Борьба идей в современном мире. т. I, М. 1975; ასათიანი, გ., თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგია, თბ., 1976; კოდუა ე. კლასების ლენინური განსაზღვრების მნიშვნელობა თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის კრიტიკისათვის, თბ., 1980 და სხვა.

[2] მარქსისტული სოციოლოგიის რაობისა და საგნის შესახებ დისკუსიის განვითარება, იხ. შრომებში: Колбановский В. В. О предмете марксистской социологии, Вопросы философии, 1958, № 8; Руткевич М. Н., Коган Л. Н. О методах конкретно- социологического исследования,—Вопросы философии, 1961, № 3; Встреча социологов-марксистов. წიგნში: Проблемы мира и социализма. 1962, № 2; Кон И. К вопросу о предмете социологии. —

ლოგიის რაობის, საგნის თუ მისი ადგილის შესახებ მეცნიერებათა სისტემაში. მას მიიჩნევდნენ მარქსიზმის მეოთხე შემადგენელ ნაწილადაც (ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის და მეცნიერული კომუნიზმის გვერდით), მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმის იგივეობადაც. სხვადასხვა მეცნიერებების გამაერთიანებელ „სისტემურ" მეცნიერებადაც და მხოლოდ გამოყენებით — წმინდა ემპირიულ მეცნიერებადაც. ამჟამად მძლავრობს თვალსაზრისი, რომ სოციოლოგია არის დამოუკიდებელი მეცნიერება, რომელსაც კვლევის თავისი ობიექტი, საგანი და მეთოდიკა გააჩნია[3]. ეს არის მეცნიერება საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების განვითარებასა და ფუნქციერების ზოგადი და სპეციფიკური კანონზომიერებების შესახებ, მეცნიერება ამ კანონზომიერებათა მოქმედების მექანიზმისა და გამოვლენის შესახებ პიროვნებების, სოციალური ჯგუფების, კლასების და ხალხების მოქმედებაში[4]. უფრო კონკრეტულად — ეს არის მეცნიერება სხვადასხვა ტიპის სოციალური ერთობების ფუნქციონირების, განვითარების ერთიერთქმედების შესახებ[5].

სოციოლოგიას რთული სტრუქტურა გააჩნია. მას ქმნის სამი სტრუქტურული ელემენტის ორგანული მთლიანობა. ესენი არიან: მაღალი დონის ზოგად-სოციოლოგიური თეორია (ისტორიული მატერიალიზმი), სპეციალური თეორიები (მეორე, ანუ საშუალო დონის თეორიები) და კონკრეტული ემპირიული გამოკვლევები[6]. ამ სხვადასხვა

Вопросы марксистской социологии. Труды социологического семинара. Л., 1962; Рожин В. П. Введение в марксистскую социологию. Л., 1962; Рывкина Р. В. О предмете социологии и ее места в системе наук. Социологические исследования, Вопросы методологии и методики. Новосибирск, 1966; Левада Ю. А. Лекции по социологии. М., 1969; Константинов Ф. В. Келле В. Ж. Исторический материализм—марксистская социология.— Коммунист. 1965. № 1; Ядов В. А. Предмет и структура марксистско-ленинской социологии. М., 1972; Чесноков Д. И. Исторический материализм как социология марксизма-ленинизма. М., 1973; Осипов Г. В. Теория и практика социологических исследований в СССР, с. 164—181.

[3] Осипов Г. В. Теория и практика социологических исследований в СССР, с. 164; ზღრაკომისლოვი ა. სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია და პროცედურა, გვ. 22—27., Заславская Т. И. Роль социологии в ускорении развития советского общества. СИ, 1987. № 2.

[4] Рабочая книга социолога, с. 15.

[5] Заславская Т. И. Роль социологии в ускорении развития советского общества. СИ, 1987, № с. 4.

[6] მარქსისტული სოციოლოგიის საგნისა და სტრუქტურის ჩამოყალიბებაში და მისი მიმართების გარკვევაში ისტორიულ მატერიალიზმთან მრავალმა საბჭოთა სოციოლოგმა და ფილოსოფოსმა მიიღო მონაწილეობა. იხ.: Гвишиани Д. М. Ис-

დონეების არსებობა ისტორიული მატერიალიზმისა და კონკრეტული გამოკვლევების ისეთი გაერთიანების საშუალებას იძლევა, რომ ისტორიული მატერიალიზმი არ კარგავს თავის საყოველთაობას, ხოლო კონკრეტული გამოკვლევები თეორიულ ბაზას იძენენ ზოგადსოციოლოგიური მეთოდოლოგიის სახით.

სოციოლოგიის ფართო ჰორიზონტის გამო, გარკვეული ხანი დასჭირდა მისი **ობიექტის** და საგნის რაობის გამიჯვნას. ჩვენი აზრით, ობიექტის ყველაზე ზოგადი და ნათელი განსაზღვრება მოცემულია წიგნში „Рабочая книга социолога", რომლის მიხედვით სოციოლოგიის ობიექტი „არის გარკვეული სოციალური მდგომარეობის ადამიანების ქმედება და ის პირობები, რომლებშიც ეს ქმედება ხორციელდება"[7]. ადამიანთა მსგავსი ქმედებებით კი ყალიბდება სოციალური მოვლენა, სწორედ რომელიც ზოგადად წარმოადგენს სოციოლოგიის კვლევის ობიექტს (მაგალითად, ადამიანების დიდი უმეტესობა, როგორც წესი, ქორწინდება და ყოველ ქორწინებას თავისი კონკრეტული პირობები განსაზღვრავს. ამიტომ ქორწინება სოციალური მოვლენაა და შესაბამისად, სოციოლოგიის კვლევის ერთ-ერთი ობიექტი). მაგრამ სოციოლოგია არ იკვლევს ყოველნაირ სოციალურ მოვლენას. „სოციოლოგიური კვლევის უშუალო საბაბს ქმნის სოციალური ორგანიზმის განვითარებაში, მის ქვესისტემებს შორის თუ ცალკეულ შემადგენელ ელემენტებს შორის რეალურად წარმოქმნილი წინააღმდეგობა"[8]. წინააღმდეგობა სოციალურ მოვლენაში წარმოშობს სოციალურ პრობლემას, სწორედ რომელიც სოციოლოგიის უპირველეს ობიექტს წარმოადგენს. სოციალური პრობლემის წარმოქმნის მექანიზმი გამარტივებულად ასეთია: ადამიანების განსხვავებული ქმედებების გამო (რასაც თავისთავად ადამიანების სხვადასხვაობა უდევს საფუძვლად) უკვე არსებულ სოცია-

---

торический материализм и частные социологические исследования.—Вопросы философии, 1965, №5; Федоссев П. Н. Марксистская социология и конкретные социологические исследования. — Партийная жизнь, 1967, № 2; Румянцев А. М., Осипов Г В. Марксистская социология и конкретные социальные исследования. — Вопросы философии, 1968, № 6; Иовчук. М. Т.. Харчев А. Г., Ядов В. А. Актуальные теоретические проблемы марксистско-ленинской социологии в СССР. — Философские науки 1970, №5; Глезерман Г Е., Келле В. Ж., Пилипенко И. В. Исторический материализм — теория и методология научного познания и революционного движения. — Коммунист, 1972, № 4; Ильичев Л. Ф. Теория и практика социологических исследований — в кн., Философия и научный прогресс, М.. 1977; Осипов Г. В. Теория и практика социологических исследований в СССР. М., 1979.

[7] Рабочая книга социолога, с. 129, 130.

[8] Рабочая книга социолога, с. 126.

ლურ მოვლენაში ჩნდება ცალკეული ადამიანების შემთხვევითი ქმედებები — დაკანონებული გზიდან გადახვეული ქმედებები (ე. წ. ხდომილება). თუ ეს შემთხვევითი ქმედებები ცხოვრების ახალი დინებებითაა გამოწვეული, შემდეგ მას უფრო და უფრო მეტი მიმდევრები უჩნდება. როგორც კი დიდი მასები დაიწყებენ ასე მოქმედებას, მაშინვე ჩნდება მის მიმართ საზოგადოების ინტერესი და საზოგადოება მოითხოვს ამ ახლად წარმოქმნილ მოვლენასთან დამოკიდებულების გარკვევას, მოითხოვს მის გადაჭრას — ხელშეწყობას, თუ პირიქით. ე. ი. ეს, საწყისში ცალკეული ერთი და იმავე ტიპის ხდომილებები ბასობრივი განმეორადობის შედეგად ყალიბდება სრულ სოციალურ პრობლემად. ამრიგად, სოციალური პრობლემა არის საზოგადოების დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება, რომელიც ამავე დროს, საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა დონეზე სხვადასხვანაირად ვლინდება. ამის შესანიშნავ თვალსაჩინოებად (და თანაც ფართო პლანსაც) შეიძლება განქორწინების საკითხი გამოდგეს: როგორც ნაშრომის დასაწყისშიც აღვნიშნეთ, განქორწინება მთელი შუასაუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში აკრძალული იყო. საზოგადოების ყოფა-ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარკვეული დონისა და პიროვნების თავისუფლების შეზღუდულობის პირობებში ადამიანები, როგორც წესი, იცავდნენ კიდეც ერთქორწინებას. ახალი ისტორიის პერიოდიდან მოყოლებული სოციალურ-ეკონომიკური პირობების ცვლილებებისა და პიროვნების თავისუფლების განვითარების კვალდაკვალ გაჩნდა და გაბშირდა არაოფიციალური განქორწინებები. საზოგადოების ნაწილისათვის თანდათან ნათელი გახდა, რომ განქორწინების კანონმდებლური აკრძალვა აღარ შეესაბამებოდა საზოგადოების ცხოვრების ახალ დინებებს, ბოჭავდა პიროვნების თავისუფლებას, ხელს უშლიდა მათ საზოგადოებრივ აქტივობას და ა. შ. ამიტომ საზოგადოების ამ ნაწილმა განქორწინების კანონით დაშვების მოთხოვნა დაიწყო. მეორე ნაწილი კი განქორწინების გაბშირებას ზნეობრივი ნორმების დაქვეითებად თვლიდა. ე. ი. განქორწინება სოციალურ პრობლემად ჩამოყალიბდა და მწვავედ დადგა მისი გადაჭრის საკითხი (საგულისხმოა, რომ განქორწინების დაშვების კანონის პროექტი პირველად გერმანიაში მომზადდა. ამ პროექტის განხილვის პასუხად შეიქმნა მარქსის ცნობილი ნაშრომი „კანონპროექტი განქორწინების შესახებ“, რომელიც განქორწინების დაშვების — ე. ი. ამ შემთხვევაში სოციალური პრობლემის გადაჭრის, — მეცნიერული დასაბუთების ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს). შემდეგ თანდათან თითქმის ყველა სახელმწიფომ გააუქმა კანონი განქორწინების აკრძალვის შესახებ, — დაუშვა კანონიერი განქორწინება. ე. ი. განქორწინების პრობლემა გადაიჭრა, პიროვნებამ მოიპოვა კანონიერი უფ-

ლება თავი დააღწიოს არასასურველ პარტნიორთან იძულებით თანაცხოვრებას და ხელახლა იქორწინოს. ეს ფაქტი სოციალური პრობლემის დემოკრატიული პრინციპით გადაჭრის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ ვავიდა დრო. განქორწინების უფლებამ, ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის საბოლოო დამკვიდრებამ, ქალის დაშოუკიდებლობის ზრდამ და ა. შ. თავისთავად წარმოშვა ნაჩქარევობის ელემენტები საქორწინო პატრნიორის არჩევაში, რასაც მოყვა განქორწინების განსაკუთრებული გახშირება. განქორწინების კოეფიციენტის (განქორწინებულთა რაოდენობა ყოველ 1000 მოსახლეზე) განუხრელი ზრდა, განქორწინების პოზიტიური შედეგების გვერდით უარყოფითი შედეგებიც წარმოიქმნა (ცალკეული ადამიანების. — საზოგადოების წევრების მოუწყობელი პირადი ცხოვრება, ნევროზები, მცირეწლოვანთა დაშნაშავეობის ზრდა და ა. შ.), რომლებმაც განქორწინეა კვლავ სოციალურ პრობლემად ჩამოაყალიბეს. ამჯერად ეს პრობლემა მიმდინარეობს განქორწინების სიადვილისგან. მაგრამ, რადგან განქორწინების უფლების მოპოვება დემოკრატიული პრინციპების გამარჯვება იყო (და არის), უკან მიბრუნება და განქორწინების აკრძალვა დაუშვებელია. ამიტომ სოციოლოგია ამ პრობლემის გადაჭრას ცდილობს ყოველ კონკრეტულ პირობებში (ქვეყანაში, რეგიონში და სხვ.) განქორწინების კონკრეტული სოციალური მიზეზების დადგენით, შესაძლებელი პირობების გაანალიზებით და ოჯახის სიმტკიცის ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციების შემუშავებით.

ამრიგად, სოციოლოგიის ობიექტი ზოგადად არის სოციალური მოვლენა და მასში წარმოქმნილი სოციალური პრობლემა.

სოციოლოგიის კვლევის **საგანს** წარმოადგენს საზოგადოების სოციალური ერთობების სტრუქტურები, მათი ურთიერთმიმართება, ფუნქციონირება და განვითარების ტენდენციები, მათი როლი საზოგადოების მთლიან სისტემაში ადამიანთა სოციალურ განვითარებაზე ოუ ცნობიერებასა და ქცევის ფორმირებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით. სოციალური ერთობები მრავალნაირია — დაწყებული ორი ადამიანის, ერთობით (მაგალითად, ცოლ-ქმარი, — ოჯახი) და დამთავრებული სახელმწიფოთი. მათ შორის მდებარე ყველა სტრუქტურული ერთობა სოციალური ჯგუფების, კლასების, ეთნოსების, სპორტული გაერთიანებების, სკოლის, ოჯახის, პროფესიული ჯგუფის, საწარმოო კოლექტივის და სხვათა სახით, წარმოადგენს სოციოლოგიის კვლევის საგანს. „აქ ერთი მხრით, წარმოიშობა მიმართებათა მთელი სისტემა, რომელიც ყოველი ცალკეული კომპონენტის სხვა კომპონენტებთან დამოკიდებულებას გამოხატავს. მაგალითად, პიროვნება ან პირველადი ჯგუფი, როგორც

სისტემის ერთ-ერთი ელემენტი, მიმართებაშია სისტემის როგორც ყველა სხვა ელემენტთან, ისე მთელ სისტემასთანაც და შესაბამისად, სოციოლოგია განიხილავს როგორც პიროვნებისა და საზოგადოების, ისე პიროვნებისა და პირველადი ჯგუფის, პიროვნებისა და კლასის, პიროვნებისა და ხალხის, პიროვნებისა და პოლიტიკური ორგანიზაციის და სხვა მიმართებებს. მაგრამ ეს მიმართებანი შეუძლებელია დახასიათდეს, თუ არ გაანალიზდა ის როლი, რომელსაც პიროვნება ასრულებს ამ სისტემისა და მისი ელემენტების მიმართ, ისე როგორც სისტემისა და ელემენტების პიროვნების მიმართ როლის ანალიზის გარეშე. ამიტომ სტრუქტურული ანალიზი სავსებით მართებულად დაკავშირებულია როლის, ადგილისა და ფუნქციის განსაზღვრასთან. თავის მხრივ, სტრუქტურები მრავალფეროვანია იმის მიხედვით, თუ რა ნიშნით არიან ადამიანები გაერთიანებული, ან ორგანიზაციები შექმნილი. ამდენად, სოციოლოგიას უხდება ეთნოგრაფიული, პროფესიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, წოდებრივ-კლასობრივი და სხვა სოციალური სტრუქტურების, როგორც შესაბამისი ფუნქციების გაანალიზება"[9].

სოციალური ერთობების მრავალფეროვნებიდან ჩვენთვის საინტერესო ეთნოსის შესახებ წინა თავში ვრცლად ვიმსჯელეთ. ამჯერად სოციალური ჯგუფის მოკლე განსაზღვრის მოტანაცაა საჭირო. მაგრამ, რადგან საზოგადოების განვითარებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებანი კონკრეტულად გამოვლინდებიან ადამიანთა ურთიერთობების სხვადასხვა ფორმებში და აქედან გამომდინარე, თავისი ძირის ძირი არსით სოციოლოგია არის მეცნიერება (გამარტივებულად რომ ვთქვათ), ადამიანთა (პიროვნების) ურთიერთობების შესახებ სხვადასხვა სოციალურ ურთიერთობებში, პიროვნებისა და საზოგადოების, ურთიერთმიმართების საკითხსაც შევეხებით.

იმ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტით უნდა დავიწყოთ, რომ საზოგადოება შედგება ცალკეული ინდივიდებისაგან. ყოველი ინდივიდის თანდაყოლილი თვისებაა მიზანდასახული მოქმედება ძირითადად მიმართული საკუთარი დიდი თუ მცირე ინტერესების დაკმაყოფილებისა თუ მიზნის მიღწევისაკენ. ამავე დროს ერთი ადამიანის მოქმედება იზოლირებული არ არის სხვა ადამიანის მოქმედებისაგან, რომლებსაც აგრეთვე, თავისი საკუთარი მიზნები და მისწრაფებები ამოძრავებთ. ადამიანების მოქმედების ურთიერთგადაჯაჭვა ქმნის მათ ურთიერთობას. ურთიერთობა ამავდროულად ურთიერთზემოქმედებაცაა. ამიტომ

---

9 კ ო დ უ ა ე. კლასების ლენინური განსაზღვრების მნიშვნელობა თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის კრიტიკისათვის, თბ., 1980. გვ. 23—24.

ურთიერთობის პროცესში ადამიანები გარდაუვალად ურთიერთზემოქმედებენ ერთმანეთზე — ე. ი. საბოლოო ჯამში მთელი საზოგადოება ზემოქმედებს კონკრეტულ ინდივიდებზე. აქედან გამომდინარეობს, რომ საზოგადოება ცალკეული ინდივიდების მექანიკურ ჯამს კი არ წარმოადგენს, არამედ მას ქმნის ამ ინდივიდთა ურთიერთობა, რაც, თავის მხრივ და ამავდროულად ინდივიდს აყალიბებს პიროვნებად. ამასთანავე, კონკრეტული პიროვნებები და მათი ურთიერთობებით შექმნილი საზოგადოება კონკრეტულ დროსა და სივრცეში არსებობს. ამიტომ პიროვნებაზე ზემოქმედებს იმ საზოგადოების მთელი სოციალური ურთიერთობის არსებითი მახასიათებლები (ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სხვ.), რომელშიც ეს პიროვნება ცხოვრობს. ამავე დროს, ყოველი პიროვნება სრულიად დამოუკიდებელი, უნიკალური მოვლენაა და მის მთლიანობას ამ სოციოგენურ ელემენტებთან ერთად ქმნის საკუთარი ბიოგენური და ფსიქოგენური ელემენტებიც. ამდენად, პიროვნება არის ადამიანის ზოგადი არსის, კონკრეტული გამოხატულება, საზოგადოების მთელი სოციალური ურთიერთობის არსებითი მახასიათებლების ადამიანში (ბიოლოგიურ სახეობაში) განხორციელებული ინტეგრაცია. ადამიანისა და საზოგადოების ეს ურთიერთმიმართება და მისგან გამომდინარე ადამიანის სოციალური არსი იმდენად ცხადად არის დასაბუთებული მარქსისტულ ფილოსოფიაში, რომ მარქსის ცნობილი გამოთქმა „როგორც საზოგადოება ქმნის ადამიანს ადამიანად, ისე ის ქმნის საზოგადოებას", საზოგადოებრივი ურთიერთობის კვლევის ამოსავალ ფორმულად არის ქცეული.

პიროვნებაში მთავარია მისი სოციალურობის საკითხი. პიროვნების სოციალურ ხარისხს წარმოადგენს მის მიერ შესრულებული, განხორციელებული საქმიანობა, მისი ცალკეული ქმედებების ერთობლიობა, კომპლექსი — ე. წ. სოციალური ქმედება. ფსიქოლოგიური მეცნიერება პიროვნების სოციალურ ხარისხს ცალკე ელემენტებად მთლიანობად წარმოგვიდგენს[10]. ესენია პიროვნების ქმედების სოციალურად განსაზღვრული მიზანიც; მის მიერ დაკავებულ სოციალურ როლთან (პოზიციის) დაკავშირებული ექსპექტაციების (უფლება-მოვალეობები) განხორციელებაც; მისი ქცევის ნორმებიც; ის სოციალური ღირებულებებიც, რომლებითაც პიროვნება ხელმძღვანელობს თავისი მოქმედების პროცესში; ზოგადი განათლების, სპეციალური მომზადების და საერთო ცოდნის დონის ერთობლიობაც; მისი კერძო სოციალურ-

---

10 ნადირაშვილი შ. პიროვნების პრობლემა ფსიქოლოგიაში, ობ., 1978, გვ. 76.

ფსიქიკური მახასიათებლებიც; აქტიურობისა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარის ხარისხიც და ა. შ. ეს ელემენტები პიროვნებაში ურთიერთზემოქმედებენ და აყალიბებენ პიროვნებას როგორც მთლიან სისტემას. გარდა ამისა, სხვადასხვა პიროვნებების სოციალური ხარისხებიც ურთიერთზემოქმედებენ და საზოგადოების განვითარების სხვა მახასიათებლებთან ერთად ქმნიან მთლიანი სოციალური გარემოს სოციალურ ხარისხს, რომელიც ზემოაღწერილი მექანიზმით, თავისთავად უკუზემოქმედებს ცალკეული პიროვნებების სოციალურ ხარისხზე.

ამდენად, პიროვნება ერთდროულად არის სოციალურ გარემოში მის მიერ შესრულებული სოციალურად მნიშვნელოვანი ქმედებების მიზეზიც და შედეგიც. პიროვნებაში ინტეგრირებული სოციალური გარემოს მახასიათებლები ამავე დროს ქმნის, გამოიმუშავებს პიროვნების დამოკიდებულების ხასიათს მთელ საზოგადოებასთან და გარე სამყაროსთან, რაც თავისთავად განსაზღვრავს მის სოციალური მოქმედების ხასიათს. თვით საზოგადოებისათვის კი, ყოველივე ზემოთქვამიდან გამომდინარე, პიროვნება არის საქმე, რომელსაც ის ამ საზოგადოებაში ანხორციელებს. პიროვნებების ურთიერთობები ადამიანებს აერთიანებს რაღაც სხვადასხვა დონის, ზომის და მნიშვნელობის სოციალურ ერთობებში, რომლის ერთ-ერთი სახესხვაობაა სოციალური ჯგუფიც. სოციოლოგიაში ჯგუფის მრავალ განსაზღვრება არსებობს. ერთ-ერთი განმარტებით სოციალური ჯგუფი არის ადამიანთა განსაზღვრული რაოდენობა, რომლებიც დაკავშირებული არიან გარკვეული ნორმებით რეგულირებული ურთიერთობის სისტემით, საერთო მისწრაფებები აქვთ და მათი ერთობა სხვებისგან გამოიყოფა განცალკევების გარკვეული პრინციპით[11]. სოციალური ფსიქოლოგიის მკვლევარები კი ჯგუფის განსაზღვრებისას უფრო ქმედებაზე სვამენ მახვილს. მაგალითად: „ჯგუფი, შეგნებულად თუ ქვეცნობიერად რაიმე მიზანს დამორჩილებული, თანმიმდევრულ და კოორდინირებულ ქმედებაში ჩაბმული ადამიანების ერთობაა, რომელთაც რაიმე კმაყოფილებას ანიჭებს ამ საერთო მიზნის მიღწევა"[12]. მიჩნეულია, რომ ჯგუფის მრავალნაირი სახესხვაობა არსებობს. მაგალითად,

---

[11] Щепанский Я. | Элементарные понятия социологии, М., 1969, გვ. 117-118. ამავე დროს შჩეპანსკი, სხვა მკვლევარებისგან განსხვავებით, ჯგუფის მინიმალურ სიდიდედ მიიჩნევს სამწევრიანს. ამ მოსაზრების უზუსტობას ნათელყოფს სწორედ ოჯახი, რომელიც შეიძლება მხოლოდ ორი წევრისაგანაც შედგებოდეს.

[12] Шибутани Т. Социальная психология. М., 1959, с. 52.

მცირე და დიდი, ფორმალიზებული და არაფორმალური, პირველადი და მეორადი, დროებითი და მუდმივი და ა. შ. მაგალითად ოჯახი წარმოადგენს მცირე, პირველად (ე. ი. პირად კონტაქტებზე დაფუძნებულს), ფორმალიზებულ (ამ შემთხვევაში — საზოგადოების მიერ ამა თუ იმ ფორმით სანქცირებულს), სოციალურ ჯგუფს.

ახლა ფუნქციების შესახებ. სოციოლოგიის **ფუნქცია** არ არის ერთნიშნა. უმეტესად გამოყოფენ სამ ძირითად ფუნქციას — შემეცნებითს, პრაქტიკულს და იდეოლოგიურს[13]. შემეცნებითი ფუნქციაა საზოგადოების ზოგადი კანონზომიერებების მექანიზმის ახსნა, ტენდენციების დადგენა, საზოგადოების მოთხოვნილებების კონკრეტული ფორმების გამოვლინება, მეცნიერების სხვადასხვა დარგების ცოდნისა და საკუთარი გამოკვლევების საფუძველზე ახალი კონკრეტული თეორიების შექმნა. პრაქტიკული ფუნქციაა ახლო თუ შორეულ მომავლისთვის საზოგადოების წინსვლის პერსპექტივების დადგენა — პროგნოზირება, გეგმაზომიერი მართვის ხელშეწყობისთვის სოციალური პრობლემის გადაჭრის მეცნიერულად დასაბუთებული გზების, — რეკომენდაციების შემუშავება. იდეოლოგიური ფუნქცია ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ „ეხმარება ადამიანებს უკეთესად და სრულად გაიგოს თავისი ადგილი საზოგადოებრივ პროცესში... ეხმარება ჩვეულებრივი აზროვნებიდან ამაღლდეს მეცნიერულ აზროვნებამდე“[14] და გაარკვიოს თავისი პოლიტიკური მრწამსი. მთლიანობაში სოციოლოგიის ფუნქცია არის სოციალური პრობლემის მეცნიერული გადაწყვეტა საზოგადოების რეალური ცხოვრების მოთხოვნილებებისა და ზოგადი კანონზომიერებების ურთიერთგადაჯაჭვულობის გავლენების გათვალისწინებით და ამით საზოგადოების განვითარების პროგრესული ტენდენციების ხელშეწყობა.

სოციოლოგიის **ამოცანაა** კონკრეტული პიროვნების მოთხოვნილებების შესწავლა-გამოვლენა, პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესების თანმთხვევის დონის განსაზღვრა და იმ ფაქტორების დადგენა, რომლებიც პიროვნების მოთხოვნილებების ცვლა-განვითარებას ამა თუ იმ მიმართულებას აძლევენ.

სოციოლოგიური კვლევის ძირითადი მეცნიერული მიმართულებებია: 1. სოციალური დაგეგმვა, 2. ცხოვრების წესი (შრომისა და დასაქმების ფორმები, ყოფა, ოჯახი, დროის ბიუჯეტი და ა. შ.), 3. საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, (სოციალურ-კლასობრივი, სტრუქ-

---

[13] Рабочая книга социолога, с. 34—36. შდრ. ზ დ რ ა ვ ო მ ი ს ლ ო ვ ი ა. სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია და პროცედურა, გვ. 32—35.

[14] Рабочая книга социолога, с. 37.

ტურები, სოციალურ-დემოგრაფიული სტრუქტურა, სოციალურ-პროფესიული სტრუქტურა და ა. შ., 4. საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროები (სოციალური მართვა, საზოგადოებრივი აზრი, განათლება, მეცნიერება და კულტურა, რელიგია, პიროვნება და ა. შ.). ყველა ამ მიმართულებაში მთავარია სოციალური ფორმების კავშირი კონკრეტულ პირობებთან და კონკრეტული პიროვნებების მოთხოვნილებებთან.

ამ მიმართულებებში კვლევის საგნების მიხედვით თანდათან ჩამოყალიბდა სოციოლოგიის დარგობრივი სფეროები სოციალური ქმედების ცალკეული სახეების, სოციალური ინსტიტუტების თუ ერთობების მიხედვით. მაგალითად, შრომის სოციოლოგია, განათლების სოციოლოგია. ოჯახის სოციოლოგია, მასობრივი კომუნიკაციების სოციოლოგია, (დასავლეთში ჭორის სოციოლოგიაც კი არსებობს), რელიგიის სოციოლოგია, სპორტის სოციოლოგია, სამართლის სოციოლოგია და ა. შ.

სოციოლოგიური კვლევა თავისი ხასიათით, როგორც წესი. კომპლექსურია. საქმე იმაშია, რომ, რაკიდა სოციალური პრობლემა საზოგადოების სხვადასხვა დონეზე სხვადასხვანაირად ვლინდება, მის გადაჭრასაც სრულიად სხვადასხვა ვარიანტები აქვს. პრობლემის გადაჭრის განსხვავებულ ვარიანტებს შედეგებიც განსხვავებული მოსდევს. ამიტომ, ერთადერთი სწორი ვარიანტის შემუშავებისათვის განსაკუთრებული სიმწვავით დგება პრობლემის გამოწვლილვითი, კომპლექსური შესწავლის აუცილებლობა მთელი სისტემის ძირითად პარამეტრებთან კავშირშიც და მეცნიერების სხვა დარგის მონაცემების გამოყენებითაც. კვლევისადმი ასეთი მაღალი მოთხოვნილებების გამო სოციოლოგი ერთ გამოკვლევაში ჩვეულებრივად ვერ ტევს მთელ სოციალურ მოვლენას. ამიტომ შლის მას ცალკეულ პრობლემებად და ცალ-ცალკე შეისწავლის მათ. შეისწავლის რა ცოცხალ სინამდვილეს, სოციოლოგია აწმყოდან მიმართულია მომავლისაკენ, მისი პროგნოზირებისა და განვითარების გზების ძიებისაკენ. ნაშრომებიც ასეა აგებული.

სოციოლოგია თავისი ინფორმაციის მოსაპოვებლად (და გასაანალიზებლად) მრავალფეროვან წყაროებს იყენებს. მისი უპირველესი წყაროა კვლევის საკუთარი მეთოდებით მოპოვებული მასობრივი ინფორმაცია, რომელსაც იგი უშუალოდ მოსახლეობისგან იღებს. საბაზო წყაროს წარმოადგენს მისთვის სტატისტიკური მონაცემები, ფართოდ იყენებს დოკუმენტურ მასალებს, პრესას, მეცნიერების სხვა დარგებში დაგროვილ ცოდნას და ა. შ.

კვლევაში ძირითადია გამოკითხვის მეთოდი, რომელშიც უმთავრესია წერილობითი კითხვარი (ანკეტა) და ინტერვიუ. გამოკითხვის ერთეულია პიროვნება ან ჯგუფი.

განსაკუთრებით მდიდარია სოციოლოგიური კვლევის მეთოდიკა, რომელშიც ფართოდ იყენებს მათემატიკურ ხერხებსაც. მიიჩნევა რომ სოციოლოგიის კვლევის მეთოდიკა განსაკუთრებით რთულია. ჩვენი კერძო თვალსაზრისით სოციოლოგიური კვლევის მეთოდიკის მოჩვენებით სირთულეს იწვევს ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებების სპეციალისტებისათვის მათემატიკური ხერხების გამოყენების ტრადიციის უქონლობა, ერთგვარი შიში მასალის მათემატიკური დამუშავების ხერხებისადმი. სინამდვილეში კი სწორედ მათემატიკური ხერხები იძლევა მასობრივი ინფორმაციის მოპოვების, მისი კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის ყველაზე ადვილ პირობებს. სოციოლოგიამ, განსაკუთრებით კონკრეტულმა სოციოლოგიამ, სწორედ მათემატიკური ხერხებით გაიადვილა მასობრივი მასალის მოპოვებისა და კლასიფიკაციის სიძნელეები, ესოდენ რთული ვთქვათ. იგივე ეთნოგრაფიაში. მასობრივი ინფორმაციის მოპოვება კი სოციალური კვლევის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა. სწორედ კონკრეტულმა სოციოლოგიამ, როგორც შედარებით ახალმა მეცნიერებამ, შესძლო მიესადაგებინა მათემატიკის ზოგიერთი კანონი საზოგადოებრივი პროცესების შესწავლასთან თავისი მიზნების განხორციელებისათვის. საქმე იმაშია, რომ შეისწავლის რა საზოგადოებრივ პრობლემას, სოციოლოგიას აინტერესებს მთელ საზოგადოებაში ამ პრობლემის ტიპურობის დადგენა, ამ ტიპურობის ხარისხის დაანგარიშება საკვლევი ერთეულების სხვადასხვა ნიშნით (ცვლადით) გამოყოფილ კატეგორიებში (მაგალითად, სხვადასხვა სქესის, ასაკის, განათლების, სოციალური მდგომარეობის, სოციალური წარმოშობის, ეროვნულობის, ოჯახური მდგომარეობის, ღირებულებითი ორიენტაციების, მატერიალური მდგომარეობის, სოციალურ-კულტურული ტიპის, საცხოვრებელი რეგიონის, პროფესიის, შრომითი კოლექტივების და ა. შ. მიხედვით) და კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და საზოგადოებრივი პროგრესის არსებული მიმართულების ლოგიკური ანალიზის საფუძველზე ახლო მომავლის პროგნოზირება საკვლევი პრობლემის განვითარებაში. ამიტომ მისთვის ერთი კონკრეტული პიროვნება და მისგან მიღებული ინფორმაცია არ არის მნიშვნელოვანი. მას საქმე აქვს მთელ საკვლევად აღებულ სოციალურ ერთობასთან, რომლებიც ან უამრავი ადამიანისაგან შედგება (მაგალითად, სოციალური კლასი, საწარმო), ან თუ ეს ერთობები არ არის მრავალრიცხოვანი თავისი ზომით (მაგალითად, კონკრეტული ოჯახები), თვით არიან მრავალრიცხოვანნი (ოჯახების საერთო რაოდენობა საკვლევ რეგიონში) და ამ შემთხვევაში კვლევის თითოეულ ერთეულად წარმოდგებიან. მათში ტიპური მოვლენების ნათლად წარმო-

ჩენისათვის სასურველი უნდა ყოფილიყო ყოველი ერთეულის შესწავლა. მაგრამ, გასაგებია, რომ ეს დიდ სირთულეებთან და ხარჯებთან არის დაკავშირებული. აი, სწორედ აქ გამოიყენა სოციოლოგიამ მათემატიკური ალბათობის და საშუალო სიდიდეების თეორიები.

ალბათობის თეორიის არსი შემთხვევითობის და აუცილებლობის შეფარდების ფილოსოფიური გაგებიდან მოდის, რომლის მიხედვით, მარტივად რომ ვთქვათ, შემთხვევითობაც (შემთხვევით რაიმეს მოხდენა, ხდომილება) აუცილებლობაა. აუცილებელ ხდომილებებში შემთხვევითი ხდომილებები გარკვეული რაოდენობით და კანონზომიერებით მეორდება. ისინი მთელი რაოდენობიდან შერჩევით აღებულ რიცხვებშიც თითქმის ზუსტი შეფარდებით ხვდება. ამიტომ არ არის აუცილებელი მთელი საკვლევი ერთობლიობის ყველა ერთეულის (პიროვნებების, ოჯახების და ა. შ.) კვლევა. მოვლენის შესასწავლად საკმარისია გარკვეული სისტემატიზაციით შეირჩეს ერთეულები, ისე, რომ ამ შერჩევაში აუცილებლობის წესით მოხვდეს შემთხვევითი ხდომილებებიც, რომელთა შეფარდება მოგვცემს სწორედ საშუალო სიდიდეს, ანუ ტიპურის სურათს.

შერჩევის სხვადასხვა სახეობა არსებობს: მარტივი შემთხვევითი, მექანიკური შემთხვევითი, სერიული, სტიქიური, ტიპური, კვოტური, არაპროპორციული, ტერიტორიული და ა. შ. (ჩვენი კერძო თვალსაზრისით, ეს მრავალფეროვნება მეთოდიკის უნიფიცირების სასურველობასაც გამოხატავს). ყოველი შერჩევის ძირითადი პრინციპია მთელი საკვლევი ერთობლიობიდან /გენერალური ერთობლიობა/ გამოსაკითხად ისეთი პიროვნებები თუ ჯგუფები შეირჩეს (შერჩევითი ერთობლიობა), რომლებიც ხასიათდებიან გენერალური ერთობლიობის ყველა ძირითადი ნიშნით და მის შემცირებულ სურათს შექმნიან.

ამავე დროს სოციოლოგია კონკრეტული ინფორმატორის (რესპონდენტის) პირადი ვინაობით (გვარი, მისამართი) არ ინტერესდება. მისთვის მთავარია პიროვნება, რომელიც ყველა შესაძლებელ შემთხვევაში შეიძლება მოინახოს. მთავარია, კვლევა წარმოებდეს დროის გარკვეულ მონაკვეთში და არ ირღვეოდეს შერჩევის პრინციპი. სწორედ ასობით და ათასობითაც ამ ცალკეულ რესპონდენტებს შეაკსებინებს სოციოლოგი თავისი საკვლევი პრობლემის შესწავლისთვის წინასწარ შემუშავებული პროგრამის მიხედვით შედგენილ წერილობით კითხვარებს (ანკეტებს), შემდეგ აჯგუფებს ანკეტის საკითხებს იმის მიხედვით თუ რომელი მონაცემების ურთიერთგანმსაზღვრელობა (კორელაციური კავშირი) აინტერესებს, გადასცემს ყველაფერი ამას სპეციალიზირებულ დაწესებულებას გამომთვლელ მანქანაზე დასაანგარიშებლად (თუ შერჩევითი ერთობლიობა დიდი არ არის, მასალის ხელით დამუშავებაც შეიძლება), და ბოლოს იწყებს მანქანის მიერ

კლასიფიცირებულ მასალის მეცნიერულ გაანალიზებას. კარგად დაყენებულ სოციოლოგიურ კვლევაში ჩვეულებრივად რამდენიმე ტექნიკური მუშაკიც იღებს მონაწილეობას.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ კვლევის პროცესის უმეტესი სიძნელე სოციოლოგიაში გადატანილია პროგრამის შედგენაზე. პროგრამა სოციოლოგიური კვლევის მთავარი განმსაზღვრელია. იგი უკვე დასრულებული სახით უნდა შემუშავდეს კითხვარის შედგენამდე. საქმე იმაშია, რომ რაკიღა სოციოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ხერხი წერილობითი კითხვარია, რომელიც ათასობით ვრცელდება ანონიმურ რესპონდენტებთან მათი მისამართისა და ვინაობის დაფიქსირების გარეშე, სოციოლოგს საშუალება არა აქვს მიუბრუნდეს რესპონდენტს და დაშვებული უზუსტობები ან გამორჩენები შეავსოს — ჩაასწოროს. ამიტომ პროგრამის მომზადება მთელი გულისყურით და პასუხისმგებლობით ხდება. გარდა ამისა ამ მომზადებაში შედის საცდელი (პილოტაჟური) გამოკვლევა. — პროგრამის (კითხვარის) გამოცდა მცირე რაოდენობის რესპონდენტებთან, რის შემდეგაც ხდება პროგრამის და სამუშაო კითხვარის საბოლოო სახით დასტამბვა.

ანკეტური გამოკითხვის გარდა სოციოლოგიის მეთოდიკაში ფართოდ არის გამოყენებული, აგრეთვე, ინტერვიუ, რომელსაც თავისი სახეები გააჩნია.

სოციოლოგია შეისწავლის რა მოვლენას მისი კვლევის კონკრეტულ მომენტში, შეიძლება ითქვას, თავის საკუთარ სტატისტიკას ქმნის, რომელსაც გარკვეული სიზუსტის პრეტენზია აქვს, რასაც უზრუნველყოფს მისი მეთოდიკის პრინციპების დაცვა[15].

ეს ყოველივე, ასე მოკლედ გადმოცემული სოციოლოგიის შესახებ, ვფიქრობთ, მაინც ნათელყოფს ფაქტს, რომ სოციოლოგია არის მეცნიერება, რომლის კვლევის კონკრეტულ ობიექტს, საგანს თუ მეთოდიკებს ზღვარი არ აქვს. რადგან საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარე ცალკეულ სოციალურ მოვლენებს წარმოადგენენ და თითქმის ყოველ მათგანს თან სდევს თავისი პრობლემები, სოციოლოგის წინ განუსაზღვრელი პერსპექტივებია გადაშლილი საკვლევად სოციალური პრობლემის ამა თუ იმ საკითხის თავისი ნება-სურვილით არჩევაში.

---

15 სოციოლოგიური კვლევის მეთოდიკაზე უამრავი რაოდენობის ლიტერატურა არსებობს. დავასახელებთ რამდენიმე მათგანს. ვ ა ჩ ე ი შ ვ ი ლ ი ა. მცირე სოციალურ ჯგუფთა გამოკვლევის მეთოდური საკითხები. თბ., 1973; ზ დ რ ა ვ ო მ ი ს ლ ო ვ ი ა. სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია და პროცედურა. თბ., 1975. Работая книга социолога. М., 1977; Н о е л ь Э. Массовые опросы. М., 1978., Типология и классификация в социологических исследованиях. М., 1982; [illegible] ბ. კულტურის სოციოლოგიური კვლევის მეთოდიკა. თბ., 1984.

მას უფრო მეტად აქვს თავისი შემოქმედებითი პოტენციალის მთელი სისრულით გამოვლენის შესაძლებლობა, ვიდრე სხვა ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტებს. მას უფრო მეტად აქვს თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის განხორციელების საშუალება, საშუალება აქვს თავისი რეალური წვლილი შეიტანოს მეცნიერების უმნიშვნელოვანესი ფუნქციის განხორციელებაში — საზოგადოების პროგრესის ხელშეწყობასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.

ოჯახი, წარმოადგენს რა საზოგადოების ერთ-ერთ სოციალურ ერთობას, სოციალურ ინსტიტუტს, სოციალურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ჯგუფს და ა. შ. (ე. ი. სოციალურ მოვლენას), სოციოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტთაგანია. სოციოლოგიაში არსებობს ოჯახის გარკვეულად მწყობრი თეორია (მასზე ქვემოთ გვექნება მსჯელობა), რომელიც მიეკუთვნება სოციოლოგიის სტრუქტურის სპეციალურ (მეორე, ანუ საშუალო დონის) თეორიებს. ოჯახის სოციოლოგიის ამოცანაა გაარკვიოს[16]: 1. სოციალური ურთიერთობის რა ტიპებია დამახასიათებელი ოჯახისათვის, მათგან რომელია პირველადი და მეორადი, რით განისაზღვრება ოჯახის წევრთა რაოდენობა და ურთიერთობათა სტრუქტურა, როგორ კავშირშია ოჯახი სხვა სოციალურ ერთობებთან და ცხოვრების სხვა სფეროებთან.. 2. ოჯახის სოციალური ფუნქციები და თავისებურებები, ოჯახის ინტეგრაციის და დეზორგანიზაციის პირობები., 3. საოჯახო და საქორწინო ურთიერთობის ისტორიული ტიპების განვითარების (განსაკუთრებით თანამედროვეს) ტენდენციები და (მათი საშუალებით) უფრო ფართო საზოგადოებრივი სტრუქტურის განვითარების კანონზომიერებები; 4. ზოგადსოციოლოგიური კვლევის ხერხების სწორად მომარჯვება.

ოჯახის სოციოლოგიის ძირითადი მიმართულებებია ქორწინება, ოჯახის სოციალური ფუნქციები, შინაოჯახური ურთიერთობა (ნორმაც და პათოლოგიაც — კონფლიქტი, განქორწინება), აღზრდა და ს.ხვ.

როგორც აღვნიშნეთ, ერთი მკვლევარი-სოციოლოგი მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენის ყველა მხარის თუ პრობლემის მთლიან კვლევას (სოციოლოგიის ძირითადი მოთხოვნების მიხედვით) ვერ ასღის და შლის მას ცალკე შესასწავლ საკითხებად. ამიტომაა, რომ ის მაღალ დონეზე შესრულებული ნაშრომებიც კი, რომლებიც სათაურით ოჯახთან დაკავშირებული რომელიმე მოვლენის მთელი სურათის წარმოდგენას გვპირდებიან, ჩვეულებრივად მოვლენის მხოლოდ ერთი-ორი ქვეპრობლემის რამდენიმე კონკრეტული კვლევის ანალიზს (კონკრეტული რეკომენდაციებით) წარმოადგენენ, გაშუქებულს მთელი მოვლენის ზოგადი არსის ფონზე.

---

[16] Харчев А. Г. Брак и семья в СССР, М., 1979.

მთლიანად მოვლენის (მაგალითად, ქორწინების) სოციოლოგიური კვლევა პერსპექტივაში შესაძლებელია მხოლოდ მკვლევართა ჯგუფის კოორდინაციით და კვლევის მაღალი ორგანიზაციის შექმნით. მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს სიძნელე ვერ გადალახა სოციოლოგიური კვლევის ჩვენმა ძირითადმა კერებმაც (მოსკოვი, ლენინგრადი, ვილნიუსი) სადაც ოჯახის სოციოლოგიაში მთელი განყოფილებები არსებობს.

ოჯახის შესახებ საბჭოთა სოციოლოგიაში მდიდარი ლიტერატურა არსებობს[17]. თანდათან ძალას იკრებს ოჯახის სოციოლოგია საქართველოშიც[18]. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ის პერსპექტივები, რომ-

---

[17] Харчев А. Г. Брак и семья в СССР. М.; Харчев А. Г. Мацковский М. С. Современная семья и ее проблемы. М., 1978; Соловьев Н. Брак и семья сегодня. Витьнюс, 1977; Янкова З. Городская семья. М., 1979; Юркевич Н. Г. Советская семья, Минск, 1970; Васильева Э. К. Образ жизни городской семьи. М., 1981; Чуйко Л. В. Браки и разводы. М., 1975; Гордон Л. А., Клопов Э. В. Человек после работы. М., 1972 და სხვა.

[18] თეორიული ხასიათის ქართული სოციოლოგიური ლიტერატურიდან ოჯახის შესახებ ყურადღებას იქცევს ნაშრომები: პ. ა.რ.ე.ვ.ა.ძ.ე. საქორწინო-საოჯახო ურთიერთობის განვითარება სოციალისტურ საზოგადოებაში, თბ., 1958; ი. ქ ა ე ბ ა ვ ა. სოციალისტური ოჯახის განვითარების ტენდენციები, თბ., 1955; ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი ვ. სოციალისტური ოჯახის ზნეობრივი ფუნქცია, თბ., 1967; პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი. თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის შესახებ. თბ., 1966; ე. შ ე ნ გ ე ლ ი ა. სოციალისტური ოჯახი. თბ., 1974. და სხვ. გამოკვლევის მეთოდიკისა და კონკრეტული კვლევის შედეგების თვალსაზრისით საინტერესოა ბ ა ნ ძ ე ლ ა ძ ე გ. სიყვარულისა და ოჯახისადმი დამოკიდებულების კვლევის საკითხები. წიგნში — სოციოლოგიური გამოკვლევები. I. თბ., 1969; ლ ო გ უ ა გ. ოჯახის სოციოლოგიური და სოციალურ, ფსიქოლოგიური კვლევის საკითხისათვის. წიგნში „სოციოლოგიური გამოკვლევები. II. თბ., 1976; თ ო თ ა ძ ე ა. ახალგაზრდობის სოციოლოგიის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1977; მისივე, თანამედროვე ოჯახის სტრუქტურის საკითხები. წიგნში — სოციოლოგიისა და დემოგრაფიის პრობლემები. I. თბ., 1980; ა ბ ა შ ი ძ ე ი. ქალთა დასაქმების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები. თბ., 1986; ბ ე ქ ა ი ა მ. ოჯახი და შინაოჯახური პროცესები. წიგნში — ახალი სასოფლო რაიონის სოციალური პრობლემები. თბ., 1974; მისივე. ოჯახის სოციალური სტრუქტურა. წიგნში — საქართველოს მთის ზოლის მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური აქტივიზაციის საკითხები. თბ., 1974; მისივე, საზოგადოებრივი აზრი ოჯახის სოციალური პრობლემების შესახებ. წიგნში — საზოგადოებრივი აზრი და სოციალური განვითარების პროცესების კონკრეტული შესწავლა. თბ., 1978; მისივე, ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები (განქორწინების ისტორიულ-სოციალური კვლევის საკითხები). თბ., 1980; მისივე, Опыт исследования социальных причин развода (по материалам г. Тбилиси). წიგნში — Совершенствование практики организации социологических исследований и повышение эффективности использования их результатов. М. 1987; Масхулия В. К. Роль социологии семьи в социальном регулировании брачно-семейных отношений. წიგნში — Совершенствование практики орагнизации социологических

ლებსაც ოჯახის სოციოლოგიის პრაქტიკული (თეორიულთან ერთად) დანიშნულება (ოჯახის სიმტკიცისა და ცხოვრების დონის ამაღლების ხელშეწყობა) ქმნის.

исследований и повышение эффективности использования их результатов. М., 1987 და სხვა.

საქართველოში ოჯახის სოციოლოგიის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს დემოგრაფიული ხასიათის ნაშრომებსაც (ვ. გუგუშვილის, ა. კაკაძის, რ. კლიმიაშვილის, გ. წულაძის, ა. სულაბერიძის და სხ.) სოციალური ფსიქოლოგიის (ნ. სარჯველაძე და სხვ.) პედაგოგიკის (სპეციალური ჟურნალით „სკოლა და ცხოვრება") და სხვას.

თავი მესამე

ეთნოსოციოლოგიის საგანი და ფუნქცია

ზემო თავებში ჩვენ ცალცალკე დავახასიათეთ ეთნოგრაფიისა და სოციოლოგიის ობიექტი, საგანი, ფუნქციები, მიზნები და ამოცანები, წყაროები, ძირითადი მიმართულებანი, მეთოდიკის ზოგიერთი საკითხი და შევეხეთ ზოგიერთ თეორიულ საკითხსაც. თვალნათლივ გამოჩნდა, რომ შეისწავლიან რა საზოგადოების ცოცხალ სინამდვილეს, მეცნიერების ეს ორი დარგი უაღრესად ახლოს დგას ერთმანეთთან (საერთოდ, მათი მსგავსება-გამიჯნულობის საკითხი დიდხანს წარმოადგენდა მეცნიერული დავის საგანს). კონკრეტული სოციოლოგიის სწრაფმა განვითარებამ ჩვენშიც მწვავედ გამოავლინა მათი შერწყმის მიზანშეწონილობა, გამოავლინა, რომ სოციალური მოვლენისა და პრობლემების კვლევა ეროვნული (ეთნიკური) მახასიათებლების გარეშე ცალმხრივი და ნაკლულია, რომ მათი გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სოციოლოგიური მეცნიერების მიერ შემუშავებული დასკვნები და რეკომენდაციები წარმატებულად იქნეს გამოყენებული მართვისთვის.

საბჭოთა ეთნოსოციოლოგიას, მიუხედავად ახალგაზრდობისა, უკვე აქვს სახელმძღვანელო ნაშრომი, რომელშიც გადმოცემულია მისი ძირითადი არსის რაობა და წარმოქმნის ლოგიკურობა. „საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ამოცანა, — ეკონომიკური და სოციალური დაგეგმარების ურთიერთშეთავსება — ისეთ მრავალრიცხოვან სახელმწიფოში, როგორიც საბჭოთა კავშირია, არ შეიძლება წარმატებით გადაიჭრას ეროვნული თავისებურებების გათვალისწინების გარეშე. სოციალური მოვლენების კონკრეტული შესწავლის დროს სოციოლოგები მიდიოდნენ იმ დასკვნამდე, რომ რეგიონალური და ეთნიკური თავისებურებების გათვალისწინების გარეშე ჩვენს მრავალეროვან საზოგადოებაში სოციალური პრობლემების რეალური და ყოველმხრივი შემეცნება ძნელია. ამავდროულად, ურბანიზაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ეთნოგრაფიაშიც გაძლიერდა მოთხოვნილება სოციალურად დიფერენცირებული და განპირობებული ეთნიკური მოვლენებისა და პროცესების სოციოლოგიუ-

რად განხილვისა. ამგვარად, ახალი სამეცნიერო მიმართულების — ეთნოსოციოლოგიის შექმნა პასუხობდა მეცნიერული ცოდნისა და საზოგადოებრივი პრაქტიკის ინტერესებს"[1]. ეთნოსოციოლოგია, როგორც ამბობენ, წარმოადგენს სოციოლოგიის „ეთნოგრაფიზირებას" და ეთნოგრაფიის „სოციოლოგიზირებას", რაც კარგად ჩანს მისი საკუთარი ობიექტის, საგნის, მიზნებისა და ფუნქციების განსაზღვრაში.

რაკიღა ზემო თავებში უკვე იქნა დახასიათებული ეთნოგრაფიისა და სოციოლოგიის ძირითადი არსი (ამ მცირე პუბლიკაციის შესაფერისი მოცულობით), თვით ეთნოსოციოლოგიის არსი აქ შეიძლება უფრო მოკლედ გადმოიცეს.

ეთნოსოციოლოგიის კვლევის **ობიექტია** ეთნიკური ერთობების სოციალური და ეთნიკური მოვლენები, პროცესები და პრობლემები. ეთნოსოციოლოგია იქ იწყება, სადაც მკვლევარი ეთნიკური მოვლენების, პროცესების თუ პრობლემების ზოგადი აღწერიდან გადადის მისი სოციალური საფუძვლების რაოდენობრივი მაჩვენებლებით გამოვლენისაკენ (ისეთ ცვლადებთან კავშირში, როგორიცაა რეხპონდენტის ეროვნება, სქესი, ასაკი, განათლება, სოციალური მდგომარეობა, სოციალური წარმოშობა, ოჯახური მდგომარეობა, პროფესია, ეკონომიკური მდგომარეობა, ღირებულებითი ორიენტაციები, თანამდებობა და ა. შ.). ობიექტის განსაზღვრისას ამოსავალი ის ფაქტია, რომ ადამიანები (ანუ საზოგადოების წევრები საერთოდ და კონკრეტულად კი — სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა) არა მარტო პიროვნებებს წარმოადგენენ. აუცილებლად არიან ეთნოფორებიც — იმ კონკრეტული ეთნიკური ერთობის (ხალხის, ეროვნების, ერის) დამახასიათებელი ნიშან-თვისებების თავის თავში მატარებლები, რომელშიც დაიბადნენ და პიროვნებად ჩამოყალიბდნენ (ისე კი, თვით ამ ტერმინს—„ეთნოფორს" ეთნოსოციოლოგია მაინცადამაინც არ იყენებს). ამიტომაა, რომ მოვლენის თუ პრობლემის ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა ფაქტორებს ეთნოსოციოლოგია სწავლობს პირველ რიგში ეთნიკური ნიშნის ფონზე.

აქედან გამომდინარეობს ეთნოსოციოლოგიის **საგნის** რაობაც. მისი კვლევის საგანია ეთნიკური ერთობების სოციალური პარამეტრები (სოციალურ-სტრუქტურის, სხვადასხვა ეროვნების ადამიანების ცხოვრებაში სოციალური მნიშვნელობის მქონე მოვლენების, კულტურის (ზოგადისაც და ყოფიერისაც) ცვლილებებში სოციალური მიზეზების,

---

[1] Арутюнян Ю. В. Дробижева Л. М. Кондратьев В. С. Сусоколов А. А. Этносоциология: цели, методы, и некоторые результаты исследования. М., 1984. с. 6.

ცალკეული ეთნოფორი-პიროვნებისა და მთელი ეთნიკური ერთობების სოციალური ქმედებისა და ქცევის ძირითადი სახეების განმსაზღვრელი სოციალური პარამეტრები). ამიტომ მისი კვლევის **მიმართულებებში** შედის ეთნიკური ერთობების კულტურაც, სოციალური სტრუქტურაც, შრომითი სფეროც, ყოფა-ცხოვრებაც, ოჯახიც, ეროვნული თვითშეგნებაც, ეროვნული ორიენტაციებიც, ერთაშორისი ურთიერთობაც, საზოგადოების (და ოჯახისაც) ცხოვრების წესში ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის თანაფარდობაც, ერების დაახლოებისა და განვითარების პირობებიც, მიგრაციაც, ენაც, პროფესიული ორიენტაციებიც და მრავალი სხვაც. ამრიგად, ეთნოსოციოლოგიის საგანი გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ცალ-ცალკე აღებული ეთნოგრაფიისა თუ სოციოლოგიისა.

ეთნოსოციოლოგიის **ამოცანაა** ახსნას, ერთი მხრით, თუ როგორ ზემოქმედებს სოციალური ცხოვრების კანონზომიერებანი ეროვნულ კულტურასა და ყოფაზე, ოჯახზე, ქორწინებაზე, ქცევის ნორმებზე, წეს-ჩვეულებებზე, ჩვევებზე, ეროვნულ თვითშეგნებაზე, ეთნოლინგვისტურ პროცესებზე და ა. შ. როგორია ამ გავლენის ინტენსივობა და სპეციფიკა სხვადასხვა სოციალური ჯგუფების (მაგალითად კლასების) მიხედვით ცალკეულ ერებს შიგნით. მეორე მხრივ, მისი ამოცანაა ახსნას თვით ეროვნული ნიშან-თვისებები როგორ ზემოქმედებენ სოციალური ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე — შრომის ხასიათსა და კულტურაზე, დარგობრივ დასაქმებაზე, პროფესიულ ორიენტაციებზე, მიგრაციაზე, მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაზე, ქორწინებაზე, ოჯახზე, ღირებულებით ორიენტაციებზე და ა. შ. ამდენად, ეთნოსოციოლოგიის ამოცანა, პირობითად რომ ვთქვათ, არის ეთნიკურის შესწავლა სოციალურში და სოციალურის შესწავლა — ეთნიკურში, და თანაც წარსულის, აწმყოს და მომავლის ტენდენციების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ჩვენება. რა თქმა უნდა, ეთნიკური და სოციალური ფაქტორების კავშირებს ეთნოგრაფიაც უთმობს დიდ ყურადღებას და სოციოლოგიაც, მაგრამ ეთნოსოციოლოგიაში ეს ურთიერთზეგავლენები კვლევის ობიექტის, საგნის, ამოცანის, მიზნის და ა. შ. განსაზღვრის თავში დგას და აუცილებლობის რანგშია აყვანილი. ეს მოთხოვნა ეხება ერთი ეთნიკური ერთობის სოციალური მოვლენების კვლევასაც (მონოეთნიკური გამოკვლევები) და სხვადასხვა ერების ერთობლივ გამოკვლევებსაც (პოლიეთნიკური გამოკვლევები).

ეთნოსოციოლოგიის **მიზანია** თანამედროვე საზოგადოების განვითარების ცვლილებათა ფაქტორებში ეთნიკური და სოციალური მომენტების თანაფარდობის მნიშვნელობის განსაზღვრა; ეთნიკური მოვლენების სიცოცხლისუნარიანობის მექანიზმის გახსნა — როგორ ფუნ-

ქციონირებენ ისინი მთელი სოციალურ ორგანიზმის ცხოვრება-განვითარებაში, რა არის მათი არსებობის განგრძობის სოციალური საფუძველი, ერების განვითარება რა პირობებში არ იწვევს მათ ჩაკეტვას თავის თავში თუ ურთიერთდაპირისპირებას და პირიქით — რა პირობებში უწყობს ხელს მათ მეგობრულ და წარმატებით ურთიერთობას; როგორია ეთნოსის რეაქცია სოციალური გარემოს ცვლილებებზე; როგორია ასიმილაციური პროცესების ხასიათი და მიმართულებანი და სხვა. ერთი სიტყვით ეთნოსოციოლოგიის მიზანია ეთნოსის, როგორც ეთნოსოციალური ერთობის განვითარების ტენდენციების გამოვლინება ყოფა-ცხოვრების თითქმის ყველა მხარეში.

მნიშვნელოვანია ეთნოსოციოლოგიის თეორიული და პრაქტიკული **ფუნქციებიც.** პრაქტიკული თვალსაზრისით მთავარია ერების განვითარების და დაახლოების ობტიმიზაცია — რეალურად არსებული სოციალური პრობლემის ყოველი ასპექტის ეთნიკურ ფონზე შესწავლა-გაანალიზების შედეგად შემუშავებული კონკრეტული რეკომენდაციების მიწოდება მმართველი ორგანიზაციებისთვის. თეორიული ფუნქციაა კონკრეტული სოციალური პრობლემების ეთნიკურ სპეციფიკასთან კავშირის (პირიქით თუ ვიტყვით — ეთნიკური პროცესების სოციალური განპირობებულობის) შემეცნება. მაგრამ მისი შემეცნებითი ფუნქცია, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნად გასცილდა ამ ფარგლებს. აქ მთავარი ის არის, რომ ეთნოსოციოლოგია თავისი კვლევით ქმნის რაოდენობრივ ფორმებში გამოხატულ შედარებითი ხასიათის ინფორმაციას ერების განვითარების მიმდინარე ტიპური და მოსალოდნელი პროცესების შესახებ. რაოდენობრივ შედარებებს ვერტიკალური ჭრილიც აქვს (ამა თუ იმ მოვლენის განვითარების ტენდენციების მაჩვენებლები ერთი გარკვეული ერის ცხოვრებაში) და ჰორიზონტალურიც (იმავე მოვლენის განვითარების ტენდენციები სხვადასხვა ერების ცხოვრებაში ცალ-ცალკე). ეს ყოველივე არა მარტო ამდიდრებს მოსახლეობას მეცნიერული ცოდნით, არამედ ეხმარება ცალკეულ ეთნოფორს, ჯერ ერთი, გაარკვიოს თავისი ერის ადგილი და როლი ზოგადსაკაცობრიო სისტემაში და მეორეც, შეიმეცნოს თითოეული პიროვნების საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიციისა და სოციალური ქცევის უაღრესი ფუნქციური მნიშვნელობა ეთნოსოციალური პროცესების მიმართულებებისთვის. ჩვენი კერძო თვალსაზრისით, თანდათან სწორედ ეს გახდება ყველაზე მნიშვნელოვანი ეთნოსოციოლოგიურ ფუნქციებში.

განიხილავს რა ეთნიკური ერთობის სოციალურ მოვლენას როგორც საზოგადოების მთლიანი სისტემის ელემენტს, ეთნოსოციოლოგია განსაკუთრებულად მოითხოვს მის ყოველმხრივ და გამოწვლილვით შესწავლას. ამიტომ კვლევის **კომპლექსურობა** მისთვისაც აუცი-

ლებელ მოთხოვნას წარმოადგენს. იგი მოვლენის ყველა შესაძლებელ ასპექტს შეისწავლის (ეკონომიკურს, პოლიტიკურს, ეთნიკურს, სოციალურს, სოციალურ-ფსიქოლოგიურს, ეთნოფსიქოლოგიურს, ყოფითს და ა. შ.) საკუთრად მოპოვებული მასალისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგების (განსაკუთრებით ეთნოგრაფიის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის და ისტორიის) ცოდნის ურთიერთშეჯერებით.

ეთნოსოციოლოგია წარმატებით იყენებს ეთნოგრაფიისა და სოციოლოგიის წყაროებს, ასევე, მათ მიერ დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას პრობლემის დაყენების, კვლევის პროგრამის შემუშავების თუ პროგნოზირების საკითხებში. განსაკუთრებით ფართოდ იყენებს იგი ფაქტის ფიქსაციის, მასალის კლასიფიკაციის, კორელაციური კავშირების, საშუალო მაჩვენებლების, მოვლენის დისპერსიის, პროგნოზის გამოთვლის და ა. შ. სოციოლოგიურ (და დემოგრაფიულ) მეთოდებს და მეთოდიკებს.

მოკლედ, ეთნოსოციოლოგიამ მემკვიდრეობით მიიღო ორი მეცნიერების ძირითადი მახასიათებლები, შეკრა-შეადუღაბა ისინი და თავისი საკუთარი პრობლემატიკის კვლევაში ახალი საფეხური შექმნა, რითაც კიდევ უფრო გააძლიერა მეცნიერული ინტერესი ეთნოსოციალური პროცესების კვლევისადმი.

ეთნოსოციოლოგიამ უკვე დააგროვა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ლიტერატურა. მათში განსაკუთრებით აღსანიშნავია ფართო პლანის ნაშრომი საბჭოთა კავშირის ერების სოციალურ-კულტურული იერსახის შესახებ. რომელშიც, ერების განვითარების ყოფა-ცხოვრების მსგავსება-დაახლოების ფონზე ფაქტობრივად მათი შედარებაა მოცემული. ეს ნაშრომი, — „საბჭოთა ერების სოციალურ-კულტურული იერსახე (ეთნოსოციოლოგიური გამოკვლევის მასალების მიხედვით)“[2], — წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის სექტორის (სწორედ რომელმაც ჩაუყარა საფუძველი საბჭოთა ეთნოსოციოლოგიას) მრავალრიცხოვანი კოლექტივის მრავალწლიანი შრომის შედეგს თემაზე: «სსრ კავშირის ხალხთა განვითარებისა და დაახლოების სოციალურ-კულტურული პირობების ოპტიმიზაცია“. მასში დაწვრილებითაა გაანალიზებული თითქმის ყველა რესპუბლიკის სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა წლების საყოველთაო აღწერების მიხედვით, ფართოდ არის გამოყენებული სპეციალური ლიტერატურა. გარდა ამისა ემყარება მასობრივი ეთნოსოციოლოგიური გამოკითხვის მასალას. გამოკითხვა ჩატარდა 1972 წელს ძირითადად

---

[2] Социально-культурний облик советских наций (по материалам этносоциологического исследования) М., 1986.

ერთიანი პროგრამით, შერჩევით აღებული რესპუბლიკების (ესტონეთი, რსფსრ, მოლდავეთი, საქართველო და უზბეკეთი) ქალაქებშიც და სოფლებშიც. შემდეგ, 1982 წელს ჩატარდა განმეორებითი (ე. წ. პანელური) გამოკითხვა, ამჯერად რესპუბლიკების დედაქალაქებში. ამ გამოკვლევებმა კონკრეტული მონაცემებით ნათელყო, ერთი მხრივ, ერთნაირი „საბაზო" სფეროების (ერთი ტიპის სოციალური სტრუქტურა, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება, სახელმწიფო წყობისა და სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობის სისტემა) მნიშვნელოვანი გავლენებიც საბჭოთა ერების ცხოვრების წესის დაახლოებაში და მეორე მხრივ, — მნიშვნელოვანი ეროვნული განსხვავებებიც. ნაშრომი ეთნოსოციოლოგის მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს (პირველ რიგში მეთოდური თვალსაზრისით, რადგან ცხადად წარმოაჩენს დახასიათება-შედარების პარამეტრების საოცარ მრავალფეროვნებას). ჩვენთვის ამჯერად განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომის ის თავი, რომელიც საოჯახო ყოფა-ცხოვრებას ეხება (გვ. 105—179). მის პირველ ქვეთავში გადმოცემულია რესპუბლიკების საოჯახო-დემოგრაფიული მახასიათებლების სოციალურ-ეთნიკური ნაირგვარობა. დახასიათება-შედარების პარამეტრებია ოჯახის საშუალო სიდიდის დინამიკა, ოჯახის ტიპები. სოციალურ-პროფესიული სტრუქტურა, შობადობა, განათლების დონე, საქორწინო ასაკი. ამ ინდიკატორების მიხედვით გაკეთებულია დასკვნა, რომ საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ერებს თანამედროვე ტიპის ოჯახის ფორმირება ძირითადად უკვე დამთავრებული აქვთ (მათ შორის ქართველებსაც). ხოლო მეორე ნაწილის ერების უმეტესობის (შუა აზიის რესპუბლიკები, ყაზახეთი, აზერბაიჯანი) ოჯახს ჯერ კიდევ უხდება შეცვლილ გარემო პირობებთან ადაპტირება და მომავალში მათი ოჯახების ყოფა-ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია მოსალოდნელი. მეორე ქვეთავში, რომელიც შინაოჯახურ ურთიერთობებს ეხება, პარამეტრებად აღებულია ოჯახის შემოსავალი, კომუნალური კეთილმოწყობის დონე, საცხოვრებელის საშუალო ფართი[3], მოსახლეობის მომსახურების სფერო[4], კულტურულ-ყოფითი საოჯახო ნივთები და ტექნიკა, მოსახ-

---

3 აქ შეიძლება წიგნიდან მოვიტანოთ ეთნოსოციოლოგიის მიერ პარამეტრების შერჩევის ერთი პატარა მაგალითი: უზბეკეთში ქალაქის ოჯახების 70,2% აქვს ცალკე სახლი. ესტონეთში კი ასეთი სახლი აქვს ქალაქის ოჯახების მხოლოდ 16,9%, მაგრამ ამ შედარებაში მთავარი პარამეტრები სხვაა: კერძოდ, ესტონეთში ამ სახლების 72,7%-ს აქვს კანალიზაცია, უზბეკეთში კი მხოლოდ 23,5%-ს (გვ. 134).

4 მაგალითად, მოსახლეობის მომსახურების სფეროს მოხმარება (სამედიცინო დახმარება, ვაჭრობა, ტრანსპორტი, კულტურულ-მასობრივი დაწესებულებები, საყოფაცხოვრებო მომსახურების სფერო და ა. შ.) დამოკიდებულია არა მარტო შესაბამისი დაწესებულებების სიმრავლესა და ხარისხზე, არამედ მოსახლეობის მიერ მათი გამოყენებისათვის მზადყოფნაზეც, — მოთხოვნილების ინტენსიობაზე. ამის

ლეობის დამოკიდებულება ოჯახის, ქორწინების და განქორწინებისადმი, დამოკიდებულება ქალის შრომისადმი, შინაოჯახური ურთიერთობების სტილი და დემოკრატიზაციის დონე, ურთიერთობებით კმაყოფილების ხარისხი, შინაოჯახური საქმეების განაწილების პრინციპები, ქალის სოციალურ-პროფესიული მდგომარეობა, თავისი ოჯახით კმაყოფილების ხარისხი, კონფლიქტების ხასიათი, დაქორწინებაზე გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების ხარისხი, ოჯახის წევრების პიროვნული წყობა (მაგალითად, გულღიაობა, ინიციატივიანობა, კონსერვატიზმი), საოჯახო-საქორწინო ნორმატიული წარმოდგენები და ა. შ. ერთი სიტყვით, პარამეტრების დიდი მრავალფეროვნებაა, ამიტომ ზოგადი ხასიათის მსჯელობებია მეტი (თუმცა კონკრეტული მასალაც საკმაო რაოდენობითაა მოტანილი).

ამჯერად, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ამ ნაწილის ქვეთავი „ეროვნულად შერეული ოჯახები"; გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ ეროვნული თავისებურებები თანადათან იშლება, ამის შედეგად იზრდება ქცევის ნორმების თანაბრობა, ურთიერთგაგება, რაც ხელს უწყობს ბიეთნიკურ ქორწინებებს და ბიეთნიკური ოჯახების შექმნას. მათი რაოდენობა ომის შემდგომი წლებიდან მოყოლებული განსაკუთრებულად იზრდება (ზრდის ტემპები მხოლოდ 70-იან წლებში შენელდა ოდნავ) უკანასკნელ წლებამდე. ბიეთნიკური ქორწინებების რაოდენობის მიხედვით ნაშრომში რესპუბლიკები გაყოფილია 3 ჯგუფად. 1. რესპუბლიკები ბიეთნიკური ოჯახების მაღალი წილითა (15%-ზე მეტი) და ზრდის მაღალი ტემპებით — (უკრაინა, ბელორუსია, მოლდავეთი, ლატვია, ესტონეთი), 2. რესპუბლიკები ბიეთნიკური ოჯახების საშუალო წილით და ზრდის საშუალო ტემპებით (რსფსრ, ლიტვა), 3. რესპუბლიკები ასეთი ოჯახების საშუალო და დაბალი წილით და ზრდის საშუალო და დაბალი ტემპებით (უზბეკეთი, ყაზახეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, სომხეთი, თურქმენეთი). ამ სხვაობის ფაქტორებად მიჩნეულია რესპუბლიკების მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სტრუქტურა, შინაოჯახური ურთიერთობის ეთნიკური და ზოგადი ნორმების შეთავსების ხარისხი, ორენოვნების ინტენსივობა, რესპუბლიკებში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანების სოციალურ-პროფესიული სტრუქტურა და ა. შ.

გამოსავლენად შესწავლილი იქნა მოსახლეობის კმაყოფილების ხარისხი ამ სფეროში. აღმოჩნდა, რომ მაგალითად, ესტონეთში, სადაც მოსახლეობის მომსახურების ობიექტური მაჩვენებლების მაღალი დონეა, ესტონელებს მაინც არ აკმაყოფილებთ ეს დონე. უზბეკეთში კი უზბეკებს სრულიად აკმაყოფილებთ გაცილებით დაბალი დონის მომსახურებაც (გვ. 136).

ნაშრომში დაანგარიშებულია, რომ საბჭოთა კავშირში ყველაზე აქტიურად რუსები ქმნიან ბიეთნიკურ ოჯახებს. სხვადასხვა კორელაციური კოეფიციენტებით დაანგარიშებულია, აგრეთვე, რომ ცალკეულ რესპუბლიკებში ბიეთნიკური ოჯახების რაოდენობის დინამიკა უკავშირდება რუსული მოსახლეობის მიგრაციის მიმართულებებს. აგრეთვე, რაც მეტია ცალკეული რესპუბლიკების არამკვიდრ მოსახლეობაში იმათი რაოდენობა, ვინც რუსულს თვლის თავის მშობლიურ ენად (ან ძირითად მეორე ენად), მით მეტია ბიეთნიკური ოჯახები. აგრეთვე, რაც მსგავსია კონტაქტში მყოფი ეთნოსების მოსახლეობის სოციალურ-პროფესიული სტრუქტურა, მით მეტია ბიეთნიკური ქორწინებები.

სხვათა შორის, ნაშრომის ამ თავში ხშირად არის შედარებული თბილისის და კიშინიოვის მონაცემები (მრავალეროვნულობის პრინციპის შერჩეული). ორივე ქალაქში იზრდება მკვიდრი მოსახლეობის რაოდენობა, თუმცა თბილისში ქართველების წილი მეტია, ვიდრე კიშინიოვში მოლდაველებისა. კიშინიოვში მოლდაველები თანაბრად არიან ჩაბმული ყველა ძირითად სოციალურ-პროფესიულ ჯგუფში, თბილისში კი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებში ქართველობა სჭარბობს[5]. ეთნიკური მოზაიკურობის ინდექსით დაანგარიშებულია, რომ კიშინიოვის მცხოვრებლები უფრო ხშირად უნდა შედიოდნენ ერთაშორის კონტაქტში, ვიდრე თბილისში, რაც დასტურდება კიდეც მათში ბიეთნიკური ქორწინებების რაოდენობების შედარებით (კიშინიოვში 41,7%, თბილისში 23,2%). ქორწინებითობის ინდექსით დაანგარიშებულია, რომ ენდოგამიურობის დონე თბილისში მცხოვრებ ერებში (აღებულია ქართველები, სომხები და რუსები) უფრო მაღალია ვიდრე კიშინიოვში. შემდეგ, კიშინიოვში გათხოვილ ქალებში დაუსაქმებელი (ე. ი. დიასახლისები) საერთოდ უმნიშვნელო რაოდენობითაა. თბილისში კი ქართველთა ბიეთნიკურ ოჯახებშია (როდესაც ერთი მეუღლე ქართველია) დიასახლისების მეტი წილი, ვიდრე სუფთა ქართულ ოჯახებში (თბილისში განსაკუთრებით მაღალია სომეხთა ბიეთნიკურ ოჯახებში სომეხი დიასახლისების წილი. ამავე დროს დაანგარიშებულია, რომ მათი ზრდის პერსპექტივებიც მაღალია). შემდეგ, მოლდავეთის ქალაქებში რუსი ქალები (რუსის თუ მოლდაველის ცოლები) თითქმის ერთნაირ შეფასებას აძლევენ მათ ოჯახში შექმნილ ურთიერთობებს. საქართველოს

---

5 ჩვენი აზრით ამ მონაცემს (და აქა-იქ სხვასაც) კორექტირება სჭირდება. კერძოდ, სტატისტიკური მასალის ჩვენი დაანგარიშებით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ქართველთა ხვედრითი წილია მაღალი, ასე რომ, საქართველოს ქალაქებში და მათ შორის თბილისშიც საქმეს ძირითადად ქართველობა აკეთებს.

ქალაქებში ქართველის რუსი ცოლების 90% კმაყოფილია ოჯახური ურთიერთობებით, რუსის რუსი ცოლებისა კი მხოლოდ 65%-ია კმაყოფილი. შემდეგ, თბილისში სუფთა ეროვნულ ოჯახებში მეტია ჰომოგენული (როცა მეუღლეები ერთი და იგივე სოციალური მდგომარეობის არიან), ბიეთნიკურში — ჰეტეროგენული (როცა მეუღლეები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს ეკუთვნიან). კიშინიოვში მაღალი კვალიფიკაციის გონებრივი შრომის მუშაკებში უფრო მეტია თავისივე სოციალურ-პროფესიული ჯგუფის წევრთან დაქორწინება, ვიდრე თავისივე ეროვნების ადამიანთან. ე. ი. ინტელიგენციის რაოდენობრივი ზრდა აქ ხელს უწყობს ბიეთნიკური ქორწინებების გახშირებას. თბილისში ქართული ინტელიგენციის ზრდას არ მოსდევს ბიეთნიკური ქორწინებების გახშირება (სხვათა შორის თბილისში მცხოვრებ სხვა ეროვნებების წარმომადგენლებში ეს უფრო ეფექტურად ჩანს). შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მრავალეროვანი მუშათა კლასი ინტერნაციონალურობის მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს. ქორწინების ინდექსის დაანგარიშებით ორივე ქალაქის მუშათა კლასში საქორწინო პარტნიორის არჩევისას უპირატესობა ეთნიკურ ფაქტორს უფრო ეძლევა, ვიდრე სოციალურს (ე. ი. მათში ბიეთნიკური ქორწინებები უფრო ნაკლებია). შემდეგ, მოლდავეთის ქალაქებში სხვადასხვა ეროვნებების წარმომადგენლების მოლდაველებთან და რუსებთან ქორწინების მაჩვენებელი შედარებით სტაბილურია. საქართველოს ქალაქებში კი შეიმჩნევა ქართველებთან ქორწინების უფრო გახშირება, ვიდრე რუსებთან. ნაშრომში ეს ახსნილია იმით, რომ „მკვიდრი მოსახლეობის განსაკუთრებული ინტენსივობით ზრდამ, ქალაქის მოსახლეობაში ქართველების წილის სწრაფ მატებასთან ერთად, აქ უფრო მეტად, ვიდრე სხვა მრავალ რესპუბლიკაში, ხელი შეუწყო მკვიდრი ეროვნების წარმომადგენლებთან „პრესტიჟული" ქორწინების ზრდას" (გვ. 162).

ნაშრომში დასაბუთებულია, რომ საერთოდ ბიეთნიკური ქორწინებების სიხშირეს ხელს უწყობს მათდამი კეთილგანწყობილი ფსიქოლოგიური ორიენტაციაც. კერძოდ, იმ რესპუბლიკებშია მეტი მათი რაოდენობა, რომლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის (გამოკითხვის მიხედვით) საქორწინო პარტნიორის არჩევაში ეროვნებას მნიშვნელობა არ აქვს. შემდეგ, ბიეთნიკური ქორწინებები ეთნოკულტურულ პროცესებში ასრულებენ კონტაქტში მყოფი ეთნოსების კულტურული თავისებურებების ინფორმაციულობის არხის როლს არა მარტო ჰორიზონტალურ ჭრილში (მეუღლეები, მათი ნათესავ-მეგობრები), არამედ ვერტიკალურშიც (ბავშვები). შესწავლილ რესპუბლიკებში რუსი და მკვიდრი ეროვნების წარმომადგენელს ბიეთნიკურ ოჯახებში ბავშვები პასპორტის აღების დროს უფრო ხში-

რად ირჩევენ რესპუბლიკის მკვიდრი მშობლის ეროვნებას. სხვადასხვა ცალკეული გამოკვლევების გაანგარიშებების მიხედვით (რომლებსაც ეს ნაშრომი მხოლოდ მიახლოებითს უწოდებს) ბიეთნიკური ქორწინებების გავლენა რესპუბლიკების მკვიდრი ერის წევრთა რაოდენობაზე მხოლოდ უმნიშვნელოა. ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ უფრო გამოხატულად მოქმედებს იგი რუსულ მოსახლეობაზე, მაგალითად, კიშინიოვში 70-იან წლებში რუს — მოლდაველთა ბიეთნიკურ ოჯახებში ბავშვების მიერ მოლდავური ეროვნების არჩევის გამო მოლდავეთის რუსი მოზარდების რაოდენობა შემცირდა 4%-ით. უკრაინელი — რუსის ქორწინებით კი რუსი მოზარდების რაოდენობა გაიზარდა 3,8%-ით. სხვა ეროვნების ქორწინებებით რუსი მოზარდების რაოდენობა მხოლოდ 1%-ით გაიზარდა (ე. ი. ობიექტურად რუსული მოსახლეობა იზრდება. მ. ბ.). ამასთანავე, ბიეთნიკური ოჯახის ბავშვები თვითაც ადვილად ქმნიან ბიეთნიკურ ოჯახებს, რაც წარმოადგენს ეროვნულად შერეული ქორწინებების, როგორც უწოდებენ, „მეორად ეფექტს“ (გვ. 172—173). ამ საკითხში მნიშვნელობა აქვს სხვა ფაქტორსაც, კერძოდ, იმას, რომ ბავშვის ფორმირებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დედას. საქართველოში შედარებით მაღალია ქართველების მიერ რუსი ცოლების მოყვანის მაჩვენებელი — 12,5% (მოლდავეთში — 10,7%, ესტონეთში 5,6%, უზბეკეთში 1,2%). ქართველების და რუსების ორიენტაციები განსხვავდება ერთმანეთისაგან. ქართველებს უფრო ტრადიციული ორიენტაციები აქვთ. რუსი ქალები კი ქართველებზე გათხოვების შემდეგაც ინარჩუნებენ თავის საკუთარ ორიენტაციებს (უფრო მეტიც, ქართველზე გათხოვების აუცილებელ პირობად რუსული წესჩვეულებების დაცვის მოთხოვნა დაასახელა ქართველების რუსი რძლების 20%-მა, მოლდაველების რუსი რძლებისამ — 10%). ამ მსჯელობით ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა: „და თუკი რუს-ქართველის ოჯახის ატმოსფერო არ ხასიათდება ტრადიციულობის დონით, მაშინ უფრო საეჭვოა, რომ ქართული მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ნორმები გადაეცეს ასეთი ოჯახების იმ ბავშვებს, რომლებიც თავს რუსებად თვლიან“, ასეთი კი არის ამ ოჯახებში დაბადებული ბავშვების დაახლოებით 20% (გვ. 165).

შემდეგ, ბიეთნიკური ქორწინებები ენასთან კავშირში. რუსი და რესპუბლიკის მკვიდრი ეროვნების წარმომადგენლის ოჯახების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობაში ხმარობენ მკვიდრი მოსახლეობის ენას (ამ ოჯახების 6% მოლდავეთში, 12% საქართველოში), დანარჩენები ან ორივე ენას ხმარობენ ან (უპირატესად) რუსულს. ასე რომ, ბიეთნიკური ქორწინებები რუსული ენის გავრცელებას უდავოდ უწყობენ ხელს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორენოვანი მო-

სახლეობის რაოდენობა (მოლდაველებში 10,6%, ქართველებში 1,3; უზბეკებში 1,2, ესტონელებში 4.6%) საერთოდ უფრო მეტია, ვიდრე რუსებთან ქორწინებაში მყოფთა რაოდენობა. მაგალითად, გამოკითხული კორეელების 7.5% აღმოჩნდა რუსთან შეუღლებული, ოჯახში კი კორეელების 90% რუსულად ლაპარაკობს და 42% მას მშობლიურ ენად თვლის.

შემდეგ. სუფთა ეროვნული თუ ბიეთნიკური ქორწინებების სიმტკიცის შედარების საკითხი. ნაშრომში მოტანილია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული სამი სხვადასხვა მოსაზრება ამის შესახებ (რომ ბიეთნიკური ოჯახები უფრო არამყარია, რომ ისინი უფრო მყარია. — რადგან პარტნიორთა არჩევა უფრო საფუძვლიანად ხდება, და ბოლოს, რომ ბიეთნიკურ ქორწინებებს არაეითარი გავლენა არ აქვს განქორწინების სიხშირეზე). ნაშრომში გაანალიზებულია ერთი წლის განმავლობაში დაქორწინებულთა განქორწინების მაჩვენებლები. კიშინიოვში არ არის დიდი განსხვავება სუფთა ეროვნულ თუ ბიეთნიკური ოჯახების განქორწინებებში. თბილისში, სადაც ქორწინებები ჩვეულებრივად უფრო მყარია, ვიდრე კიშინიოვში, 1971 წ. დაქორწინებულთაგან 7 წლის განმავლობაში დაიშალა 6,9% სუფთა ქართული და 10,5 სუფთა რუსული ოჯახი. ბიეთნიკური ოჯახებიდან უფრო ხშირად იყო ჯერ რუსის და სომეხის განქორწინება (13,5%), შემდეგ ქართველისა და რუსის (12,3%), თანაც ქორწინების პირველივე წლებში. კავკასიური მოდგმის ხალხების ბიეთნიკური ქორწინებები უფრო მყარია (მაგალითად უფრო მყარი, ვიდრე სუფთა რუსების ოჯახები კავკასიაში).

საერთოდ ნაშრომის სხვა თავებშიც მრავლადაა ოჯახთან დაკავშირებული საკითხების კონკრეტული კვლევის მონაცემები, რომლების მხოლოდ პარამეტრების ჩამოთვლაზეც კი ამ პატარა პუბლიკაციაში, ბუნებრივია, ვერ შეეჩრედებით[6]. ჩვენთვის მთავარი იყო გვე-

---

6 ნაშრომის უაღრესად დიდი მნიშვნელობის აღიარებასთან ერთად, თავს ნებას მივცემთ ვთქვათ, რომ სასურველია თანამედროვე მსოფლიოს ცხოვრების პრაქტიკის სრულიად სხვა რიგის უახლესი დინებების გათვალისწინებაც. მაგალითად, ნაშრომში ვკითხულობთ (და ეს აზრი მთელი ნაშრომის ლეიტმოტიური ქარგაა), რომ „მთელი სიცხადით ვლინდება, რომ რაც უფრო ინტიმურია ხალხების სოციალურ-კულტურული ცხოვრების სფეროები, მით უფრო ნელა განიცდიან ისინი ტრანსფორმაციას სამაზო ცვლილებების გავლენით, რომლებიც თავის მხრივ უკავშირდებიან მოსახლეობის სოციალურ-პროფესიული და დარგობრივი დასაქმების სირთულეებს, პროფესიული კვალიფიკაციის ზრდას, განათლების დონეს და კულტურული ცხოვრების ინტენსივობას“ (გვ. 429). ეს აზრი ზოგადი თვალსაზრისით (ე. ი. რომ რაც მეტია ეთნიკური, მით ნაკლებია პროგრესულის ზრდის ტემპები) საერთოდ მიღებული და აღიარებულია. მაგრამ თანამედროვე მსოფლიოს ხალხების

ჩვენებინა, რომ ეთნოსოციოლოგიამ ძირეულად შეცვალა თანამედროვე (ვიმეორებთ — თანამედროვე) ოჯახის კვლევის ამოცანები. მისთვის საკმარისი არ არის ცალკეული ქვეყნების (თუ მათი კუთხე-კუნჭულების) თანამედროვე ოჯახის მარტო აღწერა-დახასიათება, ძველიდან შემორჩენილი ელემენტების წარმოჩენა, ცალკეული მოვლენების თუნდაც განვითარების ტენდენციების ჩვენება, თუნდაც საოჯახო ტრადიციების როლის წარმოჩენა ოჯახის სიმტკიცისათვის. მისთვის საკმარისი არ არის საზოგადოების ცხოვრებაში ოჯახის, როგორც სოციალური (და სოციალურ-ფსიქოლოგიური) ჯგუფის მხოლოდ მნიშვნელობის წარმოჩენა, მისი სიმტკიცისა თუ დეზორგანიზაციის პირობების ძიება. ეთნოსოციოლოგიისთვის მთავარია ყოველივე ამის შეერთება და ამის ფონზე ოჯახის, როგორც კონკრეტული ეთნოსოციალური ერთეულის (ერის) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეთნოსოციალური უჯრედის როლის და ადგილის გარკვევა ეთნოსოციალურ პროცესებში — ერთი მხრით, ერების განვითარებაში და მეორე მხრით, ერთა დაახლოებაში. ეთნოსოციოლოგიის განვითარების ამ ეტაპზე ერთა დაახლოების საკითხების კვლევაზე უფროა გამახვილებული აქცენტი. მაგრამ ამით უკვე კონკრეტულად გამოიყო ოჯახის ეროვნული ფუნქციის კონკრეტული კვლევის მიზანშეწონილობაც, რაც იმედი გვაქვს,. მომავალში შესაფერ მასშტაბებში განხორციელდება.

ცხოვრების პრაქტიკაში ჩნდება ტენდენციები, რომლებმაც შეიძლება კორექტივიც შეიტანონ მასში. მხედველობაში გვაქვს იაპონიის მაგალითი, სადაც უაღრესად გამოხატული (თითქმის კონსერვატული) ეროვნული თვითმყოფადობა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის უმაღლესი ტემპები შესანიშნავად თანაარსებობენ.

ნაწილი II

ოჯახის თეორიისა და კვლევის პროგრამის ზოგიერთი საკითხი

ნაშრომის შესავალში ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა ოჯახის წარმოქმნის, განვითარებისა და მომავლის პერსპექტივების მექანიზმი. პირველ ნაწილში შევეცადეთ გვეჩვენებინა ოჯახის ადგილი და როლი ეთნოგრაფიის, სოციოლოგიის და ეთნოსოციოლოგიის არსსა და მიმართულებებში. ამჯერად შევეხებით ოჯახის თეორიას, ოჯახის კვლევის ზოგადი პროგრამის ძირითად საკითხებს და მოვიტანთ საკვლევად საკითხის გამოყოფის რამდენიმე ნიმუშს.

თავი პირველი

ოჯახის თეორიის საკითხები

ოჯახის სოციოლოგიურ თეორიას (რომელსაც მთლიანად იღებს ეთნოსოციოლოგიაც) ქმნის ოჯახის განვითარების კანონზომიერებებისა და საფუძვლების ზოგადი, განყენებული გააზრება. ოჯახის თეორია განეკუთვნება სოციოლოგიის საშუალო, ანუ მეორე დონის თეორიებს, რომლებიც წარმოიქმნებიან მოვლენისადმი მეთოდოლოგიური და კონკრეტული მიდგომის საფუძველზე. ოჯახის თეორიის არსის გაგებაში მთავარი ისაა, რომ ოჯახი მთელი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს უკავშირდება. ეს კავშირი მრავალმხრივი და სხვადასხვა მნიშვნელობისაა ოჯახისთვისაც და საზოგადოებისთვისაც. ოჯახი თავის ცხოვრებაში ასახავს საზოგადოების განვითარებაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროცესს და ცვლილებას. ამავე დროს ეს პროცესები ცალმხრივად კი არ აიხსნება ოჯახში, არამედ კომპლექსურად, მთლიანობაში. ეს ურთიერთზემოქმედება საზოგადოებისა და ოჯახის ურთიერთობის ისეთ ჯაჭვს ქმნის, რომელშიც ყოველი მომენტი ერთიდაიგივე დროს პირობაც შეიძლება იყოს და შედეგიც. ამიტომაა აღიარებული, რომ ოჯახი საზოგადოების ერთ-ერთი ურთულესი უჯრედია, საზოგადოების ერთიანი სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვესისტემაა, რომლის მჭიდრო კავშირი საზოგადოებასთან განსაზღვრავს არა მარტო ოჯახის დამოკიდებუ-

ლებას საზოგადოების ცხოვრებაზე, არამედ ოჯახის ერთგვარ გავლენასაც მასზე.

ოჯახის მახასიათებლების განზოგადებულ ერთობლიობაში, — თეორიაში, ძირითადია ოჯახის განსაზღვრების სამი მთავარი მომენტი: 1. ოჯახი არის სოციალური ინსტიტუტი; 2. ოჯახი არის სოციალური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ჯგუფი; 3. ოჯახი არის საზოგადოების მთელი სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვესისტემა.

ოჯახი არის სოციალური ინსტიტუტი. (სოციალური ინსტიტუტი წარმოადგენს სოციალური როლებისა და ნორმების ურთიერთდაკავშირებულ სისტემას, რომელიც შექმნილია და მოქმედებს დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოთხოვნებისა და ფუნქციების დასაკმაყოფილებლად. სოციალური ინსტიტუტი შეიძლება იყოს სოციალური ჯგუფიც (ოჯახი), ქცევის ნიმუშებიც (ქორწინება) და ა. შ.)

ჩამოვთვალოთ რა გამოხატავს ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის, რაობას:

I. ოჯახის ისტორია:

1. წარმოშობა;
2. ისტორიული განვითარების ზოგადი, ერთიანი ხაზი;
3. ისტორიული განვითარების ზოგადი ფორმები;
4. უნივერსალობა;
5. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან კავშირით განპირობებული განსხვავებანი სხვადასხვა ქვეყნების საოჯახო და საქორწინო ტრადიციებში;
6. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან კავშირით განპირობებული ცვლილებები ოჯახის სოციალურ ფუნქციებში;
7. სანქცირების ფორმები და პრინციპები;
8. საოჯახო შრომის ორგანიზაციის სხვადასხვა (ისტორიული თვალსაზრისით) პრინციპები;
9. თანამედროვე პროცესები ოჯახის განვითარებაში;
10. მომავლის პერსპექტივები.

II. ოჯახის სოციალური ფუნქციები (ოჯახთან დაკავშირებით ფუნქცია არის ურთიერთკავშირი, რომელიც განაპირობებს ნაწილის (ოჯახის) ჩართვას მთელში (საზოგადოებაში). ესაა როლი, რომელსაც ოჯახი ასრულებს მთელი საზოგადოებისა თუ ოჯახის ცალკეული წევრების წინაშე, ესაა ოჯახის ქცევის ძირითადი მიმართუ-

ლება თავისი და სხვა სოციალური სისტემების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებლად):

1. ბიოსოციალური:

ა. მეუღლეთა ინტიმური თანაცხოვრების სანქცირება;
ბ. შთამომავლობის შექმნა. — მოსახლეობის კვლავწარმოება;
გ. ეთნიკური ფუნქცია (ეთნოსის გენოფონდის განგრძობა; ეთნიკური ასიმილაცია);
დ. პიროვნების ფიზიკური არსებობის განგრძობის ორგანიზება.

2. სოციალური:

ა. შთამომავლობის აღზრდა-სოციალიზაცია;
ბ. ეთნოსის სოციალური პროგრამისა და მემკვიდრეობითობის განგრძობა;
გ. პიროვნების სოციალურ-პროფესიული აქტიკობის ხელშეწყობა;
დ. სოციალურ-ეკონომიკური საკითხების ორგანიზება;
ე. მატერიალურ-მომხმარებლური საკითხების ორგანიზება;
ვ. ოჯახის წევრთა უფლებრივი ნორმების განხორციელება;
ზ. თავისუფალი დროის ორგანიზება.

3. სულიერი:

ა. ოჯახის წევრთა ემოციური ურთიერთობების განხორციელება;
ბ. ზნეობრივი ნორმების განვითარება;
გ. ურთიერთობის ესთეტიკის განვითარება;
დ. პიროვნების ინტერესების განვითარება-განხორციელება;
ე. ურთიერთმხარდაჭერა;
ვ. ფსიქოლოგიური თავშესაფარის როლის შესრულება.

ოჯახის თეორიის მეორე მნიშვნელოვანი დებულება ისაა, რომ:

ოჯახი არის სოციალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური ჯგუფი (სოციალური ჯგუფი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, არის (ერთ-ერთი განმარტებით) ადამიანთა განსაზღვრული რაოდენობა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან გარკვეული ნორმებით რეგულირებული ურთიერთობის სისტემით და საერთო მისწრაფებებით, და რომელთა ერთობა სხვებისაგან გამოიყოფა განცალკევების გარკვეული პრინციპით).

ჩამოვთვალოთ, რა გამოხატავს ოჯახის, როგორც სოციალური ჯგუფის რაობას და სპეციფიურობას:

1. აქვს შექმნის მოტივაცია (რატომაც ქმნიან ოჯახს);

2. აქვს შექმნის ფაქტორები (საქორწინო პარტნიორის არჩევის პრინციპები);

3. მოწმდება შექმნის მიზანშეწონილება;

4. შექმნა ფორმალიზდება (ქორწინების რეგისტრაცია);

5. შექმნას სადღესასწაულოდ აღნიშნავს (ქორწილი);

6. აქვს განვითარების ფაზები (ბავშვის დაბადებამდე.... შვილების გამოყოფის შემდეგი);

7. აქვს ასაკი (ქორწინების ხანგრძლივობა);

8. აქვს სიმტკიცის ფაქტორები (გრძნობითი, ეკონომიკური, სულიერი);

9. აქვს განვითარების სრული ციკლი (შექმნის გადაწყვეტილებიდან მეუღლეთა გარდაცვალებამდე);

10. აქვს დაყოფის პრინციპები (შვილების გამოყოფა დაქორწინების შემდეგ,...);

11. განიცდის დაშლის (განქორწინების) შემთხვევას;

12. დაშლა (განქორწინება) რეგისტრირდება;

13. წევრის ამორიცხვა უკიდურეს შემთხვევაში ხდება (შვილის გაძევება, შვილის გაქცევა, განქორწინება);

14. ახასიათებს გაუთვალისწინებელი ბუნებრივი შეწყვეტაც (მეუღლეთა ნაადრევი გარდაცვალება);

15. გამოყოფილია სხვებისაგან (საცხოვრებელი ბინით; ცნებებით „ჩვენი ოჯახი", „ჩემი ოჯახი");

16. ახასიათებს წევრთა იდენტიფიკაცია („ჩვენ");

17. ჩაკეტილია (უცხო წევრების მიღება მხოლოდ ოფიციალური ფორმით ხდება. ქორწინება, შვილად აყვანა, მუდმივი ჩაწერა);

18. მთლიანი სისტემაა (მახასიათებლების ურთიერთკავშირით);

19. ნათესაური ერთეულია;

20. არის სტატისტიკური აღრიცხვის ობიექტი;

21. არის დაწვრილებითი სტატისტიკური აღწერის ობიექტი;

22. არის კანონმდებლობის ობიექტი;

23. არის სახელმწიფოს ზრუნვის ობიექტი;

24. საზოგადოებრივი აზრის მხედველობის არეშია;

25. განსაზღვრული ზომა აქვს (მცირე);

26. პირველადია ხასიათით (პირადი კონტაქტებით არსებობს);

27. მუდმივია (წინასწარი გადაწყვეტილებით);

28. აქვს შინაგანი მობილობა — შობადობა. (ამით ის განსხვავდება ყველა სხვა სოციალურ ჯგუფისაგან);

29. ახასიათებს ფორმების სხვადასხვაობა (ნუკლეარული, რთული);

30. ახასიათებს ტიპების სხვადასხვაობა (სრული, არასრული);

31. აქვს რთული დემოგრაფიული სტრუქტურა (აერთიანებს სხვადასხვა სქესის, ასაკის, თაობების წევრებს);

32. აქვს რთული სოციალური სტრუქტურა (ჰომოგენული, ჰომოგამური, ჰეტეროგენული, ჰეტეროგამური);

33. აერთიანებს სხვადასხვა პროფესიის წევრებს;

34. აქვს სოციალური მნიშვნელობის საზოგადოებრივი ფუნქციები:

35. აქვს ფუნქციები საკუთარი წევრების მიმართ;

36. ახასიათებს გეგმიანობა (შობადობის საკითხში, სამომავლო ქმედებებში,...);

37. არეგულირებს თვითგანვითარებას (აღზრდით, კოორდინირებული ქცევით,...);

38. აქვს ამოცანები (გამიზნული კონკრეტული ქმედებები,...);

39. აქვს გაერთიანების ცენტრი (საცხოვრებელი ბინა);

40. ეკონომიკური ერთეულია (არსებობის წყაროებით, საერთო ბიუჯეტით, ბინით, საერთო და პირადი მოხმარების ნივთებზე კერძო საკუთრებით...);

41. მეურნეობრივ-მომხმარებლური ერთეულია;

42. ჩვეულებრივად აქვს ერთიანი ტრაპეზა (სადილ-ვახშამი);

43. თვითმმართველობით ხასიათდება (თვით წარმართავს თავის ცხოვრებას);

44. აქვს თვითმმართველობის ტიპები (ოჯახის უფროსის ავტორიტარულობა; თანასწორობა გადაწყვეტილების მიღებაში);

45. ორგანიზაციულია შინასაქმეებში (საქმეთა განაწილება წევრთა შორის);

46. აქვს შრომის ორგანიზაციის ფორმები (თანასწორი; დანაწილებული სქესობრივ-ასაკობრივი პრინციპით,...);

47. მოქნილი კოორდინაციით ხასიათდება (საქმეთა გადანაწილება გაუთვალისწინებელ შემთხვევებში);

48. არეგულირებს წევრთა ყოველდღიურ ცხოვრებას;

49. აქვს თავისუფალი დროის გამოყენების ფორმები (სტუმრად წასვლა, ქალაქგარეთ გასვლა, ტელევიზორთან თავმოყრა,...);

50. ყავს საზოგადოებრივად დასაქმებული მარჩენალი წევრები (აღსაზრდელებიც, შემოსავლის არმქონე მოხუცებიც);

51. არჩენს ინვალიდსაც, ავადმყოფსაც, დროებით დაუსაქმებელსაც;

52. აქვს ურთიერთზემოქმედების ფორმები (დაყვავება, შენიშვნა, დასჯა...);

53. სოციალური კონტროლის უჯრედია (მეთვალყურეობა ბავშვებზე...);

54. აღზრდის ძირითადი კერაა;

55. მოქალაქეთა სოციალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი კერაცაა;

56. არის ჯანმრთელობის დაცვის, დასვენების და სიცოცხლის გახანგრძლივების ძირითადი კერაც;

57. ზრუნავს წევრების მომავალი ცხოვრების მოწყობაზე;

58. ცდილობს წევრების ბედნიერების მიღწევას;

59. აქვს სტრუქტურა (ამაზე იხ. ქვემოთ);

60. პოზიციათა სისტემას წარმოადგენს (ინდივიდის მდგომარეობა სხვა წევრების მიმართ — მაგალითად მამაკაცი — ქმარი, მამა, ძმა, ვაჟიშვილი,...);

61. აქვს კონვენციური შაბლონური როლები (ცოლის, ბებიის,...);

62. სოციალური ქცევის სისტემაა (ურთიერთობის ექსპექტაციებით,...);

63. ჩვეულებრივად ემყარება შემაკავშირებელ გრძნობებს (მეუღლეების, მშობლებისა და შვილების სიყვარული);

64. საერთო მისწრაფებები აქვს (წევრთა წინსვლის ხელშეწყობა, საერთო კეთილდღეობის ამაღლება,....);

65. გამოირჩევა ურთიერთმხარდაჭერისა და ურთიერთპასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით თავის შიგნით;

66. ცნობს წევრთა უფლება-მოვალეობებს თავის შიგნით;

67. იცავს ურთიერთპასუხისმგებლობას გარეთ;

68. წარმოადგენს გარეგანი სტრესებისაგან თავშესაფარს;

69. აქვს სტაბილურობის ხარისხი (კარგი, არეული);

70. ახასიათებს მოთხოვნილებების გარკვეული დონე;

71. ახასიათებს პრესტიჟულობა (უფრთხილდება სახელს);

72. ახასიათებს თვითკმაყოფილება;

73. წევრებს აძლევს შეფასებას (კარგი მეოჯახე; ცუდი დიასახლისი...);

74. აქვს საკუთარი მიმართულებები ღირებულებით ორიენტაციებში (ცხოვრების ძირითადი აზრის განსაზღვრის, სოციალურ-კულტურული მიდრეკილებების მიხედვით);

75. აქვს საკუთარი ცხოვრების წესი (ყოველდღიური ქცევის ნორმები, საკუთარი ტრადიციები, დღესასწაულები,...);

76. აქვს საკუთარი სოციალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო;

77. არის პიროვნების ფსიქოლოგიური მახასიათებლების გამოვლენის ასპარეზი;

78. ხელს უწყობს პიროვნების პერსონიფიკაციას;

79. ძალას მატებს წევრების წარმატება;

80. მწვავედ განიცდის წევრების წარუმატებლობას;

81. უმწვავესად განიცდის წევრების გარდაცვალებას;

82. ახლავს ობიექტური წინააღმდეგობებიც (მაგალითად, სიყვარულის ცვალებადი ხასიათი);

83. წარმოადგენს სუბიექტური წინააღმდეგობების და კონფლიქტების ასპარეზსაც;

84. კავშირი აქვს სხვა სოციალურ ჯგუფებთან თუ სისტემებთან (ნათესაობა; მეზობლობა...);

85. კავშირი აქვს სახელმწიფო ორგანიზაციებთან (ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, აღზრდის, დასაქმების დაწესებულებების, ფისკალური ორგანიზაციების,...);

86. განიცდის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული ცხოვრების გავლენას;

87. ხასიათდება ერთგვარი კონსერვატულობითაც;

88. წარმოადგენს ამა თუ იმ ეთნოსის კუთვნილებას;

89. ანხორციელებს თაობათა კავშირს და კაცობრიობის არსებობის უწყვეტობას;

90. წევრთა ურთიერთობა, როგორც წესი, მიმდინარეობს საკუთარი ეთნოსის ენაზე;

91. აქვს წევრთა აღნიშვნის ტერმინოლოგია (ცოლი, ქმარი, დედამთილი...).

92. უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ერთეულია.

ოჯახის თეორიის მნიშვნელოვანი დებულება, როგორც აღვნიშნეთ, იმაშიც მდგომარეობს, რომ

ოჯახი არის საზოგადოების მთლიანი სისტემის ერთ-ერთი ქვესისტემა. აქ საკმარისია ყოველივე ზემოთქმულის გაერთიანებული გააზრება. ოჯახის, როგორც მთლიანი ერთეულის რაობისა და არსის გააზრება საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. განსაკუთრებით კი ხაზგასასმელია მისი წარმომადგენლობითობა საზოგადოების წინაშე.

ამგვარად, ჩვენ შევეცადეთ ოჯახის თეორიის ძირითადი მახასიათებლები დიფერენცირებულად წარმოგვედგინა. ვფიქრობთ ასე უკეთ ჩანს ოჯახის (საზოგადოების შემადგენელი ცალკეული ბიროვნებებისაგან შემდგარი სოციალური ერთეულის) მრავალმხრივობა და საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

გამოყოფით გვინდა შევეხოთ ოჯახის სტრუქტურის საკითხს. „ოჯახის სტრუქტურაში" ეთნოგრაფია ჩვეულებრივად გულისხმობს ოჯახში თაობათა რაოდენობას და მათ ურთიერთობას, სოციოლოგია — საერთოდ ოჯახის წევრების ურთიერთობების დიფერენცია-

ციას როლებისა და პოზიციების მიხედვით, დემოგრაფია — სქესობრივ, პროფესიულ, ქორწინებითობის და ა. შ. მაჩვენებლებს. ოჯახის მრავალმხრივობამ თანდათან გამოიწვია მეცნიერულ ტერმინოლოგიაში „სტრუქტურის“ სხვადასხვა მიმართებაში ხმარება („ოჯახის პროფესიული სტრუქტურა“, ოჯახის „მოთხოვნილებათა სტრუქტურა“ და ა. შ.). სოციოლოგმა ზ. იანკოვამ კონტენტ-ანალიზის მეთოდით შეისწავლა სამოცდაათი კრებულის ასამდე სპეციალური ნაშრომი და მივიდა დასკვნამდე, რომ „ოჯახის სტრუქტურის“ ცნების დეფინიციის საკითხი დგას[1]. უკანასკნელ ხანს გაჩნდა ოჯახის სტრუქტურაში ოჯახის მთელი კატეგორიალური აღნაგობის გააზრების საჭიროების დასაბუთებაც. სოციოლოგმა უ. ტაშტემიროვმა საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთა (ჩვენი თვალსაზრისით), რომ ოჯახის სტრუქტურის ამოსავალი მისი „ანატომია“ და „ფიზიოლოგია“ უნდა იყოს. ამის საფუძველზე იგი გამოყოფს ოჯახის სტრუქტურის სამ დონეს, — დემოგრაფიულს, სოციალურ და სულიერს. იგი ასკვნის: „შეიძლება გამოვყოთ ოჯახის შემდეგი სტრუქტურული დონეები: ოჯახის დემოგრაფიული სტრუქტურა (ოჯახის რაოდენობრივი, სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა, თაობათა რაოდენობა და მათი ურთიერთმიმართება). ეს განსაზღვრავს ოჯახის ფორმასა და სახეს, გავლენას ახდენს ოჯახურ ურთიერთობათა ხასიათზე; ოჯახის სოციალური სტრუქტურა (განათლების დონე, პროფესია, წევრთა სოციალური მიკუთვნებულობა) წარმოადგენს ოჯახური ურთიერთობის ფუნქციონირების უშუალო სოციალურ წანამძღვარს და ახასიათებს ოჯახის სოციალურ ტიპს (მუშათა, გლეხთა, ინტელიგენტის, სოციალური თვალსაზრისით შერეულს, სხვადასხვა ერის წარმომადგენლებისა და ერთი ერის წარმომადგენლების ოჯახი და ა. შ.); ოჯახის სულიერი სტრუქტურა განისაზღვრება მისი დემოგრაფიული და სოციალური სტრუქტურით. სწორედ ამ სტრუქტურული სფეროების საშუალებით აყალიბებს ოჯახურ ურთიერთობებს გაბატონებული საზოგადოებრივი ურთიერთობები... ამრიგად ოჯახი რთულსტრუქტურული მოვლენაა“[2].

ჩვენი თვალსაზრისით „ოჯახის სტრუქტურის“ ზოგად ცნებაში კრიტერიუმად ოჯახის კატეგორიალური აღნაგობის გააზრება მიზანშეწონილია. ამავე დროს, ვფიქრობთ, ამ მხრივ დამატებით მოსაზრებების გამოთქმაც შეიძლება. კერძოდ, რადგან ოჯახის საფუძველს წარმოადგენს ბიოლოგიური და სოციალური საწყისები, ამიტომ პირველი რიგისად ბიოლოგიური და სოციალური სტრუქტურუ-

---

[1] Янкова З. Городская семья. М., 1979, გვ. 23—25 და სხვა.

[2] Таштемиров У. Современная социалистическая семья и тенденции ее развития (из опыта республик Средней Азии). Ташкент, 1982, 31.

ლი დონეები უხდა წარმოვიდგინოთ, რომელთა გაერთიანება ქმნის მეორე დონის სტრუქტურებს, — დემოგრაფიულსა და ოჯახის წევრთა ურთიერთობებისა. ყოველი სტრუქტურულ დონეს თავისი ქვესტრუქტურები გააჩნია (რომლებშიც მთლიანად ჯდება ოჯახის ყველა მახასიათებელი). ჩვენს მიერ გამოყოფილ ბიოლოგიური სტრუქტურის ქვესტრუქტურებს ქმნის 1. მეუღლეთა სქესობრივი ურთიერთობა; 2. შობადობა; 3. ნათესაობა (ნათესაობის გენეტიკური საფუძვლების წესახებ იხ. წინამდებარე ნაშრომის 36—47 გვ.). მაგრამ, რადგან ბიოლოგიური ამ შემთხვევაში ყოველთვის მოიცავს **სოციალურს, რომლის ძალა განუხრელად იზრდება**, ჩვენ ამ სტრუქტურულ დონეს **ბიოსოციალურს** ვუწოდებთ. მაშ ასე:

1. ბიოსოციალური სტრუქტურის ელემენტი — ქორწინება — წარმოადგენს მეუღლეთა სექსუალური ურთიერთობის თანმხლები მომენტების შემცველს (ორგაზმი, ლიბიდო, ნაწილობრივი იმპოტენცია, ფრიგიდობა და სხვ.), რომლებიც ხშირად განსაზღვრავენ ოჯახის არსებობისა თუ დაშლის საკითხს. მაგრამ ჩვეულებრივ პიროვნებებში ყოველი მათგანის ხარისხი ოჯახის სოციოლოგიური კვლევისთვის საინტერესოა არა წმინდა სექსოლოგიური თვალსაზრისით (ამ მხრივ მათ სექსოლოგია შეისწავლის, თუმცა ჩვენში მისი განვითარების დონე, როგორც აღიარებულია, საკმაოდ დაბალია), არამედ მათი გავლენების თვალსაზრისით მეუღლეების პიროვნულ ურთიერთობაზე და აქედან — ოჯახის მთელ ატმოსფეროზე. ამავე დროს აქ უნდა ვიგულისხმებოდეს სქესისა და ასაკის, როგორც ბიოლოგიური კატეგორიების. გავლენებიც. მაგალითად, ახალგაზრდა და ხანდაზმულ მეუღლეებს განსხვავებული სექსუალური ქცევები აქვთ. ამიტომ მათი ამ მხრივი ურთიერთობის ხასიათი ხშირად განსხვავებულად გარდატყდება პიროვნულ ურთიერთობებში და განსხვავებულადაც ზემოქმედებს ოჯახის მთლიან ატმოსფეროზეც. გარდა ამისა, როგორც ზემოთაც იქნა ნაჩვენები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეუღლეთა ეროვნულობის საკითხიც — ერთეროვნულია ოჯახი. თუ ბიეთნიკური. ამდენად, ოჯახის ცხოვრებისათვის ქორწინების ხასიათისა და მეუღლეთა სქესობრივი შეთავსების ხარისხის მნიშვნელობის გამო, ქორწინების ცალკე სტრუქტურულ ელემენტად გამოყოფა მართებულად მიგვაჩნია.

2. ბიოსოციალური სტრუქტურის ელემენტი — შობადობა — წარმოადგენს შვილიერების ბიოლოგიური მოთხოვნილების, საამისო ჯანმრთელობის და მათი განმსაზღვრელი სოციალური ფაქტორების ურთიერთგავლენების გამომხატველი მომენტების შემცველს. მასში უნდა ვიგულისხმოთ, აგრეთვე, მშობლების ინსტინქტები შვილების მი-

მართ, რომლებიც, შესაძლებელია, საერთო გენების მოქმედების გამოხატულებას წარმოადგენდნენ. ცნობილია, რომ შვილი შეიძლება არ იყოს სოციალურად თუ პროფესიულად დაწინაურებული, შეიძლება არ უპასუხებდეს შვილის იდეალს, შეიძლება მოარლურად არასრულფასოვანი ან სოციალურად საშიში და დამნაშავეც იყოს, და ბოლოს შეიძლება უკურნებელი სენით იყოს დაავადებული, მაგრამ მშობლის ექსპექტაციებს მის მიმართ ძირითად ხაზებში ისეთივე ხასიათი აქვს, როგორც სხვა შვილების მიმართ (მათეოს ფალკონე, ხევისბერი გოჩა და სხვ. იშვიათ გამონაკლისებს წარმოადგენენ, რომელთა მნიშვნელობა სწორედ გამონაკლისობაში მდგომარეობს). შვილიერების ბიოლოგიური მოთხოვნილება იმდენად ძლიერია, რომ დღესაც არაიშვიათად განსაზღვრავს ოჯახის არსებობის ბედს (რომ აღარაფერი ვთქვათ ისტორიულ წარსულში უშვილობის მნიშვნელობაზე). შვილების რაოდენობა, სქესი, ასაკი, და მშობლების ექსპექტაქციების ხასიათი ყოველ მათგანთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებას, პიროვნული ურთიერთობების ხასიათს. მაგალითად, მშობლები შვილების მიმართ (ე. ი. გენეტიკურ კავშირში მყოფთა მიმართ) უფრო დამთმობები არიან, ვიდრე ერთმანეთის მიმართ. ამავე დროს ფაქტია ისიც, რომ ინსტინქტების ქმედითობის ყოველდღიურ გამოვლინებაში სოციალური ცხოვრების მოთხოვნებსაც შეაქვთ გარკვეული კორექტივები, ზოგადად პიროვნების თავისუფლებისა და კაცობრიობის კულტურული წინსვლის კვალდაკვალ. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინება გვაფიქრებინებს ბიოსოციალურ სტრუქტურაში შობადობის ცალკე ელემენტად გამოყოფის მართებულობას.

3. ბიოსოციალური სტრუქტურის შემდეგი ელემენტი — ნათესაობა — წარმოადგენს ოჯახის წევრთა განსხვავებული ბიოსოციალური კავშირების შემცველს. ოჯახის წევრთა ნათესაობის მიხედვით ოჯახები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ნუკლეარულ ოჯახში ნათესაობა მხოლოდ გენეტიკური გვაქვს (მშობლებისა და შვილების; სიბსების). რთულ ოჯახში სხვადასხვა ნათესაური კავშირებია, გენეტიკურიც და არაგენეტიკურიც. თვით გენეტიკური კავშირები სხვადასხვა დონისაა. კერძოდ, მშობლებისა და შვილების თუ სიბსების კავშირების გვერდით სხვა, უფრო ნაკლები ძალის გენეტიკური ნათესაობაც არსებობს (ბებია—ბაბუა და შვილიშვილის, ბიძა—მამიდა—დეიდისა და ძმისშვილ—დისშვილის). ოჯახის სხვა წევრები კი არაგენეტიკურ ნათესაურ კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან (მაგალითად, რძლისა თუ სიძის ნათესაობა დედამთილ—სიდედრთან, მამამთილ—სიმამრთან; რძალ—მულის, მაზლისა თუ ცოლისძმის და სხვა). ყოველი მათგანის ურთიერთობა განსხვავდება ერთმანეთისაგან. ერთი ფაქტია,

რომ საერთო გენების მქონეობა თუ სხვათა ურთიერთობა და უფლებამოვალეობანი ერთმანეთის წინაშე საგრძნობლად განსაზღვრავს ოჯახის საერთო ატმოსფეროს ხასიათს. ამიტომაა, რომ ნათესაობას ცალკე გამოვყოფთ ოჯახის ბიოსოციალური სტრუქტურის ერთ-ერთ ელემენტად.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ბიოსოციალური სტრუქტურის თითოეული ელემენტის არსებობის თუ არ არსებობის მიხედვით ოჯახები სხვადასხვა ტიპებად შეიძლება დალაგდეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ოთხი ძირითადი ტიპი შეიძლება გამოიყოს:

1. ცალმხრივი ბიოსოციალური სტრუქტურის ოჯახები:

ა) უშვილო საქორწინო წყვილი (ბიოსოციალური სტრუქტურის მხოლოდ ერთი ელემენტი არსებობს — სქესობრივი ურთიერთობა).

ბ) ერთი მშობლისა და ერთი შვილის ოჯახი (ბიოსოციალური სტრუქტურის მხოლოდ ერთი ელემენტი არსებობს — შობადობა).

გ) ნათესავების ოჯახი — და-ძმის, დების ან ძმების, ბებია და შვილიშვილის, მამიდა-ძმისშვილის და სხვა (ბიოსოციალური სტრუქტურის მხოლოდ ერთი ელემენტი არსებობს — ნათესაობა).

2. მარტივი ბიოსოციალური სტრუქტურის ოჯახები:

ა) მშობლები და ერთი შვილი (ბიოსოციალური სტრუქტურის ორი ელემენტი არსებობს — სქესობრივი ურთიერთობა და შობადობა).

ბ) ერთი მშობელი, შვილი (მეუღლის გარეშე) და შვილიშვილი (ბიოსოციალური სტრუქტურის ორი ელემენტი არსებობს — შობადობა ორ თაობაში და ნათესაობა ბებია (ბაბუა) — შვილიშვილს შორის).

3. სრული ბიოსოციალური სტრუქტურის ოჯახები:

ა) სრული ოჯახი — მშობლები და ორი ან მეტი შვილი (ბიოსოციალური სტრუქტურის სამივე ელემენტი არსებობს — სქესობრივი ურთიერთობა, შობადობა და ნათესაობა შვილებს შორის).

4. რთული ბიოსოციალური სტრუქტურის ოჯახები:

ა) რთული ოჯახი ორი ან მეტი საქორწინო წყვილით, მაგალითად, მშობლები ორი ან მეტი შვილით, რომელთაგან ერთი უკვე დაოჯახებულია და კვლავ მშობლებთან ცხოვრობს საკუთარი შვილებით და მეუღლით (ბიოსოციალური სტრუქტურის სამივე ელემენტის სიმრავლე არსებობს — ორი ქორწინება, შობადობა ორ თაობაში და ნათესაობის რამდენიმე დონე. ნათესაობა — უფროსი თაობის შვილებისა — ერთმანეთთან, უმცროსი თაობის შვილებისა — ერთმანეთთან, ბიძა-მამიდა-დეიდის — ძმისშვილ-დისშვილთან, ბებია-ბაბუის — შვილიშვილებთან). ამ სტრუქტურის ოჯახებს მრავალი ვარიანტი აქვს.

ოჯახთა ასეთი ტიპების არსებობის გათვალისწინებას მნიშვნელობა ექნება შინაოჯახური ურთიერთობების კვლევაში ოჯახის საერთო ატმოსფეროს გარკვევისთვის, რადგანაც ერთიდაიგივე კონფლიქტური სიტუაცია სრულიად სხვადასხვა დონის კონფლიქტში გადადის იმის მიხედვით, წარმოიქმნება იგი გენეტიკურად თუ არაგენეტიკურად დაკავშირებულ ოჯახის წევრებს შორის.

მთლიანად ოჯახის ბიოსოციალური სტრუქტურის შიდა აღნაგობა სქემატურად ასეთ სახეს მიიღებს:



ამრიგად, ოჯახის სტრუქტურულ-რაობაში ჩვენ ვამატებთ ბიოსოციალურ სტრუქტურას. ამასთანავე, ოჯახის სწორედ ბიოლოგიური და სოციალური საწყისების გამო, ბიოსოციალურ და სოციალურ სტრუქტურებს ოჯახის მთლიან სტრუქტურულ აღნაგობაში მივიჩნევთ პირველი და თანაბარი დონის სტრუქტურებად, რომელთა შეერთება ქმნის მეორე, ასევე თანაბარი დონის სტრუქტურებს — დემოგრაფიულს და შინაოჯახური ურთიერთობებისას (რომელშიც შედის სულიერი ურთიერთობაც). აქედან გამომდინარე, ოჯახის მთლიანი სქემა (საერთოდ არაერთი სქემა არსებობს) შეიძლება ასეც (თითოეული ელემენტის გაუშლელად) გამოისახოს:

ოჯახის ზოგადი სქემა



თავი მეორე

ოჯახის ეთნოსოციოლოგიური კვლევის ზოგადი პროგრამის ზოგიერთი საკითხი

ოჯახთან დაკავშირებული საკითხების მრავალფეროვნება შეიძლება დაჯგუფდეს რამდენიმე ძირითად ბლოკად, მაგალითად:

— ოჯახის დემოგრაფიული ფორმებისა (და ტიპების) და მოსახლეობის ოჯახური მდგომარეობის სტატისტიკური[1] მაჩვენებლების ეთნოსოციოლოგიური ანალიზი;

— ოჯახის დემოგრაფიული ფორმების (და ტიპების) სოციალური განპირობებულობანი;

— ქორწინება;

— ოჯახის ცხოვრების წესი;

— ოჯახის სოციალურ-პროფესიული სტრუქტურა;

— ოჯახის სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები;

— ოჯახის ცხოვრების მატერიალური პირობების სოციალური ფაქტორები;

— ოჯახის წევრთა ურთიერთობის სტრუქტურა და ფსიქოლოგიური ატმოსფერო ოჯახში;

— აღზრდა. შთამომავლობის მოვლა-აღზრდის სოციალურ-ეკონომიკური განპირობებულობანი;

— ოჯახის როლი პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების ჩამოყალიბება-განვითარებაში;

— საზოგადოების ცხოვრების სოციალური ანომალიების (მკრეწლოვანთა დამნაშავეობა, ფსიქიური აშლილობა, ლოთობა,...) ოჯახური ფაქტორები;

— ოჯახის დაგეგმვის სოციალური განპირობებულობანი;

— ხანდაზმული ოჯახში (ოჯახი და გერონტოლოგიური პრობლემები);

---

[1] ქართული ოჯახის დემოგრაფიული ტიპების შესახებ გადაცემულია გამოსაცემად — ბ ე ქ ა ი ა მ. ქალაქის ოჯახი საქართველოში სტატისტიკური მონაცემების მიხედვით. კრებულში, — ეთნოსოციალური პრობლემები საქართველოში (გამოქვეყნდება 1988 წ.).

— ოჯახი და ნათესაური გარემო;

— ოჯახი საზოგადოების სხვა ქვესისტემებთან კავშირში;

— საოჯახო და საქორწინო ტრადიციების სოციალური ფუნქციონირება;

— ოჯახი — პატრიოტიზმის ქვაკუთხედი;

— მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სოციალური მომსახურების სფერო და ოჯახის ბიუჯეტი;

— საზოგადოებრივი ფონდები და ოჯახის ბიუჯეტი;

— რეკრეაციის ოჯახური ფორმები;

— კონფლიქტური სიტუაციები ოჯახში, მათი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები;

— განქორწინება. მისი სოციალური შედეგები;

— ხელახალი ქორწინება;

— ოჯახის დემოგრაფიული ტიპისა და საცხოვრებელი ბინის არქიტექტურული პროექტირების ურთიერთგავლენები და სხვა.

ქართული ოჯახი ზემოჩამოთვლილ ბლოკთა უდიდესი უმეტესობის სოციოლოგიურ და ეთნოსოციოლოგიურ კვლევას ჯერ მხოლოდ ელოდება.

ყოველი ბლოკი უამრავ სოციალურ პრობლემას შეიცავს, რომლებიც კონკრეტული ოჯახების ცხოვრებაში სხვადასხვა სიმწვავით დგას. პრობლემის საკვლევად გამორჩევა, კვლევისთვის პროგრამის შემუშავება და მისი მიმართულება დიდადაა დამოკიდებული მეცნიერული ჰიპოტეზის ფორმულირებაზე — რატომ არის პრობლემის კვლევა საშური და რას მოელის საზოგადოება კვლევის შედეგებისგან.

კვლევისთვის პრობლემის გამორჩევის საორიენტაციო ნიმუშად ავიღოთ ოჯახის ორი სხვადასხვა ბლიკის თითო მნიშვნელოვანი საკითხი — ერთი „ქორწინებიდან", მეორე — „ოჯახის მატერიალური ცხოვრების პირობების სოციალური ფაქტორებიდან".

ქორწინება თავისთავად საკითხთა მთელ რიგს მოიცავს, რომელთაგან ავიღოთ, ვთქვათ, ერთი ასეთი საკითხი: ახალგაზრდობის მზადყოფნის დონე ქორწინებისა და ოჯახური ცხოვრებისათვის. ამ საკითხის საკვლევად გამოყოფისა და პროგრამის შედგენისათვის ჰიპოტეზა შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ოჯახური ცხოვრებისა და მეუღლისა თუ მშობლის მოვალეობის შესრულებისთვის არ არის საკმარისად მზად. ამას მოწმობს განქორწინების, სხვადასხვა სახის სოციალური ანომალიების, მარტოხელათა რაოდენობის, ე. წ. მარტოხელა დედათა რაოდენობის და ა. შ. ზრდა. ოჯახი კი მნიშვნელოვანი სოციალური უჯრედია და საზოგადოება დაინტერესებულია მისი სიმტკიცით. ამასთანავე ყოველი ოჯახიც თა-

ვისი შვილის ოჯახური ბედნიერების მოსურნეა და შეძლებისდაგვარად ცდილობს შვილებს ოჯახისადმი ერთგულების პრინციპები ჩაუნერგოს. პიროვნებებიც ქორწინდებიან მტკიცე ოჯახის შექმნის სურვილითა და იმედით. მაგრამ ოჯახს ახასიათებს ობიექტური და სუბიექტური წინააღმდეგობანი, რომლებიც არაიშვიათად წარმოადგენენ კონფლიქტების, განქორწინების, სოციალური ანომალიების და ა. შ. წყაროს. ამას ხშირად ემატება კონკრეტული საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა ხასიათის სირთულეები, რომლებიც კიდევ უფრო ამძაფრებენ ოჯახურ კონფლიქტებს. მაგრამ ისიც სავარაუდებელია, რომ ოჯახის ჯერ კიდევ შექმნის პირობებშივე არსებობს ოჯახის მოსალოდნელი დეზორგანიზაციის ფაქტორები. ეს ფაქტორები შეიძლება სრულიად სხვადასხვა საფუძვლებისგან მომდინარეობდნენ — აღზრდის ხარვეზებისგანაც. სხვადასხვა რიგის სოციალურ-ეკონომიკური პირობებისგანაც, ახალგაზრდობის ერთი ნაწილის ცხოვრებაში ფეხგადადგმული ზოგიერთი არაჯანსაღი მოვლენებისგანაც, დრომოჭმული საოჯახო და საქორწინო ტრადიციებისგანაც, ახალგაზრდობის გაცნობა-დაახლოების პირობების შეზღუდულობისგანაც და ა. შ. სოციოლოგიას და ეთნოსოციოლოგიას კი ხელეწიფება რაოდენობრივი გაზომვით დაადგინოს ოჯახში მოსალოდნელი ტიპური დეზორგანიზაციის ტიპური ფაქტორები და მათი სოციოლოგიური გაანალიზების საფუძველზე მმართველი ორგანიზაციებისთვის მოამზადოს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები.

ახლა ამ საკითხის (ახალგაზრდობის მზადყოფნის დონე ქორწინებისა და ოჯახური ცხოვრებისათვის) კვლევის საორიენტაციო თემატიკა ჩამოვთვალოთ (აქვე აღვნიშნავთ, რომ მრავალი მათგანი ქორწინების სხვა საკითხების კვლევაშიც განმეორდება ოჯახის საკითხების ურთიერთგადაჯაჭვულობის გამო):

1. ახალგაზრდა მოსახლეობის ოჯახური მდგომარეობის სტატისტიკური მაჩვენებლების დინამიკის ეთნოსოციოლოგიური ანალიზი;

2. ახალგაზრდობის დამოკიდებულება ოჯახისა და ქორწინებისადმი (ქორწინების მოტივაცია);

3. ახალგაზრდობის რეპროდუქტიული განწყობის სოციალური ფაქტორები;

4. ახალგაზრდობის ურთიერთგაცნობისა და დაახლოების პირობები;

5. ქალ-ვაჟის მეგობრობის ფორმები და მათი ცვლილებათა ფაქტორები;

6. სექსუალური ქცევის ნორმები, მათი ცვლილებათა ფაქტორები და პრობლემები ახალგაზრდობაში;

7. იდეალური საქორწინო ასაკი ახალგაზრდობის შეხედულებით;

8. პარტნიორის არჩევის ზნეობრივი და სოციალური ფაქტორები;

9. ახალგაზრდობის დამოკიდებულება „მამაკაცურობისა“ და „ქალურობისადმი“ როგორც ზნეობრივი ღირებულებისადმი;

10. „ქმრისა“ და „ცოლის“ იდეალი ახალგაზრდობაში;

11. ახალგაზრდის საზოგადოებრივი პრესტიჟი და მიმზიდველობა;

12. ოჯახის როლი ახალგაზრდობაში ქორწინებისა და ოჯახისადმი დამოკიდებულების გამომუშავებაში;

13. ოჯახის ადგილი ახალგაზრდის სამომავლო გეგმებში საკუთარი ოჯახის ცხოვრების მოწყობის საკითხებში;

14. ახალგაზრდის ხარჯები ოჯახის ბიუჯეტში;

15. ახალგაზრდის ბიუჯეტის, თავისუფალი დროის გამოყენების სტრუქტურისა და ოჯახური მდგომარეობის შეცვლის გეგმების ურთიერთმიმართება;

16. ახალგაზრდის საბინაო პირობებისა და ოჯახური მდგომარეობის შეცვლის გეგმების ურთიერთმიმართება;

17. ახალგაზრდობის დამოკიდებულება პარტნიორთან შეხვედრის (მონახვის) ტრადიციული ფორმების მიმართ (გარიგება, სპეციალური გაცნობა, მშობლების აქტიურობა,...);

18. ახალგაზრდობის დამოკიდებულება პარტნიორთან შეხვედრის (მონახვის) შესაძლებელი ოფიციალური ფორმების მიმართ (სპეციალური კლუბები, გაცნობის ბიუროები, განცხადება გაზეთში,...);

19. ქორწინების ტრადიციული (მაგ. ნათესაობის ვარკვეული დონე) და სხვა ბარიერები;

20. მასობრივი ინფორმაციის როლი ახალგაზრდობაში ოჯახისა და ქორწინების საფუძვლების, სიყვარულის, მოვალეობის, თავისუფლებისა და აუცილებლობის შესახებ მეცნიერული ცოდნის გავრცელებაში;

21. ახალგაზრდობის დამოკიდებულება ოჯახის, ქორწინების და სიყვარულის შესახებ სწავლების შემოღება-გაფართოების შესახებ სასწავლო დაწესებულებებში (სკოლა, ინსტიტუტი,...);

22. პირველი სიყვარული;

23. დაქორწინების კონკრეტულ გადაწყვეტაში ქალისა და ვაჟის აქტიურობის დონე;

24. დაქორწინების კონკრეტულ გადაწყვეტაში მშობლების აზრის გათვალისწინების დონე;

25. დაქორწინების კონკრეტული გადაწყვეტილების შეცვლის სუბიექტური ფაქტორები;

26. ჭორის გავლენები საქორწინო პარტნიორთა ურთიერთობაზე;

27. პარტნიორთა ურთიერთობის მახასიათებლები დაქორწინებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე;

28. პარტნიორთა ურთიერთობის მახასიათებლები დაქორწინებაზე გადაწყვეტილების მიღებიდან ხელმოწერამდე;

29. პარტნიორთა ოჯახების ურთიერთობა გადაწყვეტილების მიღებიდან ხელმოწერამდე;

30. ახალგაზრდობის დამოკიდებულება გადაწყვეტის ნიკთიერი საჩუქრით აღნიშვნის საკითხისადმი;

31. ახალგაზრდობის დამოკიდებულება ქორწინების საფეხურებისადმი (ნიშნობა,... ქორწილი);

32. ახალგაზრდობის დამოკიდებულება ქორწინების გაფორმების სხვადასხვა ფორმებისადმი;

33. ახალგაზრდობის დამოკიდებულება საოჯახო და საქორწინო ტრადიციებისადმი;

34. ახალგაზრდობის დამოკიდებულება ქმარშვილიანი ქალის შრომისადმი;

35. ახალგაზრდის საქმიანობა ოჯახში;

36. ახალგაზრდობის დამოკიდებულება „უშრომელი შემოსავლის" მიმართ;

37. ახალგაზრდობის დამოკიდებულება „ოჯახური კოოპერაციების" შექმნის მიმართ;

38. ახალგაზრდობის კონფლიქტების ხასიათი მშობლების ოჯახში;

39. ახალგაზრდობის დამოკიდებულება ვანქორწინებისადმი;

40. ახალგაზრდობის დამოკიდებულება ხელახალი ქორწინებისადმი;

41. ახალი დინებები ოჯახთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიაში;

42. ახალგაზრდობის ორიენტაციები ნათესაურ წრესთან ურთიერთობაში;

43. ახალგაზრდობის დამოკიდებულება ბიეთნიკური ქორწინებისადმი;

44. ახალგაზრდობის დამოკიდებულება „მარტოხელა დედის" მიმართ;

45. შუახნისა და ხანდაზმული ასაკის გაუთხოვარი ქალი ოჯახისა და ქორწინების შესახებ;

46. შუახნისა და ხანდაზმული ასაკის უცოლშვილო მამაკაცი ოჯახისა და ქორწინების შესახებ და სხვა.

კონკრეტული პრობლემის საკვლევად გამორჩევის ნიმუშად ავიღოთ „ოჯახის მატერიალური ცხოვრების პირობების სოციალური ფაქტორების“ ბლოკის ერთ-ერთი, ვთქვათ, ასეთი საკითხი: „საცხოვრებელი (ბინა) და ქალაქის ოჯახის ფუნქციონირების ურთიერთკავშირი“. ამჯერად არ შევუდგებით მასში შემავალი უამრავი (გარდაქმნისა და საჯაროობის პირობებში შესაძლებელი და საშური კვლევის) ქვესაკითხების ჩამოთვლას. ვეცდებით ვაჩვენოთ საზოგადოების განვითარების „ზოგადი და სპეციფიკური კანონზომიერებების მოქმედების მექანიზმისა და გამოვლენის“ (როგორც სოციოლოგიური მეცნიერების არსის ერთ-ერთი განმსაზღვრელის) კონკრეტული მაგალითი:

დავიწყოთ იქედან, რომ კაცობრიობის პროგრესის უმნიშვნელოვანესი მიზანია ჰარმონიული (ფიზიკურად, ფსიქიკურად, გონებრივად) პიროვნების ჩამოყალიბების პირობების შექმნა-გაუმჯობესება. „ჰარმონიული პიროვნება“ ფსიქოლოგიური ცნებაა და პიროვნების განვითარების მაღალ დონეს გულისხმობს[1]. ამიტომაა, რომ ასეთი ადამიანების სიმრავლე საზოგადოების (ერის) სიჯანსაღისა და სიმდიდრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ამასთანავე ჰარმონიული პიროვნების ჩამოყალიბებაში საზოგადოების განვითარების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული ცხოვრების დონის ზოგად მახასიათებლებთან ერთად, გარკვეული მნიშვნელობა აქვს პიროვნების ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო პირობების მახასიათებლებსაც. პიროვნებების უდიდესი უმრავლესობის ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახებში მიმდინარეობს, დაწყებული ძილით (ადამიანის ფიზიკური არსებობის აუცილებელი პირობა), შთამომავლობის აღზრდით (უაღრესად მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქცია) და დამთავრებული, ვთქვათ, სპეციალური ლიტერატურის კითხვით (პიროვნების სოციალურ-პროფესიული წინსვლისა და საზოგადოებრივი აქტივობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა). ამიტომ პიროვნების ცხოვრების ადგილის — საცხოვრებელი ბინის რაგვარობის გარკვეული სოციალური მნიშვნელობა აღიარებული ფაქტია.

ადამიანის საცხოვრებლის ფორმებისა და ტიპების განვითარება ცივილიზაციის განვითარების დონეს უკავშირდება. იყო დრო, როცა მთელი ოჯახის ცხოვრება ბინის ერთ მთლიან, დაუსეგმენტებელ

---

2 იხ. ნ ო რ ა კ ი ძ ე ვ ლ. ხასიათის ფსიქოლოგია და ხელოვნება. თბ., 1962, გვ. 35, 175—178 და სხვ.

ფართში მიმდინარეობდა. საერთო ფართი თანდათან დანაწევრდა ფუნქციურად. ჯერ გაბატონებულმა კლასებმა შექმნეს თავიანთვის მრავალოთახიანი (და მრავალსართულიანიც) საცხოვრებელი, შემდეგ პიროვნების დამოუკიდებლობის ზრდისა და კულტურის საერთო ფონის ამაღლების კვალდაკვალ ფუნქციურად დანაწევრებული ბინა (საწოლი, სასადილო, სამზადი და ა. შ.) თანამედროვე პიროვნების ჩვეულებრივ მოთხოვნილებად გადაიქცა. მაგრამ, რადგან ეს გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ანტაგონისტურ საზოგადოებაში სხვადასხვა სოციალური ფენების თუ კლასების წარმომადგენლებს სრულიად განსხვავებული საცხოვრებლის შექმნის შესაძლებლობები აქვთ. კერძო სასახლეები, ქოხმახები და საერთოდ თავშესაფრის უქონლობა ერთნაირად დამახასიათებელია ასეთი საზოგადოებისათვის. როგორც ცნობილია, პროლეტარიატის მძიმე ეკონომიკური პირობების ამსახველს ცუდი საბინაო პირობებიც წარმოადგენს და ამდენად, იგი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიზეზების ერთ-ერთ პუნქტადაც უნდა ჩაითვალოს. ამიტომ იყო, რომ სოციალისტური წყობის გამარჯვების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საზოგადოების წევრების (ოჯახის) ბინით უზრუნველყოფის საკითხს. საბჭოთა სახელმწიფომ, სოციალისტური პრინციპების განხორციელების ერთ-ერთ გამოსახულებად თავისი მოქალაქეების ბინის უფასოდ უზრუნველყოფაც იკისრა — ბინის უფასოდ მიღება ყოველი საბჭოთა მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებად გამოაცხადა. მართლაც, ყოველწლიურად მილიონობით კვადრატული მეტრი ფართი საცხოვრებელი უფასოდ ეძლევა საბჭოთა მოქალაქეებს თანასწორობის პრინციპით, ყოველწლიურად ასიათასობით ოჯახი ზეიმობს ახალმოსახლეობას, მუდმივად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბინათმშენებლობის საკითხებს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვისა თუ მართვის საკითხებში. ადამიანის საცხოვრებლის პრობლემის ასე გადაწყვეტა და განხორციელება შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის უდიდეს მონაპოვრად, არამედ საერთოდ კაცობრიობის სოციალურ-კულტურული განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიშანსვეტადაც.

მაგრამ, ცნობილია, რომ ურბანიზაციის ტემპების, მოსახლეობის რაოდენობის, პიროვნების მოთხოვნილებების და ა. შ. განუხრელმა ზრდამ ქალაქის ოჯახის ბინის საკითხი კვლავ პრობლემად დატოვა. საქმე ისაა, რომ მიღებული ბინის ფართით თუ არქიტექტურული პროექტირებით კმაყოფილ (და შეიძლება გაბედნიერებულსაც კი) პიროვნებას (ოჯახს) თანდათან გამრავლებისა თუ მოთხოვნილებების

გაზრდის გამო გარკვეული ხნის შემდეგ ბინის გაფართოების პრობლემა კვლავ წამოეჭრება. საბჭოთა საბინაო კანონმდებლობა ამასაც ითვალისწინებს და შეძლებისდაგვარად აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს. ამავე დროს მოთხოვნილება განვითარებადია და მისი ზრდის ტემპები, როგორც წესი, წინ უსწრებს მისი განხორციელების პირობების ზრდის ტემპებს. თანაც, მოთხოვნილების ინტენსივობა მოსახლეობის ცალკეულ ფენებსა თუ პიროვნებებში სხვადასხვაგვარია. ამიტომ ბუნებრივია, ყოველნაირი მოთხოვნილების უფასოდ დაკმაყოფილება ჭირს. მოსახლეობის გაზრდილმა მოთხოვნილებებმა გამოიწვია „ამხანაგური" და „კოოპერატიული" ბინათმშენებლობის განვითარება, რომელსაც კონკრეტული მოსახლეობა აფინანსებს (მაგრამ სახელმწიფო აქაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს გრძელვადიანი სესხებით და მშენებლობის ორგანიზებით).

მიუხედავად ამისა, ურბანისტულ რეგიონებში ბინის პრობლემა კვლავ მთელი სიმწვავით დგას. აქ რამდენიმე მომენტი გადაეჯაჭვა ერთმანეთს — მოთხოვნილებების ზრდა საერთოდ, მოთხოვნილებათა სხვადასხვაობა, ბინათა განაწილების თანასწორობის პრინციპი, შრომის ანაზღაურების სოციალისტური პრინციპი (თითოეულისაგან — შესაძლებლობის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით, რაც მოსახლეობის სხვადასხვა ეკონომიკური დონის არსებობას აპირობებს) და ბინების განაწილების ორგანიზაციული სიძნელეები. ორგანიზაციული სიძნელეები აღმოაჩნდა ბინის გაყოფისა თუ გაერთიანების მოსურნე ოჯახების ინტერესების ოფიციალური გაცვლის ბიუროების საშუალებით დაკმაყოფილებასაც. ყოველივე ამან წარმოქმნა მოქალაქეთა დაინტერესებული ნაწილის პირადი ინიციატივის გამოცოცხლება საკუთარი საბინაო პრობლემის გადაწყვეტაში. თანდათან მიბაძვამაც (რომელიც არც თუ უმნიშვნელო ფსიქოლოგიური ფაქტორია) ითამაშა. გარკვეული როლი ბინის პრობლემის მოგვარების აქციოტაჟში მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა ჩაება. ამასთან ერთად, მოსახლეობის იურიდიული განათლების (კანონმდებლური უფლება-მოვალეობების ცოდნის) უაღრესად დაბალმა დონემ, ზოგან გაბატონებულმა ბიუროკრატიზმმა და ა. შ., წარმოშვა აღებ-მიცემის პირობები, ე. წ. მაკლერის დასაქმება, ცოცხალი გაცვლის ბიუროები და ა. შ. გაჩნდა უამრავი სხვადასხვა სახის და ხასიათის დარღვევები და არაჯანსაღი მოვლენები (ფიქტიური ქორწინება, ფიქტიური განქორწინება, ბინაში ფიქტიური ჩაწერა, სახელმწიფო ბინის ყიდვა-გაყიდვა, ოჯახის წევრების ურთიერთობაში შუღლი, ნათესაური გრძნობის ძალის შესუსტება და ა. შ.). რა თქმა უნდა, ეს მხედველობიდან არ გამორჩა მმართველ ორგანოებს და დაიწყო შეუნელე-

ბელი ბრძოლა მათ წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში უამრავი რაოდენობის შემთხვევების გარჩევაში, არ არის გასაკვირი, რომ ზოგჯერ გაჭირდა მართალისა და ტყუილის, კანონიერისა და არაკანონიერის გამიჯვნა. ამას მოჰყვა კანონიერი უფლების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევებიც და არაკანონიერის მიღწევის შემთხვევების გახშირებაც, რამაც კიდევ მეტად ჩართო ანგარება. ერთი სიტყვით, შეიქმნა ერთამის აღებ-მიცემის, გამოძალვის, მხილების, ძიების, საზოგადოებრივი პატივის ახდის (საყვედური პირად საქმეში შეტანით, კომუნისტური პარტიის რიგებიდან გარიცხვა, სამსახურიდან გათავისუფლება, ბინიდან გამოყვანა და ა. შ.) უამრავი, უკვე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, რომლებზეც ხშირად არის დაუფარავი მსჯელობა თვით ცენტრალურ პრესის ფურცლებზეც კი. ისიც ფაქტია, რომ ოფიციალური ორგანოების მიერ ამ არაკანონიერ ქმედებებთან ბრძოლის გაძლიერებას ვერ მოჰყვა მოსახლეობის აქტიურობის შემცირება, კვლავ გრძელდება კანონის გვერდის ავლის ახალ-ახალი საშუალებების ძიებისა და კარგი ბინის (როგორც რეალური საზოგადოებრივი პრესტიჟელობის გამოხატულების) ხელში ჩასაგდებად საკუთარი მორალური სიწმინდისა თუ კარიერის გაწირვა.

სოციოლოგიური გააზრება სჭირდება უკვე არა ამ ფაქტს, არამედ ამ სიტუაციის ზნეობრივ შედეგებს, რომ საბინაო პრობლემა იწვევს მოსახლეობის ერთ ნაწილში დაძაბულობას და სოციალურ პესიმიზმს და ერთ ნაწილში პიროვნების გაორებას. ის ამბავი რომ პიროვნება ახერხებს უკანონო გზას დაადგეს, აორებს და ზნეობრივად ამცირებს არა მარტო მას, არამედ მისი ოჯახის წევრებსაც, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმული ამ საკითხში. ერთი მხრივ, გაორებულისა და პესიმისტების, მეორე მხრივ, ჰარმონიული ადამიანების რაოდენობრივი შეფარდებები კი მთელი საზოგადოების (თუ გნებავთ, ერისაც) ზნეობრივი სახის ერთ-ერთ განმსაზღვრელად შეიძლება ჩაითვალოს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ არსებული საბინაო კანონმდებლობის (ვიმეორებთ, კანონმდებლობის და არა სოციალისტური პრინციპის) რეალური მოქმედების მექანიზმი ზოგ შემთხვევაში საზოგადოების ერთი ნაწილის მორალური სიწმინდეში ბზარის გაჩენის და მოსახლეობის დაძაბულობის პირობებსაც გამოავლენს. ჩვენი აზრით, ამ სიტუაციას შეიძლება კრიზისულიც კი ეწოდოს: ჯერ ერთი — იზრდება მოსახლეობის მოთხოვნილება სასურველ ბინაზე და ასევე იზრდება აქტიურობაც ამ სურვილის განხორციელებისთვის; მეორე — გაუთავებელი ბრძოლა ამ არაკანონიერ მოვლენებთან სულ უფრო და უფრო მეტ ეკონომიკურ ხარჯებსაც მოითხოვს (ამ საკითხებით დაკავებული ოფიციალური პირების შრო-

მის ანაზღაურების სახით) და. რაც მთავარია, საბოლოო ზღვარს ვერ უდებს ამ მოვლენებს; მესამეც — არსებული სიტუაცია მოსახლეობის ერთი ნაწილის მორალში ხარვეზების გაჩენის პირობებსაც ქმნის და პუნებრივი ნათესავური გრძნობის (უაღრესად მნიშვნელოვანი ეთნოსოციალური მოვლენის) ძალის შესუსტებასაც იწვევს.

როგორც ცნობილია, მოქმედი საბინაო კანონმდებლობის გადასინჯვისა და საბინაო პრობლემების გადაჭრის გზების ძიების საკითხი უკვე დგას ჩვენი სახელმწიფოს წინაშე. ასეთ პირობებში სოციოლოგიისა და ეთნოსოციოლოგიის ამოცანაა შეისწავლოს მოსახლეობის არა მარტო მოთხოვნილებები, არამედ გამოარკვიოს საზოგადოებრივი აზრი პრობლემის ასეთი თუ ისეთი გზით გადაწყვეტის შესახებ, მისი ამოცანაა მიეხმაროს მმართველ ორგანოებს მოქმედი კანონმდებლობის იმგვარად დახვეწაში, რომ არც პიროვნების მოთხოვნები იზღუდებოდეს და სოციალისტური პრინციპებიც დაცული იყოს პიროვნების ჰარმონიულობის უზრუნველსაყოფად, რომ საბინაო კანონმდებლობა ყოველმხრივ იყოს მისაღები მოსახლეობისათვის და უკანონო გზების ძიების პირობებს გამორიცხავდეს.

ამ საკითხში რომელიმე ჰიპოთეზის ფორმულირებამდე ფრ. ენგელსის ერთ-ერთ ცნობილ ციტატს მოვიტანთ. მართალია, ციტატი საბუნებისმეტყველო მეცნიერების კანონზომიერებებს ეხება, მაგრამ მას სოციოლოგებიც ხშირად იშველიებენ საერთოდ ჰიპოთეზის მნიშვნელობის ასახსნელად. ამიტომ ვფიქრობთ, რომ გარკვეული გადატანითი მნიშვნელობით მისი აქ გახსენება შეიძლება: „დაკვირვება აღმოაჩენს რომელიმე ახალ ფაქტს, რომელიც შეუძლებელს ხდის იმავე ჯგუფის ფაქტების ახსნის უწინდელ ხერხს. ამ მომენტიდან საჭირო ხდება ახსნის ახალი ხერხები, რომელიც თავიდან ჯერ მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის ფაქტებსა და დაკვირვებებს ეყრდნობა. შემდგომი დაკვირვების მასალა წმენდს, ხვეწს ამ ჰიპოთეზებს, ერთს მოიცილებს, მეორეს შეასწორებს, სანამ კანონი წმინდა სახით დადგინდება. ჩვენ რომ ვუცადოთ, სანამ მასალა კანონისათვის მზად იქნებაო, ეს იმას ნიშნავს, რომ მოაზროვნე კვლევა შეეაჩეროთ. მაშინ კი მარტო ამის გამოც ვერასოდეს კანონს ვერ მივიღებთ“[3]

ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარე, საკითხის კვლევის ერთ-ერთი წინასწარი ჰიპოთეზა შეიძლება ასეც ჩამოყალიბდეს: მოსახლეობის სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების, ცხოვრების ეკონომიური პირობების გაუმჯობესების, პიროვნების დამოუკიდებლობის და ა. შ. ზრდის შედეგად მოსახლეობის ერთი ნაწილი მზადაა

---

[3] ფრ. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა, თბ., 1950, გვ. 248.

ოჯახის დანაზოგის დიდი წილი გაიღოს სასურველ ბინაში მუდმივად თუ დროებით ცხოვრებისათვის. არსებულ პირობებში ქალაქის ოჯახი ძირითადად მიჯაჭვულია თავის ბინაზე. საჭიროა მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის შესწავლა პრობლემის გადაწყვეტის გზების წინასწარ შემუშავებული ვარიანტების მიხედვით. გადაწყვეტილების ვარიანტები ბინის უფასო განაწილების არსებული წესის დახვეწის გვერდით შეიძლება სხვაც იყოს. მაგალითად, საცხოვრებელი პირობების საკუთარი სახსრებით გაუმჯობესების მსურველთათვის კოოპერატიული მშენებლობის მეტი ხელშეწყობა, ან კერძო ბინის მშენებლობის პრაქტიკის გაფართოება, ან სასტუმროს ტიპის საცხოვრებლის პრაქტიკის დაშვება ჩვენს ქალაქებში იმავე ქალაქის მოსახლეობისათვის, ან არსებული კანონმდებლობის კიდევ უფრო დაკონკრეტება და ა. შ. და ა. შ. ავიღოთ, ვთქვათ, სასტუმროს ტიპის საცხოვრებლების პრაქტიკის საკითხი. იმ ქვეყნებში, სადაც ეს პრაქტიკა მოქმედებს, ოჯახები ხშირად იცვლიან ბინას იმის მიხედვით, თუ როდის როგორი საჭიროება და შესაძლებლობები აქვთ. სოციალისტური პრინციპი შრომის მიხედვით ანაზღაურებისა მოსახლეობის ერთ ნაწილს საშუალებას აძლევს მნიშვნელოვანი დანაზოგი შექმნას, რომლის სურვილისამებრ გამოყენება მისი უფლებაა. სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი (თუნდაც მაღალი ტარიფით), მათ საშუალებას მისცემს სასურველ ბინაში იცხოვროს სიცოცხლის თუნდაც ერთ გარკვეულ მონაკვეთში. ეს შეიძლება განახორციელონ ოჯახის ცალკეულმა წევრებმაც (მაგალითად, ახალდაქორწინებულებმა თაფლობის თვეებში, შემოქმედებითმა მუშაკებმა მოძალებული, აქტიური მუშაობის პერიოდში და ა. შ.).

ყოველ შემთხვევაში სასურველია შრომის ანაზღაურების სოციალისტური პრინციპის შედეგებით მოქალაქე ბინის საკითხშიც ისევე სარგებლობდეს, როგორც სხვა საკითხებში სარგებლობს. ამასთანავე, საბინაო პრობლემის გადაჭრას მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ეთნოსოციალური თვალსაზრისით აქვს, რადგან ერთდროულად უკავშირდება ოჯახის (ერთი მხრივ, როგორც სოციალური ჯგუფის და მეორე მხრივ, როგორც ერის ბურჯის) სოციალური და ეთნიკური ფუნქციების ოპტიმალური განხორციელების პირობების შექმნას.

ოჯახის სოციოლოგიური და ეთნოსოციოლოგიური კვლევის საკითხად პრობლემის შერჩევის ამ ზემომოტანილ ორ მაგალითშიც კი ნათლად ჩანს ოჯახთან დაკავშირებული საკითხების მრავალფეროვნება და აქტუალობა, თეორიისა და პრაქტიკის მჭიდრო კავშირის მნიშვნელობა წინასწარი ჰიპოთეზის ფორმულირებისა და მის სა-

ფუძველზე კვლევის კონკრეტული სამუშაო პროგრამის შედგენისათვის. ნათლად ჩანს, რომ დღეს, გარდაქმნისა და საჯაროობის პირობებში ამ საკითხების მეცნიერული კვლევა სრულიად დროული, საჭირო და საშურია.

* * *

დაბოლოს, ყოველივე ზემონათქვამის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ოჯახის ეთნოსოციოლოგიური კვლევის ინტენსიური განვითარების პერსპექტივები ჩვენში საკმაოდ დიდია. ამის საფუძველს, დარგის ფუნქციონალურ მნიშვნელობასთან ერთად, ეთნოსოციოლოგიური აზროვნების განვითარების ფართო ასპარეზის არსებობაც ქმნის.

დასკვნა

ეთნოსოციოლოგია არის მეცნიერება ეთნიკური ერთობების სოციალური მოვლენების, პროცესებისა და პრობლემების შესახებ. მისი კვლევის ძირითად მიმართულებებში ოჯახს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. ოჯახის სოციალური და ეთნიკური ფუნქციების უაღრესად დიდი მნიშვნელობა და მათი კვლევის აქტუალობა ნაშრომის სტრუქტურაში წარმოდგენილია ზოგადთეორიული საკითხებიდან კონკრეტულისკენ, თეორიიდან პრაქტიკისაკენ სვლით. ეთნოგრაფიის, სოციოლოგიის, ეთნოსოციოლოგიის ზოგადი საფუძვლების, აგრეთვე, გენეტიკის ზოგიერთი საკითხის, ეთნოსისა და ოჯახის თეორიების განხილვის ფონზე ნაშრომში მოცემულია ზოგიერთი მოსაზრების დასაბუთების ცდა. კერძოდ, ეთნოსის და ოჯახის თეორიებში უფრო მეტად უნდა გამოიყენებოდეს გენეტიკის მონაცემები საერთოდ და განსაკუთრებით გენეტიკოს-ფილოსოფოსების (დუბინინი, შევჩენკო, დიტლი, გაზე, კრანპოლდი) მიერ შექმნილი ახალი კონკრეტული თეორია კაცობრიობის გენეტიკური პროგრამისა და მემკვიდრეობითობის გვერდით სოციალური პროგრამისა და მემკვიდრეობითობის არსებობის შესახებ. ამ თეორიის ეთნოსის თეორიასთან მისადაგების საფუძველზე ნაშრომში შემოთავაზებულია არქოგენეტიკური ეთნოსის (ერის) დეფინიციის ცდა: არქოგენეტიკური ეთნოსი (ერი) არის საკუთარი გენეტიკური და სოციალური პროგრამებისა და მემკვიდრეობითობების მქონე ხალხის ისტორიული ერ-

თობა, რომელიც თავისი განვითარების გარკვეული დონითა და დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით ჩართულია ზოგადსაკაცობრიო პროგრესში.

შემდეგ, იმის გამო, რომ ოჯახი წარმოადგენს ეთნოსის გენეტიკური და სოციალური პროგრამებისა და მემკვიდრეობითობების გადაცემა-განგრძობის (ე. ი. ერის არსებობის) ერთ-ერთ აღიარებულ მნიშვნელოვან არხს, ნაშრომში მიზანშეწონილადაა მიჩნეული სოციოლოგიაში მიღებულ ოჯახის ფუნქციათა ჩამოთვლის რიგს დაემატოს — გამოიკვეთოს ოჯახის ეთნიკური ფუნქცია (ერთეროვნული და ეროვნულად შერეული (ბიეთნიკური) ქორწინების მნიშვნელობა).

შემდეგ, ოჯახის თეორიის ახალი მიღწევებისა და გენეტიკის მონაცემების ურთიერთ დაკავშირებით ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება „ოჯახის სტრუქტურის" ცნებაში ცალკე გამოიყოს ბიოსოციალური სტრუქტურა ((შემადგენელი ელემენტები — ქორწინება, შობადობა, ნათესაობა). ამასთანავე, სოციალური და ბიოსოციალური სტრუქტურები (როგორც ოჯახის ძირითადი საწყისების გამოხატულება) მიჩნეულია პირველი დონის სტრუქტურებად, ხოლო დემოგრაფიული და ოჯახის წევრთა ურთიერთობებისა კი — მეორე დონისად. ნაშრომში მოცემულია ცალკე ბიოსოციალური სტრუქტურისა და ცალკე ოჯახის მთელი სტრუქტურული აღნაგობის სქემატური გამოსახულება.

შემდეგ, ოჯახის ბიოსოციალური სტრუქტურისა და მისი ელემენტების გამოყოფითი გაანზრება ოჯახის დამატებითი ტიპოლოგიის შემოთავაზების საშუალებას იძლევა. ამ თვალთახედვით ოჯახები დაჯგუფებულია ოთხ ძირითად ტიპად (თავისი ქვეტიპებით).

ამავე დროს, ნაშრომის ძირითადი მიზანია აჩვენოს ოჯახის ეთნოგრაფიული, სოციოლოგიური და ეთნოსოციოლოგიური კვლევის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეთნოსოციალური პროცესების მიმართულებების არა მარტო მეცნიერული კვლევისათვის, არამედ მათ შესახებ საზოგადოების გათვითცნობიერებისთვისაც; აჩვენოს მათი უაღრესად დიდი მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებაში არსებული პრობლემების გადაჭრის მართებული გზების ძიება-დასაბუთებისთვის. ნაშრომი მიმართულია აჩვენოს ის ასპარეზი, რომელსაც მეცნიერებს ეს დარგები უქმნის მკვლევარს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ჩაძიებისა და გაბედული იდეების წამოყენების უნარის გამოსავლენად. იგი მიმართულია აჩვენოს, რომ ეთნოსოციოლოგია უაღრესად წარმტაცი მეცნიერებაა, რადგან ეთნიკური ერთობების

სოციალური მოვლენების (მათ შორის ოჯახთან დაკავშირებული საკითხებისაც) რაოდენობრივ განზომილებებში შესწავლით ნათლად წარმოაჩენს ეთნოსი-ერის განვითარების მიმართულებებს და პერსპექტივებს, წარმოაჩენს, თუ ცალკეული ერი, დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ — „ვინ არის, რისთვის არის, სიდამ მოდის და სად მიდის“.

МЕТОДИЧЕСКИЕ ВОПРОСЫ ЭТНОСОЦИОЛОГИЧЕСКОГО ИССЛЕДОВАНИЯ СЕМЬИ

Резюме

Семья и связанные с нею вопросы занимают значительное место в основных научных направлениях этносоциологии. В данной работе важнейшее значение социальных и этнических функций семьи, а также актуальность их исследования, прослеживаются последовательным переходом от изложения общетеоретических вопросов к конкретным, от теории к практике.

В работе дается обоснование некоторых выводов, основанных на важнейших положениях этнографии, социологии, этносоциологии, биологии человека, теории этноса и социологической теории семьи:

1. В теории этноса и социологической теории семьи необходимо более обширно использовать данные генетики человека вообще, а в частности новую теорию о существовании социальной программы и наследования человечества (наряду с генетической программой и наследования)[1]. Приложение этой теории к теории этноса дает возможность предложить определение архогенетического этноса (наций) как историческую общность народа, включенную в общечеловеческий прогресс с собственной генетической и социальной программами, а также генетическим и социальным наследованиями.

2. Ввиду того, что семья является одним из основных каналов передачи этнических компонентов этноса, ее

---

[1] Дубинин Н. П., Шевченко Ю. Г. Некоторые вопросы биологической природы человека. М., 1976, с. 22—28, Дитль Г. М., Газе Г., Кранхольд Г. Г. Генетика человека в социалистическом обществе. М., 1984, с. 80—107.

этническую функцию целесообразно четко выделить в социологическом перечне функций семьи.

3. Увязывая новые достижения в социологическом понятии «структура семьи» (выделение основных структурных уровней семьи — демографического, социального и духовного)[2] и данные генетики человека, в общей структуре семьи можно выделить еще один уровень — биосоциальный (составные элементы — брак, рождаемость, родство). При этом социальный и биосоциальный уровни, отображающие основные начала семьи, рассматриваются как первичные, а уровни демографических и внутрисемейных взаимоотношений (включающие в себе и духовный) — как вторичные. В работе приводятся и вся общая структурная схема семьи и схема самой биосоциальной структуры, более расширенно представленной.

4. Предполагается типология семьи на биосоциальной структуре, которая позволяет выявить различия взаимоотношений по типу родственных связей в семье:

1. Семьи с усеченной биосоциальной структурой:

а) семья бездетных супругов (из биосоциальных элементов в ней представлен только один показатель — брак).

б) семья одного родителя с одним ребенком (из биосоциальных элементов в ней представлен только один показатель — рождаемость).

в) семьи сибсов, или других родственников (из биосоциальных элементов в ней представлен только один показатель — родство).

2. Семья с простой биосоциальной структурой:

а) семья родителей с одним ребенком (из биосоциальных элементов в ней представлены два показателя — брак и рождаемость);

б) семья одного родителя с детьми (из биосоциальных элементов в ней представлены два показателя — рождаемость и родство между сибсами).

в) семья одного старшего родителя, его разведенного (ую) или вдовца (вы) потомка со своим ребенком (из биосоциальных элементов в ней представлены два показателя — рождаемость в двух поколениях и родство между первым и третьим поколениями и между сибсами).

3. Семьи с полной биосоциальной структурой:

а) полная семья обеих родителей с двумя или более детьми (из биосоциальных элементов в ней представлены все три показателя — брак, рождаемость и родство сибсов).

4. Семьи со сложной биосоциальной структурой:

---

[2] Таштемиров У. Современная социалистическая семья и тенденции ее развития. Ташкент. 1982, с. 27—71.

а) сложные семьи различных вариантов, например, семья с двумя брачными парами — старших родителей и детей, из которых хоть один семейный и имеет детей (из биосоциальных элементов в ней представлены все три показателя в разных вариантах — два брака, рождаемость в двух поколениях и обширное родство: сибсов между собой, между сибсами двух поколений и между первым и третьим поколениями).

Наряду с вышеуказанными научными предположениями и выводами работа широко иллюстрирует значение познавательной функций этносоциологии. В ней дается характеристика некоторых этносоциальных процессов вообще и протекающих в семье, в частности. Показан также (по ходу изложения теории семьи, проблематики исследования, формулировки гипотезы и т. д.) широкий круг проблем и увлекательный характер этносоциологии, который раскрывает перед исследователем семьи большие возможности для реализации его научных стремлений и наклонностей.

რედაქტორისაგან

ენციკლოპედიური ცოდნის დონეზე ცნობილია, რომ ოჯახი წარმოადგენს იმ ძირითად სოციალურ უჯრედს, რომლის სტრუქტურისა და ფუნქციის თავისებურებათა მიმართ ეთნოსი, მისი იერარქიის ნებისმიერ დონეზე, არ შეიძლება ნეიტრალური იყოს. ოჯახი ის ძირითადი არხია, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება არა მარტო ეთნიკური კულტურის ტრადიციული ფორმების ტრანსმისია თობიდან თაობაში, არამედ, რაც მთავარია, ბიოგენეტიკური და სოციალური ინფორმაციის მემკვიდრეობითი მიმღეობა. ამდენად, ოჯახის სიმტკიცეზე და მის ხასიათზე ბევრადაა დამოკიდებული ეთნოსის ზნეობრივი ჯანმრთელობა და ეთნიკური კულტურის პრესტიჟი.

ამიტომაა, რომ ოჯახი წარმოადგენს სახელმწიფო მზრუნველობის ერთ-ერთ საგანს და მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას.

მ. ბექაიას სოლიდური წიგნი ოჯახის აქტუალური საკითხების საკმაოდ რთულ კომპლექსს ეხება. მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანია ოჯახის ბიოლოგიური და სოციალური საწყისები. ამ საკითხზე საკმაოდ დიდი ლიტერატურაა, მაგრამ ზოგი რამ ბოლომდე მაინც გაურკვეველი რჩება. ავტორი ფართოდ მიმოიხილავს ძირითად წყაროებს და მიუთითებს სოციალურის შემდეგ ბიოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობას ოჯახის განვითარების პროცესში და ოჯახის ფორმათა ტიპოლოგიაში. სამწუხაროდ, ავტორი არ აკრიტიკებს ოჯახის ბიოლოგიზატორულ შეხედულებებს, მაგრამ ესმის რა ამ თეორიის უსაფუძვლობა, მკვეთრად ემიჯნება მას. ამასთან კავშირში იგი ხაზგასმით აღნიშნავს: „ბიოლოგიური და სოციალური საწყისების თანაშეფარდება ისტორიულად იცვლება სოციალურის სასარგებლოდ". მართლაცდა, ასე რომ არ იყოს და სოციალური საწყისი არ წარმოადგენდეს წამყვან ფაქტორს ცივილიზებული ხალხების საოჯახო ყოფაში, ბევრი რამ არა მარტო ოჯახის, არამედ ეთნოსის ისტორიაშიც აუხსნელი, ან არასწორად ახსნილი დარჩებოდა.

მ. ბექაიას ნაშრომში ყურადღებას იმსახურებს ოჯახის ფორმათა კლასიფიკაცია ბიოსოციალური და სოციალური პარამეტრების მიხედვით, თუმცა კლასიფიკაციის პრინციპის დასაბუთება შეიძლება ბოლომ-

დე არ არის მიყვანილი. ამ გარემოებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ოჯახის ზოგად სტრუქტურაში ავტორის მიერ გამოყოფილი ორი ძირითადი შემადგენლის სახელდებაში.

ავტორი სწორად მოიქცა, როდესაც თავისი ნაშრომის ერთი ნაწილი თანამედროვე ოჯახის მშენებლობის პრაქტიკულ საკითხებს დაუთმო. წიგნის ამ ნაწილს განსაკუთრებული ყურადღებით კაეცნობა არა მარტო მეცნიერ-მკვლევარი, არამედ ფართო საზოგადოება, პირველ: რიგში ახალგაზრდობა. ნაშრომში დაყენებული მეთოდური საკითხები უთუოდ ცხოველ გამოხმაურებას გამოიწვევს ოჯახის საკითხებით დაინტერესებულ ახალგაზრდა მკვლევარებში. პრაქტიკული საკითხები კარგად ავსებს ავტორის იმ ზოგად მსჯელობას ოჯახის თეორიისა და მისი შესწავლის მეთოდიკის საკითხების შესახებ, რომელიც პრობლემის თანამედროვე მდგომარეობის მიმოხილვას შეიცავს და ამ მხრივაც იწვევს ფართო ინტერესს.

გამორიცხული არ არის, რომ ავტორის არასტანდარტული მსჯელობა ზოგი საკითხის შესახებ დისკუსიასაც გამოიწვევს, მაგრამ ეს გარემოება მეცნიერული აზრის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ნაკლად არ ჩაითვლება.

ალ. რობაქიძე

შინაარსი

რატომ ქმნიან ადამიანები ოჯახს 3

ნაწილი I. ოჯახის ეთნოსოციოლოგიური კვლევის საგანი და ფუნქცია 19

თავი პირველი. ეთნოგრაფიის საგანი და ფუნქცია 19

თავი მეორე. სოციოლოგიის საგანი და ფუნქცია 76

თავი მესამე. ეთნოსოციოლოგიის საგანი და ფუნქცია 92

ნაწილი II. ოჯახის თეორიისა და კვლევის პროგრამის ზოგიერთი საკითხი 104

თავი პირველი. ოჯახის თეორიის საკითხები . 104

თავი მეორე. ოჯახის ეთნოსოციოლოგიური კვლევის ზოგადი პროგრამის ზოგიერთი საკითხი . 117

დასკვნა 128

Методические вопросы этносоциологического исследования семьи (резюме) 130

რედაქტორისაგან 133

МЗИЯ АЛЕКСАНДРОВНА БЕКАЯ

МЕТОДИЧЕСКИЕ ВОПРОСЫ ЭТНОСОЦИОЛОГИЧЕСКОГО ИССЛЕДОВАНИЯ СЕМЬИ
(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1988

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3438

გამომცემლობის რედაქტორი ი. გაჩეჩილაძე
მხატვარი მ. მირცხულავა
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. შოვნაძე
კორექტორი ე. გოგავა
გამომშვები ე. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 20.8.1987; ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.2.1988;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 8,5;
პირ. საღ.-გატ. 8,8; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7;

უე 02315; ტირაჟი 3000; შეკვეთა № 2842;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19